

კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა

შემდგენლები:
რუსუდან ამირუჯიბი-მალენი (რედაქტორი), ნანა დანელია, ინგა დუნდუა

ექსპერტები:
რევაზ აბაშია, მაია ლომია, ბელა ქობალავა

კოლხური ენის გრამატიკული ანალიზი კორნელი დანელის ჩანაწერებისა და
ლექციების მიხედვით

ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი (ICGL) ფინანსური მხარდაჭერისთვის
მადლობას უხდის შვეიცარიის საელჩოს საქართველოში, შვეიცარიის ელჩს, მის
აღმატებულებას ბატონ სტეფან სპეკსა და ელჩის მოადგილეს ბატონ ნიკულინ
იუგერს.

Embassy of Switzerland

The International Center for Georgian Language (ICGL) would like to thank Ambassador
Stefan Speck, Charge de Affairs Niculin Yeger and the Embassy of Switzerland in Tbilisi for
their support for this project.

ყველა უფლება დაცულია.

© რ. ამირუჯიბი-მალენი, ნ. დანელია, ი. დუნდუა, 2006

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2006;

ჭავჭავაძის გამზ., 19, თბილისი 0179; თე: 22 36 09, 8(99) 17 22 30; E-mail:

universal@internet.ge

ISBN 99940-61-43-7

პროფესორი კორნელი დანელია (1934 - 1997) ავტორია 170-ზე მეტი ნაშრომისა, რომელთაგან 8 სქელტანიანი მონოგრაფიაა. ფართო გახლდათ მისი კვლევის სფერო: ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის საკითხები, ძველი ქართული ენა, მეგრული და ლაზური ენების გრამატიკა (წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციების ქურსს ამ საგნებში), უძველესი წერილობითი ძეგლების ტექსტის დადგენა და პუბლიკაცია, ქართული სალიტერატურო ენის ისტორია და სხვა. ძველი ქართული ენის მონაცემებთან ერთად მკვლევარი წარმატებით იყენებდა ძველი ბერძნული, სირიული და სომხური ენების მასალას, რომელსაც იგი სათანადო სისრულით იყო დაუფლებული.

კორნელი დანელია იყო ქართული საენათმეცნიერო სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო და ღირსეული წარმომადგენელი: იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, ძველი ქართული ენის კათედრის გამგე, გელათის აკადემიის აკადემიკოსი.

სარჩევი

შესავალი, რ. ამირეჯიბი-მალენი	7
კ. დანელია, კოლხური ენის გრამატიკული ანალიზი	12
ნ. დანელია, ი. დუნდუა, მეგრულის პრაქტიკული კურსი	176
მეგულ-ქართული ლექსიკონი	340
საკითხავი ტექსტები	359
ბიბლიოგრაფია	390

შესავალი

ჩემი მასწავლებლის, შემდგომში კი უფროსი კოლეგის, გამოჩენილი მეცნიერისა და ღირსეული ქართველის – ბატონი კორნელი დანელიას დიდი სურვილი იყო მეგრულ-ჭანური ენის სახელმძღვანელოს შექმნა და გამოცემა. მუშაობდა კიდეც მასზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ სურვილი ვერ აისრულა. ჩვენ, მისმა ქალიშვილმა და მოწაფეებმა, შევძლით ბატონი კორნელის ოცნების ხორცის სხმა და მოვამზადეთ ეს წიგნი შვეიცარიის მთავრობის ფინანსური დახმარებით და საქართველოში შვეიცარიის ელჩის, მისი აღმატებულების ბატონი სტეფან სპეკისა და ელჩის მოადგილის ბატონი ნიკულინ იეგერის პირადი მხარდაჭერით, რისთვისაც უდიდეს მადლობას მოვახსენებთ.

ძნელი სათქმელია, ზუსტად როგორი იქნებოდა ბატონი კორნელის სახელმძღვანელო, თუმცა გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნა მისგან დატოვებულმა „შავმა“ მასალაშ და კოლხური ენის ლექციების კურსმა, რომელსაც იგი წლების მანძილზე უძღვებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ბატონი კორნელის ხელნაწერი დაგამუშავეთ ექსპერტებთან ერთად და ასე შევადგინეთ წინამდებარე წიგნის პირველი, აკადემიური ნაწილი, რომელსაც „კოლხური ენა“ ჰქვია, ვინაიდან ბატონი კორნელი სწორედ ამ ტერმინს ანიჭებდა უპირატესობას „მეგრულ-ჭანურთან“ და „ზანურთან“ შედარებით.

წიგნის მეორე ნაწილი მეგრულის პრაქტიკული სახელმძღვანელოა, ტექსტებითა და სავარჯიშოებით. ბევრი მეცნიერი (განსაკუთრებით უცხოელი) მეგრულსა და ჭანურს (ანუ ლაზურს) ცალკე ენებად მიიჩნევს, ხოლო ზოგი ქართველი მეცნიერი კი ყველა ქართველურ ენას – ქართველურ დიალექტებად. ჩვენი აზრით, აქ საქმე გვაქვს საკითხისადმი სხვადასხვაგარ მიღვომასთან, ენათა კლასიფიკაციის სხვადასხვა თვალსაზრისთან.

ქართველურ ენათა კლასიფიკაციასთან დაკავშირებული წინააღმდეგობები უნიკალური მოვლენა არ გახლავთ და, თუმცა მსოფლიოში არსებულ დაახლოებით ექვსი ათას ენასთან დაკავშირებით ამ მხრივ უმეტესწილად ყველაფერი გარკვეულია, მაინც რჩება

ასობით ენა თუ მისი ვარიანტი, რომელთა სტატუსი საკამათოა. ეს კი, თავის მხრივ, სადავოს ხდის საერთოდ ენისა და დიალექტის გამიჯვნის კრიტერიუმების უტყუარობას.

კონკრეტული ენების კლასიფიკაციაზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევთანხმდეთ იმაზე, თუ რა შინაარსი იდება ტერმინებში „ენა“ და „დიალექტი“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნდა გაირკვეს, წმინდა ლინგვისტურია მიღომა თუ სოციოლინგვისტური.

ენებისა და დიალექტების გამიჯვნის წმინდა ლინგვისტურ კრიტერიუმებს მიეკუთვნება ურთიერთგაგებინების ფაქტორი. თუ ენის სხვადასხვა ვარიანტზე მოლაპარაკეთ ესმით ერთმანეთის (გაგებინებისას მხოლოდ მცირე პრობლემები იქმნება, მაგალითად, ისეთი, როგორიც სალიტერატურო ინგლისური ენის ბრიტანულ და ამერიკულ ვარიანტებს შორის), ეს ვარიანტები ერთი ენის დიალექტებად ითვლება და, პირიქით, თუ ურთიერთგაგებინება არ არსებობს, მათ ცალკე ენებად მიიჩნევნ. მიუხედავად ამისა, ბევრ თანამედროვე ლინგვისტს ურთიერთგაგებინება არ მიაჩნია მყარ და მკაფიო კრიტერიუმად, ვინაიდან გაურკვეველია, რამდენად სრული უნდა იყოს ეს ურთიერთგაგებინება. საკმარისია ზეპირმეტყველების დონეზე გაგებინება თუ აუცილებელია წერილობითი ტექსტის გაგება (როგორც ჩინურის შემთხვევაში. იხ. ქვემოთ). იგივე შეიძლება ითქვას ენის სტრუქტურაზე, კანონზომიერი ბგერათშესატყვისობის არსებობასა და სხვა ლინგვისტურ კრიტერიუმებზე, რომლებზეც აქ არ შეტერდებით, ვინაიდან ქართველურ ენებთან დაკავშირებით, ისინი, საბედნიეროდ, ჯერ არავის გაუხდია სადავოდ, ხოლო ზოგადად ამ საკითხებზე მსჯელობა სცილდება ჩვენი ინტერესის სფეროს ამ კონკრეტულ შემთხვევაში. ზოგადი ცნობები აქ მოხმობილი გვაქვს მხოლოდ სადავო საკითხებში მკითხველის უკეთ გარეკვევის მიზნით. საკმარისი არ არის აგრეთვე ისეთი კრიტერიუმი, როგორიცაა ენის სტანდარტიზაცია. დიალექტი არასტანდარტიზებულია, მაგრამ დედამიწაზე უამრავია დამწერლობის არმქონე, არასტანდარტიზებული ენა.

მაშასადამე, არსებობს ისეთი შემთხვევები, როცა წმინდა ლინგვისტური კრიტერიუმები არ არის საკმარისად მკაცრი და უნივერსალური და წარმოშობს სირთულეს ენათა და დიალექტთა

გამიჯვნისას. ამიტომ ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის აუცილებელი ხდება ექსტრალინგვისტური, სოციოკულტურული ფაქტორების გათვალისწინება, რაც მოიცავს პოლიტიკურ საზღვრებს, ისტორიულ-კულტურულ ორიენტაციას და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ენის მატარებელთა თვითშეგნებას, ვინაიდან ხშირად, მიუხედავად მეცნიერებს შორის არსებული სადაცო საკითხებისა, თვით ენის მატარებლისათვის ყველაფერი გასაგებია. ის ფლობს ენობრივ სისტემას და, ასხვავებს რა მას სხვა სისტემებისაგან, თავის ვარიანტს უწოდებს ენას.

ენისა და დიალექტის გამიჯვნისას წარმოქმნილი წინააღმდეგობა ძირითადად ორი სახისაა. პირველი სახის წინააღმდეგობა გვაქვს ისეთ შემთხვევებში, როცა ენის ვარიანტები ერთმანეთის-თვის გაუგებარია, მაგრამ ექსტრალინგვისტური ფაქტორების – პოლიტიკური, ისტორიული და კულტურული მიზეზების გამო მათ ერთი ენის დიალექტებად მიიჩნევენ. ჩინური ენის ასობით დიალექტი რვა ძირითად ტიპად ჯგუფდება და ერთმანეთისთვის გაუგებარია, მაგრამ ყველა იყენებს ერთსა და იმავე დამწერლობას და ამით ამყარებს კომუნიკაციას. ლინგვისტურ განსხვავებათა მოუხედავად, ნებისმიერი დიალექტის მატარებელი მიიჩნევს, რომ ის ლაპარაკობს ჩინურად. როგორც ვხედავთ, უმნიშვნელოვანესი ჩანს მოლაპარაკის ლინგვისტური იდენტობა.

მეორე სახის წინააღმდეგობა ჩნდება მაშინ, როცა ენის ორი ვარიანტი ერთმანეთისთვის გასაგებია, მაგრამ რაიმე მოსაზრებით (პილიტიკურით ან ისტორიულით) მათ სხვადასხვა ენად მოიჩხენიებენ. ამის საუკეთესო მაგალითად მიგვაჩნია სერბულის და ხორვატიულის დამოუკიდებელ ენებად გამოცხადება იუგოსლავის დაშლის შემდეგ. 1991 წლამდე არსებობდა ერთი სერბო-ხორვატიული ენა, მაგრამ თითოეული დიალექტის მატარებელთა განსხვავებული და ერთმანეთთან შეურიგებელი იდენტობების განცდა გახდა მათი ენებად მიიჩნევის მიზეზი. ამისთვის თითოეული სალიტერატურო ენისთვის სხვადასხვაგვარი ნორმა შეიმუშავეს და სხვადასხვა ანბანზეც კი გადავიდნენ. ასევე, მაგალითად, შვედურს, დანიურს და ნორვეგიულს, ურთიერთგაგებინების მეტნაკლები ხარისხის მიუხედავად, სხვადასხვა ენებად მიიჩნევენ, ვინაიდან ითვალისწინებენ ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს – პოლიტიკურ საზღვრებს და

ენის მატარებელთა ლინგვისტურ იდენტობას ანუ თვითშეგნებას, რომელიც ამ შემთხვევაშიც უმნიშვნელოვანესი ჩანს.

სწორედ ამგვარი ექსტრალინგვისტური კრიტერიუმებით ხელმძღვანელობენ ის მეცნიერები, რომელთაც მეგრული და ჭანური (ლაზური) სხვადასხვა ენად მიაჩნიათ, თორემ მხოლოდ ლინგვისტური კრიტერიუმებით ისინი ერთი ენის ორ დიალექტს წარმოადგენენ (ამ მხრივ ჩვენ, ცხადია, სრულად ვაზიარებთ ისეთი დიდი მეცნიერების შეფასებას, როგორებიც არიან ივ. ჯავახიშვილი, აკ. შანიძე, არნ. ჩიქობავა და ბევრი სხვა ქართველი და არაქართველი მეცნიერი). სხვა საკითხია ის, რომ ჩვენ ამ ეტაპზე ექსტრალინგვისტური კრიტერიუმების მოხმობითაც კი არ მიგვაჩნია მართებულად ყველა ქართველური ენის დიალექტებად ჩათვლა. თუ ზოგი არალინგვისტური ფაქტორი თავისთავად, შესწავლის გარეშეც ცხადია (მაგალითად, პოლიტიკური საზღვრები), ამას ვერ ვიტყვით სხვა ფაქტორებზე, რომელთაც სპეციალური და ღრმა შესწავლა სჭირდება. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სოციოლინგვისტურ ფაქტორთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ენის მატარებლის თვითშეგნება. ისეთი ექსტრალინგვისტური ფაქტორები, როგორიცაა პოლიტიკური საზღვრები თუ ისტორიულ-კულტურული ორიენტაცია, უკანა პლანზე იხევს მაშინ, როცა არსებობს ენის ამა თუ იმ ვარიანტის მატარებელთა ლინგვისტური იდენტობის განცდა. ვინაიდან ეს საკითხი ქართველურ ენებთან მიმართებით სპეციალურად შესწავლილი აქამდე არ არის, რაიმეს კატეგორიულად მტკიცება არასწორი იქნებოდა სოციოლინგვისტური თვალსაზრისით (წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით კი მათი სტატუსი გარკვეულია და ჯერჯერობით, საწინააღმდეგოს დამადასტურებელი საკარისი მყარი არგუმენტების მოხმობამდე, მეგრულს მივიჩნევთ მეგრულ-ჭანური ენის დიალექტად და გამოვყოფთ სამ ქართველურ ენას). გადაჭრით იმის მტკიცება, რომ ქართველური ენები ენები კი არა დიალექტებია, ან იმის თქმა, მეგრული და ჭანური ერთი ენის ორ ვარიანტს წარმოადგენს თუ ორ დამოუკიდებელ ახლომონათესავე ენას, შეუძლებელია. ვიმეორებთ, რომ საუბარია სოციოლინგვისტურ მიდგომაზე და ამ საკითხის სათანადო მეცნიერულ კალევაზე, თუმცა ყოფით დონეზე ცნობილია, რომ ნებისმიერი, ვთქვათ, მეგრულად მოლაპარაკე მიიჩნევს, რომ ლაპარაკობს მეგ-

რულად და არა ქართულად. ქართულის რომელიმე დიალექტზე მოლაპარაკე კი იტყვის, რომ ლაპარაკობს ქართულად, ან მის რომელიმე ვარიანტზე.

მაშასადამე, იმის გასარკვევად, სოციოლინგვისტური თვალსაზრისით მეგრული ენა თუ დიალექტი, შესასწავლია თვით მოსახლეობის ენობრივი იდენტობის საკითხები. თუ არსებობს ამგვარი იდენტობა, როგორია ის: მხოლოდ ლინგვისტური თუ ტერიტორიულ-ლინგვისტური და ა.შ. ცხადია, ამგვარი იდენტობის დადასტურება არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავს იმავდროულად საერთოქართული ეროვნული იდენტობის არსებობას. საერთოდ ადამიანს შეიძლება ორმაგი ან მეტი ენობრივი იდენტობაც ჰქონდეს იმ შემთხვევაშიც, როცა საქმე გაძეს არამონათესავე ენებთან, ვთქვათ სხვადასხვა ეროვნების მშობლების ყოლის შემთხვევაში.

ამგვარი საკითხების შესწავლასა და მათზე ყურადღების გამახვილებაში ზოგი გარკვეულ საფრთხეს ხედავს სახელმწიფოებრიობისათვის, რაც ყოვლად უსაფუძლოა. პირიქით, სახიფათო სწორედ ის შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ამგვარი იდენტობის აღმოფხვრა ვცადოთ ან მის არსებობაზე თვალი დაგუშუჭოთ. ჩვენ თუ მას არ დავინახავთ, ან უგულებელვყოფთ, მას კარგად დაინახავს და მასზე ყურადღებას გაამახვილებს სწორედ ის, ვინც სეპარატისტული განწყობის დანერგვითაა დაინტერესებული. გარდა იმისა, რომ ენის დიალექტად გამოცხადება არ შეიძლება პოლიტიკური ხელსაყრელიბის მომზაზებითი (იხ. ალ. ონიანი, ისევ ქმრთველური ენებისა და დიალექტების შესახებ, ენათმეცნიერების საკითხები, 2, 2003, გვ. 177-183), ეს სწორედ პოლიტიკურადაც არ ყოფილა ხელსაყრელი და ამგვარმა ცდებმა დიდი ხანია დისკრედიტაცია განიცადა მეცნიერებაში.

საქართველო მულტილინგვისტური ქვეყანაა. მისი განსაკუთრებული სიმდიდრეა მონათესავე ენები და მათ მოფრთხილება, სიყვარულით მოპყრობა და დაცვა სჭირდება. მეგრულ-ჭანური//ლაზური ჩვენი საუნჯეა და გვჯერა, მკითხველიც იზიარებს ამ აზრს.

რუსულან ამირეჯიბი-შალენი

პორნელი დანელია

პოლსური ენის
ბრამატიკული ანალიზი

პოლსურის მიზანელობა ქართველურ მათა ისტორიის შესრულებისათვის

კოლხურ (მეგრულ-ჭანურ) ენას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველურ ენათა, კერძოდ, ქართულის ისტორიის დასაღენად. კოლხურს დაუცავს ისეთი ფორმები, რომელთა გათვალისწინების გარეშე ბევრი საკითხი ქართული ენის ისტორიიდან გაურკვეველი დარჩებოდა. მაგ., სრულხმოვნობა, რომელიც მეგრულს (და ჭანურს) ახასიათებს, გასაღებს იძლევა, აღდგეს სახელის ფუძის უძველესი სახე ქართულში: 1) „ძმა“-ს უძველესი სახე რომ „ძამან“ არის, ამას, პირველ რიგში, კოლხურის ჩვენება ადასტურებს: ჯუმა(ჭან.)//ჯიმა(მეგრ.), მრ. რ.: ჯუმალ-ეფ-ი // ჯიმალ-ეფ-ი. კოლხური რომ არა, ჩვენ არ გვეცოდინებოდა, რომ ძველსა და ახალ ქართულში ნახმარ ძირეულ სიტყვაში „ძმა“ გვაკლია ფუძისული ა ხმოვანი და დეტერმინანტი სუფიქსის ნ ელემენტი (-ან→-ა). შდრ.: გურულ და იმერულ დიალექტებში: ძმანები, დანები, „ძამია“. მეგრული ჯომალ→ჯუმალ→ჯიმალ→ჯიმა. (ქართ. ძ: კოლხ. ჯ; ქართ. ა: კოლხ. ო.) 2) წარმომავლობის სუფიქსი -არ (ოპიზარი, მტბევარი, ოლთისარი...) ახსნას იღებს მეგრულ-ჭანური არ-დან (ზუგდიდარეფი, ბანძარეფი... და ა.შ.).

კოლხურის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მრავალი ისეთი სიტყვის ისტორიისა და ეტიმოლოგის გარკვევა, რომელიც ისტორიულად კოლხური ენის წრეში შედიოდა და შეძეგ მოექცა ქართული ენის სინამდვილეში. მაგ., ისტორიულად ცნობილი სახელწოდება სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი სოფლისა „არტანუჯი“, ახსნას პოულობს კოლხურის გათვალისწინებით: არტანუჯი←არტანიშ ¹უჯი, „არტანის ყურე“ (¹უჯი = ყუ-

რი/ყურე). ეტიმოლოგია ა. შანიძისაა. ასევე: ოპიზა←ოპიჯა: ოთავსართი კოლხურია და სა- მაწარმოებელს უდრის, პიჯი = პირი. ეტიმოლოგია ნ. მარისაა. ოკრიბა (იმერეთის სოფელი)←ო-კი-რიბ-ა, „საკრავე“ (კირიბი = კრავი). ეტიმოლოგია ი. ყიფშიძისაა. შდრ.: ახალ ქართულში: სა-რთ-ულ-ი / ო-რთვ-ალ-ი: რთ-უნ-ს – „ხურავს“. სა-რჩ-ულ-ი / „საგებელი“; რეც- (და-რეც-ვ-ა, სა-რეც-ელ-ი): რჩ- (ო-რჩ-ან-ს „აგებს“, ნო-რჩ-ალ-ი „საგებელი, სარეცე-ლი“).

მცირე აზიაში, სადაც ოდესლაც ხეთური კულტურა ყვაოდა, არის ერთი სოფელი, რომელიც 1926 წლამდე იწოდებოდა „ტობა-და-და“-დ (ახლა ჰქვია „აჯი-გიელ“ – მწარე ტბა). ეს სოფელი ცნობილი გახდა განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა მის მახლობლად იპოვეს კლდეზე წარწერები (იეროგლიფები). ა. შანიძემ გაარკვია ამ სახელწოდების ეტიმოლოგია ქართველურ ენათა მონაცემების საფუძველზე: ტობა+დარ. ტობა „ტბა“-ს ნიშნავს მეგრულად (ქართულშიც უნდა გვქონოდა ხმოვანი, შდრ. ტაბახმელა), დარ არის „მწარე“ სომხურში (ეს სიტყვა სომხურში ქართულიდანაა შესული: მწარ-ე და დარ, ნ. მარის მიხედვით). თურქული სახელწოდება – „აჯი-გიელ“ – თარგმანია ტობადასი.

აქვე შეიძლება დავასახელოთ ცნობილი „წყალტუბო“ – წყალითბილი (ტუბო – „ტბილი“ ჭანურად).

კოლხურის ჩვენება მარტო ტოპონიმიკური სახელების ახსნაში როდი გვეხმარება. იგი ნათელს ხდის ბევრი საზოგადო სახელის ეტიმოლოგიას ქართულში. სულხან-საბას ლექსიკონში არის სიტყვა მოწილევა „ხილთ კრეფა“. ღლეს ეს სიტყვა ცნობილი არაა ქართულში, მაგრამ მეგრულში წილუა ღლესაც „კრეფას“ ნიშნავს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ძირი საერთოქართველურია და იგი ქართულსაც ჰქონია ძველად.

„მალალური“ ქართულში მეგრულიდან ჩანს შემოსული: მალალურ-ი. ლალ-უ არის კოლხური შესატყვისი ქართული ლელუ/ლელვ-ისა, რაც შემორჩენილა მხოლოდ ჩიტის სახელწოდებაში, თვით კოლხურში ლელვს „ლუდი“ ჰქვია ამჟამად. „მალალური“, ე. მელელვია. ეტიმოლოგია კოლხურმა გაარკვია (ახსნა გ. როგა-ვასი).

კუარცხლბეკი-ის პირველი ნაწილი კუარცხლ ახსნას პოულობს კოლხურ კუჩს = „ფეხი“ სიტყვასთან მიმართებით (ნ. მარის ეტიმოლოგია).

ძველ ქართულში ცნობილი სიტყვაა ზუერი, მეზუერე – „ბაჟი, მებაჟე“. სავარაუდოა, რომ ეტიმოლოგიურად იგი უკავშირდება მეგრულ ზირუა – „კრეფა, დაგროვება“ ფუძეს, აქედან: ბაჟის აკრეფა, შეგროვება.

ძველ ქართულშია ჭუვილი – „ტკივილი“, რომელიც ეტიმოლოგიურად უთუოდ კოლხურ ჭუალა-ს „წვას, ტკივილს“ უკავშირდება.

ძველ ქართულში არის ძირი ვლტ: ივლტის. ეს ეტიმოლოგიურად უკავშირდება კოლხურ რტ ძირს: ძი-რტ-ებ-უ = „ივლტის“.

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. ამითაც ცხადია, რომ კოლხურის ჩვენებას, ისევე როგორც სვანურისას, დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ენის ისტორიის შესასწავლად, ეს იქნება ფონეტიკის, გრამატიკისა თუ ლექსიკის სფერო.

კოლხურის აღგილი ქართველურ ენათა ჯგუფი

ქართველურ ენათა ჯგუფი, რომელიც იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში შედის, შედგება სამი წევრისაგან: ქართული, სვანური, კოლხური (ზანური).

ტერმინ კოლხურის შესახებ: „კოლხური“ მეგრულ-ჭანური ენის აღსანიშნავად ბოლო ხანს იხმარა ა. შანიძემ წერილში „ჯ ბგერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში“ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, ტ. 2, 1960). ამ ტერმინის ღირსება ისაა, რომ სწორად გადმოცემს ისტორიულ ვითარებას. ცნობილია, რომ „კოლხი“, როგორც ეთნიკური ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინი, უძველესი პერიოდიდან თავის თავში აერთიანებს მთელი შავი ზღვისპირა დასავლეთ საქართველოს იმ მცხოვრებთა სახელწოდებას, რომელთაც შემდგომ ეწოდათ „მეგრულები“ და „ლაზები“ / „ჭანები“.

ნ. მარი ადრე კოლხური ენის აღსანიშნავად ხმარობდა თუ-ბალ-კანურს („თუბალ“ იყო იაფეტის შვილი, ნიშნავდა მეგრულს,

„კაინური“ – ჭანურს). ნ. მარმა იხმარა აგრეთვე ტერმინი იბერიული „მეგრულის“ მნიშვნელობით, ხოლო ზოგჯერ იგი ხმარობდა სხვა ტერმინებსაც: მეგრული, ჭანური, ლაზური (იხ.: ჭანური (ლაზური) ენა, 1910, გვ. X-XIII). მეგრულ-ჭანურის აღსანიშნავად ზანური იხმარა ა. ჩიქობავაშ 1936 წელს გამოცემულ თავის „ჭანურის გრამატიკულ ანალიზში“.

„ზანურიც“ და „კოლხურიც“ ორივე პირობითი ტერმინია იმ ოდესძაც არსებული ენის აღსანიშნავად, რომლის დიალექტებსაც ჭანური და მეგრული წარმოადგენს. სწორედ ამიტომაა ეს ტერმინები „პირობითი“. როდესაც ვლაპარაკობთ ქართულ ენასა და მის დიალექტებზე, აქ სხვა მდგომარეობაა. ერთიანი, საერთო ქართული ენის არსებობა ისეთივე რეალური ფაქტია, როგორიც ქართული ენის დიალექტების არსებობა: არის ქართული ენა და ასევე არსებობს ქართული ენის დიალექტები (ფშაური, კახური, გურული...), მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაა კოლხურთან: არსებობს ორი დიალექტი – მეგრული და ჭანური, მაგრამ არა გვაქვს რეალურად თვით ის ენა, რომლის დიალექტებსაც ისინი წარმოადგენენ. ამდენად, „კოლხურიც“ და „ზანურიც“ პირობითად აღნიშნავენ იმ ერთიან ენას, რომელიც ისტორიულად არსებობდა და რომლის კილოებსაც მეგრული და ჭანური შეადგენენ.

„კოლხურის“ უპირატესობა „ზანურთან“ შედარებით ისაა, რომ „კოლხური“, როგორც ტერმინი, ისტორიულად ფარავს როგორც ჭანურს, ასევე მეგრულსაც, მაშინ, როდესაც ზანური უპირატესად მხოლოდ მეგრულის შინაარსს ატარებდა.

„ზანარ“ მეგრულებს ახლაც ეწოდება სვანურად. ბერძნული წყაროებით, სანები (Σανοι) იგივე ზანები უნდა ყოფილიყონენ. ბერძნული წყაროები სანებს/ზანებს ხშირად აიგივებენ „მაკრონებთან“, ზოგჯერ „ჭანებთან“ (პეკატე, სტრაბონი, სტეფანე ბიზანტიელი, იხ. გვ. 10). „მაკრონ“ ჭანური -ონ სუფიქსით ნაწარმოები ეკვივალენტი ჩანს ქართული ტერმინისა „მეგრული“ (ქართული გ-ს გადმოცემა ყრუ კ-თი ბერძნულში ბუნებრივია). ასე რომ, სან/ზან/ჭან სხვადასხვა სახელი გამოდის ერთი და იმავე ეთნიკური ოდენობისათვის. ამდენად, ა. ჩიქობავას მიხედვით, „ზან“ ტერმინი ისტორიულად „მეგრულსაც“ უკავშირდება და „ჭანსაც“. ნ. მარს თავის დროზე ლაზ-ი დაჟყავდა ზან ძირამდე: ლაზი←ლა-

ზ.ნ-ი (იხ. Из поездки в Турецкий Лазистан, 1910). ეთნიკური ღირებულება და პოლიტიკური მნიშვნელობა ამ ტერმინებისა (ლა-ზი, ჭანი, მაკრონი, სანი...) სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში, აგრეთვე, იმის გარევევა, საიდან, რომელი ხალხისგან მომდინარეობს ეს სახელწოდებები – ისტორიის საქმეა. იმერეთის „საზან“ და სამეგრელოს „ზანა“ (სოფელი, მდინარე) იმაზე მეტყველებს, რომ ეს პირობითი ტერმინი (ზანური) ნებისმიერი არაა.

ზანურის მიმართება მეგრულთან

რაც უფრო ღრმად ვწერებით ენის ისტორიას, მით უფრო აშკარა ხდება სიახლოვე და „ერთიანობა“ მეგრულისა და ჭანურისა. მეგრული და ჭანური ერთმანეთის მიმართ კილოებია და არა დამოუკიდებელი ენები, როგორც ეს ნ. მარს ჰერნდა წარმოდგენილი.

ნ. მარი მეგრულისა და ჭანურის დამოუკიდებელ ენებად გამოცხადებას ასაბუთებდა შემდეგი ფაქტებით: მეგრული და ჭანური განსხვავებული არიან ერთმანეთისგან შემდეგით:

1) ყოფადის წარმოება ჭანურში სულ სხვა პრინციპზეა აგებული (ხოფურში: ვიდამინონ „წავალ“, „წავიდე მინდა“/ არქაბულში: ვიდარე „წავალ“), ვიდრე მეგრულში (მიდურქ).

2) ჭანურში უღლების 2 კლასია – ა ხმოვნიანი და უხმოვნიანი (=თემის ნიშნებია): ბჟვარამ „ვცემ წენელით“ და ბჟარუქ / ბჟჟარუქ „ვწერ“.

3) საწყისის წარმოება სხვა ტიპისაა ჭანურში (ო-ჭარ-უ) და სხვაა მეგრულში (ჭარუა – ქართულიდანა).

4) დამოუკიდებლობას ჭანურს ის აძლევს, რომ მას ერთიანი ლინგვისტური ნორმა აქვს და თავისი კილო და კილოკავები აქვს.

ჩვენ დამატებით აღვნიშნავთ კიდევ ძირითად სხვაობებს მეგრულსა და ჭანურს შორის.

ფონეტიკში:

1) **ლ** ბგერის დაკარგვა ახასიათებს მეგრულის ბანბურ-მარტვილურ თქმას. ჭანურში ეს ასე არაა.

2) მეგრულს გააჩნია, ირაციონალური ხმოვანი (ზუგდი-დურ-სამურზაყანულში), ხოლო ჭანურში, ბგერა არაა.

3) ჭანურშია ფ (თურქულის გავლენით), მაგრამ მეგრულში არაა.

4) ყველაზე მნიშვნელოვნი სხვაობა ფონეტიკაში ისაა, რომ ტყ, წყ, ჰყ კომპლექსები ვერ ძლებს ჭანურის ვერც ერთ კილო-კავში, მეგრულში კი – არის. (გამონაკლისი იხ. ხოფურში: დიჭყი-ჯი – ჭინჭარი, ჭონჭყობი – ჭანჭრობი).

მორფოლოგიაში:

5) სახელობითის ნიშანი ე ჭანურშია, მეგრულში – არა. (კოჩევე „კაცები“, კუჩევე „ფეხები“).

6) ჭანურში არაა დანიშნულებითი ბრუნვა, რაც მეგრულს აქვს (კოჩიშოთ „კაცისად“).

7) თანაბრობითი ხარისხის ფორმა მეგრულშია, ჭანურში – არა (თუთაშ მაშვა „მთვარის სიმსხო“, თიშ მაღიდა „იმის სიდი-დისა“).

8) ქ-ს ხმარება ზმნის I-II პირის ფორმებში მხოლოდ მეგრულშია, ჭანურში – არა (ვორექ, ორექ, ვჭარუნქ, ჭარუნქ).

9) უწყვეტლის დ ჭანურში ტ-დ არის ქცეული, მეგრულში – არა (ვორდა/ვორტი „ვიყავი“, ვჭარუნდი / ბჭაუფტი „ვწერდი“).

სინტაქსში:

1) გარდაუვალ ზმნას სუბიექტი ყოველთვის სახელობით ბრუნვაში აქვს ჭანურში: კოჩი ღურუნ („კაცი კვდება“) – კოჩი დოღურუ „მოკვდა“ – კოჩი დოღურულერენ „მომკვდარა“. მეგრულში ასე არაა: კოჩი ღურუ – კოჩიქ დოღურუ.

2) გარდამავალი ზმნის სუბიექტი ყოველთვის მოთხრობითშია ჭანურში: უსთაე ოხორი კოდუმს – უსთაე ოხორი დოკოდუ – უსთაე ოხორი დოკოდუდორენ „ოსტატმა (ზურომ) სახლი აშენებს – ოსტატმა სახლი ააშენა – ოსტატმა სახლი აუშენებია“. მეგრული კი მოთხრობითში სვამს სუბიექტს II სერიის ზმნებთან, გარდამავალი იქნება თუ გარდაუვალი.

მიუხედავად ნ. მარის მტკიცებისა, ჭანური და მეგრული კილოებია ერთმანეთის მიმართ.

პოლე ურის გამრცელების არა (ძველად და ახლა)

მეგრულს უჭირავს ოდიშის ზეგანი და თითქმის მთელი კოლხეთის დაბლობი – შავი ზღვიდან სვანეთის მთებამდე და ცხენისწყალ-რიონიდან მდინარე დალიძგამდის (აფხაზეთში). მეგრულის გავრცელების არე ძველად მეტი იყო აღმოსავლეთ ნაწილში: აწინდელი მთელი ქვემომერეთი ოკრიბისა და არგვეთის ჩათვლით, ლეჩხების ქვემო ნაწილიც მეგრული მეტყველების არე იყო: ქვემოიმერულიც და ლეჩხებურიც სავსეა მეგრულიზმებით. ეს ვლინდება ტოპონიმებით (-ში დაბოლოებები): ჯიხაიში „ციხის ადგილი“, ჰუცუში „სამწყებელი ადგილი“, ტვიში, სარგვეში, კინტრიში „საკიტრე ადგილი“ (ბათუმის ოლქი), ორაგვე „ხაფანგის ადგილი“, ოფშეგითი, ოკრიბა „ადგილი საკრავე“, ჯიმასტარო (სოფელია იმერეთში), ხოჯალია „ხოჯი=ხარი“ (სოფელია გურიაში), ჩხერიში „ცხენისი“, წყალტუბო „წყალთბილი“.

მეგრულიზმები რაჭაშიც არის: კურკუმელა ღამე (უბნელესი ღამე), შდრ. მეგრული უკუმელა. ზისხა („ფალარათი სისხლიანი“) შდრ. ზისხირი „სისხლი“. გავლენა იმერულზე სინტაქსშიც ჩანს: კაცმა მოვიდა, კაცმა მოკვდა.

ინტევრაციის შედეგად მეგრული იხევს დასავლეთისაკენ. თუ გასული საუკუნის 80-იან წლებში ალ. ცაგარელი მიჯნას მეგრულსა და ქართულს შორის ცხენისწყალზე დებდა, ორმოციოდე წლის შემდეგ პროფ. ი. ყიფშიძე აღნიშნავდა, რომ საზღვარმა დასავლეთისკენ გადაიწიაო: სოფელ ხუნწში, ალ. ცაგარელის ცნობით, ჭარბობდა მეგრული, ახლა ჭარბობს ქართული. ზედა ხუნწში მუდამ ქართულად ლაპარაკობენ, ქვედა ხუნწელებზე კი დაკინვით ამბობენ, რომ ესენი სადილობამდე მეგრულად ლაპარაკობენ, ნასადილებს – ქართულადო. ასეთი მდგომარეობაა სამიქაოსა და ილორში, ასე რომ, საკუთრივ საზღვარი იმერულსა და მეგრულს შორის ამჟამად მდინარე ნოღელაზე გადის, რომელიც რიონს ერთვის. აღმოსავლეთში მეგრულის არე იკვეცება, დასავლეთში კი წინ მიიწევს და ითქვიფება აფხაზურში.

ოხურეისა და ღალიძგას შორის აფხაზურია გაბატონებული, მაგრამ ის თანდათან ადგილს უთმობს მეგრულს (ი. ყიფშიძე).

ამჟამად მეგრულს სამხრეთით ემეზობლება გურული კილო, სამხრეთ-აღმოსავლეთით – იმერული და ლეჩუმური, ჩრდილო-აღმოსავლეთით – სვანური, ჩრდილო-დასავლეთით – აფხაზური.

ჭანური გავრცელებულია სოფ. სარფიდან ქემერამდე (რიზეს აქეთ), შავი ზღვის ვიწრო მთაგორიან სანაპირო ზოლში. აღმოსავლეთით ეს ზოლი მთებითაა დახტული. ამ მთებს ჭანური მეტყველება ერთგან სცილდება. ესაა მურლულისაკენ მდ. ჩხალის ზეობაში მოქცეული რვა სოფელი: კოსტანეთი, დაგვარა, მაქრეთი, ბაშქო, მამანათი, დუსქო, პანჭურეთი, მჭათი.

საფიქრებელია, რომ ჭანები სამხრეთითაც მთებშიც ცხოვრობდნენ (ახლა მხოლოდ ჩხალები არიან ზღვის სანაპიროს დაშორებული). თანამედროვე ჭანეთში (სარფი – ქემერი) ლაზური მოსახლეობა კომპაქტურია (მჭიდროა, მკვრივია), სულ ზუთიოდე სოფელია ათინის რაიონში მაპადიან სომეხთა, ხემშინთა.

მთელი ჭანეთი თურქეთში შედის. საქართველოში შედის ნახევარი სოფელი ჩრდილოეთის პუნქტისა – სარფისა. ჭანები სხვა-განაც სახლობენ (გადასახლებული არიან): ბათუმში, გონიოს ოემის აჭარულ სოფლებში: თხირნალი, მახო, სიმონეთი. თურქეთში მოსახლე ჭანები კარგავენ ლაზურს. ხშირია ოჯახები, სადაც უკვე ბავშვებმა აღარ იციან ლაზური.

აფხაზეთში არის ჭანური მოსახლეობა: გუდაუთის, ოჩამჩირის, სოხუმის გარდა ლაზები მოსახლეობენ გუმისთის რაიონში, ეშერის თემის სოფელებში: შაწყარაში (4 კომლი), ფაჩანთაში (10 კომლი), ხარუტაში (8 კომლი), ფშალთილუღში (32 კომლი), წარა-შუბარაში (45 კომლი) – ეს ცნობები 1929 წლისაა (არჩ. ჩიქობავა).

ლაზეთის მოკლე ისტორია:

მეგრული და ჭანური ამჟამად გათიშულია, ერთმანეთისგან მოწყვეტილია. ძველად, დაახლოებით ჩვ. წ. აღ.-ით II საუკუნეში, „ჭანური“ უშუალოდ მიკვებოდა „მეგრულს“, წარმოადგენდა მის გაგრძელებას. შემდეგ, როგორც ჩანს, ერთ-ერთი ქართველი ტომთაგანი აღმოსავლეთიდან ან სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შიგ შუა-გულში შეჭრილა და მეგრელები და ლაზები ერთმანეთს დაუშორებია, ხოლო დაპყრობილი ადგილის მცხოვრებლებს ქართული შე-

უთვისებიათ. ამის გამო ახლანდელი გურულები და იმერლები გაქართველებულ მეტელ-ლაზებად უნდა ჩაითვალოს (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1913, გვ. 57). ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართულად მოლაპარაკე ტომთა შესვლა ახლანდელი იმერეთისა და გურიის მიწა-წყალზე უნდა მომხდარიყო VI-VIII საუკუნეებში.

პ. ინგოროვას ცნობით, ლაზეთი მჭიდროდ დაუკავშირდა ბიზანტიას. საქართველოში იყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სამი ოლქი: 1. ლაზიკის მიტროპოლია (ფასისი – ფოთი), 2. როდოპოლისისა (დღევანდელი ვარციხე – ქუთაისის ოლქი), 3. ქალაქ პეტრასი (დღევანდელი ციხისძირი – ბათუმის ოლქი).

IX საუკუნეში დასავლეთ საქართველო ეკლესიურად გამოეყო ბიზანტიას და ქართლის (იმერიის) საკათალიკოსოს დაუკავშირდა.

VIII-XVI საუკუნეებში ქართულ-სომხურ-ბერძნულ-თურქულ(სელჯუკურ) საისტორიო წყაროებში ლაზეთის სახელწოდებაა: ჰანეთ-ლაზეთი და ქალდია (ხალდია). ამათგან ჰანეთი არის ზოგადი სახელწოდება მთელი სომხეთის კოლხეთისა (უამთაბღმწერელი), ლაზია არის სახელწოდება აღმოსავლეთ ნაწილისა (რიზეს მხარე), ხოლო ქალდია – ცენტრალური ნაწილისა (ტრაპიზონის მხარე). ქვეყნის დასავლეთი ნაწილი მოიხსენიება პონტოს აღავად (ასეა ეს ბერძნულ, სომხურ წყაროებშიც). შეა საუკუნეებში ქვეყნის საერთო სახელად მოიხსენიება კოლხეთი, ხოლო სატომო სახელწოდება ჰანი (Tzakonoi) გვიანი ხანის ბერძნულ წყაროებში უპირატესად მიემართება ტრაპიზონისა და პონტოს მთიანეთში მოსახლე ლაზებს. ხოლო შეა საუკუნეებში ბერძნები ქვეყნის დასავლეთი ნაწილს ხალიბებს და ტიბარებებს უწოდებენ.

X საუკუნეში ბიზანტიამ დაიპყრო ტრაპიზონისა და რიზეს მხარე. დავით კურაპალატი 978 წელს დაეხმარა ბიზანტიას ოში (სკლიაროსთან), რის გამოც მან შემოიერთა „ზემონი ქუეყანანი“ (რიზეს მხარე). დავითის სიკვდილის შემდეგაც (1001) ბიზანტიის კეისარმა ბასილ II-მ დაიჭირა ისევ ჭაო და „ზემონი ქუეყანანი“. ამას ომი მოჰყვა (1021-1023). გაიმარჯვა ბიზანტიამ და შეიერთა რიზეს მხარე. საზღვარი გაატარეს ხოფასთან, ციხე-სიმაგრე ხუფათი ბიზანტიას დარჩა.

1045 წელს ბაგრატ IV-მ სცადა, დაებრუნებინა ლაზეთი, მაგრამ ამაოდ გიორგი II-ის დროს (1073-1089) საქართველომ დაიბრუნა მიტაცებული ლაზეთი. დავით აღმაშენებლის დროს (1089-1125) მთელი სამხრეთ საქართველო დაუკავშირდა საქართველოს.

ამ დროს გამოჩნდნენ თურქ-სელჯუკები, რომლებმაც სასტიკად დაამარცხეს ბიზანტია 1071 წელს და კეისარი რომანოზ დიოგენი ტყვედ ჩაიგდეს, შემდეგ თურქები გაიჭრნენ შავი ზღვის სანაპიროსკენ (ტრაპზონი), მაგრამ თურქ-სელჯუკები განდევნეს ტრაპზონიდან და ხალდის თემიდან ადგილობრივმა ძალებმა თეოდორე გავრას მეთაურობით. გავრა არის ხალდის (ტრაპზონის) ადგილობრივი სამეფოს დამაარსებელი, რომელშიც შედიოდა ტრაპზონისა და კერასუნის მხარეები (რიზეს მხარე კი საქართველოში შედიოდა). თეოდორე გავრა დამოუკიდებლად მართავდა ხალდისა. ამას ბიზანტია კერ ურიგდებოდა და მოტყუებით თეოდორეს ვაჟი კონსტანტინებოლში დატოვეს, რათა სიძე გამხდარიყო ბიზანტიის კეისარის ალექსი კომნენტისა. მაგრამ კონსტანტინებოლში გავრას ვაჟი მძევლად გამოაცხადეს. იგი გაიქცა, დაიჭირეს და გადაასახლეს. ამას მოჰყვა განხეთქილება. თეოდორე გავრას სიკვდილის შემდეგაც მისი მემკვიდრეები არ ემორჩილებიან კეისარს და პოლიტიკურად დაკავშირებულნი არიან დავით აღმაშენებლის საქართველოსთან.

1204 წელს თამარ მეფემ მთელი ლაზეთი შემოიერთა და დაარსა ტრაპზონის სამეფო, რომელშიც საკუთრივ ჭანეთის გარდა ბერძნული ტერიტორიაც შედიოდა. სამეფოს სათავეში დაუყენა კომნენტა დინასტიიდან ალექსი და მისი ძმა დავითი.

ალექსი და დავითი საქართველოში აღიზარდნენ და გაქართველებული იყვნენ. ამ დროს საქართველოს აქვს პრეტენზია, იყოს მეთაური აღმოსავლეთის ქრისტიანული მსოფლიოს, დაკინებული ბიზანტიის ნაცვლად. კომნენტი – ყოფილი ბიზანტიის კეისრები, ფაქტობრივად, ვასალები იყვნენ თამარისა, მისი იარაღი პოლიტიკაში (უსპენსკი).

XIII საუკუნეში ტრაპზონის სამეფოს ჩამოსცილდა ბერძნული ტერიტორიები (სამისნი, სინოპი, ერაკლიის ოლქები), რომლებიც თურქებმა დაიკავეს.

XIII საუკუნეში საქართველოში ხვარაზმელები შემოიჭრნენ. ამ დროს საქართველოს ტრაპიზონის სამეფოდან შემოუერთდა რიზეს მხარე (დავით ნარინის დროს, 1282 წელს). 1297 წლიდან 1463 წლამდე ლაზია (აღმოსავლეთ ჭანეთი) არის ნაწილი მესხეთისა, ხოლო ამის შემდეგ 1547 წლამდე შედის ხან გურიის სამთავროში, ხან მესხეთისა (სამცხე-საათაბაგო).

1543 წელს ოსმალეთმა სულთან სულეიმან II-ის მხედართმთავრის მუსტაფაშის სარდლობით დაარბია მესხეთი, ტაო, 1545 წელს დაიპყრო ბასიანი (ლუარსაბ I და იმერეთის მეფე ბაგრატ II დამარცხნენ) და ოსმალებს გზა გაეხსნათ საქართველოსკენ.

1547 წელს ოსმალეთმა დაიპყრო გურიის სამთავრო, დაიჭირა რიზეს მხარე, აჭარა, ქობულეთი, ბათუმი (გურიის სამთავროს დედაქალაქი). გურულებმა განდევნეს ოსმალთა ჯარი ბათუმიდან და ჭოროხს გაღმა გარეკეს. ოსმალებმა ფეხი მოიკიდეს რიზეში, გონიოში ციხის აშენება დაიწყეს, ასე რომ, 1547 წელს ჭანეთი დაპყრობილი იყო: ამოწყვიტეს ბევრი ლაზი, იწყეს გამაპმადიანება, ბევრი გადმოიხიზნა საქართველოში. გურიაში გადმოუტანით ლაზიის სამიტროპოლიტო კათედრა. ქართველი ხალხი შემდეგშიც არ შერიგებია ჭანეთისა და მესხეთის დაკარგვას. 1646 წელს ლაზიის მიტროპოლიტი გერმანე (ჭანი იყო) წარუდგა რუსეთის მეფეს აღლექს მიხეილის ძეს და ხაზს უსვამს იმას, რომ ლაზია; რომ საიდანაც ის არის, არის ქართული მიწა, საქართველოს ძეგლი მიწა, იმერიის მხარე. გეორგიევსკის ტრაქტატი, რომელიც 1783 წელს დადო ერებულე II-ზ, ითვალისწინებდა, რომ რუსებს მიეღოთ ზომები – საქართველოს დაბრუნებოდა მესხეთი, ჭანეთი, სამცხე-საათაბაგო.

გამაპმადიანება ძირითადად ეკონომიკური რეპრესიებით ხდებოდა. ვინც ქრისტეს აღიარებდა, მას დიდ გადასახადებს აწერდნენ. 1615 წელს მისიონერ გრანჟიეს ცნობით, რიზეში ჭანები თანდათან გადადიან მუსულმანობაზე, რათა თავი დააღწიონ მძიმე გადასახადებს. ამიტომ წინაცვეთენ შვილებს, ქალებს ათხოვებენ იანიჩრებზე. ეს დიდი უბედურებაა... ჩვენ ძალზე დავეხმარეთ, ვასწავლიდით კატექიზისს, შთავაგონებდით ქრისტიან ქალებს, რომლებიც თურქებს გაჰყოლოდნენ, თუ რაში მდგომარეობდა მათი ქრისტიანული ვალი. ამაზე ა. ჩიქობავა შენიშვავს: თურქებისგან დაწიოკებული

ლაზების გაჭირვებას რას არგებდა იეზუიტ მისიონერის ნიანგის ცრემლები და კატექიზისის სწავლება!

კოლხიზმები გურულსა და იმერულში:

ივ. ჯავახიშვილი იმერული და გურული ტოპონიმიკის ანალიზის საფუძველზე წერდა: გურიის გეოგრაფიული სახელების დაკვირვება გვიმტკიცებს, რომ იმ ადგილას, სადაც ახლა გურულები ცხოვრობნ, წინათ მეგრულად მოსაუბრე ტომი უნდა სახლებულიყო. ბევრი სოფლისა და მდინარის სახელის მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ მეგრულის საშუალებით შეიძლება: მთა ჯიხანჯირი (კ. დანელია: „ციხისძირი“), ჯუმათი (ჯუმა = ლაზ. „მმა“), ჰყონგვარი (ჰყონ = „მუხა“), მდ. ოჩხამური („სათევზაო“), ოჭილური („საჭილაო“), ჰყვიში, ჰყვიაშური (მეგრ. ჰყიში „მწყემსი“), ჭანიეთი, მდ. გუბაზოული, მდ. კინტრიში (კინტრი = „კიტრი“ „კიტრის ადგილი“), ონჭიკეთი, ონჯოხეთი (მეგრ.-ლაზ. -ოპრეფიესითაა ნაწარმოები), სოფ. ცცანა (ს. უღენტი: ოც[ხ]ანა; ოჩხანა? თუ ცანა? კ. დ.) მაშასადამე, ძირითადი და თავდაპირველი მოსახლეობა გურიაში მეგრული უნდა ყოფილიყო (ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, 1913, გვ. 56).

ი. ყიფშიძემ გაიმურა იგივე აზრი და დაუმატა რამდენიმე ახალი მაგალითი: ორაგვე (გურ.), ოფშეკვითი (იმერ.), ოქრიძა (კირიბი „კრავი“) (იმერ.), სოფ. ოქონა (იმერ.), სოფ. მუხური (სამეგრ., იმერ.), სოფ. ჯიმასტარო (იმერ.), ხოჯალია (ხოჯი „ხარი“) (გურ.), ტობანიური (ტობა „ტბა“) და სხვ. (მათაკოვსკის რაიონული გაზეთი „კომუნისტი“, 1963, 27 აგვ., გვ. 4). ამავე მოსაზრებას ადასტურებს ა. ჩიქობავას მიერ მოცემული ეტიმოლოგია: წყალტუბო, („ტუბო“ – თბილი ჭანურად).

ს. უღენტმა ბევრი კოლხიზმი გამოვლინა გურულში: თემი „ქუაბდა“ (ჩოხატაურის რაიონი) = ქვა ყრილი (ბლა = „ყრა“ ჭანურად). კოლხური ფენის სიტყვებია:

1) ნაოესაობის აღმნიშვნელი: ბაბა, ნანა (ჭან., მეგრ.), ნენა (გურ.), ჯუმადი (მეგრ., ჭან.), ჯუმადია (გურ.) „ბიძა“, ძღაბი „გოგო“, კუტა/კუტულა „ბიჭი“ (ჭან., გურ.).

2) ადამიანის სხეულის ნაწილები: ჩარბი (მეგრ., ჭან., გურ.) „ტუჩი“, ფანწალა/ფაწალა (ჭან., გურ.) „ტყირპი“.

3) ნალია (ჭან., გურ.), ნანია (მეგრ.) „სასიმინდე“, ჩამური (ჭან., მეგრ., გურ.) „საცეხველი“,

როფი (გურ.) შდრ. მეგრ. როფე „ხის ღრმა ჭურჭელი“.

მეგრ. ჭიჭე „პატარა“, გურ.: მოჭიჭება „ეკონომია“, „მოცოტავება“.

მეგრ., ჭან. გენი „ხბო“, აქედან გურ: მოგენება (მეგრ. მოგანუა), „ხბო რომ ძუძუს პირს მოავლებს“.

სარფში ვაჟის სახელია **მამულა**, რომლის ქართული შესატყვისია მამალა, რაც გურიაში გვარ-სახელშია: მამალა-ძე, მაგრამ პარალელურად არის **მამულა-ი-შვილი** (ჭანურია).

ოჭვათო (მეგრ., გურ.) „ადგილი, სადაც სახურავიდან ჩამონადენი წყალი ცემა“ იხ. ს. ჟღენტი „ზანიზმები გურულ ზმნებში“ (ენიმკის მოამბე, V-VI, 1940).

4) კოლხიზმები ბევრია ზმნებში: **ბარდლალი/პარტყალი** (მეგრ., გურ.) – უაზრო ლაპარაკი, რას **ბლუყუნობ** (მეგრ. ბუ'ინუა – გაუგებარი ლაპარაკი).

რაცხა **მიბანძლ-მობანძლა** (მეგრ. ბაძლუა – უშნოდ, მეჩხერად ღობვა)

ერთი კარქა **მობეზა** (მეგრ. ბეზუა „მაგრად ცემა“).

გუუბანდლავს ობობას ქსელი (მეგრ. გობონდლიი „გაბმული ქსელი“ (ობობასი)).

იბუყნება ცივ ჭადს (მეგრ. ბუ'ონუა „უშნოდ ჭამა“).

ააკალიფა წაქცეული სიმიდი (მეგრ. ეკალიფუა „აკრეფა“).

გავაზიზინე (მეგრ. გოზიზინაფა „ზედმეტად ავსება ჭურჭლისა“).

გადაწიკუნტალდა (ჭან. თიკუნტალი „ყირა“, „გადაკოტრიალდა“).

თხიპნება (მეგრ. თხიფუა „დასვრა“).

გიკანტურეფს ყორიფერზე თავს (მეგრ. დუდიშ კანტაი „თავის დაკერა / კანტური“)

დაკაპანებული ურემი (მეგ. კაპანუა „დატვირთვა“).

კარკაცოფს (მეგრ. კარკაცნს←კასკასი).

მოკეპილი წისქვილი (მეგრ. კაკუა/კეკუა „წისქვილის ქვის მოპირვა“).

კვარკვალია (მეგრ. კვარკვალი „კანკალი“): „სიცივეა კვარკვალია, ქალო, შენ რამ გადაგრია, კოსტუმიანს რომ დიეძევ, ჩონიანი რამ დალია“.

დაკვირკვალებული თმები (მეგრ. კვარკვალუა, კირკოლერი თომა „დახვეული თმა“).

გალიფულია, გასვრილია ტალახში (მეგრ. ლიფუა: გასან-თვლა, ტალახში ამოსვრა).

რა გაბღორინეფს, ბიჭო, ამხელს (მეგრ. ღორა, ჭან. ომღორინუ „ღრიალი, ყვირილი“).

იპურჭყნება საშინლად (მეგრ. პურჭყაფი „უშნოდ ფურთხება“).

პუტუნოფს მთელი დღე (მეგრ. პუტინი „ჩუმბი, გაბმული ლაპარაკი“).

დევივერე ნამეტანი (მეგრ. დივუგარი, „დავიქანცე“, გაუგარუნდა „მდინარეში ტანსაცმლით შესვლა, გაწუწვა“).

დამჯღნარი ვარდი (მეგრ. უღირაფა „ჰეკნობა“).

გუუროფა თავი (მეგრ. რეფუა „რაიმე მაგარი საგნის დარტყმა“).

ტკარცალი, ატკარცალდა (მეგრ. ტკარჩალი).

ტყვაპუნოფს წყალი ჭურჭელში (მეგრ. ტყვაპინი „რაიმე საგნის წყალში ჩავარდნის ხმაური“).

ტყვაპერა კვერცხი (მეგრ. ტყვაპია „ლაყე, უმწიფვარი“).

პუჟავს ცეცხლი (მეგრ. ფუჟაფი „ნელი წვა“).

გაჩიკინა ფეხი (მეგრ. გაჩიკინუ „გაფშიგა ფეხი“).

გაჩხოტვა ბჟოლის (მეგრ. ცხოტუა „გასხეპვა“).

წარწალოფს მთელი დღეი (მეგრ. ქარი იწარწალუ... „მოძრაობს“).

გაწკაპვა (მეგრ. წკაპუა „გამწკრივება“).

მოწურწკულოფს (მეგრ. წკვარწკვალი).

დაჭიჭკვა შეშის (მეგრ. ჭკაჭკუა „წვრილად დაჭრა (შეშის)“).

გაჭიჭინდა გულზე (მეგრ. გოჭიჭონდუ).

ჭნეხა „წნეხა“ (მეგრ. ოჭინახუ „საწნეხელი“).

გვიჭჭჭყე კაცი (მეგრ. გივჭყაჭყი „გავიჭყლიტე“).

დევაჯევაგვა საწყალი (მეგრ. ქადაჯგვაჯგვუ „მძიმედ რამეზე დაცემა“).

მოჯლიგინოფს, „ხმაურით მოდის“ (ჭან. ოჯგიალუ „ხმაურით სკლა“. ცხენი ჯვიალერი ქომორთუ).

დაჯორგვა (მეგრ. ჯორგუა „სიმძიმის ქვეშ მოქცევა“).

ხუარხალოფს წყალი, „დუღს“ (ჭან. ხარხალეი წეაი „მდუღარე წყალი“, მეგრ. ხუარხვალი „დაუდევრობა“).

ხუანცალოფს თებზი (მეგრ. ხუანცალი „განძრევა“).

გახიგინებულა მჭადი (მეგრ. გოხიკინაფა, „ძალიან გამხმარა“).

იხმიჩება „იქბიჩება“ (მეგრ. ხიჩუა „კბება“).

იხვლიპება ხარივით (ჭან. მოხლიპუ „მოხვრება“).

დაახლოებით 18 საუკუნის წინ (II-III საუკუნეებში), როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთ-ერთი ქართველი ტომის აღმოსავლეთიდან შემოსვლას მეგრელები და ლაზები ერთმანეთისვის დაუშორებდა, ხოლო დაკავებული ადგილების მცხოვრებლებს ქართული შეუთვისებდით.

ასე რომ, გურულის სახით ჩვენ მივიღეთ რთული ამაღლამა (შენაერთი) ზანურისა და ქართულისა. ასეა ქვემოიმერულშიც.

გათიშვის მომენტში იყო თუ არა კოლხური ენა დიალექტებად (მეგრულად, ჭანურად) დაყოფილი? ამ დროისათვის მეგრული და ჭანური გამოიყოფოდა კოლხურში, ხოლო ახლანდელი გურიის მიწა-წყალზე მეგრული იყო გავრცელებული და არა ჭანური.

პოლს ურის პოლოკავური შედგენილობა

ჭანური და მეგრული ერთმანეთის მიმართ კილოებია და, თავის მხრივ, ისინი იყოფიან კილოკავებად. აღსანიშნავია, რომ კილოკავური დიფერენციალი უფრო საგრძნობია ჭანურში, ვიდრე მეგრულში. ჭანურის მცირე ტერიტორიაზე სამი კილოკავია, მეგრულის ვრცელ ტერიტორიაზე – ორი. თანაც, ერთ კილოკავზე მოლაპარაკე მეგრული უფრო თავისუფლად გაუგებს მეორე კილოკავზე მოლაპარაკე მეგრულს (ვთქვათ, ბანქელი სამურზაყანოელს), ვიდრე სარფელი ჭანი ათინელ ჭანს. 6. მარს აღნიშნული აქვს, რომ სხვადასხვა კილოკავზე მოლაპარაკე ჭანებს ზოგჯერ ერთმანეთისა არ ესმითო.

მეცნიერული დახასიათება და დაყოფა ჭანურის კილოკავებისა მოცემული აქვს 6. მარს, ხოლო მეგრულისა – ი. ყიფშიძეს (მეგრული ენის გრამატიკა, 1914). მართალია, მათ მეგრული და ჭანური ორ ენად მიაჩნდათ, მაგრამ დაყოფა სწორადაა მოცემული. რასაც ისინი კილოს უწოდებენ, ის ჩვენთვის კილოკავია, ასე რომ, სახელწოდების გადმიწევა (ერთი საფეხურით) საჭირო, რომ სწორი სურათი გადაიშალოს.

6. მარს ადრე, 1908 წელს („ძველი ქართული ენის ტაბულები“) მეგრული და ჭანური ერთი ენის კილოებად მიაჩნდა. მაგრამ ეს სწორი შეხედულება შეიცვალა მას შემდეგ, რაც ჭანეთში იმოგზაურა და სპეციალურად შეისწავლა იგი (1910 წელს გამოცემულ ჭანურის (ლაზურის) გრამატიკაში იგი ცალკე ენად აცხადებს ჭანურს).

1915 წელს 6. მარბა დააზუსტა თავისი შეხედულება (ყიფშიძის გრამატიკის რეცეზიაში) მეგრულისა და ჭანურის ისტორიული ურთიერთობის შესახებ და აღნიშნა: ლინგვისტური ნორმების მიხედვით ჭანური და მეგრული ერთი ენაა, ისინი ერთი ენის ორ კილოს წარმოადგენს, ოღონდ ერთმანეთისგან ისტორიული და კულტურული დაშორების შედეგად განვითარდნენ დამოუკიდებელ ენებადო.

ა. ჩიქობავამ 1936 წელს გამოცემულ „ჭანურის გრამატიკულ ანალიზში“ უამრავ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით ზუსტად გაარკვია ჭანურისა და მეგრულის ურთიერთობა: „ფონეტიკუ-

რი სისტემის, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურის მიხედვით ჭანური და მეგრული ორი კილოა ერთი ენისა (ზანური ენისა), რომლის დიფერენციაციასაც ისინი წარმოადგენენ“.

ჭანურის კილოკავური დიფერენციაცია:

ჭანურში გამოიყოფა 3 კილოკავი: **ათინური**, **ვიწურ-არქაბული** და **ხოფური**. ამ კილოკავებში გამოიყოფა თქმებიც:
ათინურში გამოიყოფა **ბულეფურ-ართაშენული** თქმა;
ხოფურში გამოიყოფა **ჩხალურ-სარფული** თქმა;
ვიწური და **არქაბულიც** თქმებია **ვიწურ-არქაბული** კილოკავისა.

ნ. მარი ჭანურს საერთოდ ორ კილოდ ჰყოფდა: აღმოსავლურ (ხოფური) და დასავლურ (ათინური, ვიწური, არქაბული) კილოებად.

ამათგან ვიწურ-არქაბულს გარდამავალი საფეხური უჭირავს. იგი ძირითადად იმეორებს ათინური კილოკავის დამახასიათებელ ნიშნებს, მაგრამ ზოგიერთი ნიშნის მიხედვით ხოფურს უდგას გვერდით, აქვს სპეციალურად მისთვის დამახასიათებელი ნიშნებიც, ამიტომ სწორია მისი ცალკე კილოკავად გამოყოფა.

ჭანურის კილოკავთა შორის სადემარკაციო საზს წარმოადგენს:

1) **ყ ბგერის** ვითარება: **ყ** ხმოვნების წინ და ხმოვნებს შორის დაცული აქვს ხოფურს, ხოლო დანარჩენებს – არა! ვიწურ-არქაბულში **ყ** გადადის ¹-ში, ათინურში – ვ-ში გადადის (ლოფა – ხოფურში, ლოდა – ათინურში) ან სულ იკარგება:

ხოფური	ვიწურ-არქაბული	ათინური
ყინი	¹ ინი	ინი
ყუჯი	¹ უჯი	უჯი
ყონა	¹ ონა	ონა

2) მკვეთრ თანხმოვანთა შემდეგ (ტ, წ, ჭ) ყ ბგერა ვერც ერთ ჭანურ კილოკავში ვერ ძლებს (ე.ი. არა გვაქვს კომპლექსები: ტყ, წყ, ჭყ).

ეს ყ ხოფურსა და ვიწურ-არქაბულში კ-დ იქცევა, ათინურში კი ყ უკვალოდ იკარგება:

ვიწურ-არქაბული	ათინური	ხოფური
ოწკედი	ოწედი	ოწკედი „უყურე“
წკარი	წარი	წკარი „წყალი“
ტკები	ტები	ტკები „ტყავი“
მწკო	წუ	მწკო „წყავი“
მაწკუნენ	მაწუნენ	მაწკუნენ „მტკივა“
ტკუბი	ტუბი	ტკუბი „ტყუბი“
ჭკონი	ჭონი	ჭკონი „მუხა“
ლემჭკვა	ლემჭვა	ლემჭკვა „ნერწყვი“

გარდა ზემოაღნიშნულისა, თითოეული კილოკავისთვის დამა- ხასიათებულია:

ხოფურისთვის:

1) მყოფადის წარმოება მინონ „მინდა“, გინონ „გინდა“, უნონ „უნდა“ მეშვეოლი ზმნით (ვიდამინონ „წავალ“, იდაგინონ „წახვალ“, იდასუნონ „წავა“, ვიდამინნან „წავალთ“, იდაგინნან „წახვალთ“, იდასუნნან „წავლენ“).

2) III სერიის ნააორისტალი თურმეობითი I-ის წარმოება ერე-თი, ნააორისტალი თურმეობითი II-ისა – ერე-ტი სუფიქსით, ნააორისტალი კავშირებითი III-ისა – ერე+ტა-ს საშუალებით:

თურ. I: ბზიმ-ერე „მე ნაზომავარ მას“, ზიმერე „შენ ნაზო- მახარ“, ზიმერენ „იმან ნაზომა“, ბზიმერეთ, ზიმერეთ, ზიმერენან.

თურ. II: ბზიმერეტი „მე ნაზომავიყავ მას“, ზიმერეტი „შენ ნაზომაიყავ“, ზიმერეტუ „იმან ნაზომიყო“, ბზიმერეტით... ზიმერე- ტეს

კავშ. III: ბზიმერეტა „მე ნაზომავიყო მას“, ზიმერეტა „შენ ნაზომაიყო“.

3) ფუნდისეული უ-ს ი-ში გადასვლა (სუბსტიტუცია), ო-ს ი- ში გადასვლა:

ჩქინი „ჩვენი“, ჭკიდი „მჭადი“, ნისა „რძალი“, დოზიმუ „გაზომა“, დაჩხირი „ცეცხლი“, შდრ.: ვიწურ-არქაბულში, ათინურში: ჩქუნი, ჭკუდი, ნუსა, დოზუმუ, დაჩხური. უ : ი.

ქილა „გასაღები, კლიტე“, კირზა „კოვზი“, ოჭკირუ „ჭრა“, შდრ.: ვიწურ-არქაბულში, ათინურში: კოლა, კორზა, ოჭკორუ (ოშკორუ – ათინურში), “. ო : ი.

4) რ ბგერის დასუსტება-დაკარგვა. ეს ხდება ხმოვნებს შორის და ს თანხმოვნის წინ. პროცესის კერა ხოფურია, თუმცა არქაბულშიცა გადასული.

რ იყარგება ხმოვნებს შორის: გუ[რ]ი „გული“, ჯიგე[რ]ი „ღვიძლი“, ჟუ[რ]ი „ორი“, გა[რ]ი „პური“, ნოსე[რ]ი „ჭკვიანი“.

რ იყარგება ს-ს წინ და ღ, ხ, ფ სპირანტების წინ; ს-ს წინ: ჩუმეს (ჩუმერს) „იცავს, უცდის“, იწკეს (იწკერს) „უყურებს“, იმხოს (იმხორს) „ჭამს“, დოგაჭის (დოგაჭირს) „დაგჭირდება“.

ღ, ხ, ფ -ს წინ: ოღაღალუ (// ოღარღალუ) „ღაღარაკი“, ღაღალიტა (// ღარღალიტა) – „ჯირკვლის ავადმყოფობა“, ღოღანი (// ღორღანი „საბანი“, წილუ (// წირღუ) – „ხორცმეტი (საქონლისა)“, ოხიხინუ (// ოხირხინუ) „ხარხარი“, მახვა (// მარხვა) „ნაღვერდალი“, კეფი (// კერფი) „კანაფი“, კაფი (← კარფი) ბერძნ. „ლურსმანი“, სუფა (// სუჭრა) „სუფრა“.

5) თემის ნიშანია უფ-იფ ნაცვლად ათინურ-ვიწურ-არქაბული უმ-ომ-ისა: კვათუფს „ჭრის“, გორუფს „ემებს“, ლოკუფს „ლოკავს“, მთუფს „თოვს“, წილუფს „კრეფს“, იქიფს „აკეთებს“, გედგიფს „დადგამს“, შდრ.: ვიწურ-არქაბულ-ათინურში – გუბუმს „ხარშავს“, ჭარუმს „წერს“, კვათუმს „კვეთს, ჭრის“, შუმს „სგამს“, აზუმს „თლის“...

ხოფურ კილოკავში გამოიყოფა ჩხალური და სარფული თქმა. ამის გამოყოფის საფუძველია მყოფადის წარმოება: კავშირებითის ფორმას + „უნონ“ უცვლელად, ოღონდ კავშირებითის ფორმა იცვლება არა მარტო პირის, არამედ რიცხვის მიხედვითაც: ბზიმაუნონ „გავზომავ“ („ვზომო მინდა“), ზიმაუნონ „გაზომავ“, ზიმასუნონ „გაზომავს“, ბზიმათუნონ „გავზომავთ“, ზიმათუნონ „გაზომავთ“, ზიმავთ“, ზიმანუნონ „გაზომავენ“.

ლექსიკაში არ აქვთ ზურა (самка), ლაკი (собака). ზურას ნაცვლად ხმარობენ წუნა-ს და ფინა-ს: წუნა/ფინა ჯოღოი

(психа). სიტყვა კანჯული (самка) იხმარება მსუბუქი ყოფაქცევის ქალის მნიშვნელობით: კანჯული ოხორჯა. გვხვდება სიტყვა უპარ-კალე (=გაუთხოვარი ქალი).

6) ჩვენ ნაცვალსახელია: ადა, ია („ეს“, „ის“), შდრ.: ათი-ნურში – ჰამ, ჰიმ.

ათინურისათვის:

1) მყოფადის წარმოება -ერე-თი: ბზუმ-ა-რე „გავზომავ“, ზუმ-ა-რე „გაზომავ“, ზუმ-ა-ს-ე-რე/ზუმ-ა-ს-ე „გაზომავს“, ბზუმათე-რე/ბზუმათე „გავზომავთ“, ზუმათერე/ზუმათე „გაზომავთ“, ზუმან-ე/ზუმან-ე-ნ „გაზომავენ“ (ამ ბოლო ნ-ს მორფოლოგიური ფუნქცია არა აქვს, იგი დანართია).

2) III სერიის მწკრივთა წარმოება: დორენ, დორტუ[ნ], დორტას მეშველი ზმნის გამოყენებით:

ნააორისტალი თურმილობითი I: ბზუმიდორენ, ზუმიდორენ, ზუმუდორენ, ბზუმითდორენ, ზუმითდორენ, ზუმესდორენ – „მე ნა-ზომავარ მას“ (=მიზომავს).

ნააორისტალი თურმილობითი II: ბზუმიდორტუნ, ზუმიდორ-ტუნ, ზუმუდორტუნ, ბზუმითდორტუნ, ზუმითდორტუნ, ზუმესდორ-ტუნ – „მე ნაზომავიყავ მას“ (=მეზომა).

ნააორისტალი კავშირებითი III: ბზუმიდორტას, ზუმიდორ-ტას, ზუმუდორტას, ბზუმითდორტას, ზუმითდორტას, ზუმესდორ-ტას – „მე ნაზომავიყო მას“ (=მეზომას).

3) მოთხოვობითისა და მიცემითის დასუსტება. ეს ახასიათებს განსაკუთრებით ართაშენულ თქმას: აქ მოთხოვობითის ადგილს ყველგან სახელობითი იჭერს: ავჯი მთუთი დოილუ; კონქში მიწუ-ჩი ქორმე მაქალი დოსქე“ „მეზობელმა (მეზობელი) მითხრა, რომ ქათამმა (ქათამი) კვერცხი დადო“.

ოხორძა კოჩი მუში უწუ-ჩი „ქალი (ქალმა) კაცს (კაცი) რომ უთხრა“, კოჩი უწუმერს ოხორძა „კაცი უუბნება ქალი (ქალს)“, სინ მუ დულა გილუნ მახო? „შენ რა საქმე გაქვს, მა-ხო?“ (=მახოს). ს დ-დ იქცევა სიტყვის ბოლოს: ჯა ფავრი ქონჩავ (=ჯას ქონჩანს) „ხეს ფოთლები ასხია“, დიშქა კვათურ „შეშა (შე-შას) ჩეხს“, კოჩეფე წარი შუმტევ, ოშვევ (=შუმტეს, ოშვეს) „კა-ცები (კაცებმა) წყალი დალიეს (სვეს)“.

4) უგანაენისმიერთა (გ კ ქ) პალატალიზაცია გააფრიგატე-ბამდე. ასე რომ, გ, კ, ქ გადადის ჯ, ჭ, ჩ-ში. ეს პროცესი ნ. მარს დადასტურებული აქვს ბულეფურ თქმაში, ა. ჩიქობავას კი – არ-თაშნეულშიც.

გ→ჯ: ჯ(ი)არი (გვარი „პური/საჭმელი“), ბაჯენი (ბაგენი „სასიმინდე“,) ჯენი (გენი „ხბო“,) ჯენდლანი (გენდლანი „ზეგ“), ღობჯიბარ (ღობგიბარ „მოვხარშავ“), ჯეფთი (გეფთი „ჩავედი“), ჯევოლამ (გევოლამ „ჩამოვარდები“), ბერჯი (ბერგი „თოხი“,) ჯევოჭარე (გევოჭარე „დავიწყებ“)... ჯოკუცხუ (გოკუცხუ „გაიღვი-ძა“) – პირიქით ჯ→ვ: ვოხო (ჯოხო „სახელი“).

კ→ჭ: თოჭი (თოკი), ჭიბრი (კიბირი „კბილი“,) ლაჭი (ლაკი „ლეპვი“,) ჭჭაფუ (მკადაფუ „ტურა“); მუსტაჭი (მუსტაკი „ულვა-ში“,) მორდერი მუსტაჭი ულუნ – „მოზრდილი ულვაში აქვს“; ბი-ჭითხი, იჭითხი, იჭითხუ – „ვიკითხე, იკითხე, იკითხა“.

ქ→ჩ: ჩიოი/ჩოი (ქიოი, თურქ. „სოფელი“), ბეჩი (ბელქი, თურქ. „ეგების“,) გიწვაჩი (გიწვა-ქი, თურქ. „ქი“ – რომ), ჩითაბი (ქითაბი თურქ. „წიგნი“,) ალევჩუმ (ალევქუმ) სელამ „მშვიდობა თქვენდა“, ჩიოქი (ქიოქი თურქ. „ძირი“,) დუჩიანე ვარ ონ „დუქანი არ არის“.

5) ჩვენებითი ნაცვალსახელების აგებულება: ჰამ, ჰიმ („ეს“, „ის“). ასეა ეს ათინურში, ხოლო ხოფურშია – ადა, ია, ვიწურ-არქაბულში – ჰადა, ჰეა.

ვიწურ-არქაბულისათვის:

1) სუბიექტური პრეფიქსი I პირისა ბ ხმოვნების წინ (ნაც-ვლად ვ-სი): ბორე „ვარ“, ბიდი „წავედი“, ბიგზალი „ვიმგზავრე“, ბიმგარი „ვიტირე“, ბიმხორ „ვჭაპმ“.

2) ჩვენებითი ნაცვალსახელის აგებულება: ჰადა, ჰეა („ეს“, „ის“), შდრ. ხოფური: ადა, ია, ათინური: ჰამ, ჰიმ.

3) ლექსიკაში ორძე (\leftarrow ორძო), შდრ. ხოფური: ორონი, ათინური: კული „სავარძელი, სკამი“.

ბიპარამითამ (არქაბ.)	ბისინაფამ (ვიწ.)	შდრ. ხოფური: ბლადალაფ, ათინური: ვისაპარ
----------------------	------------------	--

4) მყოფადის წარმოება ერე-თი (განსხვავებით ხოფურისაგან).

5) III სერიის მწკრივთა წარმოება დორტუ, დორტუ, ტას მეშვეობით (განსხვავებით ხოფურისგან).

ვიწურ-არქაბულს ყველაზე კარგად დაუცავს ჭანურის ლექ-სიკა. იგი „საუკეთესო ჭანურად“ მიაჩნიათ თვით ჭანებს. ჭანური ყველაზე მკვიდრია აქ, ყველაზე შერყეულია ათინურში.

მეგრულის კილოკავური შედგენილობა:

მეგრულში გამოიყოფა ორი კილოკავი: სენაკური და ზუგდი-დურ-სამურზაყანული. მეგრულის გაგრცელების ტერიტორიაზე არ არის ისეთი გეოგრაფიული დაბრკოლება, რომ კომუნიკაცია ჭირდეს, ამიტომაა, რომ დაშორებული კუთხის მეგრულები კარგად უგაბენ ერთმანეთს:

სენაკური (აღმოსავლური მეგრული): სენაკი (ყოფილი ცხაკაია), აბაშა, მარტვილი (ყოფილი გეგეშპორი).

ზუგდიდური (დასავლური მეგრული): ზუგდიდი, წალენჯიხა, გალი, ოჩამჩირე (დალიძგამდე).

გარდამაგალი (ცენტრალური): ხობი, ჩხოროწყუ.

მეცნიერულად დასაბუთებული კილოკავური დაყოფა მეგრულისა პირველად მოგვცა ი. ყიფშიძემ (1914 წელს).

სენაკურ კილოკავში გამოყოფენ მარტვილურ-ბანბურ თქმას, ხოლო ზუგდიდურ-სამურზაყანულში – ჯვარულ თქმას.

ზუგდიდურ-სამურზაყანულისთვის (MZ) დამახასიათებელი მოვლენებია:

1) , ბგერა. ესაა ირაციონალური ხმოვანი („ირაციონალური“ – ლათ. „უგნური“ → „გონებისთვის მოუწვდომელი, განუსაზღვრელი ბუნების“ (ი. ყიფშიძე), ნახევარხმოვანი, მიღებული სრული ხმოვნის (ი, უ, ო) დასუსტების შედეგად (ა. შანიძე, ა. ჩიქობავა, გ. ახვლედიანი).

ი→,: გ,რ,ნი←გირინი „ვირი“, კ,ნტ,რი (←კინტირი) „კიტ-რი“, თ,რი (←თირი) „თოვლი“...

ო→,: ქ,მორთუ (\leftarrow ქომორთუ) „მოვიდა“, ქ,დჰთ (\leftarrow ქოდა¹ათ)
„დააგდო“...

უ→,: ბალ, (ბალუ „ბეღელი“), გორჩხ, „გარეცხა“, ლორგ,
„დარგო“...

ამ ბერას პირველად აღ. ცაგარელი შეეხო, მიიჩნია ნახე-
ვარხმოვნად, რომელიც უ, ი, ო, უ რეფლექსებს იძლევა. ხოლო
დღეს, მიჩნეულია მეორეულ (სეკუნდარ) ხმოვნად (ა. შანიძე),
რომელიც ხმოვნთა რეფლექსით მიიღება, ანდა, ერთად თავმოყ-
რილ თანხმოვნთა გამოთქმის გასაადვილებლად ვითარდება.

, ძირითადად ზუგდიდურ-სამურზაყანულში იხმარება, ამიტომ
ამბობდა ყიფშიძე, რომ „ზუგდიდურ-სამურზაყანულ მოტივებს ჩვენ
ვახასიათებთ, როგორც , მეტყველებას“. , სენაკურშიც არის,
მაგრამ იშვიათად.

2) ი-ს უ-ში (resp. ო) გადასვლა (სუბსტიტუცია): ჯუქურო
MZ // ჯიქურო S „ჯიქურ“, ტაბუკი MZ // ტაბიკი S „ტაბლა“,
ი/ო: ნისა MZ // ნისა S „რძალი“, ნიტე MZ // ნიტე S „ნეტავ“.

3) ო გადადის უ-ში (სუბსტიტუცია): თუმა MZ // (თომა S
„თმა“, უნა MZ // უნა S „ყოლა“.

4) ვა კომპლექსი (ამოსავალი) დარჩენილია ზუგდიდურ-სა-
მურზაყანულში, სხვაგან „ა“-ა: ქარა (ქორა S) „მუცელი“, გვალა
(გოლა S) „მთა“, ღვარა „ღრიალი“, წვარა „მელოტი“, ჭვარჭვალი
(ჭურჭული „წურწური“ „плеск воды“), წვილარი // ხოლარი
„ხვლიერი“.

5) მიცემითი ბრუნვის ნიშანი ს გადადის ც-ში: კოც „კაცს“,
ოსურც „ქალს“, მუჟანც „რა უამს“.

6) S₁ ნიშანი ვ ზუგდიდურ-სამურზაყანულში თანხმოვნით-
დაწყებული ზმის ფუძესთან ბ არის: ბჭარუნქ, ბრაგადანქ (S: ვჭა-
რუნქ, ვრაგადანქ) „ვწერ, ვლაპარაკობ“.

7) სათავისო ქცევის I პირის სუბიექტთან (ვიჭარუნქ, ვიჭუ-
ანქ) ზუგდიდურ-სამურზაყანულში მეტათეზისი ხდება, ი წინ გად-
მოდის: იბჭარუნქ „ვიწერ“, იბჭუანქ „ვიტკივებ“.

თვით ზუგდიდურსა და სამურზაყანულს შორის დამოკიდებუ-
ლება თქმისებური ჩანს.

1) როცა სამურზაყანულში **ä** გვაქვს (S_3 ნიშანი), მაშინ ზუგდიდურში თუ გვაქვს:

სამურზაყანული: გოურქუ „გაექანა“, იჩუ „ილაპარაკა“, ქეჩუ „ელაპარაკა“, ქოცუ „შეიყარა“, ქლოცუ..., დაიყარა (დაცვივდა)...“

ზუგდიდური: გოურქუ, იჩიუ, ქეჩიუ, ქოციუ, ქლოციუ...

2) სამურზაყანულში ზმნისწინებთან და ზმნის შიგნით უასი-მილაციო ფორმებია, ზუგდიდურში კი – ორივე (ასიმილირებული და უასიმილაციო).

სამურზაყანული: ქოუსქუდუ ხოჯი „ხარი ება“, გამკოუტახი „მოვუტეხე“, ვადოუტებუ „არ დაუტოვებია“, მოურს „მოდის“.

ზუგდიდური: მუქმულუ/მუქმულუ „გამოაქვთ“; ეშურს/ეშო-ურს „ადას“, გიმურს/გიმურს „გამოდის“, ქედუტუ/ქედლუტუ „და-უტოვა“... აქ გარდამავალი საფეხურია სენაკურსა და სამურზაყა-ნულს შორის.

3) სამურზაყანულში რედუქცია უფრო ინტენსიურია: თხორ-ნა „თხრიან“, ჭარნა „წერენ“, ხონნა „ხნავენ“... რედუქციის მიზე-ზია მომდევნო ა (ან) სუფიქსი (მ. ციკლია).

სამურზაყანულში რედუქცია მოსდის: ჭუბრა, ოჭიშჭუბრა „ზურგწაბლა“. ოხაკლე (\leftarrow ოხარკალე) „სანაყი ქვა“. უკლაში „უმ-ცროსი“, წოხლე „წინ“, მაჟრა „მეორე“.

ასევე მოსდის ქართულიდან შესულ სიტყვებს: თავისფალი, ხენწფე, შობლობა, იზდორე, კირლე, სააპრაციო.

ჯვარული თქმის დამახასიათებელ ნიშნად ი. ყიფშიძე შემ-დეგს მიიჩნევს: გაორმაგბული ხმოვნები დისიმილაციას განიცდიან. ეს „გრძელი“ ხმოვნები მიღებულია ორი ხმოვნის მექანიკური შე-ერთებით, როცა მათ შორის არსებული თანხმოვანი დაიკარგა: ჯა-ლი/ჯალი (\leftarrow ჯავალი*) შდრ. ძევალი კდ.), ამბე/ამბეე (\leftarrow ამ-ბეი \leftarrow ამბაი \leftarrow ამბავი), ნათესე/ნათესეე (\leftarrow ნათესეი \leftarrow ნათესაი \leftarrow ნათე-სავი). ზოგ ასეთ სიტყვას ჯვარულში დისიმილაცია მოსდის: ეე \rightarrow იე: წე/წეე, მაგრამ წიე „ბიჭი“; იი \rightarrow ეი: წყი/წყიი, მაგრამ წყიე „წყავი“. მაგრამ აქ დისიმილაცია არაა, არამედ უასიმილაციო ფორმებია (ძველი) შერჩენილი, შდრ. ქომიწეი „მითხარი“, კოთხეი „გათხოვე“ (ეი \rightarrow იი \rightarrow ი: ქომიწე). უუ \rightarrow ოუ: ჩხუ/ჩხუუ, მაგრამ ჩხოუ „ძროხა“.

ალ. ცაგარელი ჯვარულის თავისებურებად მიიჩნევდა $\dot{d} \rightarrow j$: ჯო, ჯუჯი, რაგაჯი, უბეჯური (დო, დუდი, რაგადი, უბედური) „და (კავშირი), თავი, ლაპარაკი, უბედური“. ი. ყიფშიძე აღნიშნავს, რომ ეს სიტყვები ჯ-თი მას არ გაუგონია, თუმცა ჯვარელები ამ-ბობენ, რომ ძველად იცოდნენ ასე ლაპარაკიო.

სენაკურისათვის (S) დამახასიათებელი მოვლენებია:

- 1) მარტივი ხმოვნების ქონა, -ს უქონლობა, ლ-ს სისუსტე-გაქრობა.
 - 2) ო არ გადადის უ-ში.
 - 3) ო არ გადადის უ-ში.
 - 4) ო არ იძლევა ვა კომპლექსს: ქორა „მუცელი“, გოლა „მთა“...
 - 5) მიცემითი ბრუნვის ნიშანია -ს და არა -ც: კოს, ხოს, უდეს „კაცს, ხარს, სახლს“.
 - 6) S1 ნიშანია ვ- თანხმოვნების წინ და არა ბ-: ვჭარუნქ, ვრაგადანქ „ვწერ, ვლაპარაკობ“.
 - 7) სათავისო ქცევის ფორმებში S1 ნიშანია ვი-: ვიჭარუნქ, ვიხანტუქ „ვიწერები, ვიხატები“, შდრ. MZ: იბჭარუნქ.
 - 8) ლექსიგაშიცაა სხვაობა: სენაკურში მეტია ქართული სიტყვები, ვიდრე ზუგდიდურ-სამურზაყანულში, მაგ., S: სიმიდი, პირობა; ხოლო MZ: ლაზუტი, პიჯალა.
- ბანძურ-მარტვილური თქმის გამოყოფის საფუძველია ლ ბგერის ვითარება, სადაც ლ გადადის ვ-ში, ან სულ იკარგება. ასევეა რ ბგერაც.**
- ლ-ს პალატურ ბუნებას და სილბოს ხაზი გაუსვეს ალ. ცაგარელმა, ი. ყიფშიძემ, ა. ჩიქობავამ. პალატალიზაციის გამოა, რომ $\dot{l} \rightarrow \varnothing$. ასე რომ, ლ, როგორც ფონემა, წარმოოქმაში არ არსებობს მარტვილურ-ბანძურ თქმაში. ლ ხმოვანთა წინ ან შუაში ვ-დ იქცევა ან სულ იკარგება: მეზი „ავაღმყოფი“, ვუკა „ლუკა“, მადაზონი „მონაზონი“, ვუდი „ლელვი“... ან $\dot{l} > 0$. ე.რ. ლ დასუსტების შედეგად ვოკალიზაციას განიცდის, გადადის მეზობელ ხმოვანთა თვისებრიობაში: დაბაი „დაბალი“, დადუი „დედალი“, ფურცეი „ფურცელი“, ჩიი „ცოლი“, ბაიში „ბალიში“, ბურჭუი „წალდი“.

სხვა მნიშვნელოვანი კულტურული ურის მნიშვნელობაზე

თითქმის ხუთი ასეული წლის მანძილზე თურქი ასიმილატორები ყოველმხრივ ცდილობდნენ მოესპოთ ჭანური მეტყველება. ჭანურმა განიცადა თურქული ენის ძალით ასიმილაციის არაწვეულებრივი ძლიერი გავლენა. ამ გზით ჭანურმა შეითვისა **თურქულის მრავალი სიტყვა** და დაკარგა საკუთარი ჩამომავლობის სიტყვები: მაგალითად, „ქლიას“ ნაცვლად ჭანურის ყველა კილოკავში იხმარება თურქული თილქი/თილჩი (ათინური). საყურადღებოა, რომ ი. ყიფშიძეს ჭანეთში მოგზაურობის დღიურში აღნიშნული აქვს სოფლის სახელწოდება **მელიათ** (=მელეთი). სარჯში ს. უღენტს დაუდასტურებია გამოთქმაში: მელისთე იწკერ „მელასავით იცქირები“. როცა უკითხავს ს. უღენტს, **მელისთე** რა არისო, უპასუხიათ: „აშო ბზოპონთ, მითიქ შეთანა სთეი-ნა იწკეტას“, „ასე ვიტყვით, ვინმე(მ) ეშმაკივთოთ რომ იცქირებოდეს“.

ასევე თურქულმა **თრანგი-ძ** გამოდევნა ჭანური **დორმოთი „ლმერთი“**. მე სარფელებს რომ შევახსენებდი, „კიო“ მიდასტურებდნენ, ძველად იცოდნენო **„ლორმოთი“**.

დამკვიდრდა შემდეგი თურქული სიტყვები: ფუკარა „დარიბი“, ზენგინი „მდიდარი“, ფალი „სუვთა“, სარი „ყვითელი“, ვეშილი „ლურჯი“, კონქში „მეზობელი“, თენბელი „ზარმაცი“, ქესქინი „ბეჯითი“, ქითბი „წიგნი“, დეფთე „რვეული“. თურქულია წელიწადის დროების სახელწოდებები: კიში „ზამთარი“, ვაზი „ზაფხული“, გვუზი „შემოღომა“.

თურქულიდან არის ნასესხები კავშირი „ქი“: უწუ-ქი „უთხრა რომ“, სხვათა სიტყვის ნაწილაკი დერი/დეი: გდარი იფხოსდეი „საჭმელს ჭამსო“.

კავშირი და „ან“: და მომჩი, და ვიდარე „ან მომეცი ან წავალო“.

ბერძნულის გავლენა ჭანურზე ძირითადად ლექსიკაზე მოდის. ჭანურში არაა ადგილობრივი სიტყვა „საქმის“ აღსანიშნავად და იხმარება მხოლოდ ბერძნული „დულია“. ბერძნულიდნაა ლაზურში შესული:

ავლია „ეზო“ (αύλη'), დრეპანი „ცელი“ (δρέπανον), ორა „დრო“ (ω">'ρα), ოფრიდი//ოფიდი (օφρυή) „წარბი“, საბატონი (σάββατον), კარფი ლურსმანი (καρφί'), ნოღამე//ნოღამისა (νεόγαμος), ისინი ისინი, პარამითი: პარამითამს (παραμύζι), კრასნორეჩივ, პანდა/პანტა „ყოველთვის“ (πάντα), პაპუწი (ქლ. <ფაბუჩ (თურქ.)) პაპიტკ, წანგი (τξαγγιον) – ქალის ფეხსაცმელი, სკურაფი (ξυράφι), „სამართებელი“, ღნოსი (γνῶσ) ჭკუა; ოხორონუ (χορός) ცეკვა, შილიდანი „მშირილონი“ (χελιδόνι) მერცხალი; შილია (χιλίας), შირა (χηრα) ქვრივი, ქმრისგან მიტოვებული.

ბერძნულიდან ნასესხებია კავშირი ოტი (οτι) (ათინურში: უწუოტი „უთხრა რომ“).

სომხურის გავლენა უმნიშვნელოა. ყიფშიძეს აქვს დადასტურებული ხაჯი „ჯვარი“, რომელიც მოდის სომხური Է՞მ-დან.

მეგრულზე ყველაზე ძლიერი გავლენა ქართულმა მოახდინა: ახალი/ახაი, და, დაბალი, მაღალი, კანი, უარესი, ოთხი, ხუთი, ათასი...

გავლენა მორფოლოგიასაც ეტყობა (მიც. ბრუნვის ნიშანი - ს...)

ი. ყიფშიძეს თავის ლექსიკონში აღნუსხული აქვს (მეგრულ-ში) 50 სპარსული, 40 არაბული, 30 თურქული, 15 ბერძნული, 35 რუსული სიტყვა. ყველა ეს უცხო სიტყვა გვხვდება ქართულ-შიც.

სამურზაყანულში აფხაზური სიტყვებიცაა შესული:
აბასანა კრыльцо, აგვარა ხлев, აფსოა река, უщелье, აფუნი
весна, ბჟაკე борода, დაგ¼ა глухой.

სპარსული სიტყვები:

აბაზი (ფული), ალმასი, ალუჩა, ანგარიში, ანდერძი, ანფერ (აფერუმ), აფხანაკი, ბაიში/ბალიში, ბანგი, ბალი, ბიჭი, დალაქი, დამაზი, დარაია, დარდი, დასურო (\leftarrow დასტურ), დაულა (დამბლა),

დაზგა, დალუა, დიი/დემი (დევი), დოღაბი, დურგალი, დუშმანი, ზარი (მოთქმა), ზურნა, თარაში (=თარეში), თერზი, იმენდი, ლაშქარი, ლახტი, ლიშანი/ნიშანი/შანა – „საქმროს საჩუქარი“, მუქთახორა, ნამუსი, ორსანტი/ოსტატი, პარპალი, პარტაზი, პასუხი, სუსტი/სუსთი, ტამბაჩა, ტანი, ქამარი, ქირა, შანგი (შავი), შანქარი, შარა, ჩანგალი, ხაბრუზაკი (apbuz), სპარს.=ნესვი, ჯამაგირი, ჯანი, ჯიბე.

მ. ზუბუას გამოკვლევით, სპარსულია შემდეგი სიტყვები მეგრულში: ანგი (სპარს. ჰანგ „ჰარმონია“), ანგიშმანგი „შესაფერისი, თანასწორი“, აპურტაკი „საზიდი, აჭიმი“, ხევს. ავარდაგი, არამხუტუ (საკუთარი სახელი) სპ. ერან ზუტბ. ბარგი „ტანისამოსი“, ბეგო „ქალბატონი“, შდრ. ბექა „ერისთავის ცოლი“ (საბა), ბურნა: გილებურონუ „დათარეშობს“, სპ. ბორნა „ახალგაზრდა“, გა „ბორცვი“ (სპ. გაპ, ჯაპ „ადგილი“), გუა, გუაგუათ გილაფურინუნა – გროვა-გროვა..., გორდა „მრუდი“, დარჯა (დარჯანია გგარია, მოდის დარევან-იდან). დაურა (სპ. დაულა „წრე, მრგვალი“), თაბუნი „ტოლი“, „ამხანაგი“, ბუნი/ბუნიობა (სპ. ბუნ „ძირი“, „საფუძველი“). თანგი (შდრ. თარგი) სპარს. თანგ: „ტილო, სადაც სურათის კონტურებს გამოიყვანს მხატვარი წინასწარ“. თარნაკე კოჩი „ფლიდი...“, თემბელი „ზარმაცი“, ჟუმინი: მიჟუმინუ (სპ. ჟუბინ/ზუფინ „შუბი“). ქვირა „კვიცი“, ჩორბაჩი „პატივსაცემი“, ჩუღინა „მოლაპე“ (სპ. ჩუღულ, „მაბეზღარი“), ჭამაკა: გილეჭამაკუ „დარდიმანდობს“.

არაბული სიტყვები:

ადამიანი, ამნახანტო (ქართ. „ნახატი“), ანჯი „სპილოს ძვალი“, ატლასი, აჯამეთი „ხშირი ტყე“, აჯამი „უცხოელი, ბარბაროსი, წარმართი“, ბარათი, ომბოლი (უ-მ-ბოლი „უ“ (=არ), ბუ (არაბ. ბაბა/გაგა)+ლი (სუფიქსი), ე.ი. „უმამო, ობოლი“, დავება (ვიდუებ ციირი), დუნია (მირ), დუქანი, ექმი, ზანდუი, ზანთი (ქართ. „ზავთი“) ყვირილი, ზარალი, თამამი, იღბალი, მადანი (клад), მიზანი „თურქი ჯარისკაცი“, მოხამუზი/მუხამუზი (шპირა), მუთაქა, ნოდი (ქართ. „ნადი“), სათი „საათი“, სევდა/სერდა (печаль), სენი, სერი ვაბавა (ქართ. „სეირი“), თოისერი, უნაბი, ფილალი (бородка петуха), ფარგალი, ქესა (ქისა), ქეიფი/ქეეფი,

ღალატი (არაბ. „شَعْرَلَمَادَ“), ღარიბი, ყაბული „თანხმობა“, შუკა (переулок), ხაზინა, ხაზირი გотовый, ხათარი, ხალისი, ხალხი, ხანათი („მტრობა“) → მოხანათე „მტერი“, ხარაზი, ხარჯი, ხატი, ხეირი, ხურუჯუნი, ჯანდაბა (ад), ჯილო/ნჯილო (ქართ. „ჯელი“) огромный, сильный, ჰავა, ჰალი, ჰარამი неверный, жадный.

რუსული სიტყვები:

აკოშკა, ატაჟა, აფიცერი, ბოჭკა, დერეჟანი (რუს. ← ფრანგ.) дилижанс, იუკა (უკა) იოбка, კრაოტი, კაპეიკი, კაპიტანი, ნაჩაიკი, სტაქანი, სპიჩა, ონტკა, ყარაული, სტოლი, შინელი, უჩიტე (უჩიტელი) და სხვ.

თურქული სიტყვები:

ალავერდი (бог дал) → ალერტი (ეკლესია), ალი (пламя), არაბა, ბაბა, ბაშლაყ, ბორჯი (долг), срок, გოთანბორჯის, ბოხჩა, ბრინჯი, ბურლი, გემი, ღურგალი, ღურშუმანი, თენჯირი чугунный котел, тოფი, тოქართო подушка, თუთუმი, თუმანი, იარაღი, იშტა „მაღა“, კახმა/კახბა „ბოზი“, კენჯა „ბავშვი“, топырна, топа дом, топаხი, тყა (3 ფუნტი), тჯახი, სირმა „ოქრომჭედი“, ყამა, ჩექმა, ჯაყვა.

ბერძნული სიტყვები:

ალონი/აონი (ηλιος, αλιος) утренняя заря, ანდამაზი (ალმასი) ὄαδάμας, ანკესი/არკეცი (αγκιστρον), აფთექა (αποζήκα), ბაია (βαιον) ბალახი, ბორია (βορέας), ბორო (μωρος) სულელი, ბორჯомი (μοχλος), ბროლი (βήρυλλος), დაფი (δάφνη) „დაფნა“, დიაკონი (διάκονος), საბატონი (σάββατον), კანონი, კრამიტი (κεραμιδι), კალანდა (καλανδαι) новый год, ლაგვანი /»აგვანი (λαγῆνα) кувшин, ლექსი/ლერსი (λεξις), მარგალიტი (μαργαρίτης), მელანი (μέλαν), ორგია (ცურვის ილეთი), ჰაპა (παππας), საკი (σακκος) мешок, სინდისი (συνείδησις), ტურპანტი (τρυπανον), ბურლი, ქულა (χωλος), ბებელი (βεβηλος) осквернить, კამატი (καμματι) немного.

სომხური სიტყვები:

გალატოზი (.³O³-áë) „კალატოზი“, განძი (.³EÓ) (სპ.-დან), გერი (.³ÍN) შდრ. მ-გელი, გვირაბი (iÇñ³å), ვარი¹ა/ვარა¹ა (içñCí) კუროჩკა, თვათვი „თათ“ (ქართ. თათი), კაპულა „განგურ“ ლოკონი (შდრ. გაგურჯელა - კუდრი), კამბეში „გომცშ“, ნავარი (შდრ. ონავარი) „ავარ“ გრაბიტელ, ორიჯი „ცრინჯ“ სკოტ, უაში „უაშ“, როჭიკი „როჭიკ“ („დღიური ჯამაგირი“), წვრილი დანაშაული. უნწა/მუნწა/მუნჭყი, შდრ. „ანწ“ ბარს.

მაგრამ არის პირიქითაც: სომხურს კოლხურიდან აქვს შეთვისებული სიტყვები: ჭანჯი/ჭანჭი „ჭანჭი“, გორდი (მეგრ. გორდოუ უვაბუს გუ. აქ გორდოუ არაა თევზის საჭერი წნული, არამედ არის „ბაყაყი“), სომხურშია „გორტ“. რომ ეს ქართულია, იქიდან ჩანს, რომ თუშურშია ყვარტი (შდრ. ძვ. ქართ. ძ-ყვარი).

სომხურში სპარსულიდან შესულად მიაჩნიათ „სოხ“ (სოხი) ლук, „ტაშტრ“ (ტიშონი) ჯისტიტ, მაგრამ შეიძლება ქართულიდან მოდიოდეს. ასევე „ქით“ (ნი-ქითი) მორდა, შდრ. ნი-სკარტი / ნი-კარტი; ოჩხარი „კავრ“ (მკელაბელი) ბანჯინჯელი.

სვანურის გავლენა ლექსიკაში უმნიშვნელოა (პირიქით კი საგრძნობია). მეგრულშია პირსელი (კუმ), რომელიც, ი. ყიფშიძის გარაულით, უნდა მოდიოდეს სვანური ლი-პრისტე-ლან (კრესტიტი).

სვანურიდან ნასესხებად მიაჩნიათ პრეფიქსები ლე-/ლა-: ლე-ხაინდრაო, ლე-ძაძამე...

(ცნობილია, რომ უმწერლო ქართველურ ენებს (კოლხური, სვანური) თავისი წვლილი შეაქტს სალიტერატურო ქართულის განვითარებაში, ამდიდრებს ლექსიკას. ი. ყიფშიძეს მეგრულიზმებად მიაჩნია ქართულის შემდეგი სიტყვები:

სერობა (ძვ. ქართ.: ვახშმობა), შდრ. მეგრ. სერი „ლამე“; ორჭოფი („ორ“ ქართ.+ მეგრ. ჭოფუა „ჭერა“); დედამთილი, მამამთილი (მეგრ. დიანთირი, მუანთირი), ძილის-შინა სისიცი (შდრ. მეგრ. შინა „გახსენება“) – ეს არაა ასე! ძილის-შინა ბერძნულის კალკია (ενυπνιον = ძილსა შინა). შემთ კრეპიკი ვინო, ხვადი; იჩქითი ვნევანისტ, რომელიც რუსთველთანაა, ასე რომ, არჩილის მიერ თემურაზ I-ის პირით წაყნებულ ბრალდებას „რაცა ენა, უელა გიოქვამს, სომხური და მეგრულიცა“, გარკვეული საფუძველი აქვს.

კოლხიზმები ქართულში იხ. გვ. 11-13.

პოლიტიკური შესრულების ისტორია

პირველი ადგილი დროის მიხედვით მეგრული სიტყვებისა და ფრაზების ჩაწერისა ეკუთვნის თურქ მოგზაურს ევლია-ჩელებს, რომელიც იყო საქართველოში XVII საუკუნის 70-80-იან წლებში. იგი თავისი „მოგზაურობის წიგნის“ ერთ გვერდს უთმობს მეგრულს. მოჰყავს რიცხვითი სახელები ძალზე შერყვნილი ფორმით, მაგ., 11 ჩაწერილია, როგორც ართვითი (ნაცვლად ვითაართისა)...

XVII საუკუნეში სამეგრულოში იყო იტალიელი კათოლიკე მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც გამოსცა წიგნი „სამეგრულოს აღწერა“ (ქათული თარგმანი იღ. ჭყონიასი, 1901 წ.). აქ სპეციალურად ენაზე არაა ლაპარაკი, მაგრამ ზნე-ჩელეულებების აღწერისას მოყვანილია მეგრული სიტყვები.

გერმანელმა მეცნიერმა აკად. გვილდებულედტმა მოგზაურობისას (1768-75) და საქართველოში ყოფნის დროს 1771-72 წწ., შეადგინა პატარა სიტყვათა კრებული კავკასიაში ხმარებულ ენათა შესაძარებლად (სიტყვები დალაგებულია საგნობრივ-შინაარსობრივად. სახელები, ზმნები ცოტაა, სულ 290-შევე სიტყვაა, რომლის მიხედვითაც ქართული, მეგრული და სვანური მონათესავე ენებია) და დაურთო თავის აღწერილობას („მოგზაურობა რუსეთსა და პავკასიაში“, გამოსცა აკად. პალასმა ორ ტომად გერმანულ ენაზე, ტ. I, 1787, ტ. II, 1791, პეტერბურგი).

ეს იყო პირველი ნაბიჯი ქართველურ ენათა შედარებითი შესწავლის მასალების შესაგროვებლად. მაგრამ შეცდომებია ბევრი: მუგოკო „რა“, ქობალი „ძროხა“, ჭკომი „პური“.

ასეთივე ენობრივი მასალები შეაგროვა 1807-1808 წწ.-ში საქართველოში მოგზაურობის დროს გერმანელმა იულიუს კლაპროთმა და მომცრო შედარებითი ლექსიკონის სახით დაურთო თავისი მოგზაურობის აღწერას „მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში 1807-8 წლებში“, (ტ. I, 1812 წ., ბერლინი, ტ. II, 1814 წ., II გამოცემა ფრანგულად, პარიზი, 1823 წ.). კლაპროთმა გაიმეორა გვილდებულედტის შეცდომები.

უცხოელ მკვლევართაგან ყველაზე ფასეულია გეორგ როზენის შრომები (გერმანულ ენაზე): 1) ლაზური ენის შესახებ, გრამატიკული მიმოხილვა, ბერლინი 1844; 2) მეგრულის (9გვერდი

უჭირავს), სვანურის (12 გვ.) და აფხაზურის (12 გვ.) შესახებ, ოსური გრამატიკის გამოკვლევითურთ, ბერლინი, 1846. როზენმა პირველმა სცადა, მოეცა სისტემატური გრამატიკული მიმოხილვა მეგრულისა და ჭანურისა და თავისი დროისთვის ძარჯვედ გააკეთა. მასვე ეკუთვნის პირველი ცდა ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის შესწავლისა (შემდეგ ეს აღ. ცაგარელმა გააკეთა).

ივ. ჯავახიშვილის თქმით, როზენის ორ პატარა წიგნში აშკარად ჩანს ავტორის დაკვირვების აღღო და უნარი. აღ. ცაგარელი კი წერს, რომ მასალების სიმცირის გამო მკითხველს უჭირდა დაეჭვერებინა როზენის დებულებანი.

როზენს ბევრი აქვს ლაფუსუსცა, მაგ., მას მოჰყავს სიტყვა „სოჭანან“ (сапожник). ასე უცვლელად გაიმეორა ეს სიტყვა აჭარიანმა. სინამდვილეში უნდა იყოს სო ჭანან (კ. დ.: სო ჭანან, ე.ი „სად ქერავენ“).

1895 წელს ვენაში რიპარდ ერკერტმა გამოსცა კავკასიური ძირის ენები. I ნაწილში ლექსიკური მასალაა. 545 სიტყვაა თარგმნილი. 30 ენაა.... ხუნძური, ლაკური, ჩაჩნური, აფხაზური, ქართული, ლაზური, მეგრული, სვანური.

წინამდებარება შრომებისა და საკუთარი დაკვირვების საფუძველზე ა. აჭარიანმა გამოსცა წიგნი ფრანგულ ენაზე პარიზში ჟურნალ „პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოების მოამბეში“, 1897-9-8 წ. ამ წიგნს ჰქვია: „ეტიუდი ლაზური ენის შესახებ“. ამ წიგნს ბევრი ნაკლი აქვს, ყველა წინაპართა შეცდომა გამოირებულია აქ, მაგრამ ღირსება ისაა, რომ ვრცელია, ტექსტი და ლექსიკონი ახლავს (ნაწილი ამ ტექსტისა ნ. მარმა შეასწორა და გამოსცა თავის „ლაზურის გრამატიკაში“ 1910 წელს). ნ. მარი აღნიშვნავს, რომ აჭარიანი ცუდად, ძალზე ცუდად ერკვევა ფონეტიკაში და მისი ჩაწერილი სიტყვები არასწორია ხშირად, არ იცის იაფეტური ენების გრამატიკა, ამიტომა, რომ საწყისად მოყვანილია კჭიშ, რაც სინამდვილეში მოდის გჭიშ-იდან, სადაც გ O₂-ის ნიშანია.

მიუხედავად ყოველივე ამ ნაკლისა, აჭარიანის წიგნმა დიდი დახმარება გაუწია ნ. მარს წინასწარ შეემუშავებინა ჭანურის გრამატიკული სქემა. მისი ლექსიკონის შესწორებისა და შემოწმების შედეგად წარმოიშვა მარის ლექსიკონი – გრამატიკაზე დართული.

ქართული ენათმეცნიერების ჩამოყალიბება დაკავშირებულია აღ. ცაგარლის სახელთან. მან 1872 წელს პეტერბურგში დაბეჭდა საინტერესო გამოკვლევა: Сравнительный обзор морфологии иберийской группы Кавказских языков. იგი 1876-78 წლებში მასალებს აგროვებდა მეგრულ-სვანურ-ჭანურის შესახებ. 1880 წელს აღ. ცაგარლმა დაბეჭდა „Мингрельские этюды“ ორ წიგნად, I – ტექსტები, II – ფონეტიკა: Опыт фонетики Мингрельского языка.

მეგრულის შესწავლაში აღ. ცაგარლის შრომებმა ეპოქა შექმნება (ი. ყიფშიძე). მან პირველმა მოიმარჯვა ტექსტების ჩასაწერად ქართული ანბანი, შემოიღო სპეციალური ნიშნები¹ და „. მოცემულია ყველა ბგერის დაწვრილებითი აღწერა, დადგენილია ძირითადად ბგერათა შესატყვისობანი ქართველურ ენებში (ის დიდი ღირსება!), ოლონდ გააჩნია ნაკლი: შესატყვისობებს ავტორი ეძებს არა მარტო დიფერენცირებულ მასალებში, არამედ საერთოშიც, ანგარიშს არ უწევს სემანტიკურ გადახრას, ამიტომაა, რომ ცაგარლის მიხედვით, მეგრ. ჯ გადადის ქართ. ჯ, ძ, რ, დ, ც, ხ-ში. მაგ. ხე – ჯა. მაგრამ ასე არაა: ჯა – ძელ (ანგარიში არაა გაწეული სემანტიკურ გადახრაზე).

ეს წიგნი კარგი საჩუქარი იყო ქართველთმცოდნეობისათვის. ამას უნდა მოჰყოლოდა მეგრულის მორფოლოგია, სვანურისა და ლაზურის ენათმეცნიერული დახასიათება. მაგრამ აღ. ცაგარელს გული გაუტეხა რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ. სასწავლო ოლქის მზრუნველ იანოვსკის „წყალობით“ ბრძოლა გაჩაღდა ქართულის წინააღმდეგ. ამ დროს მეგრულისთვის რუსული ანბანი (ქართულის ნაცვლად) იქნა შემოღებული. ამან გული გაუცრუა აღ. ცაგარელს და მას 15 წელი არავერი დაუწერია. სამეგრელოს საღი ინტელიგენცია და ხალხი ზემოხსენებულ ცდას შეეწინააღმდეგნებ და ჩაფუშეს იგი.

1895 წელს პეტრე ჭარაამ უურნალ „მოამბის“ 1895-96 წლის X, XII, I, II ნომრებში გამოაქვეყნა ცაგარლის ფონეტიკის შემავსებელი და შემსწორებელი საყურადღებო შრომა „მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან“.

ა. ცაგარლის შემდეგ მეორე ხანა ქართულ ენათმცოდნეობაში იწყება 6. მარიდან. კოლხურის მეცნიერული შესწავლა, პირველ

ყოვლისა, უკავშირდება ნ. მარისა და ო. ყიფშიძის სახელებს. სამართლიანი იყო ერთი მეცნიერის თქმა, რომ ა. ცაგარელი და ო. ყიფშიძე მეგრულის „კირილე და მეთოდე“ არიანო (შ. ბერიძე).

ნ. მარმა 1910 წელს გამოსცა აღწერითი ხასიათის „გრამატიკა ჭანური (ლაზური) ენისა ქრესტომათითა და ლექსიკონით“. ეს შრომა ნ. მარის პოზიტიურ საენათმეცნიერო შრომათაგან ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია.

ო. ყიფშიძემ 1911 წელს გამოსცა „Дополниительные сведения о чанском языке“, სადაც დაწვრილებით შეჩერდა ჩხალურ თქმაზე (მარის მიერ აღუნიშნავ ფაქტებზე), დააზუსტა მარის რამდენიმე დებულება.

1914 წელს ო. ყიფშიძემ გამოსცა „გრამატიკა მეგრული (იბერიული) ენისა ქრესტომათითა და ლექსიკონით“, რუსულ ენაზე, პეტერბურგში. ამ შრომას მაღალი შეფასება მისცა ნ. მარმა და სანიმუშოდ ჩათვალა იგი. ეს არის საუნჯე ქართველურ ენათა შესწავლის საქმეში. ასევე აღსანიშნავია კლუგე, Beiträge fur mingrelischen grammatic, 1916, ბერლინი, შტუდგარტი.

1939 წელს ა. ჩიქობავამ გამოაქვეყნა ყიფშიძის მიერ 1917 წელს ჩაწერილი ტექსტები (ტექსტების ნახევარზე მეტი დაკარგულია).

კოლხურის შესწავლაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ა. ჩიქობავას. 1929 წელს გამოსცა „ჭანური ტექსტები“ (ხოფური კოლოკავი). 1936 წელს – „ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ“ (ვიწურ-არქაბული, ათინური). აქ ჭანურის გრამატიკული ანალიზი მოცემულია მეგრულსა და ქართულ-თან მიმართებით. 1938 წელს გამოსცა „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“ და სხვა სპეციალური შრომები.

კოლხურზე არსებულ მასალათაგან აღსანიშნავია:

ს. უღენტის „ჭანური ტექსტები: არქაბული კილოკავი“, 1938; მისივე, „ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა“, 1953 წ.

გ. ხუბუას „მეგრული ტექსტები“, 1937 წ.

კოლხურზე სპეციალური შრომები აქვთ გამოქვეყნებული: ა. შანიძეს, ვ. თოფურიას, გ. როგავას, ო. ასათიანს (დისერტაცია: „წინდებული ზანურში“, 1952), ნ. ნათაძეს, მ. ხუბუას, ქ. ლომთა-თიძეს და სხვებს.

აღსანიშნავია, რომ 1937 წელს გ. დიუმეზილმა პარიზში გამოაქვეყნა ჭანური (არქაბული) ტექსტები „ჭანური ზღაპრები“, 131 გვერდი, რომელსაც ახლავს სიტყვასიტყვითი და ლიტერატურული ფრანგული თარგმანი კომენტარებით. გ. კარტოზიამ 1972 წელს გამოსცა ლაზური ტექსტები (ხოფური და ვიწურ-არქაბული კილოგავისა). ასევე, საყურადღებოა: ლაზური ტექსტები (ხოფური) ირ. ასათიანისა, 1974; მეგრული პოეზია ტ. გუდავასი, 1975.

ვ ო ნ ე ტ ი პ ა

კოლხურის პგრითი შედგენილობა. პგრითი სისტემის ზოგადი დახასიათება

კოლხურში არის ყველა ის ბერა, რაც ქართულში მოიპოვება. ქართულის მსგავსად კოლხურს ახასიათებს ხმოვანთა სიღარიბე და თანხმოვანთა სიმღიღრე (ა. ჩიქობავა), მაგრამ არის სხვაობა.

ლაზურში გვაქვს ნახევარხმოვანი დ, რომელიც სხვადასხვა ბგერის რეფლექსია: ი←ი. ღულა „საქმე“, დავაშ „ნელა“, დაზი „ზაფხული“, დაღი „ერბი“, გოუსთუ „დაუსხლტა“...

ი←ე: ლოდა (= ლოფა „ტკბილი“), მიღონუნ „მყავს“, მეივა-ფერი (=მეყვაფერი „მაწონი“).

ი←ჯ: ღოხო „სახელი“, უჯოხუ „დაუძახა“.

ი←ლ (მეგრულში): ღურჯი (ლურჯი), ღუღი (ლუღი), ღეში (ლეში).

ი←რ: რენ – ღენ „არის“ (მიღენ – მირენ „ვინ არის“), დოხორეფე „ექიმები“, ბინჯიღარე „დავიძინებ“.

ქართულისგან განსხვავებით, კოლხურში გვაქვს ორაციონალური ხმოვანი, (მეგრულშია მხოლოდ). ეს ზუგდიდურ-სამურზაყანულშია: იგი ჩნდება ი, უ, ო-ს რედუქციის (დასუსტების) შედეგად:

ი←,: გ,რ,ნი, ქ,რი, ც,რა, ჭყ,ნტ,...

უ←,: ჭ,ნ, (=ჭინუ), ტ,ბ,, ნ,კ, (ნუპუ „ნიკაპი“), იდ,, ქი-მერთ.

ო←,: ქ,მორთ, (=ქომორთუ), ქ,დ,ვოგი (=ქოდოვოგი), კ,ლა (=კილა/კოლა (გასაღები), კ,რზა (=კორზა/კირზა).

თანხმოვანთა კომპლექსის გასაყრელად ჩნდება „პარაზიტული“, : საქ,მე, ზ,რელი. , ჩნდება სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში: იდეს, „წავიღნენ“, ტყას, „ტყეში“, ჩილქ, „ცოლმა“, გიშელეს, „გაიარეს“.

ჭანურში არის თურქულიდან შეთვისებული ბერა ფ: იგი იხმარება თურქულიდან და ბერძნულიდან ნასესხებ სიტყვებში. ფ არის კბილბაგისმიერი ყრუ ფშვინვიერი: ფირალი „ფირალი“, მუ-საფირი „სტუმარი“, ტუფელი „თოფი“, ფუკარა „ლარიბი“, ეფენდი „ბატონი“, ოფრიდი „წარბი“, კარფი „ლურსმანი“.

ფ ჭანური წარმოშობის სიტყვებში არ იხმარება, ამდენად, იგი არაა ფონემა. ზოგჯერ ვ-ს ნაცვლად ფ ისმის. მაგრამ ეს პო-ზიციითაა შეპირობებული: მოფთი (შდრ. ქართ. ფვიქრობ). ეს ათი-ნურშია!

ჭანური ისე განიცდის უცხო (თურქული) ენის გავლენას, რომ ბერა ისესხა (ა. ჩიქობავა). ჭანები შენიშნავენ ხოლმე თურ-ქულად მოლაპარაკე აჭარლებს: ფუკარა, ეფენდის ამბობენ ფუკარა, ეფენდის ნაცვლადო.

აგრეთვე აღსანიშნავია ლ-ს სირბილე (მეგრულში) და რ-ს სისუსტე (ჭანურში).

აღსანიშნავია ¹ ფარინგალური (ყელისმიერი) ბერა, რომე-ლიც ახასიათებს ჭანურის ვიწურ-არქაბულსა და ათინურ კილოკა-ვებს და მეგრულს. ეს ¹ მოდის ყ-სგან მისი დასუსტების გზით: ¹უჯი, ¹ვითეი, ¹უდე...


ჭანურის არც ერთ კილოკავში არ ძლებს ტყ, წყ, ჭყ კომ-პლექსები. აქ ყ>კ//0: წკარი/წარი „წყალი“, ტკები/ტები „ტყავი“, გოჭკუ/გოჭუ „დაიწყო“, მხოლოდ ხოფურშია რამდენიმე შემ-თხვევა: ტყუბი „ტყუპი“, ჭყინტი, ჭოჭყოფი „ჭანჭრობი“, ჭინჭყვა-ლა „შიგნეულობა“, მუნჭყი „მაჩვი“. ხომ არაა აქ ქართულის გავ-ლენა? მეგრულში ყველგან დაცულია ყ ამ კომპლექსებში.

3ოპალიზმი

კოლხურს ქართულის მსგავსად აქვს ჩვეულებრივი მარტივი ხმოვნები: ა, ე, ი, ო, უ. მაგრამ ქართულთან შედარებით კოლხურს მეტი აქვს: ა) იოტიანი (ი) ხმოვნები: ღა, ღე, ღო, ღუ. ბ) მაგარშემართვიანი ხმოვნები: ჴ, ჵ, ჶ, ჸ, ჹ და გ) ფშვინვიერშემართვიანი ხმოვნები: ჰა, ჰე, ჰი, ჰო, ჰუ.

მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოში არის ნეიტრალური, ხმოვანიც.

მარტივი ხმოვნები: მეგრულ-ჭანური ა საშუალო ტიპის ხმოვანია, მაშინ, როცა ქართული ა უფრო წინ წამოწეული ხმოვნია.



- ა ე ი (ი) – წინა რიგისა და ზედა აწეულობის
- ა ო უ (კ) – უკნა რიგისა და ზედა აწეულობის
- ა – დაბალი აწეულობის
- ე, ო – საშუალო აწეულობის
- ი უ (კ) – მაღალი აწეულობის
- ი ყველაზე წინა რიგისაა, უ – უკანასი.
- ყველაზე ვიწროებია ი-უ, ყველაზე ფართოა – ა.
- მეგრ. ა ტიპოლოგიურად = რუს. a-ს, როგორც ამას სწორად შენიშნავდა ა. ცაგარელი.

მეგრულ-ჭანურში ე დასტურდება ღია და დახურული, ანუ იოტიანი. ღია ე ისმის ასეთ ფრაზებში: სი მი ე? „შენ ვინ ხარ?“, მუფერი კოჩი ე? „როგორი კაცია?“. მაგრამ სარფულში არის ღიანი (დახურული) ე: მუკო წანერი ღე? „რამდენი წლისაა?“. ღია ე წარმოითქმის მეგრულშიც: ე ბოშიქ მუმას უწუუ „ამ ბიჭმა მამას უთხრა“.

ი, როგორც მაღალი წარმოების ვიწრო ხმოვანი დაახლოებით = ქართ. ი-ს.

მეგრულ-ჭანური ო უფრო ღრმა უკანაენისმიერია, ვიდრე ქართული ო.

მეგრულ-ჭანური უ არტიკულაციურად განსხვავდება ქართული უ-საგან.

მეგრულ-ჭანური უ იმდენად ღრმად უკანაენისმიერია, რომ ენის უკანა ნაწილის არტიკულაცია ვერ აღწევს მაგარი სასის ბოლომდე.

, ხმოვანი იხ. გვ. 46.

თოტიანი ხმოვნები: ასეთი ხმოვნები მეორეული წარმოშობისა არიან და მიიღებიან აღმავალი დიფთონგიზაციისადმი ტენდენციით (როცა ვიწრო ლიაობის ხმოვანი ფართო ლიაობის ხმოვანთან მეზობლობაში აღმოჩნდება).

ჭანურში (განსაკუთრებით) და მეგრულში ვ-იანი ხმოვნები (ვა, ვე, ვო, ვუ) გვხვდება როგორც ნასესხებ სიტყვებში, ისე ჭანურის საკუთარ სიტყვებში: დულა „საქმე“, შილა „ათასი“ (ბერძ.), ვავაშ „ნელა“, ვალი „ერბო“, კაზვალი „ნავთა“, ვეთიმი „ობოლი“, ქოქი „ფესვი“.

საკუთარი სიტყვები: გვატკვაცუ (<გვატკვაცუ „დააზტა“), პვატი „ცული“, მევატუ „ტურა“, ვალი „სარეე“, კიეტი „პატარა ჯოხი“, ვეფუტხუ „აფრინდა“, მოფშა „სავსე“, გვუსთუ „დაუს-ხლტა“, ვულუნ „აღის“, ჭიდურჭა „ჭინჭარა“.

აღსანიშნავია, რომ აღმავალი დიფთონგიზაციის პროცესში ხმოვნების გარდა მონაწილეობენ სონორი თანხმოვნები რ ჭანურში და ლ მეგრულში.

რ→ვ: რენ – ვენ „არის“, ჩქიმი ვენ „ჩემი არის“, კოჩი ვენ „კაცი არის“, კიდუ – კირუ „შეკრა“, დოხთოვეფე „ექიმები“, ბინ-ჯიდარე „დავიძინებ“.

ლ→ღ: ამას ხელს უწყობს ის, რომ ლ რბილი ხმოვანია და ვ-ში გადასვლამდე ლ პალატალდება ლ→ღი→ღ:

ძალამი – ძალიამი – ძამამი „ძალიან“, მალაზონი – მალდაზონი – მადაზონი „მონაზონი“, დღალეფი – დღალდეფი – დღადეფი „დღეები“, ლული – ლული – ვული „ლელვი“, ასევე: ვაკვი „ლეკვი“, ვაგვანი „ქვევრი, ლაგვინი“.

მაგარშემართვიანი ხმოვნები: ასეთი ხმოვნები მეორეულია მეგრულ-ჭანურში და ჩვეულებრივ შედეგია ფარინგალურ მკვეთრ 1-სთან $^1 < y < \frac{y}{z}$ მომდევნო ხმოვნების შეგუებისა. შდრ.: ყურ-დგელი.

მაგარშემართვიანი ხმოვნები განსაკუთრებით ახასიათებს ჭანურის ათინურ კილოკაცს: $^1\text{არ}, \text{რაზეც} \text{ ა. ჩიქობაგა} \text{ წერს:} \text{ თაგვი-დური} ^1 \text{ აბზაცის} \text{ აღმნიშვნელია} \text{ და} \text{ ფონემის} \text{ მნიშვნელობა} \text{ არა} \text{ აქვს.}$

ს. უღენტს მსგავს მაგალითებად მიაჩნია: $^1\text{ამმა} \text{ „მაგრამ“,} \text{ } ^1\text{ან-} \text{ დღა} \text{ „დღეს“,} \text{ } ^1\text{იდუშუნუ} \text{ „იფიქრა“,} \text{ სა}^1\text{ატი} \text{ „საათი“,} \text{ } ^1\text{ეფუთხეს} \text{ „აფრინდნენ“,} \text{ } ^1\text{ოვრო} \text{ „რვა“,} \text{ } ^1\text{იდეს} \text{ „წავიდნენ“,} \text{ } ^1\text{იგზალუ} \text{ „წავიდა,} \text{ გაემგზავრა“} \text{ (ეს} \text{ უფრო} \text{ ათანურშია).} \text{ გვაქვს} \text{ მეგრულშიც:} \text{ მიდა-} \text{ რა}^1\text{უ} \text{ „გარეკა“.} \text{ რა}^1\text{ურეკ-ვა,} \text{ } ^1\text{ვილუა} \text{ /} \text{ კვლა/} ^1\text{ვილ-უნ-ს} < \frac{y}{z} \text{ [ი]ლ-} \text{ ავ-ს.}$

მაგარშემართვიანია ხმოვანი, როცა იგი ფარინგალურ 1 -ს შეგუება: $^1\text{უღე} \text{ „სახლი“,} \text{ } ^1\text{უჯი} \text{ „ყური“,} \text{ } ^1\text{ა} \text{ „ყელი“,} \text{ } \text{ქ}^1\text{ანა} \text{ „ქვეყანა“,} \text{ } ^1\text{ურზენი} \text{ „ყურძენი“,} \text{ } \text{მა}^1\text{არე} \text{ „მაყარი“,} \text{ } ^1\text{ონა} \text{ „ფანა“.} \text{ აქ} \text{ } ^1<\text{y.}$

ფშვინვიერშემართვიანი ხმოვნები: ეს ახასიათებს ჭანურის ვიწურ-არქაბულსა და ათინურ კილოკავებს: ჰა, ჰე, ჰი, ჰო, ჰუ ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა ახასიათებს ჩვენებით ნაცვალსახელებს, ზმნიზედებსა და ზოგიერთ ნასესხებ სიტყვას. ხშირია ჰა და ჰე, იშვიათია ჰი, ასევე ჰო, ჰუ:

ფშვინვიერი შემართვა ჩვენებით ნაცვალსახელებში: ჰავა „ეს“, ჰეა „ის“, ჰამ „ეს“, ჰემ „ის“, ჰამუში „ამის“, ჰემუში „იმის“, ჰანთეფე „ესენი“, ჰენთეფე „ისინი“...

ზმნიზედებში: ჰექ „იქ“, ჰაქ „აქ“, ჰაშო „ასე“, ჰეშო „ისე“, ჰექოლე „იქეთ“, ჰაქოლე „აქეთ“, ჰაწი „ახლა“, ჰუს „ახლა“, ჰაკო „ამდენი“.

ზოგჯერ ფშვინვიერშემართვიანი თ მიღებულია ქო-საგან: ჰოპჭეომი ($<\text{ქოპჭეომი}$) „შევჭამე“, მიგარა ჰოშუ ($<\text{ქოშუ}$) „თამბა-ქო მოსწია“, ჰაგუწულუ „გამოართვა“, ჰოდოდგითუ „გაჩერდა“, ჰოძიუ „ნახა“...

ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა სპორადულია ხოფურში, სულ მოშლილია მეგრულში. მეგრულში ფშვინვიერი შემართვა

ხმოვნებისა მხოლოდ შორისდებულებთან დასტურდება ქართულის მსგავსად: ჰა ჯიმაღურელი.... ჰა ჯიმაია, ჰაიტ ნუგაშქურინენანია.

ხმოვნების ფშვინვიერი შემართვა მეორული არაა, ის ძველი ვითარების ნაშთი უნდა იყოს.

დიფორმირები და დიფორმიზაცია

კოლხურში განსაკუთრებით მდიდრადაა წარმოდგენილი აღმა-ვალი დიფორმინგები, დამავალი დიფორმინგები მკრთალია.

დიფორმინგიზაციის პროცესი განსაკუთრებით ძლიერია ჭანურ-ში. ალ. ცაგარელი აღნიშნავდა, რომ მეგრული დიფორმინგებით მდი-დარი არ არისო და ამის მიზეზად ასახელებდა მეგრულის მიდრე-კილებას სრულმმოვნობისაკენ. ცაგარელის დაკვირვება სწორია.

აღსანიშნავია, რომ დიფორმინგის პირველ ნაწილს ჭანურში თითქმის ყველგან ვ შეადგენს (და, უ, ო, უ), ხოლო ქართულ კილოებში შენახულ დიფორმინგებში ვ დიფორმინგების II ნაწილია (დამავალია). დამავალი იყო დიფორმინგები ძველ ქართულში. ახალ-ში კი, სალიტერატურო ქართულში, დიფორმინგები არაა და არცაა მოსალოდნელი, რადგან ყოველი ხმოვნი სალიტერატურო ქარ-თულში მკაფიოდ წარმოითქმის.

აღმავალი დიფორმინგიზაციის პროცესში ჭანურში I კომპონენ-ტად მონაწილეობენ ი, ე ხმოვნები (ა, ო და უ-სთან შეერთებით), აგრეთვე ნარნარა რ (ჭაბ.), ლ (მეგრ.), ასევე¹ და ჯ (ათინურში).

დადა: მან-და „მეო“ (შდრ. მოკონია მეგრ.), კაი სერსი მი-ღუნ-და „კარგი ხმა მაქვსო“ (მეგრ.: მიღუნია), ია/ია მხოლოდ ა-ს იძლევა ფუძისული ი-ს შემდეგ. აწია „აწიო“, ოხომიშქია „გა-მიშვიო“, აქონაშია „აქაო“. სხვა სიტყვებში: ნალდა „ნალია“, ნოსდარი „ჭკვიანი“, ონჯღორდარი „მორცხვი“, ადა მუენ? „ეს რა არის?“. ნასესხებ სიტყვებში: დაჟული „ებრაელი“, ღულვა „საქმე“, შილდა „ათასი“, დავაშ „ნელა“, დაზი „ზაფხული“, დაღი „ერბო“, ლობდა თურჩა ენ, ჩქინ ხაჯი ბუწუმელთ „ლობიო თურქულია, ჩვენ ხაჯს ვეძახით“.

ეა>ია>და: გდატკვაცუ (<გეატკვაცუ „დაახტა“), გდათხაზუ (<გეათხაზუ „დაედევნა“), გდაჯინუ (<გეაჯინუ „დააწვა“), გდაკიბინუ „უკბინა“, ქოგდაკნუ „ხელი სტაცა“.

მეგრულში ეა>ია, მაგრამ ია არ იძლევა ია-ს, ე.ი. დიფთონგიზაციას ვერ იძლევა: ქი¹ანა (<ქე¹ანა), წიარი (<წეარი—წევარი), ტიანი (<ტეანი—ტევანი), იაფშ, (<ეაფშუ „აევსო“).

ეო>ოო: გოოჭკუ „დაიწყო“ (<გეოჭკუ), ქოგოონჯირუ „ჩააწვინა“, გოოწკედუ „დახხდა“, ოოფშუ „აავსო“ (<ეოფშუ), გოოლუ „დაახტა“ (<გეოლუ), ხე ვოღი (< ხე ეოღი მეგრ. „ხელი აიღე“).

ეუ>ოუ: სო ვულურ (<ეულურ) „სად ადიხარ“ და სო გოულურ (<გეულურ) „სად ჩამოდიხარ“; გოუსტუ და გრანთხუ „დაუსხლტა და დაუცა“.

ჭანურში აღმავალ დიფთონგიზაციაში მონაწილეობს რ→ო (ა, ე, ი ხმოვნებთან): ბინჯიდარე „დავიძინებ“, ლოხთოვეფექ „ექი-მებმა“, სი მი ვე „შენ ვინ ხარ“, შევეფე (<შერეფე „ნივთები“).

მეგრულში აღმავალი დიფთონგების შექმნაში მონაწილეობს ლ→ი: დადაქი, მადას, დაგვანი, დადირი, ბუდეკი, მუკა, მური.

ჭანურის ათინურ კილოკავში აღმავალი დიფთონგის ვ მიღე-ბულია ყ-ს ხმოვანთან შეგუების გზით: ლოდა „ტკბილი“, მეაფერი „მაწონი“, ოდაზუ „გათლა“, მევოუმ „მიკვები“, მიღონუნ „მყავს“, სერი დიღუ „დაღამდა“.

ზოგჯერ აღმავალი დიფთონგიზაციისათვის ხელი შეუწყვია ჯ-ს პალატალიზაციას, ვ-დ ქცევას:

ემუშ ვოხო (<ჯოხო) „იმის სახელი“, ბადის უვოხუ (<უჯოხუ) „დაუძახა“. არის შემთხვევები, როცა აღმავალი დიფ-თონგის I კომპონენტად მონაწილეობს ო და იქცევა ვ-დ: დვაჩოდუ (<დოაჩოდუ) „გაუთავდა“, დვაჭკინდუ (<დოაჭკინდუ) „დაიღალა“, დვაჭუ (<დოაჭუ) „დაეწვა, ეტკინა“, დვოშქიდუ (<დოოშქიდუ) „დაახტონ“. აღმავალი დიფთონგის წარმოქმნას ზოგჯერ ხელს უწყობს უ>ი. წა „შუბლი“, ჯა „მუა“, ქა „ქვა“, ტა „ტომარა“, თქა მინ რეთ „ოქვენ ვინ ხართ“: სკამი „ლამაზი“, ჭარია „წერა“, უხიენე ოხორჯა „ორსული ქალი“.

დამავალი დიფორნგები:

ას: კილი ვეს „სანაძლეო დადეს“.

ევ: ესელეს „ადგენ“, შეიტანი „ეშმაკი“.

ავ: დომათლუ „შემომაკვდა“, კამახა (მეგ. „კალმახი“).

ოვ: დოდლეს „მოკლეს“, გოდქოუ „დაბრუნდნენ“.

ათინურ კილოკავში ს-ს დასუსტება იძლევა ღ-ს და იქმნება დამავალი დიფორნგი. ოშვეო (<ოშვეს), შუმტეო (<შუმტეს) „სვამ-ლენ“, შდრ. ქართ. (ქიზიყური) მიდღევს, ბორტანი, წყლი პირავ (=პირას).

ხმოვანთა პოზიციური სიგრძე: კოლხურს ისტორიულად, ბუნებრივად გრძელი ხმოვნები არა აქვს. სამაგიეროდ, მეგრულში ხშირია პოზიციურად გრძელი ხმოვანი, რაც გამოწვეულია ორი ერთად შეხვედრილი ხმოვნის გაერთიანებით. „მუ ამბე?“ ან ამბა. აქ „გრძელი“ ე ასეა მიღებული: **ამბავი>ამბაი>ამბეი>ამბეე>ამბა**. ამ გზითაა მიღებული: ნათესეე „ნათესავი“, საფულეე „საფლავი“, კარეე „კარავი“, იანგეე (იანგედ<იაგად<იაგავი//იგავი). აქ საურთიერთო ასიმილაცია უნდა გვქონდეს: **აი>ეი** (რეგრ. ასიმ.), შემდეგ ეი>ეე (პროგრ. ასიმ.). ასეა მეგრ.: მაისი>მეისი>მეესი>მასი; ნაი-რი>ნეირი>ნეერი>ნერი.

ეს რეგრესული ასიმილაციით იძლევა იი-ს: **შეიძლება>შიიძლებ>შიილებე, დემი>დეი>დიი „დევი“.**

ზოგჯერ პოზიციურად გრძელი ხმოვანი მიიღება ორ ერთნაირ ხმოვანს შორის ვ-ინის დაკარგვით (როცა ორი ხმოვანი უშუალო მეზობლობაში მოექცევა): პატიი (<პატივი), გვილაა (<გვილავა), პაპაა (<პაპავა), ბჭარუნდეე (<ბჭარუნდევე) „ვწერდე“...

არის მეგრულში პოზიციური გრძელი ხმოვნები: რაგადა-ანს/რაგადანს „ლაპარაკობს“. ხშირია სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში: ი¹უ „იქნა“, უწუ „უთხრა“, თქშ „თქვა“, კითხშ „ჰკითხა“, დოჭშ „შეკრა“, რაგადშ „ილაპარაკა“, გათმ „გაათავა“. ჯვარულშია: ვუწეი „ვუთხარი“, ვოთხეი „ვათხოვე“ (>ვუწმა, ვოთხშ ასიმილ.), ვუწეი (<ვუწევი, ვოთხევი, ახსნა გ. როგავასია). ასე რომ, აქც პოზიციური სიგრძე გვქონია ხმოვნისა.

პონსონანტიზმი

კოლხურის თანხმოვანთა სისტემა იმეორებს ქართულის თანხმოვანთა სისტემას მცირეოდენი განსხვავებით. კოლხურსაც ახასიათებს სამუშალებრივი სისტემა თანხმოვნებისა:

ბ ფ პ, ღ თ ტ, ძ ც წ, ჯ ჩ ჭ, გ ქ კ. მეექვსე სამუშალი ქართულში დევექტურია (გ ყ), რაც კოლხურს არ გააჩნია, რადგან ხახის მოქმედება კოლხურში შესუსტებულია, ფარინგალური არტიკულაცია მოშლილია. ყ მხოლოდ ზოგ კილოკავშია დაცული, სხვაგან ის სხვა რეფლექსებს იძლევა.

ყ და მისი რეფლექსები: ყ უცელელად არის დაცული ხოფურში: ყა „ცივი“, ყინი „ყინული“, ყვალი „ყველი“, ყონა „ყანა“, მუყუ „მაყვალი“, ყუჯი „ყური“, ყვილუმს „კლავს“, მინდიყონუ „წაიყვანა“...

შეგავს მაგალითებში ვიწურ-არქაბულსა და ათინურში ყ^{>1} ან იკარგება: ¹ინი „ცივი“, ¹უჯი „ყური“ / ინი, უჯი.

მეგრულში ყ^{>1}, რასაც ხელი შეუწყვია მაგარშემართვიანი ხმოვნების წარმოქმნისათვის: ¹უჯი, ¹ულე, ქი¹ანა...

იშვიათად ყ-ც დასტურდება მეგრულში ხმოვნისა და ვ-ს წინ: ყარაული, ყახახი, ყვარანი (=ყორანი), იყოშაყარშ „შეყარა“, ყორყელი „ხორხი“, ყაყალი „ჩოჩქოლი“, ყოყორე „გოგრა“, იყვიყვინანს „ნაზად, ფაქიზად გამოიყურება“. ბოლო მაგალითი გვიჩვენებს, რომ, თუ ფუბეში ორი ყ არის, მაშინაც ყ არ იცვლება ¹-დ.

ყ მეგრულში დაცულია ჰარმონიულ კომპლექსებში (ტყ, წყ, ჭყ):

ტყ: ტყა „ტყე“, ტყები „ტყავი“, ტყობუა „დამალვა“, ტყურა „ტყუილი“...

წყ: წყარი „წყალი“, წყურგი „წყარო“, წყურიში „წყალგრილი“, წყიი „წყავი“, წყუნაფა „წყინება“.

ჭყ: ჭყორი „მწყერი“, ჭყვადუა „წყვეტა“, ჭყუალა „წყევლა“, დოჭყაფა „დაწყება“, ჭყეშუა „დამწყსვა“ (მწყემსვა, ხედნა).

მეგრულისგან განსხვავებით, ჰარმონიულ კომპლექსებში (ტყ, წყ, ჭყ) ყ ვერ ძლებს ჭანურის ვერც ერთ კილოკავში, ყ^{>2} (ვი-

წურარქ., ხოფ.) ან $y > 0$ (ე.ი. კ-ც იკარგება ათინურში), მაგ. იხ.
გვ. 27-28: $y > 1 > \varrho > 0$

ხოფურში რამდენიმე მაგალითია შერჩენილი ასეთი კომპლექტ-
სებისა: ტყები „ტყები“, ჭყანტი, ჭოჭყოფი „ჭანჭრობი“, მუნჭყვი
„მაჩვი“, ჭინჭყვალა „შიგნეული“.

$y > 1$. 1 ბგერა ამომწურავად დაახასიათა აღ. ცაგარელმა.
მანვე შემოიღო ტექსტებში გრაფიკული ნიშანი 1 . ცაგარელი წერ-
და: 1 ბგერა ისეთივე წარმოშობისაა, როგორც ყ, ოღონდ პირველი
ამ უკანასკნელზე ნახევრად უფრო სუსტია რაოდენობრივად და
თვისისობრივად. სახელდობრ, ამ ბგერის (1) წარმოთქმისას არაა სა-
ჭირო ერთმანეთთან ძლიერად მიჭერა იმ ორგანოებისა, რომლებიც
მონაწილეობას იღებენ ამ ბგერის წარმოთქმაში: ენა ზევით ოწეს
და ოდნავ ეხება რბილი სასის ბოლოს. პაერნაკადი გადალახვს
რა ამ დაბრკოლებას, გადმოცემს 1 -ს, რომელიც სიმაღლით და
ხაგრძლივობით ნაკლებ ინტენსიურია, ვიდრე ყ. ამდენად, 1 მეგ-
რულში ყველა შემთხვევაში წარმოებულია ყ-სგან და მეორუეულია.
ცაგარელის მიხედვით, 1 არის ხორჩისმიერი ყრუ ნაპრალოვანი. ექ-
სპერიმენტული გამოკვლევებით დადასტურდა, რომ 1 ნაპრალოვანი
(სპირანტი) არაა (ს. უღენტი).

მეგრულში 1 დასტურდება ვ-ს (1) წინ: 1 ვანა, 1 ვილუა, 1 ვინთა-
ფი. ხმოვანთან და ვ სონორის წინ 1 -ს შენარჩუნებული აქვს 1 -
სგან მომდინარე მკვეთრობის თვისება, ეს იქიდან ჩანს, რომ I პი-
რის ნიშანი ვ ან მ კონტაქტური ასიმილაციით პ-დ იქცევა: დოპი-
ლი (< დოპ 1 ვილი < დოვევილი), მა პუნს (< $პ$ უნს<მუნს).

ჭანურში (ვიწურ-არქ., ათინ.) ზოგჯერ ყ იცვლება კ-დ:

ხოფური	ვიწურ-არქაბული	ათინური
ყვარი	კვარი	კვარი
ყვალი	კვალი	კვალი
ყვა	კვა	კა/ვა
ყვარერი	კვარერი	კვარერი

აგრეთვე ხოფური კიკილიკი (<„ყიყლიყო“).

რ ფონება კოლურში: ნ. მარმა და ო. ყიფშიძემ ყურადღება მიაქციეს რ-ს გაუჩინარებას მეგრულ-ჭანურში, ხოლო ჩიქობაგამ განსაკუთრებით აღნიშნა მისი დაკარგვის ფაქტი ხმოვნებსა და ს-ს წინ. ხოლო უღენტმა სპეციალური წერილი „უძღვნა „რ ფონება მეგრულ-ჭანურში“, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, XI2, 1941.

1) რ იკარგება მასობრივად ხმოვნებს შორის: გური „გული“, ჯიგეთ „ღვიძლი“, ბევ „ბავშვი“, ოხოთ „სახლი“, ნოსეი „ჭკვიანი“, ისთეეს „თამაშობს“, იბიეს „მძღერეს“, გაია „საჭმელი“.

მეგრულში შედარებით მტკიცეა რ: გური „გული“, უირი „ორი“, რე „არის“, წყარი „წყალი“...

მაგრამ დასტურდება მაგალითები რ-ს გაუჩინარებისა: (გარდა ბანბურ-მარტივილურისა); სხვაგან კი: მაჟია (<მაჟირა) „მეორე“, ჯგუა (<ჯგურა) „მსგავსი“.

2) რ უჩინარდება ს-ს წინ: იბგას (<იბგარს) „ტირის“, იბის (<იბირს) „მღერის“, ნოკის (<ნოკირს) „აბია“, ჩუმეს (<ჩუმერს) „იცავს, იცდის“, უწუმეს (<უწუმერს) „ეუნება“.

3) რ უჩინარდება სხვა სპირანტ თანხმოვანთა წინ (ღ, ხ, ფ): ოღაღალუ/ოღარღალუ „ლაპარაკი“, ბუღული/ბურღული „ღერღილი“, ღაღაღილი (=ღარღალიტა) ჯირკვლის ავადმყოფობა, წილუ (<წირღუ) ხორცმეტი, ოღირინუ „ღრენა“, ღოღანი (<ღორღანი) „საბანი“, ღოღუ (<ღორღუ) „მართალი“, ოხიხინუ (<ოხირხინუ) „ხარხარი“.

შდრ. მეგრ: ჭახალი (<ჭარხალი), ვეხი (=ვერხვი).

ჭან.: კეფი (<კერფი „კანაფი“), კაფი (<კარფი „ლურსმანი“), სუფა (<სუფრა).

4) რ მტკიცეა და არ იკარგება გაქ, ღტო, მწც, ჯჭჩ, ბპფ, მ-სთან: ბურგილი „მუხლი“, ბერგი „თოხი“, თურქი „თურქი“, ფარკა „კაბა“, კარდალა „ქვაბი“, ხორცი, სარფი, ქარბა „მუცელი“.

5) პირიქითაც ხდება: რ ჩნდება ხშელთა წინ: მარქვალი „კვერცხი“, ქარტო „ქერტლი“, მორგაბტუ „იგებდა“. მეგრ.: მარწვენი „მაწონი“, ჭირქა „ჭიქა“, ურცხო „უცხო“, არკვანი „აკვანი“. მეგრულში (არა ჭანურში!) რ ვითარდება ხშირად სპირანტების წინ: ქორსა „ქოსა“, ფირსა „ფისი“, ლაყურში „ლაყუჩი“, ჭირხინი „ჭიხვინი“, შხერშხინი „შუშხუნი“.

იშვიათად არის ჭანურშიც: სერსი „ხმა“ (<სესი), ირხი (<იხი „ქარი“).

ჭანურში რ ჩნდება კითხვითი ი-ს წინ, როცა სიტყვა ა/ე-ზე ბოლოვდება: იძლირი? „გაძეხი?“, იძიცი-რ-ი? „იცინე?“, „იცინი?“, იდი-რ-ი? „წახვდი?“, მა დომკითხირი? „მე მკითხე?“.

რ-ს ბუნება პალატოგრამული მეთოდით შეისწავლა ს. უღენ-ტმა და მისი გაუჩინარება ასე ახსნა: რ-ს გაუჩინარება ჭანურში ხმოვნებს შორის ან ხმოვანსა და სპირანტს შორის შედეგია ე.წ. ასიმილაციური ტენდენციისა. რ-ს დუნე არტიკულაცია ჭანურში შეერწყმება წინა მომდევნო ხმოვნის ან კიდევ წინა ხმოვნისა და მომდევნო სპირანტის არტიკულაციას. ამიტომაა იგი წარმოთქმაში დაჩრდილული. ნამდვილად კი ენობრივ ფსიქოლოგიაში იგი არსებობს პოტენციურად. ეს რომ ასეა, იქიდან ჩანს, რომ, თუ მთქმელს გავამეორებინებთ, იგი მას გააცნობიერებს და უთუოდ წარმოთქმაშს.

ლ ფონემა მეგრულში: ალ. ცაგარელმა და ი. ყიფშიძემ ხაზი გაუსვეს ლ-ს სირბილეს მეგრულში და მის პალატალურ ბუნებას. ამ ბერძაზე ო. ქაჯაიას სპეციალური სტატიაცაა: „ლ ფონემისათვის მეგრულის მარტვილურ-ბანბურ თქმაში“ (პედ. ინსტ. შრომები, III, 1956).

ლ-ს სილბო ყველაზე ძლიერია სენაკურში, მისი პალატალი-ზაცია განსაკუთრებით ძლიერია მარტვილურ-ბანბურ თქმაში, ისე ძლიერი, რომ თვისობრივად ახალ ბერძაში, ვ-ში ვადადის. მარტვილურ-ბანბურ თქმაში ლ, როგორც ფონემა, დღეს წარმოთქმაში არ არსებობს.

ა) **ლ>ღ** ხმოვნების წინ: ვაგვანი „ლაგვინი“, ვადირი „ნედლი“, ვაკვი „ლეკვი“, ვოგინი „ლოგინი“, ვურჯი „ლურჯი“, იებია/ებია „ლობიონ“, იეში/ეში „ნეშიი“.

ბ) **ლ>ღ** ხმოვანსა და თანხმოვანს შორის: ახადვაზდა „ახალ-გაზრდა“, ქომილსქეუ „გაჟიშვილი“, კამბახი „კალმახი“, შავვარი „შალვარი“. მაგრამ: ჩულქი, ხალხი (არამეგრ.).

გ) **ლ>ღ** თანხმოვანსა და ხმოვანს შორის: პიატოკი „ცხვირ-სახოცი“, ბაშიაფუ „ბაშლაყი“, ქიმდახვადუ „დახვდა“, მაგრამ: ღლამი, ქლიბი, ჭლექი (არამეგრ.).

დ) ხმოვნებს შორის **ლ>ღ** ან **ლ>0.**

ლ>զ: ქადაქი „ქალაქი“, აღონი „ალიონი“, ხვარუ „დაახველა“, მოდა „წამოდი“, გოდა „მთა“, ოდაგე „კიბე“, ღოდანს „აგეთებს“, კოვო „მძაღე“, ხოვო „კიდევ“, ოოვუა „თლა“, ჩიჩოვუა „დაფშვნა“, ხვაე/ხვადე „მარტო“.

ლ>0: ე. ვოკალიზაცია, ხმოვნებში შერწყმა. თუ კომპლექსის ერთ-ერთი წევრი ი არის:

ალი>აი: ძათ „თვალი“, წამაი „წამალი“, ქობაი „პური“, მარგაი „მეგრელი“, კაკაი „კაკალი, მარცვალი“...

ოლი>ოი: თოი „თოვლი“, ორკოი „დოქი“, ორზოი „საგზალი“, ქომოი „მამაკაცი“, მარჭიხოი „მერცხალი“...

ული>უი: უპუი „მერე, კვლავ“, მუმუი „მამალი“, ბირგუი „მუხლი“, დაღუი „დედალი“, ფუირი „მალული“, გოტებუი „გაშვებული“.

ელი>ეი: სქეი „სქელი“, თეი „ცოცხალი“, მენძეი „მთელი“, ორთუმეი „მასპინძელი“, ღურეი „სასთუმალი“, სოფეი „სოფელი“.

აქ კომპლექსის მეორე წევრი იყო ი, ახლა ვნახოთ პირველ წევრად ი:

ილა>ია: ჩიამური „ცრემლი“, კარდია „კიდობანი“, ხვიარი „ხვლიკი“, რკია „კივილი“, კია „კლიტე“, გიართუ „უგლის, უტრიალებს“.

ილო>ოი: სიოგინი „სულგუნი“, სადიობა „სადილობა“, იორი „ილორი“, ჩიო „ცოლად“, ცქაფიო „შექებულად“.

ილე>იე: კიე „მკლავი“, ვიქიე „იქით“, კიერი „დაკეტილი“, გინიეს „გადავიდნენ“.

ილი>იი: დინაფიი „დაკარგული“, რგიი „დარგული“, კიი „ნაკლი“, ჩიი „ცოლი“, ქვიშიი „ქვისლი“. მხოლოდ ილუ>დუ:

მინილუ „შევიდა“, დახვმილუ „დაახვედრა“, დოპილუნს „მომკლავს“.

დასკვნა: ლ ბერა დ-დ იქცევა ა, ო და უ ხმოვნებთან მეზობლობაში, ხოლო ე-სთან ან იკარგება, ან დ-ს იძლევა, ხოლო ი ხმოვანთან ყოველთვის დაკარგულია ლ.

ჭანურში სპორადულად არის ხმოვნებს შორის ლ-ს ვოკალიზაცია ($\text{ლ}>0$): ყაუზე ($<\text{ყალეფე}$) „ტოტი, რტო“, ჯაუზე ($<\text{ჯალეფე}$) „ხები“.

პირითაღი ფონეტიკური მოვლენები

პალატალიზაცია:

შუაენის (=ენის ზურგის შუა ნაწილის) მაგარი სასის მი-
მართ მოქმედების შედეგად მიღებულ ბერას ეძახიან პალატალურს
(ლათ. პალატუმ „სასა“, ფრანგ. პალატალ „სასისა“). ხმოვანთაგან
პალატალურია ე და ო (გერმ. ü über). ქართულში პალატალური
თანხმოვნები არ გვაქვს, თუ არ ჩავთვლით ნახევარხმოვან ღ-ს,
რომელიც მიჯნაზეა ხმოვანსა და თანხმოვანს შუა.

პალატალურის გარდა ენაში შეიძლება იყოს პალატალიზე-
ბული ბერები ანუ რბილი ბერები (პალატალურ ბერათა მეზობ-
ლობაში), მაგ. დ'ეტ'ი. აქ დ' და თ' რბილია (პალატალიზებულია),
რადგან ისინი პალატალურ (e, i) ბერების მეზობლობაში იძენენ
კოარტიკულაციის ბაზაზე მეორეულ (პალატალურ) არტიკულაცი-
ას; e და ი-ს სილბონ გადაედო მათ.

ქართულში პალატალიზდება ბაგისმიერი, წინაენისმიერი,
უკანაგრისმიერი თანხმოვნები. ამ შემთხვევაში თანხმოვანს ეძატება
შუაენის მოქმედება, როგორც მეორეული არტიკულაცია — თოტი-
სებური არტიკულაცია. ხმოვნებიც პალატალიზდება, ამის ნიმუშია
გერმანული უძლაუტი Hand-Hände, a-ს ჰირველად არტიკულაციას
მიემატა ი-სებრივი არტიკულაცია.

ქართულისგან განსხვავებით, კოლხურში გვაქვს პალატალური
რ, ლ და ჟ თანხმოვნები. პალატალიზაცია ისე ძლიერია კოლხურ-
ში, რომ ბერები საგრძნობლად იცვლიან ელფერს და თვისობრივად
ახალ ბერაში გადადიან. რ და ლ იძლევა ღ-ს ამავე პალატალიზა-
ციის საფუძვლზე. ათინურში გ ქ კ (უკანაენისმიერი) ხშულები
ენანუნისმიერ შიშინა აფრიკატებად ქცეულან (ჯ ჩ ჭ) — იხ. გვ. 31.

საფიქრებელია, კოლხურის კილოკავებში უ/ი-ს მონაცვლეობა
(ჭკუდი/ჭკიდი) პალატალიზაციის საფუძვლზე იყოს მომხდარი.
ამას სპეციალური შესწავლა სჭირდება.

რ და ლ-ს თოტიზაციაზე იხ. გვ. 55-57.

„ლ“, მეგრულის მსგავსად, ჭანურშიც პალატალურია, თუ
მას გამოთქმაში მოსდევს ღ: მონჭვაქ კლიუხუმს „კრუხი კრუხუ-
ნებს“, ნალია „სასიმინდე“, დუღია „საქმე“, შილია „ათასი“...

წინამავალი თანხმოვნის ოტიზაციაზე მიუთითებს დ მაგალითებში: პდატი კოჩი „ცუდი ქაცი“, ჭოურჭა „ჭინჭრაქა“, დიქვანი (აქ დ და ქ-ც პალატალურია), ასევე: თმობნი „თუთუნი“.

ჟ რომ პალატალურია, ცხადია, რადგან იგი მოდის ვ-საგან: ჟური (<იური „ორი“, შდრ. სვან. ღორი). ჭანურში ნ. მარსა და ს. ჟღენტს დადასტურებული აქვთ ფურ კაპიკი „ორი კაპიკი“. წანა ფური ქოდოდვითუ – ორ წელს დარჩა.

ჟერინე (<იერინე თურქ. „ნაცვლად“): პე ბიჭი ქოდოსქიდუ ნოლამისაშ ჟერინე „ის ბიჭი დარჩა დედოფლის ნაცვლად“. ჩიქობავას აქვს შენიშვნა: მეჯომჩუ/მეომჩუ „დამწყევლა“, აქ ვ>ჟ.

ლობჯა (ათინური) (<ლობჟა<ლობდა).

ვ>ჟ-ზე ფურადება გაამახვილა გ. აზვლედიანმა: ვჟარები (<ვიარები), ჟარე (<იარე), შდრ. იაკობია→დაკობია→ჟაკობია→ჯაკობია.

პალატალიზდება გ პ ქ, სანამ ის აფრიკატად გადაიქცეოდეს (ქ ჭ ჩ). პალატალიზებულია: გი, კი, ქი.

გვ: ქოგონჯირუ „ჩააწვინა“, გორწკედუ „დახედა“, ქოგოჭ-კუ „დაწყო“, გვარი „საჭმელი“, გოუსტუ „დაუსხლტდა“, გვან-თხუ „დაეცა“, გვატკვაცუ „დაეცა“, გიელინი „რძალი“.

ქვ: ხეზტექია „მსახური“, ქორი „ბრმა“, ქოუმე „ჯანჯუხა“, ქიურქი „ქურქი“, პრასქა „პრასა“, ჰექია „ზღაპარი“, შური ქიემიზთუ-და „სული ამომხდაო“, დუქდანი „დუქანი“, ქოქი „ფესვა“.

კვ: კიეტი „ჯოხი“, კიაფუ „ტურა“.

იოტიზაცია ათინურში ისე ძლიერია, რომ გ პ ქ ახალ ბგერას ძძლევა (ჯ ჭ ჩ). იხ. გვ. 31.

ლაბიო-ველარიზაცია:

ველარულობა ნიშნავს ენის ზურგის უკანა ნაწილის ძოქმედებას რბილი სასის ფარდის მიმართ. (ლათ. ველუმ „ფარდა“). აკუსტიკურად ველარული ბგერები მაგარია, ველარული ნიშნავს „რბილსასისმიერს“.

ქართულში ველარულია ო და უ და თანხმოვნები: გ პ ქ ლ ხ.

არის ველარიზებული ბგერები: ბუ, ღო, ზურგი. აქ ბ, დ, ზ ველარიზებულია იმის გამო, რომ თითოეულმა მათგანმა კოარტიკულაციის საფუძველზე შეიძინა მომდევნო ხმოვნების ველარულო-

ბა (უგანა ენის აწევა რბილი სასისაკენ), როგორც მეორეული არტიკულაცია.

ქართველურ ენებში დღესაც არის ლაბიალური კომპლექსები: თანხმ. + ვ = ძვალი, თვალი, ტვინი, ძარღვი.

იყო თუ არა ისტორიულად ქართველურ ენებში ლაბიალიზებული კომპლექსი? იუშმანოვის აზრით, ქართველურ ენებში ისტორიულად უნდა ყოფილიყო ლაბიალიზებული ბგერები (გი, ქი, კი, ძი...), ასეთი ბგერები შემდეგ დაშლილა ორ ფონემად და ამ გზით ჩამოყალიბებულა ამჟამად არსებული კომპლექსები: თანხმ + ვ: გი>გვ, ცი>ცვ... გ. როგავს აზრით: ეს ასე არაა, რაც იქიდან ჩანს, რომ ა) ლაბიალიზებული ბგერები ასასიათებს აფხაზურ-ადილურ ენებს, სადაც შეიძჩნევა ლაბიალიზებული ფონემის მოშლა ორი გზით: I. დელაბიალიზაცია, ბაგისმიერი ელემენტის გაუჩინარება. II. ლაბიალიზებული ბგერის შერწყმა ერთ ბგერად. აფხაზური *ცი-ბა > ფ-ბა „ექვსი“. ლაბიალიზებული თანხმოვნების ორ შემადგრელ ფონემად დაშლა და ორივე ელემენტის შემონაზვის შემთხვევები არ დასტურდება ამ ენებში.

ბ) დღევანდელ ვითარებაში ქართველურ ენებში ყველა თანხმოვანი შეიძლება შედიოდეს ლაბიალურ კომპლექსში: დვ, თვ, ტვ, ძვ, ცვ, წვ, ჯვ, ჩვ, ჭვ, ხვ... გამოდის, რომ უნდა გვქონოდა ყველა ხშულისა და სპირანტის სათანადო ლაბიალიზებული ვარიანტი, რაც არა სარწმუნო.

ს. უღევნტის აზრით, ქართველურ ენებს უნდა ჰქონოდათ ლაბიალიზებული თანხმოვნები: „ძველ ქართულში უმარცვლო î, როცა იგი სპირანტებთან და ხშულებთან გვაქვს დადასტურებული, უნდა მიუთითებდეს წინამავალი თანხმოვნის ლაბიალობაზე“ (იხ. მისი „ლაბიალიზებულ თანხმოვანთა საკითხისათვის ქართველურ ენებში“, ენიმკის მოამბე, X, 1941, გვ. 185). მაგალითად მოყვანილია: ზაკუვა, კუმევა, ყუავილი, გუელი... მაგრამ î (უმარცვლო) არ შეიძლება ყოფილიყო: 1) რ, ლ, ნ-სონ: რვალი, რვა, ბევრი, სურვილი, სწავლა, სივლტოლა, ყინვა, მძხვარე, ვნება, 2) ხმოვნებს შორის: მკევალი, ტკივილი, ახოვანი, მრავალი, თავი, ყოვლი, 3) თავკიდურად ან პრეფიქსად: ველი, ვინ, ვჭამ, 4) მასდარის სუფიქსი: კითხვა, ზრახვა, მარხვა, 5) ნარედუქციალ ფუძეში: დევ/იდვა, შევ/შვილი.

გ. როგავას აზრით, ისტორიულად არ გვქონია ლაბიალიზებული თანხმოვნები: თანხმ. + უ. იყო ორი ბგერისგან შედგენილი კომპლექსი, რაც ბგერობრივ უფრო ახლოს იდგა ლაბიალიზებულ თანხმოვნებთან, ვინემ თანხმ. + ვ.

ძველ ქართულში რომ ტ-ს წინამავალი თანხმოვანი არ შეიძლება ყოფილიყო ლაბიალიზებული, იქიდან ჩანს, რომ ტ-ს წინ შეიძლება ყოფილიყო ყველა წინა და უკანაენისმიერი ხშული და სპირანტი: მინდურის, თუალი, მტუერი, მუალი, ცუარი, წუელი, ჯუარი, ჩუენ, სამშტუალი, ზუარაკი, სუელი, ეჟუანი, შუენის, გუამი, ქუაბი, კუალი, ღუაწლი, ხუავი, ყუარება.

ისმის კითხვა: თანხ. + ტ იყო თუ არა დამოუკიდებელი ბგერის კომპლექსი, თუ აქ ერთი ბგერა გვაქვს, ლაბიალიზებული ფონება, არსებითად განსხვავებული არალაბიალიზებულისგან? მაგ. ძალი. ბ დამოუკიდებელი ფონებაა: ძევს, ძოვს. ტ-ც დამოუკიდებელი ბგერაა, რაც სხვა პოზიციაში უ ასოთი აღინიშნებოდა: უნდა, კუდი, უდაბნო.

ტ (წყვილბაგისმიერი სპირანტი) უნდა გვქონოდა დამოუკიდებელ ფონებად ძველ ქართულში.

ძველ სალიტერატურო ქართულში ვ ასოთი აღინიშნებოდა ორი ფონება: 1) წყვილბაგისმიერი ვ (=ტ) სიტყვებში: ვალ, ვედ, თავ. აქ ვ > ტ სხვა პოზიციაში: ვალ, ხუალ, წარვედ, წარხუედ.

ვესავი//ზუესავი (<ვხუესავთ>), შეხუაბთ (<შეხვაბთ<შევხაბთ>), თავ-ი/თვ-ისი>თ¼ისი (/თისის).

2) კბილბაგისმიერობისკენ გადახრილი ბგერა ვ, რომელიც შედის ზმნურ სუფიქსებში: კლავს, დაუტევა, სახელებში: ქვა, საზღვარი, ქართველი, ხვალე, ყველი, ზრახვა, რისხვა. ასევე ძველი ქართულის ვ მეორეული ფონება უნდა ყოფილიყო და უნდა მომდინარეობდეს ლ-სონორისაგან. გარკვეულ პოზიციაში ძველ ქართულში ლ>ვ: ტ-ევ (დაუტევა)<*ტ-ელ(ნ. მარი), ჭან.-მეგრ. დომიტ-ალ, წყ-ევ (<წყელ, ჭან.-მეგრ. ჭყელ>). ე.ი. ძველ ქართულში ორი ლაბიალური კომპლექსია: თანხმ. + ტ და თანხმ. + ვ. ამათგან I უფრო ძველია, II – გვიანდელი.

კოლხურში ლაბიალური კომპლექსები სუსტადაა წარმოდგენილი, მაგრამ მაინც არის:

ჯი: ჯეში „ძველი“, ჯებე (საკუთარი სახელი).

ჭე: ჭერი „ჭკვიანი“, ჭტი/ჭვიტი „დაზუჭვა“, ჭიათანს „წვეთავს“.

ქი: სქიამი „ლამაზი“, აქიანი „აკვანი“.

ხი: ხიათ „ხვავი“.

გი: გერი „გველი“.

ლაბიოველარიზაციით ჯ-ს უჩნდება გ: ჯ>ჯგ: უჯგუ „ჯობია“, ჯგიჯგიტია „ჯინჭველა“.

ჩ>ჩქ: ჩქიმი „ჩემი“, ჩქიჩქუ „ჩვილი ბავშვი“, უჩქუ „იცის“.

ჭ>ჭქ: ჭკადუნს „ჭედავს“, ჭკომუნს „ჭამს“, ჭკირუნს „ჭრის“.

ასიმილაცია:

ი. ყიფშიძემ სპეციალურად შეისწავლა მეგრულში ასიმილაციის წესი ქართულთან შეპირისპირებით და წერდა: „ძველ ქართულში, რომელიც მწერლობითა და მაშისადამე, რამდენადმე ხელოვნური ენაა, მოჩანს ასიმილატორული ტენდენციების წინააღმდეგი მიღრეკილება, რომ დაცული იქნას მწყობრი და ბროლივით წმინდა მორთოლოგიური და ეტიმოლოგიური სტრუქტურა ენისა; მეგრულში კი, რომელიც სალიტერატურო ენა არ არის, პირიქით, უპირატესობა ეძლევა ფონეტიკურ დასაბამს, რომელიც არ არის შემოზღუდული არავითარი პირობითი მწიგნობრული საგრამატიკო კანონით. მაგრამ ძველ ქართულ ენაშიც (ახალ ქართულზე რომ აღარა ვთქვათ რა) ამოჩქეფს ხოლმე აქა-იქ ეს მძლავრი ასიმილატორული ნაკადული.“

ასიმილაცია მეტ-ნაკლებად კოლხურის ყველა კილოკავს ახასიათებს. საერთოდ ფონეტიკური პროცესებიდან ყველაზე ძლიერია ასიმილაციის პროცესები და კერძოდ, პრევერბისეულ ხმოვანთა ასიმილაცია ხოფურში, შედარებით სუსტია ვიწურ-არქაბულში და კიდევ უფრო სუსტია ათინურში. ხოფურის გაგრძელებას ამ შხრივ მეგრული წარმოადგენს. აქ პრევერბისეული ხმოვანი თითქმის ყოველთვის ემსგავსება ზმნის ფუძისეულ ხმოვანს (გამონაკლისია სამურზაფანული: ვუწევი „ვუთხარი“).

პრევერბისეული ხმოვნის ფუძისეულთან შეხვედრისას ასიმილაცია რეგრესულია (როგორც ქართველურ ენებშია ეს).

ასიმილაცია სრულიცაა და ნაწილობრივიც: პირველ შემთხვევაში ორი ხმოვნიდან ერთი გვრჩება, მაგ. ო+ი > ი. ეს ი არაა გრძელი, ამიტომ იქნებ გვეფიქრა, რომ ერთი ხმოვანი (ო) დაიკარგა. მაგრამ ეს რომ ასე არაა, იქიდან ჩანს, რომ გვაქვს ნაწილობრივი ასიმილაცია, მეორეცაა და ხმოვნის დაკარგვა ჭანურში მომდევნო ხმოვანს ახასიათებს.

ხმოვანთა სრული ასიმილაცია:

ა+უ>უ: გოწუღუ (<გოწაუღუ>) „გამოართვა“, გამუჯოხუ „გამოუძახა“, მენდაუღუ „წაუღო“, ქოგამუღუ „გამოუღო“.

ა+ო>ო: მენდოჩქუ (<მენდაიჩქუ>) „გააგზავნა“, ქომეშოხუნეენან (<ქომეშაოხუნეენან>) „ჩაუსვამთ“.

ა+ი>ი: მენდიღუ (<მენდაიღუ>) „წაიღო“, ქეშიონა (<ქეშაიონუ>) „ამოიყვანა“, ელიკათუ (<ელაიკათუ>, „წაიყოლია“).

ე+თ>თ: გიქთუ (<გეექთუ>) „წაიქცა“, ქოგიღგუ (<ქოგეიღგუ>) „დაიღვა“.

ო+ი>ი: დინჯირუ (<დოინჯირუ>) „დაწვა“, დიძიცუ „გაიცინა“, ქოდიქჩუ (<ქოდოიქჩუ>) „დაიჭირა ხელში“, დიძლუ „გაძლა“...

ო+უ>უ: დუწუ (<დოუწუ>) „უთხრა“, დოჯოხუ „დაუძახა“, მულუნ (<მოულუნ>) „მოდის“, ქუჩქინ (<ქოუჩქინ>) „იცის“, ოხუშქუ „აუშვა“. მეგრ. მუჩუ (<მოუჩუ>) „მომცა“. სამურზაყანულში უასიმილაციო ფორმებია: გამკოუტახი „მოუტეხა“, მოურს „მოდის“, ვადოუტებუ „არ დაუტოვება“, ქოუსქუდუ ხოვი „ება ხარი“ (მ. ციკლია).

ო+ო>ო: ქოდიღგინი (<ქოდიღგინი>) „გააჩერე“, ქოდოგურუ „ასწავლა“, დოლოწკედუ „ჩახედ“ (<დოლოოწკედუ>), გოწოვიდეს (<გოწოვიდეს>) „ჩამოვიდეს“, დოშლეთინუ „იხსნა“, დოლონჭუ „ჩაუშვა, ჩაყო“...

ო+ე>ე: ქეისელუ (<ქოეისელუ>) „ადგა“, ქეშახთუ (<ქოეშახთუ>) „ამოვიდა“, ქეშიერუ „ამოიღო“.

ო+ა>ა: ქამაფთი (<ქოამაფთი>) „ამოვედი“, ვა მაღერდინუ (ვა მოაღერდინუ) „ვერ მომატეუა“, ქოგანწკუ თოლი „აახილა თვალი“ (<ქოგოანწკუ>).

ხმოვანთა ნაწილობრივი ასიმილაცია:

ო+ა>ე: გუიქთუ (*<გოიქთუ*) „დაბრუნდა“, ქამუიწკუ (*<ქო-მოიწკო*) „გაიხადა“, მუიზდუ „მოსწია“, გუიტუ „დადიოდა“, მუინ-ჭერენ (*<მოინჭერენ*) „მოწეულა, მომწიფებულა“.

ა-ს წინ პრევერბისეულმა ო-მ შეიძლება ასიმილაცია განიცა-დოს და ვ-დ იქცეს (გ. ახლოედიანით, ო→ვ სუბსტიტუცია):

ო+ა>ვა: დვაჭუ (*<დოაჭუ*) „დაეწვა“, ქოდოლვაქიტეს (*<ქო-დოლოაქიტეს*) „გადაეხვივნენ“, ოკაკიდეს (*<ოკოაკიდეს*) „წაეკიდ-ნენ, წაიჩხუბნენ“, დვალოდუ (*<დოალოდუ*) „დაემართა“, დვაფისუ (*<დოაფისუ*) „დასვარა“...

ე+ო>ღო: ქოგოჭეს (*<ქოგეოჭეს*) „დაიწყეს“, გოობუნ „კი-დია“, გოოლუ „დაახტა“, გაჯინუ „დააწვა“, გოოთუნ (*<გეოთუნ*) „ახურავს“, ქოგოხუნუ „დასვა“...

ე+უ>ღუ: ქოუხთუ (*<ქოუხთუ*) „ამოუვიდა“, ღულუნ (*<ეუ-ლუნ*) „მოდის“, ქოუჭოფუ (*<ქოუჭოფუ*) „უყიდა“, „აუღო“.

ე+ა>და: ქოგაკნუ (*<ქოგაკნუ*) „ხელში ეცა“, გათხოზუ (*<გეათხოზუ*) „გაეკიდა“, ეგზდუ (ეგზდუ „ზიდა“=სწევს), ქოგაგე-რეტუ „დაჩვეოდა“.

ხმოვანთა დისტანციური ასიმილაცია: წინა მარცვლის ო მომდევნო მარცვლის უ-ს ემსგავსება: ქაგუწულუ (*<ქოგოწულუ*) „გამოართვა“, ღულუნქინუ (*<დოლუნქინუ<დოლოუნქინუ*) „ტანსაც-მელი“, გულულუ (*<გოლულუ<გოლაულუ*) „გაუარა“.

წინა მარცვლის ე მომდევნო მარცვლის ი-ს იმსგავსებს:

მინდილი (*<მენდილი<მენდაილი*) „წაიღე“, მინდიყონეს (*<მენ-დიყონეს<მენდაიყონეს*) „წაიყვანეს“, იწიწკედუ (*<ეწიწკედუ<ეწაწწ-კედუ*) „აიზედა“.

უასიმილაციობა:

1) იშვიათად ჭინურში პრევერბისეული ხმოვანი უცვლელა-დაა წარმოდგენილი ფუძისეული ხმოვნის წინ: ვა(რ) დაიჯერუ „არ დაიჯერა“, ქოგეიონეს „ჩამოიყვანეს“, ქუდი ქოგეითვუ „ქუდი დაიხურა“, ქეუჭოფი „გამოართვი“, მოიკიდუ „მოიკიდა“, ქომოიწ-კეს „გაიხადეს“.

2) ხმოვანთა შორის S₁ ვ-ს დაკარგვის შემდეგ ასიმილაცია არ ხდება: გოულუთ (*<გოულუთ*) „დავდივართ“, ქეუჭოფი (*<ქე-უჭოფი*) „გუყიდე“, მეოჭკირი „დაგკალი“, დოლოუტკოჩი „ჩავუგ-დე“.

ჩიქობავა: „პრევერბისეულ ხმოვანთა ასიმილაცია იმდენად ცვლის ზმნის გარეგნობას, რომ ერთი შეხედვით ზმნის ამოცნობა ჭირს: ქიგაგუ (ქოგაიგუ) „შეეგუა“.

მეგრულშიც არის ხმოვანთა ასიმილაცია: ამბა (ამბე-ამბე-ამბარ-ამბავი). ასეა: ნათესა „ნათესავი“, საფულა „საფლავი“, კარა „კარავი“.

კითხვითი ნაწილაკი იცვლება ასიმილაციით. მო ორე (<მუ ორე) „რა არის“.

უარყოფითი ნაწილაკი: ვე გიოხე, ვე ნგარა (<ვა გიოხე, ვა ინგარა) „არ ამჩნევია/აჩნია“, „არ იტირო“. ვედა (<ვა იდა) „არ წახვიდე“, მიღეული (<მიღაიღი) „წაიღე“, გებხარი (გაბხარი) „გავიხარე“.

მეგრ. მეესი (<მეისი<მაისი), სენი (<სეენი<სეინი<საინი).

თანხმოვანთა ასიმილაცია: საინტერესოა ის ფაქტი, რომ ასიმილაცია მეგრულ-ჭანურში ცალკე სიტყვების საზღვრებს შორის ხდება (I სიტყვის ბოლო და მომდევნოს დასაწყისი). ორი სიტყვის შესაყარზე ასიმილაცია განსაკუთრებით ახასიათებს ჭანურს, კერძოდ, ვიწურ-არქაბულსა და ათინურს: მა ვიტ კოჩ დოპილუმ „მე ათ კაცს მოვკლავ“ (ტ მივიღეთ კ-ს გავლენით). „ჰეგ რენ-ი?“ „იქ არის?“ (ჯგ) „ბაბაგ დო ნანაქ“ „მამამ და დედამ“, „ნეკნაზ გამახ-თეზ დო“ „კარში გამოვიდნენ“, „მოდ მებჩი“ „რატომ მივცი“.

2) ვ ამჟღერებს წინა სიტყვის ბოლო ყრუფშვინვიერს: ნა მოხთეზ დერიშეკელე დოქთეს „რომ მოვიდნენ, იმ ადგილისაკნ გააბრუნეს“, „თიზ დობლამან“ „თავზე შეაყრიან“.

სხვათა სიტყვის ნაწილაკის („ია“–„და“) ვ ამჟღერებს წინა-თანხმოვანს:

ქომოხთაზ-და „მოვიდესო“, უწვეზ-და „უთხრესო“, ქოძირაზ-და „ნახოსო“, არ ნჯაზ-და „ერთ ხესო“, ჰაგ-და „აქო“, ჰად-და (<ჰათ-და).

3) პირის ნიშნის ან მიცემითი ბრუნვის -ს მჟღერდება ზ-დ, თუ მას მოსდევს „დო“, „ნა“:

ჰეშო ვეზ დო „ისე გააკეთეს“, სესი ოგნეზ დო „ხმა გაიგონეს“, ჯებიზ ნა უღუტეს „ჯიბეში რომ ჰქონდათ“, თოლიზ ნა „თვალში რომ“, ოფუტეზნა „სოფელს რომ“.

თანხმოვანთა რეგრესული ასიმილაციის ნიმუშს იძლევა S₁ ნიშანი ვ/პ:

ვ>ბ მუდერ თანხმოვანთა წინ ასიმილაციით: ბგორუჟ „ვე-ძებ“, ებზდიფ „ავილებ“, ბზოპონ „ვაბბობ“, მეგრ. ღებგვიანე „და-ვაგვიანე“, დიბგარი „დავიტირე“, მა ბლოლი „მე ვქენი“.

ვ>ფ ყრუ ფშვინვიერთა წინ: მოფთი „მოვედი“, ფშვი „დავ-ლიე“, ვთქვი „ვთქვი“, ფჩუმერ „ველოლები“, გეფთა „ჩავიდე“, მეგრ. ფქიმინი „ვქენი“, პატიი ქოფცი „პატივი ვეცი“.

ვ>პ მკვეთრების წინ: პჭოფი „დავიჭირე“, მა პწილი „მე ვკრიფე“, დოლოპტკოჩი „ჩავაგდე“, პკითხი „ვკითხე“, „ოკო იპი-დე“ მეგრ. „უნდა ვიყიდო“.

მეგრულში 0₁ ნიშანი მ-ც იმავე ვარიანტებს იძლევა, როგორც ვ (S₁): ბგარუნს „მტირის“, ბლანძლუნს „მლანძლავს“, ფთხორუუნს „მასაფლავებს“, ფთხუენს „მთხოვს“, მოპკითხუ „მომ-კითხა“, მეპკვათუ „მომჭრა“, მოპილუ „მომყიდა“ ...

ხმოვანთა ასიმილაცია ძლიერია განსაკუთრებით ხოფურში.

კყოროპტი „გყვარობდი“, ეპჭოფი „წაგიყვან“, კყვილამინან „მოგკლავ“, ქჩუმელან „გელოლებიან“, ოსთერაპტუ „ათამაშებდ“, ყოროპტუ „ყვარობდა“, იჩალიშეპტუ „მუშაობდა“, კაროცხუპტუ „ითვლიდა“, იქიპტეს „აკეთებდნენ“. არის ასეთიც: ოპტომობილი „ავტომობილი“, პიჭკოპა „პირჩალბა წოლა“.

რეგრესული ასიმილაცია ხდება მოთხ. ბრუნვაში: დუთ-ქ (<დუდ-ქ>) „თავმა“, ხოჩ-ქ (ხოჯ-ქ) „ხარმა“.

ასიმილაციის საფუძვლზე ნ ენაცვლება რ-ს წინაენისმიერ ხშულთა წინ: „დღეს“, ვინდღა (<ვითდღა>) „ათი დღე“.

ნ. მარს აქ ნ განვითარებული ეგონა უ/ი ხმოვნების შემდეგ დ-ს წინ, მაგრამ ი. ყიფშიძემ სწორად ახსნა, რომ ნ ენაცვლება რ-ს, რომელიც გამოწვეულია დ-ს მიერ რეგრესული ასიმილაციის ძალითო.

დისტანციური რეგრესული ასიმილაცია: საპატონი „შაბათი“, პუტუჯი (<ბუტკუჯი>) „ფუტკარი“, ტეპიკე (<დეპიკე>) „წუთი“, უწიემენან (<უწიუმელან>) „ეუბნებიან“.

მეგრ. წაწიბელი (<საწებელი>), ხაცეცი (<ხათეცი>) „პატარძა-ლი“, სუსთი (<სუსტი>).

პროგრესული ასიმილაცია: ქაშხა (<ბჟაშ დღა) „კვირა (მზის დღე)“, თუთაშხა „ორშაბათი (მთვარის დღე)“, ცაშხა/ ჩაჩხა „ხუთშაბათი (ცის დღე)“.

ბაგისმიერი თანხმოვანთა გავლენა ხმოვნებზე: ბაგისმიერი ბ, მ მოქმედებენ ხმოვნებზე ასიმილაციის წესით. მეგრ.: ღუმუ, შდრ. ქართ.: ღომი, ჭან.: ღუმი. მომდევნო მ-ს გავლენით ო>უ (დავიწ-როვდა).

თუმა (<თომა), ასიმილირებული „თუმა“ (თმა) დასტურდება ზუგდიდურ-სამურზაყანულში.

სენაკური: თხომუ>თხუმუ „თხმელა“ (ზუგდ.-სამურზაყ.), ქო-თომი>ქოთუმე (ჭან.) „ქათამი“.

ხომაფა>ხუმაფა „ხმობა“, ბოზომოთა>ბოზუმოთა „შეილიშვილი“, გომაჩამუ (<გამაჩამუ) „გაყიდვა“, მებობარ (<მებებარი), მოკობიწკი ტუფელი (<მოკაბიწკი) „მოვიხსენი თოფი“, ტუბუ (<ტობუ) „თბილი“.

დისიმილაცია:

კოლხურში დისიმილაცია საკმაოდ გავრცელებული პროცესია. დისიმილაციას განსაკუთრებული ადგილი აქვს მეგრულის ყველა კილოკამზი და ჭანურის მხოლოდ ხოფურ კილოკავში: ვიწურ-არქაბულსა და ათინურში სადაურობის აღმნიშვნელი სუფიქ-სები დისიმილაციას არ განიცდიან: ოლჭარი და ალქაბური „არჭელი და არქაბელი“, ღურური „მცვდარი“, მორდერი „მოზრდილი“, დინცხირარი „სისხლიანი“, მცორარი „გავცრი“, ოხრასურე „მული“.

ი. ყიფშიძემ დაადგინა, რომ მეგრულში სიტყვის ფუძეში ორი რ ვერ ძლებს და პროგრესული დისიმილაციის საფუძველზე მომდევნო რ იქცევა ლ-დ: ილიფელი (<ირიფერი) „ყველაფერი“, ონჯლორე ლე (<ონჯლორე რე(ნ)) „სირცხვილი არის“, ჯვიში ლე (შდრ. ჯვილი საქმე ლე) „კარგი საქმე არის“, კვათილი ლე „დაჭრილია“. ასევე მოსდის სადაურობის სუფიქსს: ურ>ულ (თუ ფუძე-ში რ არის): ხოლგული (<ხორგური „ხორგული“), ქოლოული „ქართული“, აჭარული „აჭარული“... მაგრამ ორი რ-ს დისიმილა-

ციას ადგილი არა აქვს, თუ მათ შორის სონორი ლ მოექცა: მარტვილური, მარგალური...

იშვიათადაა ვიწურ-არქაბულსა და ათინურში დისიმილაცია: ღურელი „მკვდარი“, მგაინელი „ნამტირალევი“, მონდრიკელი „მოღუნული“, ოხრასულე „მული“.

ხოფურში კი იშვიათია უდისიმილაციო ფორმები: ღურელი „მკვდარი“, მელირელი „მილირილი“, მორდელი „მოზრდილი“, ჩხვარელი „დაცენვილი“, მეჭკიელი „მოჭრილი“ (<მეჭკირელი<მეჭკირერი). აქედან ჩანს, რომ დისიმილაცია წინ უსწრებს რ-ს დაკარგვას ხმოვნებს შორის, მის ვოკალიზაციას. ასეთია: შქუინელი „შეშინებული“, უგვაელი „უჭმელი“, უფაელი „უფულო“, მგაინელი „ნამტირალევი“...

ხოფურში საყურადღებოა შემდეგი: თუ ფუძეში რ არის, თურმეობითი I-ის მაწარმოებელ ერეს წინ მთელი მარცვალი -ელ ჩაერთვის: ქოდინჯირელერენ „დაწოლილა“, ქანოჭკირელერენ „დაუკლავს“, იმგარელერენ „უტირია“, ინჯირელერენ „უძინია“, პჭარელერე „დამიწერია“. რაა ეს -ელ? ჩიქობავა: -ერ მიმღეობის მაწარმოებელია, მაგრამ რაღაა -ელ? -ერ-ის ვარიანტი? რით აისწება მათი ერთად ხმარება? კითხვა ღიად რჩება, რადგან ფაქტობრივი მასალა (ტექსტები) ჯერ ამის საშუალებას არ იძლევა.

ს. უღელტი: -ელ არ იქნება -ერ-ის ვარიანტი. ასე რომ იყოს, მაშინ -ელ უნდა გვქონოდა ისეთ ზმნებთანაც, რომელთაც ფუძეში რ არა აქვთ. მაგრამ ეს ასე არაა. თუ ზმნას ფუძეში რ არა აქვს, ეს -ელ არ ჩნდება: იგზალერენ „წასულა“, ქმახთერენ „შესულა“, კითხეენ „უკითხავს“, იდენ „წასულა“... ირკვევა, რომ -ელ ფონეტიკური ჩანართია. რადგან ხოფურს ახასიათებს პროგრესული დისიმილაცია, ამდენად -ერ სუფიქსი უნდა ქცეულიყო ელ-ად: ბჭარელ-ე „დამიწერია“, ბძირ-ელ-ე „დამინახავს“. მაგრამ ხოფურმა სხვა გზა აირჩია: მორფოლოგიური ელემენტისეული რ-ს დისიმილაცია არ მოახდინა, როცა ფუძეშიც რ ჰქონდა და ელ მარცვალი ჩაურთო, რითაც ფუძეში ორი რ გაანეიტრალა და დისიმილაციაც აიცდინა (შდრ. ქართლური). ხოფურს ამ შემთხვევაში არ შექძლო მარტო ლ ჩაერთო, რადგან მას სრულხმოვნობა ახასიათებს და მარცვალი ისეთი ხმოვნით ჩადო, როგორც ერ სუფიქსშია.

ცხვირისმიერ ბგერათა დისიმილაცია: უღურან (<უღუნან) „რომ აქვთ“, მეგრ. ობალე (<ომბალო), ანბე (<ამბე) „ამბავი“. არის სხვა სახის დისიმილაცია: ნეკლა (<ნეკნა), ლიშანი (<ნიშანი), ეპნა (<ნეკნა, აქ დისიმილაციური დაკარგვაა).

ზშულთა კომპლექსების დისიმილაციის დროს I ხშული რეარესული დისიმილაციით იქცევა სპირანტად (შდრ. XTO<КТО, ДОКТОР>ДОХТ(У)ОР, ТРАХТОР.. – ეს წესი კიტერმანმა აღნიშნა რუსულში). ასეთი დისიმილაცია ახასიათებს ჭანურს, განსაკუთრებით ათინურს:

ქც>ხც: ქცაფერი>/ხცაფერი „დამპალი“, ცქუმუტური//ცხუ-მუტური „ზღმარტლი“.

ქჩ>ჩჩ: ქჩე/ხჩე, ხჩე>ჩჩ (დისიმილაციური დაკარგვა) „თეთრი“, ქჩინი/ხჩინი „მოხუცი ქალი“, ვახთი (<ვაქთი<თურქ. vakti) „დრო“.

ჩქ>შქ: ნანა შქიმი „დედა ჩემი“, შქუნი/ჩქუნი „ჩვენი“, მიშქუ „ვიცი“, ხაშქეუმან „თესებ“.

ჭკ>შკ: ოშკომალე ოშკომეს „საჭმელი ჭამეს“, ლემშკვა „ნერწყვა“ (<ლემჭკვა>)/ლემჭვა (ამ უკანასკნელში ჭკ>ჭ, ე.ო. მოხდა დისიმილაციური დაკარგვა).

ჩანს, რომ ათინური ორ გზას მიმართავს, რომ ხშულთა კომპლექსის წარმოოთქმა გაადვილოს: I. პირველი კომპონენტის გასპირანტება (ჭკ>შკ) ან II. პროგრესული დისიმილაციური დაკარგვა (ჭკ>ჭ). ამიტომაა, რომ გვაქვს:

ჭკ>ჭ: ჭონი (<ჭკონი) „მუხა“, მჯეში (მჭეში) „მწყემსი“, გომიჭონდუ „დამავიწყდა“.

წკ>წ: წარი „წყალი“, მაწინდი „ბეჭედი“, ოწედი „შეხედე“, გონწუ „გაალო“.

ტქ>ტ: ტები „ტყავი“, ოტოჩი „გადააგდე“, მტური კატუ „ტყოური კატა“ (<მტკური „ტყოური“).

ჭანურს ახასიათებს სპეციფიკური ფონეტიკური მოვლენა: რეგრესული და პროგრესული დისიმილაციური გამკვეთრება ანუ აბრუპტივიზაცია:

1) რეგრესული დისიმილაციური გამკვეთრება: იჭბალი (<ივ-ბალი ართაშენული) „იღბალი“, იქზალუ „წავიდა“, პაზარიშა იდუ „ბაზარში წავიდა“ (შდრ. დაბნევა>დაპნევა), პრინჯი (ბრინჯი),

საპრი (მოთმინება), კაზეთა (გაზეთი), კაზდალი (<გაზდალ „ნავთი“), კალაში (გალაში „ჩრდ. ქარი“), კუნდი (გუნდი „განაგალი“), მეგრ. ტურინი (<დურინი), პილავი (<ფილავი „ფლავი“), მაპუზალი „ბოლოქანქალა“, პატი (<ბიათ თურქ. „ცუდი“), ქოწირუ (<ქოძირუ), წიგვა (<ძიქვა, ჭან. „ნიფხავი“), ტოქსერი (<დოქსერი, „გუშინწინ“), დოკაჩუ (<დოქაჩუ „დაიჭირა“), ჭერგეზი (<ჩერექეზი), ჭუვალი (<ჩუვალი „ტომარა“), ჭაგუჭი (<ჩაქუჩი), მეგრ. ჭიჭილაკი (<ჩიჩილაკი), კარწიმალი (ჭან.) < ქარციმალი „ნისლი“. მეგრ.: ცქიცქონი/წკიწკონი, გვიგვილი/გვიგვილი „ნის ხვიხვილი“, დგურდგინი/ტკურტკინი „ბევრის გაფრენა“, დგვარდგვაი/ტკვარტკვარი, ჭან. პაპუწი (<ფაბუჩ თურქ. ქალის ფეხსაცმელი), კუკუმა (<გულმ თურქ. „სურა“), პაპახი (<ფაფახი) „ფაფახი, ქუდი“, კატა (<კათთა „ყოველი“ „კატა ნდღას“). ვით-ის (ათი) ო მკეთრდება 10-დან 20-მდე ნაწარმოებ რიცხვით სახელებში: ვიტვარ „თერთმეტი“, ვიტოჟურ „თორმეტი“...

6. მარით, რიცხვით სახელში ტ (ვიტვარ) მიღებულია თ+დ შერწყმის გზით თ+დ>ტ.

ვით-დო-არ > ვიტვარ. ს. ჟლენტით კი: ვით დო არ > ვით ო არ > ვიტოთ არ > ვიტორ (ე.ი. ჯერ ასიმილაცია, შემდეგ დისიმილაციური გამკვეთრება).

2) პროგრესული დისიმილაციური გამკვეთრება:

სქესკ: სკანი „შენი“, სკირი (<სქირი „შვილი“), მეგრ. სქი//სკირი (გაბესკირია, პაპასკირი, წულეისკირი), ჭან. მსკიბუ „წისქვილი“.

შქ>შქ: შქა/შგა (ჭან.) „წელი“, ლეშგი/ლეშქი „ბაგე“, აშკურინუ (ჭან.) „შეეშინდა“, შკუჩჩქუ: შკუ სუმ ჯუმა ბორთითუ „ჩვენ სამი მშა ვიყუთით“.

სთ>სტ: ვისტოლი „ვისროლე“, ვისტერტით „ვთამაშობდით“, ნოსტონებ „გემრიელი“, კოჩისტერი „პაცივით“.

ხთ>ხტ: ქიმოხტეუა „მოვიდა“, ვახტის „დროზე“.

სხვა სახის, მაგ.: ბექჭი (<ბექჩი, თურქ. „მცველი“), რაბოჭი (<рабочий), რაბოჭი ჩქიმი „ჩქიმი მუშა“, მციკა-მციკა „ცოტ-ცოტა“ (<მციქა), არარანწი (<არარანცი<არარანბი) (ლიმონის ჯიშია), ოხორწა (<ოხორძა, „ქალი დიასახლისი“), ათინურშია ხოწი (<ხორცი), არაპი//არაპი, შარაპი/შარაპი „ღვინო“, საათი/საატი,

რახათი/რახატი: რახატ-რახატი სქიდეს „ნელ-ნელა ცხოვრობდნენ“, მემედი/მემეტი, ახმედ/ახმეტ, ღაჭო (<ღაუო>) (ჩიტია, რომლითაც მიმინოს იჭერენ), ზავოტი (<ზავოდი>) “завод”, მეგრ. ღერღეტი (<ღერღედი „ბატი“), ალერტი (<ალავერდი>).

რა არის აბრუპტიზაციის საფუძველი? ე. ზივერსს წიგნში „ფონეტიკის საფუძვლები“ („Grundzüge der Phonetik“) ასეთი საფურადღებო აზრი აქვს გამოთქმული:

ხშულთა კომპლექსებში (ვთქვათ, ქართ: სქ>სკ, შქ>შკ, სთ>სტ...) წინამავალ სპირანტს სჭირდება ჰაერისა და წარმოთქმის ენერგიის იძდენად დიდი რაოდენობა, რომ მომდევნო ხშული მხოლოდ ჰაერის ნახევარი რაოდენობით და სიძლიერით წარმოითქმის“. ე.ი. ათინურსა და ვიწურ-არქაბულში წინამავალი სპირანტები ართმევენ რა მომდევნო ხშულებს ჰაერნაკადს დიდი რაოდენობით, ამიტომ ეს ხშულები (მომდევნო) უსუნთქველ ანუ მკვეთრ ბგერებად იქცევიან.

აღსანიშნავია, რომ არის სპონტანური ხასიათის გამკვეთრების შემთხვევა: უწყვეტლის მაწარმოებელია -ტ ჭანურში, ხოლო ქართულსა და მეგრულში დ (დ>ტ). ჭარუმტუ „წერდა“, ზუმუმტუ „ზომავდა“...

დისიმილაციური ღეზაფრიკატიზაცია იხ. ღეზაფრიკატიზაციასთან.

აფრიკატიზაცია:

ჟ>ჯ: ჯურ (ათინ. „ორი“), ჯურნებ „ორმოცი“, მანჯურა „მეორე“ (ათინურშია).

ჯინ (<უნი> ქორბა ონ „ზევით მუცელია“, მ-ჯოლი „მული“ ესეც ათინურშია.

მეგრ. ჯინოსქუა (<უინო სქუა) „აზნაური“, მ-ჯა (<მუა/ბუა) „რძე“ – ათინ.

მჯორა (<მუორა) „მზე“, მჯვაბუ (<უვაბუ) „გომბეშო“, კიჯინა დოლოქაჩეს „ყიუინა დააყარეს“.

ზ>ბ: ბაბუნი (<ზაბუნი) „ავადყოფი“, მეგ. ძახალი (<მზახალი), მეგრ. ვებირი (<ვეზირი), მეგრ. ბაძარი (<ბაზარი), მეგრ. (ზენწარი) > ძენწარი, (მზოღა>) ძეღა (ჭან.) „ზღვა“.

დ>ჯ: მეგრულის ჯვარულ თქმაში, ცაგარელის ცნობით, დასტურდება: ჯო „და“ (კაგშირი), ჯუჯი „თავი“, რაგაჯი „ლაპარაკი“, უბეჯური „უბედური“, ნაცვლად: დო, დუდი, რაგადი, უბე-დური ფორმებისა.

ყიფშიძის ტექსტებში: რაგაჯანცს, უბეჯური, ენა ვა ჯევჯერ, ჯო „ეს არ დაიჯერა და“...

ყიფშიძის მოპყავს: ჯუჯელია, ჯუჯელია! ჩქიმ მამული ზარგელია, შხვაში მამული ფურცელია „...ჩქიმი მამული სავსეა (დატვირთულია), სხვისი მამული – ფოთოლივითაა“. „დუდელია, დუ-დელია“ (თავთავი!)... ყიფშიძის აქ ჯ თავდაპირველი ეგონა, მაგრამ პირიქითაა: დ>ჯ. ეს რომ ასეა, ჩანს:

მეგრ. გუდუ>გუჯუ (შდრ. გუდავა), მეგრ. დახე>ჯახე, ხინჯი (<ხილი), ქართ. ღერლედი, ჭან. ღორლოვი, მეგრ. ღორლონჯი.

ალ. ცაგარელით, ჯი (მეგრული მიმღეობის მაწარმოებელი) მოღის ღი-სგან (ქებადი, ქმნადი, დაბადებადი), მეგრ. ნარენჯი „ნამყოფი“, მარენჯი „მარებელი“, მახენჯი „ქურდი“, ლურენჯი „მძინარე“.

შ>ჩ: ჩხაძი (ხოფ. „შხაძი“), მჩხუ „მსხვილი“ (შდრ. შხუ მეგრ.), ჩქვა (<შხვა(მ.) <სხვა).

ჭან.: ბექჩხა „მზის ღღე, კვირა“, ჯუმაჩხა „ოთხშაბათი“, იყინაჩხა „საშშაბათი“, თუთაჩხა „მთვარის ღღე, ორშაბათი“. მეგრულში შ-ს აფრიკატიზაცია არ ხდება: ჟაშხა, თუთაშხა...

შკ>ჭკ: უწუ ჭკულე „რომ უთხრა იმის შემდეგ“ (<უწუშკულე), არ საატიჭკულე „ერთი საათის შემდეგ“. ასეა ეს ხოფურში! იშვიათია ვიწუ-არქქბულში. ხოფურში იშვიათად არის: საათიშკულე „საათის შემდეგ“.

ვ. თოფურიამ გაარკვია, რომ მეგრ. წკალა / წკლა / წკუმას წ და ჭანური ჭკულეს („შემდეგ“) ჭ მიღებოდა ნათ. ბრუნვის შ-საგან მომდევნო მკვეთრ ჭ-სთან შეხვედრის გამო. მსგავსია ქვემოიმერულში. ტყიწყენ (<ტყისკენ), ამეიყვანოწყენ (<ამეიყვანოსკენ).

საინტერესოა ამ მხრივ ათინური ოხორიჭკიურა „ქალი“, რომელიც მიღებულია: ოხორიშკიურა-სგან („ოხორი“+კიურა ბერძნ. „სახლის ქლობატონი“), სარფულში ს. უღენტი აღასტურებს: დიჭყაფი (<დიშკაფი, თურქ. „ჭიშკარი“).

ს>ც: არქაბულშია: ცქანი „შენი“, ცქანდე (**<სქანდე „შენგან“**), ცხული (მ-სხალი), ოცხონი (სხვენი), ლი-ცხ-ირი (სი-სხლი), თერციშე (თერსიშე თურქ. ters „მარცხენა“).

ზუგდიდურ-სამურზაყანულში მიც. ბრ. – ს და S₃ ს > ც:

კოც „კაცს“, მინდორც „მინდორს“, ქორწანცია „თუ გწამსო“, რაგადანც „ლაპარაკობს“...

მეგრ. ანკეცი „ანგესი“, საკვეცი „საკვესი“, ცურუ „სურო“.

ათინურს ახასიათებს უკანაენისმიერთა აფრიკატიზაცია: გ-პ-ქ → ჯ-ჭ-ჩ. იხ. გვ. 31.

დეზაფრიკატიზაცია:

გ. როგავამ სპეციალურად შეისწავლა ეს საკითხი („დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციის ერთი სახეობა ზანურში“, თსუ შრ., XXXB-XXXIB, 1947). აღნიშნავენ, რომ რიგ შემთხვევაში ქართ. რ-ს შესატყვისება მეგრ. ჯ: პირი/პიჯი, მხარი/ხუჯი, ხარი/ხოჯი, ყური/უჯი, ფური/ფუჯი, ქმარი/ქომოჯი... (ა. ცაგარელი).

ასეთი შესატყვისობა დასტურდება მხოლოდ აფიქსებში: ხ-არ/ხ-ან (ხნავს). ხ-ოჯ/ხ-ონ: ასეთ შემთხვევაში ივარაუდება ერთი და იმავე მასალის ფონეტიკური ვარიანტები. მაგრამ არის შემთხვევა, როცა ქართ. რ-ს შესატყვისად მეგრულში ჯ-ს პარალელურად დ-ცა: ცხვირი=ჩხვინდი/ჩხვინჯი, მწერი=ჭანდი/ჭანჯი. ასეთ შემთხვევაში ჯ>დ მიღებულია დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციით (ი. ყიფშიძე).

ზანურში პირუკუ პროცესიცაა დ>ჯ (ე.ი. დ-ს აფრიკატიზაცია: ხინჯი<ხიდი, ღორღოჯი<ღორღოდი). აფრიკატიზაცია საქრთო მოვლენაა კოლხურისა და სხვა ენებში, მაგრამ ჯ-ს დეზაფრიკატიზაციაა მხოლოდ კოლხურში, განსაკუთრებით მეგრულში. ჯ-ს დეზაფრიკატიზაცია, გ. როგავას დაკვირვებით, სპონტანური ხასათის არ უნდა იყოს, იგი დისიმილაციის ერთი სახე არისო. „ირკვევა, რომ მეგრულში ჯ მჟღერი შიშინა აფრიკატი გადადის დ ბგერაში მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა სიტყვის ძირი შეიცავს რომელსამე ყრუ აფრიკატს ჩ, ჭ, ც, წ-ს ანდა ყრუ წინაენისმიერ სპირანტს ს, შ-ც“.

მეგრ. ჩხვინდი/ჩხინდი (<ჩხვ-ინჯ-ი შდრ. ცხვ-ირი).

მეგრ. ჭანდი (<ჭანჯი „მწერი“. მეგრ. ჭანჯი/ჭანდი, ჭანურში კი ერთი სახეა „ჭაჯი“.

მეგრ. ჭკუდი (<ჭკუჯი = ქართ. ჭურ, ვ. თოფურია).

ეს მოვლენა დასტურდება ნათლად მიმღეობებში.

მეგრ. მაჩამინდა (<მაჩამინჯა „მკბენარა“).

ურჩქ-ენდი (<ურჩქნენჯი „უცოდინარი“).

ჭყორ-ინდ-ა (<ჭყორ-ინჯ-ა „მწყრალი“).

ცუნდი-ი (<ცუნჯი „ცვარი“) იხმარება: სუნდი/სუნჯი.

წვანდ-ი (<წვანჯ-ი „წვერი“).

ორცხონ-დ-ი (<ორცხონ-ჯი „სავარცხელი“).

ცხენ-ენდ-ი (<ცხენ-ენჯ-ი „ცხენოსანი“).

მოშვანდა (<მო-შვანჯა „მოსვენება“. მეგრულში არის აგრეთვე: მოსვანჯა).

ისინდი (<ის-ინჯ-ი „ის-არ-ი“. ამოსავალი ზანურისა: *ისო-ჯი „ისარი“.

სინდა/სინჯა „სიძე“.

წაქვინდი/წაქვინჯი (სოფელია ზუგდიდის რაიონში).

წენდიხა/წენჯიხა (<წალენჯიხა. ყიფშიძით: წალენჯიხა<ჭალენჯიხა „ჭანის ციხე“, ჩიქობავათი: „წალენ“ ქვემო, ე.ო. „ქვემო ციხე“).

თუ წინამავალი აფრიკატი ან სპირატი მჟღერია, დეზაფრი-კატიზაცია არ გვექნება: ჯინჯი „ძირი“. ქართული „ძერას“ მეგრული შესატყვესი უნდა იყოს შემონახული გურულში: ჯაჯე „ძერა“ (გვარი: ჯავანიძე...). მეგრ. ჯგუნჯეგი „სარი“, მეგრ. ზოვუა „პრძანება“, „ჯაჭვი“ და არა *დაჭვი¹, ჯარწუფა „მწიუე“, ჯაშქვინდუ „მახრჩობელა ხე“, ჯიშთი „ძეველი თოვლი მთაში“.

ეს პროცესი თავისებური ჩანს: 1) დისიმილაციურ დეზაფრი-კატიზაციას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა დისიმილატორი ყრუ ბგერაა, დისიმილირებული კი მჟღერია. ჩვეულებრივ კი დისი-მილაცია ხდება, როცა სიტყვაში ორი ერთნაირი ბგერა გვაქვს. 2) არსებითი მნიშვნელობა აქვს ადგილს: დისიმილატორი წინამა-

¹ „დაჭვი“ დასტურდება სამურზაყანულში – შენიშვნა რ. აბაშიასი.

ვალი ბგერაა, დისიმილირებული – მომდევნო. დისიმილირდება მარტო ჯ და ამავე რიგის ჩ, ჭ ბგერები – არა!

ამ წესით ზოგჯერ უძველესი ფუძის აღდგენა შეიძლება ზა-ნურში: მეგრ. წინდა „ჭუჭყი“ შესატყვისია ქართ. წვირე-სი. ამდე-ნად, პირველი სახე მეგრულში უნდა იყოს წვი(ნ)ჯა (წვ-ინჯ-ა //ქართ. წვ-ირ-ე, სადაც ირ/იჯ აფიქსებია).

დეზაფრიკატიზაციის სხვა მაგალითები:

ძ>ზ: ქოვზირი „ვნაზე“, ქოზირუ „იპოვა“, ოზორზა/ოხორძა „ქალი“, ბუზი/ბუძი „ძუძუ“, ორზო/ორძო „სკამი“, ურზენი/ყურძე-ნი.

მეგრ. ნუზუ/ნუძუ „ნაძვი“, ნეძი/ნეზი „ნიგოზი“ (ათინ.), ბორ-ზალი (<ბოძალი „ისარი“), მიარზუ (შეაძლია), ლვეზილი/ლვეზელი (<ლვეძელი), ლერძი/ლერზი „ლერძი“.

ათინურშიც ჩქ, ჭკ კომპლექსები დისიმილაციით დეზაფრიკა-ტიზაციას განიცდიან.

ჩქ>შქ: შქიმი „ჩემი“, მიშქუ „ვიცი“, ხაშქუმან „თესავენ“...

ჭკ>შკ: ოშკომალე „საჭმელი“, ლემშკვა „ნერწყვი“. იხ. გვ.70.

სუბსტიტუცია:

ანუ ბგერათხანაცვლება არაა კანონზომიერი ფონეტიკური განვითარების შედეგი, იგია ბგერის ერთბაში, „შემთხვევითი“, სპო-რადული ცვლილება ენაში. ერთგვარი კანონზომიერება, რომელსაც ადგილი აქვს ასეთ ბგერათშეცვლაში, ისაა, რომ ერთმანეთის შეც-ვლა შეუძლიათ მხოლოდ ისეთ ბგერებს, რომლებიც წააგვანან ერ-თმანეთს უმთავრესად აკუსტიკურად. ამდენად, ეს მოვლენა უმთავ-რესად აკუსტიკურია (გ. აზვლედიანი).

სუბსტიტუციის მრავალ მაგალითს იძლევა კოლხური. მას ადგილი აქვს როგორც არტიკულაციურად მონათესავე სიტყვებში, ისე არტიკულაციურად განსხვავებულ ბგერებში.

ა) არტიკულაციურად მონათესავე ბგერათა სუბსტიტუცია:

მ/ნ: ნანა ნიშის უწვეს, ათინ. „დედამისს უთხრეს“, ოხოეფე ნიშიშე იგზალეს „წავიდნენ თავიანთ სახლებში“, ანკათა (<ამკათა, „ასეთი“), ანბე „ამბავი“, მეგრულში ნ-ს ჩაენაცვლება -მ: თუთუმი (<თუთუნი).

მ/ბ: მუა>ბუა „რძე“, ომგარინუ>ობგარინუ „ტირილი“, ჯამაყა-
ყი „ხის ბაყაყი“.

მეგრ.: ნაბეჭანი (<ნამეტანი), ბზითი (<მზითვი).

მ/ვ: უქვი დღა (<უქმე), „უქმე დღე“, მეგრ. ღლამი (<ღლა-
ვი), ნაღმელი (<ნაღველი).

ბ/ვ: ჯაბრი (<ჯავრი), მეგრ. კელებერი (<კელავერი „ძროხის
ბეჭისქვეშა სამწვადე ხორცი“) მეგრ. ტკვილი (<ტბილი).

ს/შ: შქასერი/სქასერი „შუაღამე“.

ბ) არტიკულაციურად განსხვავებულ ბეგრათა სუბსტიტუცია:

ტ/კ: „ნეკნას ნოტანკუ“ (<ნოკანკუ „დაუკაკუნა“), მეგრ.
ღვინტაფი/ღვინკაფი „ჭყვირილი“, ჭან. ბეტმეზი/ბექმეზი „ტბილი
ღვინო“, ჭან. ოტპუსტი „შვებულება“.

ნ/ბ: მეგრ. ანჯარი (<აბჯარი).

ჭ/ღ: მეგრ. ჭურჭული//ღურჭული „ჭიგჭიგი“.

ღ/ყ: ყუა/ღუა (ათინ.), კუა (ვიწურ-არქაბ.) „შებლი“, ნისა-
ლა/ნისაყა „მმის ცოლები ერთმანეთის მიმართ“.

ღ/კ: დაშიღი (ящიკ), ტაპიღი (<ტაბიკი), კაპიღი „კაპიკი“,
ეშეღი (თურქ. esek შეღ. რუს. ешак), ფამბუღი (<ფამბუკ „ბამ-
ბა“).

რ/გ: მეგრ. ღორზამა/ჭან. ოგზაფუ; მეგრ. არდება (<აგდება),
ორზოლი „საგზალი“, აგრეთვე O₂ ნიშანი გ>რ: რხანტუნს, რკით-
ხუ...

ნ/რ: გინძე/გირძე.

მეტათეზისი:

მეტათეზისი განსაკუთრებით ახასიათებს მეგრულს: ობრი
(<ორბი), ორქო (<ოქრო), ფირქი (<ფიქრი), მართახი (<მათრახი),
პრიველი (<პირველი), რჟიალი, რშიალი (<ურიალი, შრიალი),
რჭელი (<ჭრელი), ებრო (<ერბო), რგილი/რვიი (<გრილი), მარ-
დობა (<მადლობა), არზი (<აზრი), ვარჭუა (<ვაჭრუა), რხიალი
(<ხრიალი).

ჩანს, გადასმა ძირითადად რ ბეგრას მოსდის, როგორც ნარნა-
რას. გადასმა ხდება სხვა ბეგრისაც:

ლ: ბოლქომი (<ბოქლომი).

ნ: წინგი (<წიგნი).

ვ (S₁ ნიშანი): იბდე ოქო (<ვიდე ოქო) „წავთდე უნდა“, იფ-ჩხუბათ (<ვიჩხუბოთ), იბძიცანქ (<ვიძიცანქ) „ვიცინი“.

აქედან ცხადია, რომ მეტათეზისი მოსდის ნარნარა ბგერებს.

ჭანურში უფრო იშვიათია მეტათეზის:

კირბი (<კიბირი) „რბილი“, ქურსი (<ქუსლი), ლაუზტი „სი-მინდი“ (<ლაზუტი), ჭიქმარი „ჭიშკარი“ (<ჭიშკარი), ქრა (<რქა), სურფა (<სუფრა), ჩხვიკი (<ჩხიკვი), ფურქი „ყვავილი“ (<ფუქი-რი).

მეგრული ხშირად სრულხმოვნობის დასაცავად ადგილს გა-დაუნაცვლებს ხმოვანსა და თანხმოვანს ერთად.

ქირსიანი (<ქრისტიანი), ბედინერი (<ბედნიერი), ბერწული „ბროწეული“ (<ბრეწოული).

რედუქცია:

რედუქცია კოლხურს ნაკლებ ახასიათებს. იგი თავიდანვე სუსტი უნდა ყოფილიყო კოლხურში, რისი შედეგიცაა სრულხმოვ-ნობა. სრულხმოვნობა, რომელიც ფუძის უკუმშველობას გამოხა-ტავს, ძველი ვითარების მაჩვენებელია, ვიდრე ქართულის შეკუმ-შული ფუძეები.

შდრ. ქართ. ძმა (ჯიმა), თაფლი (თოფური), (შე)კრება (კო-რობუა) და სხვა.

რედუქცია სუსტია დასავლურ კილოებში (ქართულისა), ვიდრე აღმოსავლურში (ა. შანიძე). ამ შემთხვევაში კოლხურის გავლენას არ გამორიცხავენ. მიუხედავად ამისა, რედუქცია მაინც გვაქს კოლხურში.

მეგრულში, როცა რთულ ზმნისწინს წინ დაერთვის ქო/ქი//ქ, დადასტურებითი ნაწილაკი, მაშინ ზმნისწინის ხმოვნის ამოღება ხდება რთულ ზმნისწინებთან: მითა, მითი, მითო, მილა, მიღე, გინა, გიმა, მიმო, მინა, მიგო, მიკა, გიღე, გინო. ამ ზმნის-წინთა ი ხმოვანი რედუქციით გადადის , -ში, ან ღ-ში (ე.ი. იკარგე-ბა) ყველა სერიაში. ქი-მთანთხორანს (<ქი-მითანთხორანს „შეთ-ხრის“), ქიგლეტუ (<ქიგლეტუ) „მიატოვა“, ქიმაშქუ (<ქიმიაშქუ)

„გამოატარა“, ქიმიკორუ (*<ქიმიკიხორუ*) „(გვერდით) დასახლდა“...

სამურზაყანულში ეს პროცესი უფრო ძლიერია. სამურზაყანელი მეგრელი ამბობს: თხორნა „თხრიან“, ჭარნა „წერენ“, ხონა „ხნავენ“ (მ. ციკოლია), რედუქციის მიზეზია მომდევნო ა (<ან) სუფიქსი. სამურზაყანულში რედუცირდება: ჭუბრა (*<ჭუბურა*, „წაბლა საქონელს ეძახიან“), ოხაკლე (*<ოხარკალე*, „სანაყი ქვა“), უკლაში (*<უკულაში*), ოჭმარე (*<ოჭუმარე*) „დილა“, უკახლე (*<უკახალე*) „უკანას“, წოხლე (*<წოხოლე*) „წინ“, ხუმლა (*<ხომულა*) „ხმელი“, მასმა (*<მასუმა*) „მესამე“, მაჟრა „მეორე“...

სამურზაყანულში ქართულიდან ნასესხები სიტყვებიც რედუცირდება: თავისფალი/თავისუფალი, ხენწ/ცუე (ხელმწიფე), შობლება (შვებულება), კარდლა (კარდალა), ამბლატორია (ამბულატორია), წიწლა (წიწილა), სააპრაციო „საოპერაციო“. ასეა საკუთარ სახელებში: გერასმე, იზდორე (*<ისიდორე*), კირლე, სპირდონი.

ჭანურში რედუქცია უფრო ხშირია, ვიდრე მეგრულში. თხ<თუხ: ჭან. დოთხუ (*<მეგ. დოთუხუ*) „დაართო“, ათინურშია ჭუბრი (*<ჭუბური*) „წაბლი“, წიფრი (*<წიფური*) „წიფელი“, ჭიბრი/კიბრი „კბილი“, ლუქნა (*<ლუქუნა*, ხოუ „თაფლის სანთელი“), ოხრასულე (*<ოხორასულე*) „ცოლის და“.

ჭანურში ჩვეულებრივ „თოფური“-ა „თაფლი“, მაგრამ გვაქვს „თოფრი“-ც: ჰეშო „ისე“, ლოცა/ლოფა „ტბილი“, ნე დაღი ტუ „არც ერბო იყო“, ნე თოფრი „არც თაფლი“ (ჩიქ. II, 86,8).

ა. ჩიქობავას შედარებით ლექსიკონში დასახელებული მაგალითები:

ქართ. რეც.: კოლხ. ოჩ: რეცვა/სარუცელი, შდრ. ოჩ-აფა. ოჩ<რაჩ. ქართ. რეცხ-ვა: მეგრ. ოჩხ-უალა: ოჩხუნს(მ.), ჩხიფს(ჭ.). ოჩხ<რაჩხ „რეცხავს“.

ქართ. ციქუ/მოციქ-ული: კოლხ. ჩქვ / მიდაჩქუ.

ქართ. ა-ზიდ-ა: მეგრ.-ჭან. ე-ზდ-უ (შდრ. მეგრ. ე-ზინდ-უ).

ჩანს, ჭანურში უფრო ხშირია რედუქცია, ვიდრე მეგრულში.

ბგერათა დაკარგვა:

რ და ლ-ს დაკარგვაზე იხ. გვ. 55-58.

კოლხურში, ქართულის მსგავსად, იკარგება ვ ბგერა: მეგრ. საჩიარი (საჩივარი), მეგრ. გირგინი (<გვირგვინი), ჭან. რაგი (<რაგვი) „ხაფანგი, კაკანათი“, ჭან. ჩხინდი (<ჩხვინდი) „ცხვირი“, ჭან. ლაკი (<ლაკვი) „ლეკვი“, ჭან. მუნჩქი/მუნჩხი/მუნჭყი (=<მუნჩვი) „მაჩვი“.

ჭან. მ-ჭიმა, მეგრ. ჭვიმა (ქართ. წვიმა).

ჭან. აში/ანში „ექესი“, შდრ. მეგრ. აშშვი. მეგრ. ტანჯა (<ტანჯვა).

მეგრ. იანარი (<იანვარი), მეგრ. ცოდა (<ცოდვა), ჯარი (<ჯავრი), ჭან. ტეტელი (<ტიტელი).

ს ბგერის დართვა ხდება მიც. ბრუნვაში და ფუძის ბოლო თანხმოვანი (ტ, დ, ო, ჯ, ნჯ, ჩ) იკარგება. ეს აღნიშნული აქვს ი. ყიფშიძეს:

დუს (<დუდს) „თავს“, ჭკის (<ჭკიდს) „მჭადს“, ღორონს (<ღორონთს) „ღმერთს“, ხოს (<ხოჯს) „ხარს“, ქომონს (<ქომნჯს) „ქმარს“, კოს (<კოჩს) „კაცს“, მეს (<მეტს), ზოთონს (<ზოთონჯს) „ზამთარს“, ღეს (<ღეჯს) „ღორს“, ტორონს „მტრედს“. ს იკარგება (ს3 და მიც. ბრ.) ართაშენულში: კოჩი წარი შუდ „პაცი წყალი სეამს“ (=წარის შუმს), მჭიდ „წვიმს“, ჯა (=>ჯას) ფავრი ქონჩად „ხეს ფოთოლი ასხია“.

გ იკარგვის ჭანურში: იზალუ (<იგზალუ) „წავიდა“, ღოიტენე (<ღოგიტენე) „ღაგიტოვებდე“.

ღ იკარგვის: ნოსი (<ღონსი) „ჭკუა“, უნოსე „უჭკუო“, ომან (<ღომან) „გუშინ“.

ბ იკარგვის: სარალო (<საბრალო), ზაკალი (<ბზაკალი), ჟაშხა (<ბჟაშხა) „პვირა“.

იკარგვის დ, მ, თ: იახ (<დიახ), დია (<დიდა) „დედა“, მუა (<მუმა) „მამა“, მ: რგვალი, თავრობა, ხიარული, თავარი, ტყუანი, ღილარი;

თინა>ინა „ის“, არ დღას (ართ დღას) „ერთ დღეს“;

სტ>ს: სუმარი (<სტუმარი), დასურო (<დასტურო), სუდენტი;

შტ>შ: შერი (<შტერი);

ხ: თეიშა (<თეიშახ) „მანამდე, იქამდე“;

სწრატ: წორი (<სწორი).

მარცვალიც კი იკარგება: სინთე (<სინათლე), ჭა ხანს (<ჭიჭეხანს) „ცოტა ხანს“, ჭე მოლართი (<ჭიჭე მოლართი) „ცოტა წამოდი“.

ბეგრის დაკარგვა სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში. ეს პირ-ველ რიგში ეხება ნ-ს: რე, ხე, (რენ, ხენ „არის, ზის“), რენა (<რენან) „არიან“, ხენა (<ხენან) „სხედან“, მაგრამ, თუ ნ-ს ხმოვნი დაერთო, იგი არ დაიკარგება: რენო? „არის?“, რენანო? „არიან?“, ხენო? „ზის?“...

მეგრულ წარმოთქმაში ნ ეკარგება საკუთარ სახელებს: დარჯა (<დარეჯან), იულო (<იულონ), ლევა (<ლევან), ანტო (<ანტონ), სამსო (<სამსონ).

გვარების თა დაბოლოება მიღებულია ნ-ს დაკარგვით (იან>ია): დადია (<დადიანი), ლიპარტია (<ლიპარტიანი), რატია (<რატიანი). ასევე ვა<ვან: ფალავა, გალდავა (<ფალავან...) (ს. ჯანაშია).

ჭანურს ნაკლებად ახასიათებს ნ-ს დაკარგვა, მაგრამ მაინც ხდება. ხოფურში ნ ნაკლებად იკარგება, ხოლო ვიწ.-არქაბულში და ათინურში მეტად.

ხოფური	ვიწურ-არქაბული	ათინური	
მან	მა	მა	„მე“
სინ	სი	სი	„შენ“
ჩქინ	ჩქუნ//ჩქუ	შქუ	„ჩენ“
თქვან	თქვან//თქვა	თქვა	„თქვენ“

ასევე, ხოფურში დაშორებითი ბრუნვის დაბოლოება არ კარგავს ნ-ს (-შე), არც მოქმ. ბრ. – თენ: ფენჯერეშენ „ფანჯრიდან“, ხინჯიშენ „ხიდიდან“, ბაჯაშენ „ბუხრიდან“. ბიგათენ დოზაპეს „ჯოზით სცემეს“. მაგრამ ვიწურ-არქაბულში ნ იკვეცება (ხოფურ-შიც: ნოდაშე „ნოლიდან“, ოდაშე „ოთახიდან“, დაჩხითე „ცეც-ხლით“, ჩხომითე „თევზით“).

ასეა ნააორისტალ თურმეობითთან ვიწურ-არქაბულში: ტეს-დორე (ტესდორენ „ყოფილან“), თქუდორენ „უთქვამთ“, იგზალუ-დორენ „წასულან“, დუჯოხუდორე „დაუძახია“.

მეგრულში კი ნ სხვაგან იკარგება: პირობითი I, II-ის მაწარ-მოებელი -კონ-ის ნ (>კო): კორდიკო „ვყოფილიყავი“, უნ (>უ) „ზევით“.

ლ-ს დაკარგვა სიტყვის აბსოლუტურ ბოლოს ხშირია მეგ-რულ-ჭანურში, მაგრამ საკმარისია დაერთოს ახალი ხმოვნით დაწ-ყებული მარცვალი, რომ ლ აღდგეს: ჯა/ჯალეფ-ი/ე „ხე/ხები“, და/დალ-ეფ-ი/ე „და/დები“, თხა / თხალეფე/ი „თხა/თხები“.

ასეთია სიტყვები: ჯიმა „მმა“, ქრა/ქა „რქა“, სიჯა/სინჯა „სიძე“, შეა „შუა“, ტყა „ტყე“, ლიდა „ლედა“, მუმა „მამა“, ღვა „ლოყა“, სქუა „შვილი“, ძგა „ძგიდე“, თუ „გოჭი“, ჩხოუ „ძროხა“, ა „ყელი/რტო“.

ბგერათა განვითარება:

ჭანურისგან განსხვავებით, მეგრულს მიღრეკილება აქვს სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში დაურთოს ე.წ. „პარაზიტული“ ხმოვანი: ო, , ან ო/უ „უწუ ქომონც, ჩილქ,“ (უთხრა ქმარს ცოლმა), „დოვდუბეს დიოდე ჩხურუქუ დო უკული სინჩხექი“ (დაგვდუბა ჯერ სიცივემ და მერე სიცხემ), „გააკეთეს,“ (გააკე-თეს), „მთელ სოფელსი ნოჩქვე“ (მთელ სოფელს სცოდნია).

ო/უ „პარაზიტული“ ათინურს ახასიათებს: მოისელესო „ად-გნენ“, მენდახთესუ „წავიდნენ“, მუ გაღოდესუ „რა დაგემართათ“, უღუნო „აქვს“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კოლხურში ქართულთან საერთო ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვები, რომლებშიც ჯ, ჩ, ჭ, მ(ს), (დ) უცვლელადაა წარმოდგენილი, ამ ბგერებთან ივი-თარებენ უკანაენისმიერ ხშულებს: გ, ქ, კ-ს.

შ>შქ: შქვითი (<შვიდი), შქა „შუა“, დი-შქა (შე-შა<სე-შა), უშქური „გაშლი“, შქირენს „შია“, აშქურინუ „შეეშინდა“, ქანაშქუ „ჩაუწვა“.

ჯ>ჯგ: ჩქინ/ჩქი, ჩქუნ/ჩქუ „ჩვენ“, ჩქიჩქუ (<*ჩიჩილ<ჩჩილ), უ-ჩქ-უ („უ-ჩანს“: მისთვის ჩანს, შესაცნობია), მუნჩქი „მაჩვა“. **ჯ>ჯგ:** (რ)-ჯგ-ინა „ჯგ-ობ-ნა“. ჯგი-ჯგიტია (ჯი-ნ-ჭვ-ელ-ა).

ჭ>ჭქ: ჭეკიდი, მჭეკუდი/მჭეკიდი (ჭან.) „მჭეადი“, ჭეკომუა „ჭა-მა“, ჭეკირუა/ღოჭეკირუ („დაჭრა“), ჭეკადუა, „ჭედვა“, ჭეკიჭეკიტია, ღიმჭეკუ (ჭან.) „ჯინ-ჭევ-ელ-ა“.

გ ქ კ-ს განვითარებას იმით ხსნიან, რომ ჯ, ჩ, ჭ, შ ბგერები კოლხურში ველარიზებული უნდა ყოფილიყო. ამ თანხმოვანთა ველარული წარმოება საფუძველი გახდა იმის, რომ მათ შემდეგ განვითარებულიყო უკანაენისმიერი ხშულები (გ, ქ, კ). ერთ ნასესხებ სიტყვაშიცაა ასეთი შემთხვევა: კოლოშქი/კა»ოშქი „კალოში“.

ს>სქ: სქ-ირ-ი, სქ-უა (შდრ. შვ-ილ-ი), მ-ზე-სქ-უ (ჭ.), ზე-სქ-ვ-ი „შა-შ-ვ-ი“ სქან-ი „შენ-ი“, მ-სქვ-ერ-ი/სქვერი „შვ-ელ-ი“. ქოსქუ (შდრ. „შვა“), ომსქუ „შვენის“.

ძ>ძგ: გომორძგუა „გამარჯვობა“, მარძგვანი „მარჯვენა“...

როცა ქართ. შ, ჯ-ს შესატყვისად კოლხურში სქ, ძგ-ს ხე-დავენ, ეს მააჩნიათ მეორეულ მოვლენად (ა. ჩიქობავა, ს. უღენტუ...), ისევე, როგორც მეორეულია „შენ“ ნაცვალსახელი ქართულშიო.

მაგრამ თ. გამყრელიძემ მონოგრაფიაში „სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა სტრუქტურის ზოგი საკითხი“ (1959) გაარკვია, რომ კოლხური შე და სქ, ერთი მხრივ, ჯგ და ძგ (მეორე მხრივ) კომპლექსები ივარაუდება ერთი და იმავე ფონემის (ქართ. შ და ჯ) რევლექსებად, სხვაობა მათ შორის მეორეულია და ფონეტიკური გარემოცვითაა შეპირობებული.

ა) ქართ. შ, ჯ: კოლხ. შქ, ჯგ; კოლხური შქ, ჯგ კომპლექსთა ჩამოყალიბება თავდაპირველად შ, ჯ-საგან საონტანური ბუნებისაა და არაა გამოწვეული კომბინატორული ფონეტიკური მიზეზებით.

ბ) ქართ. შ, ჯ: კოლხ. სქ, ძგ: სქ, ძგ კომპლექსი კოლხურში შეეფარდება ქართულის ისეთ შიშინა სპირანტსა და ხშულს (შ - ჯ-ს), რომელთაც ბაგისმიერი ვ ან ი ფონემა მოსდევს. ასეთ შემთხვევაში ქართული შ, ჯ-ს შესატყვისი კოლხური შქ, ჯგ მომდევნო ვ(ɪ) გავლენით სისინა ვარიანტში უნდა გადასულიყო (გადავიდა კიდეც), ე.ო. სქ, ძგ-ში.

კოლხურში დასტურდება ბგერათა განვითარება:

ნ (მ) ბგერის განვითარებას კოლხურში სპეციალური წერილი უძღვნა ს. უღენტმა. „ნ(//მ) ბგერათა განვითარების საფუძველი

მეგრულ-ჭანურში ხშულმსკდომთა წინ“ (საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ.X, №7, 1949).

ა) სიტყვის თავში: ლაკაცია „აკაცია“, ნჯარი „ჯარი“, ნტე-რი/ტერი „მტერი“, ბრუო „რვა“, ნდემი „დევი“, ნჩურუა „ცურვა“, რზენი (<ზენი) „ვაპე“.

ბ) სიტყვის შემთხვევაში: ცხოლცხალი „ცოცხალი“, ვაზგა/ვაზა „ურმის რენის რგოლი“, მინწა (<მიწა) „ნაკელი“, ღიმდარი „მდი-დარი“, ომბოლო „ომბალო“, მანთხა „მეოთხე“, მანგარი „მაგარი“, მურამბა „მურაბა“, ყამბარი „ყავარი“, ხვარხვი „ხახვი“, შხაშხი „შაშხი“, კუნთხე „პუთხე“, სტამფილო „სტაფილო“...

ი ჩნდება ნასესხებ სიტყვაში: სიფიშქა (спичка), კინიაზი, ნანგერე „წინა წლის ნათესის ფესვიდან ამოსული ბოსტნეული, რომელიც არ იჭმევა“, შდრ. საბა: ნაგერალი „დაუთესლად მოსუ-ლი“.

გ) ბოლოში სიტყვისა ვითარდება უ>რ: ოსურქ „ცოლმა“...

ს ვითარდება: ხწორი „ხწორი“, სახწორი „სასწორი“.

ფ ვითარდება: ფსხივი „სხივი“, ფშხირი „ხშირი“.

გაირკვა, რომ ნ ბერა ვითარდება ხშულებთან: ბ, პ, ფ; დ, ტ, თ; ძ, წ, ც; ჯ, ჰ, ჩ; გ, კ, ქ-სთან, სადაც განვითარებული ნ ასიმილაციით მ-ში გადადის.

მბ(<ბბ): ტამბაჩა „დამბაჩა“, ობოლი „ობოლი“, ტომბა „ღრმა“, ლიმბორი „ანწლი“, ფიმფილი/ფინბილი „წვერი“, ობბო-რინუ „ბღავილი“, კომბო „კვახი“ (ჭან.), შდრ. ქართ. ციმბირი, კა-ხამბალი.

მპ(<ნპ): კუმპული „ისარი“//კოპული. ამპოური (ქართ. აპეუ-რი), უმპა (ქართ. უპე, „ჭიპი“). კამპარი/კაპრი „ჯინჯელი“, ღუმ-პუა/ღუპუა. შდრ. დიალექტებში: სამპყრობლე, ჩაყლამპა.

მფ(<ნფ): ოფამფე „ოფოფი“, ფამფაი/ფამფარი „მამლის ბო-ლო“// ფანფაი. ფუმფული/ფუფული „მუწუკი“, შდრ. დიალექტებში უმფროსი, რამფერი.

სხვა შემთხვევაში ნ არის განვითარებული ხშულთა წინ:

ნდ: ცინდა „ციდა“, ნდიხა/დიხა „მიწა“, ნდლა „დდე“ (შდრ. ონდლე „შუადლე“), იმენდი „იმედი“, მინდალი „მედალი“, ეზინდუ „აილო“, დინდარი „მდიდარი“, შდრ. ქართ. წმინდა, ხმიანდი (კახუ-რი), ჭანდარი.

ნთ/მთ: ანთასი „ათასი“, თანთარი (მეგრ. „თათარი“), კუნთხუ „ქუთხე“, უნთო „უთო“, ყვინთელი „ყვითელი“, ჩინთი „ჩინთი“, ნთხორუა „თხრა“, ნთხირი „თხილი“, ნთხა/მთხა „თხა“, მთვირი/თირი „თოვლი“.

ნტ/მტ: ონტკა „არაყი“, დონტირა „დატევა“, კენტი „კენტი/ჯოხი“, ხანტუა „ხატვა“, ჭან. ანტამა „ატამი“, კინტირი/კნტ,რი „კიტრი“, ჭან. მტი (მ-ტი) „ტილი“, მტკური „ტყოური“, შდრ. ტრედი>მტრედი.

ნბ/მბ: ნები/ნები, მეგრ. მანცხვარი „მაცხოვარი“, ჭან. დანბი/დაბი „ეკალი“, ბონძორი „ბეწვი ცხოველის“. შდრ. ნძრევა, გურ. გამელვინბა, ქართ. მძვირი, კახ. მცალი.

ნც/მც: ჭან. ნცხენი „ცხენი“, ნცომი „ცომი“, ოცნხოჯი „სავარცხელი“, ონცხანე/აცხანი „სხვენი, ჭერი“, ნცილა, მილინცია (ჭან.), მურუნცხი „ვარსკვლავი“ (ჭან.), დინცხირი „სისხლი“, ნწავ/წარი „ძუა“, ჭან. ნწანერი, მეგრ. ნწოლა „ჭვარტლი“, ნწკვარამი, მენწყერი, მწკუფი „წყვდიადი“, შდრ. მწვალება (გურ.), სიმწყნარე (იმერ.).

ნჯ/მჯ: ნჯუმა „ძმა“ (ჭან.), ქვინჯე „ქვედა, ფსევრი“, ნჯუმუ „მარილი“ (ჭან.), გონჯამა, ლანჯი/ვანჯი „კოპიტი“, ტორონჯი „მტრედი“, სინჯა „სიძე“, ოხვენჯი „დასაჯდომი“, მჯვეში „ძველი“.

ნჩ: სინჩხე „სიცხე“, დანჩხირი/დაჩხირი „ცეცხლი“, ნჩურუბ „გცურავ“, კალანჩხი „კალათა“, ჭან. ნჩხომი „თევზი“, ნჩხვარი (მეგრ. ჩხვერი) „ღომის მცენარე“.

ნჭ/მჭ: ყანჭი „ყიჭი“, ჭანჭყუა „ჭეჭყვა“, მონჭვა „ქრუხი“, ჭან. მჭიმა „წვიმა“, მჭითა „წითელი“, მჭიფე „წვრილი“.

ნგ: მანგარი „მაგარი“, მანგორი „მაგორი“, ანგურა „აგური“, იანგეე (ზუგდიდურ-სამურზ. – „იგავი“). მეგრ. დონგი „მდოგვი“, შდრ. ანგრე, მოანგროვე (ქართ.).

ნქ: შანქარი (მეგრ.), ნქალუა/ქელუა „ქელვა“, გიერქიუ „ხეტიალობს“.

ნგ: კანგვი „კაკვი“, ნკილა „კლიტე“ (ჭან.), ნუნგუ/ნუგუ „ნიკაპი“.

რატომ ვითარდება ნ(მ) ხშულთა წინ მხოლოდ? რატომ ვითარდება ნ და არა სხვა თანხმოვანი? ეს თვით ხშულთა ბუნები-

თაა გამოწვეული „ხშულ თანხმოვანთა წარმოთქმისას ხშვის გადა-
ლახვის გასაადვილებლად პაერის ნაწილი ცხვირის ღრუში იგზაგ-
ნება, რის გამოც ხშულთა წინ ნ(მ) ვითარდება“ (ბოგოროდეცკი,
პანკოჩელი-კალცია, ს. ჟღენტი).

ნ(მ) გაჩენა კოლხურში ხშულთა წინ მშვენიერი ილუსტრა-
ციაა გარდამავალი ბგერის მდგრად ბგერად გარდაქცევისა: ხშულ-
მსკლომ ბგერებს იმპლოზიის მომენტში (განხშვა) ცხვირისმიერი
ელფერი ერთვის, რათა ექსპლოზიის (ხშვის) გადალხვა გაადვილ-
დეს. მაგრამ შემდეგ ცხვირისმიერი ელფერი დამოუკიდებელ დამ-
დგარ ბგერად გვევლინება (ს. ჟღენტი).

„ჯოლორ“ ტიპის სრულხმოვანი ფორმები მეორულ-ჭანურში
მომდინარეობს ორცნებიანი სტრუქტურის ძაღლი – ტიპის საერ-
თო ქართველური ფორმისაგან. საერთოქართველური სრულმარ-
ცვლიანობა შეპირობებულია [*ლ0] და [*რ0] ელემენტთა მარცვლი-
ანობით თანხმოვნის მომდევნო ზოზიციაში. სწორედ ამ მარცვლიან-
მა [ლ0, რ0] ელემენტებმა მოგვცა ზანურში ბოლოკიდური ორ, ურ,
ირ: ჯოლორ „ძაღლი“, მონტყორ „მატყლი“, თოფურ „თაფლი“,
მუნტურ „მატყლი“, ჭუბურ „წაბლი“, დაჩხირ „ცეცხლი“, ლადირ
„ნედლი“, ისირ „ისლი“ (ეს მეორული ელემენტები ვიწრო (ი, უ)
ან საშუალო ღიაობის (ო) ხმოვნებია. ყველაზე ფართო ა და ე
ხმოვანი არასდროს ვითარდება.

მეორული ხმოვანი იმეორებს თავიდური მარცვლის ხმო-
ვანს (არა საერთოქართველურს, არამედ ზანურს: ჯოლორ, ჭუბურ,
ზისხირ). ეს იმას ნიშნავს, რომ ბოლოკიდური [*ლ0, *რ0] ელე-
მენტების მარცვლიანობის ხარჯზე მეორული ხმოვნების განვითა-
რება ზანურში საკმაოდ გვიანდელი მოვლენაა. ეს შემდეგაა გან-
ხორციელებული, როცა უკვე მომხდარი იყო ხმოვანთა „ზანური
გადაწევა“ (ა*>ო, ე*>ა), ხოლო ლ>რ მეორული ხმოვნების გაჩე-
ნას უსწრებდა წინ.

სრულხმოვნობა

კოლხურის სრულხმოვნობა, რომელიც ფუძის უკუმშველობას
გამოხატავს, ძველი ვითარების მაჩვენებელია, ხოლო ქართულის
შეკუმშველი ფუძები მეორულია (ა. ჩიქობავა): თმა (თომა), სის-

ხლი (ზისხირი/დიცხირი), ქმნა (ქიმინუა), სი-ყმ-ილი „შიმშილი“ (მეგრ. ჲმენი)...

მმა (<ძამან>, ჭან.: ჯუმა „მმა“, მეგრ.: ჯიმა. ხმელი, მეგრ-ჭან.: ხომულა „ხმელი“; კრება (კორობუა), ფრინავს (მეგრ. ფურინუნს), ქმარი (მეგრ.-ჭან.: ქომონჯი), თაფლი (მეგრ.-ჭან.: თოფური), თვე (თოუე, მეგრ-ჭან.: თუთა), თხმელა (მეგრ-ჭან.: თხომუ), თბილი (ტფილი, მეგრ.: ტიბუ, ჭან.: ტუბუ), ჩვილი (ჩჩ $\frac{1}{4}$ ლი), ჭან. ჩუჩქუ/ჩჩქუ, მეგრ.: ჩიჩქუ...

კოლხური ნასესხებ სიტყვებში ასე იქცევა — თანხმოვნებს შუა ჩასვამს ხმოვანს:

ჭერელი (ჭან.) რე „ჭრელია“, ძიმარი (მეგრ.) <ძმარი (შდრ. ჭან. ჯუმორი),

ჭყილიტუა (მეგრ.) ჭყლეტა, პილანი (план), ფილავი (ჭან. ფლავი).

კოლხური ხმოვანთა გადასმას მიმართავს, რომ თანხმოვანთა კომპლექსი გათიშოს:

ქირსიანი (მეგრ.) „ქრისტიანი“, ბერწული (მეგრ.), ბედინერი, პილატოკი (платок).

აღსანიშნავია, რომ კოლხურში დეცესიური კომპლექსები ხმოვნით არ ითიშება (ტყ, წყ, ჭყ, ფხ, თხ, ცხ, დღ, ბღ, ძღ, ჯღ, ტქ, წქ, ჭქ, ფქ, თქ, ცქ, ჩქ, ბგ, დგ, ძგ, ჯგ).

დეცესიური კომპლექსების კომპონენტები თუ ადგილს შეიცვლიან, ე.ო. აქცესიური გახდებიან: მეგრ.-ში ბგ დეცესიურია და არ ითიშება: იბგარს. გბ აქცესიურია და მეგრ.-ჭანური ვერ იტანს: შდრ. ქართ. „გბობა“ და ჭან. „ღოვიბუ“.

ტ. გუდაგამ წერილში „ზანური (მეგრულ-ჭანური) სრულ-ხმოვნობის აპსინის ცდა“ (აკადემიის მოამბე, XI, №7, 1950) მიუთითა, რომ მეგრულ-ჭანური გაურბის აქცესიურ კომპლექსების. ენა წინდაწინ ხელს უშლის ახალი კომპლექსების წარმოქმნას. ზანური სიტყვის ფუძეში არ ახდენს ხმოვნის რელუქციას (ისტორიულად არსებული ხმოვნისა), თუ ამ რელუქციას შედეგად მოჰყვება თანხმოვანთა აქცესიური კომპლექსების შექმნა. ამდენად, ზანური სრულხმოვნება სუპერაციის (=დაძლევის) თავისებური სახეა აქცესიური კომპლექსებისა.

ამდენად, მეგრულ-ჭანურში რომ გვაქვს: თომა, ჯოლორი, ჯუმა/ჯიმა და სხვა ურედუქციო ფორმები, ეს იმიტომ, რომ რედუქცია რომ მომხდარიყო, მივიღებდით აქცესიურ კომპლექსებს: თმ, ღრ, ჯმ... და სხვა, რასაც მეგრულ-ჭანური საერთოდ გაურბის.

ეს ახსნა ანგარიშგასაწევია, მაგრამ საკითხავია: თუ სრულ-ხმოვნობას აქცესიურ კომპლექსთა სუპერაციის სახედ მივიჩნევთ, მაშინ დეცესიურ კომპლექსებთან ხმოვნის შენარჩუნებას ფონეტიკურად ვერ ავხსნით. თუ ვიტყვით, რომ რედუქციას ხელს უშლიდა აქცესიურ კომპლექსთა წარმოქმნის საწინააღმდეგო ტენდენცია, მაშინ დეცესიურ კომპლექსებს შუა მოქცეული ხმოვნის რედუქციას რაღა უშლიდა ხელს? დეცესიურ კომპლექსებს ხომ არ გაურბის მეგრულ-ჭანური? არა: სრულხმოვნობა ზანურში შენარჩუნებულია როგორც აქცესიურ, ასევე დეცესიურ კომპლექსთა შუაში: ჭუბური, თოფური, თხომური... ბრ, ფრ, მრ კომპლექსების შექმნას, რა თქმა უნდა, არ გაურბის ზანური. მაშასადამე, ურედუქციობის, ე.ი. სრულხმოვნობის მიზეზი მახვილი ჩანს. მახვილი ისტორიულად მეგრულ-ჭანურში სუსტი უნდა ყოფილიყო. მარცვალი, რომელზეც სუსტი მახვილი იყო, სუსტდებოდა და იკარგებოდა.

შდრ. სმა და შუმა. ძვ. ქართ. სიმ>სმა. მაგრამ მეგრულში მახვილი უ-ზე იყო ალბათ: შტმა. ქართულში მახვილი ფიქსირებული არ იყო, ორმარცვლიან სიტყვას სან თავში მოუდიოდა (მშ½მს<მი½მს), სან ბოლოში (ძმ>ძამინ), მახვილით ორი ხმოვანიც იკარგებოდა: წფქლი (<წფექალ „ფექ“, სვან. ფქვილი).

უუძეკუმშვადობა ინტენსიური მახვილის უქონლობას მიეწერება (ა. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში: საქ. მეც. აკ. მოამბე, ტ.III, №2, 1942).

სავარაუდოა, რომ სუსტი მახვილი კოლხურში უპირატესად ორ და მეტმარცვლიან სიტყვებში II და III მარცვალზე მოდიოდა ბოლოდან. ჯტმა(ლ) „ძმა“, თბმა(ლ) „თმა“, ქბმოლი „ქმარი, მამაკაცი“.

მახვილი (აქცენტუაცია) კოლეზი

მიღებულია აზრი, რომ მეგრულ-ჭანური სრულხმოვნობა მოქმედი სუსტი მახვილის შედეგია, რედუცირებული ფუძეები მეორეულია ძლიერი დინამიკური მახვილის შედეგად (ა. ჩიქობავა).

ა. ჩიქობავას აღნიშნული აქვს, რომ პ. შუხარდტმა მოხდენილად შენიშნაო მახვილთან დაკავშირებით: „ახალი ქართული მოგვაგონებს ზღვას ღელვის შემდეგო. მახვილის მწვერვალები მოშლილია, სიტყვის ფონეტიკურ ზედაპირზე მახვილიანი და უმახვილო მარცვლების სხვაობა ოდნავი შესამჩნევიღაა“.

მეგრულ-ჭანურის მახვილი მოძრავია, სუსტი დინამიკურ-მუსიკალური, უფრო სუსტი, ვიდრე ქართულსა და სვანურში.

მახვილის ადგილი მეგრულ-ჭანურში ქართულისებურია: ორმარცვლიან სიტყვებში ბოლოდან II მარცვალზეა, მეტმარცვლიანებ-ში ბოლოდან III მარცვალზე. ჯტმა/ჯტმა „ძმა“, კტჩ „კაცი“, კტუ „კატა“, ბტორი „სახლი“, ქტოუმე (ქტოამი), მამცრდალე „მატყუარა“, შტკინდი „ბეჭედი“, ქტმოლი „ქმარი“.

ა. ჩიქობავას ათინურსა და არქაბულ ტექსტებში დადასტურებული აქვს ტონური მახვილი, რომლის ადგილი მტკიცეა, ბოლოდან II მარცვალზეა ყოველთვის! სათანადო ხმოვნი გავრმელებულად გამოითქმის, ისე, როგორც ეს გვაქვს მთიულურსა („მანდ ყოფილა ბუჩქურბი“) და ხევსურულში („მე არაფერი მეყურბის“): პექ დოხტდი, დოხტდი მუშწნი? („იქ დაჯექი, დაჯექი რატომ?“), კონქშტვე ვა მოხთეს („მეზობლები არ მოვიდნენ“).

ტონური მახვილის ნაშთიც არაა მეგრულში დადასტურებული. მეგრულ-ჭანურში თანდებულიანი სახლები მახვილს ბოლოდან II მარცვალზე ატარებენ. დულ»აშნი „საქმისთვის“, ჩქიმისთში „ჩემსავით“, მელისთში იწერს „მელიასავით იყურება“.

ხუთმარცვლიან სიტყვებში ორი მახვილია ბოლოდან V-ზე და III-ზე: ქბდოლბტკოჩუ „ჩააგდო“, ირქადშევე „ამხანაგები“, ჭკრჭკიტრევი „ჭიანჭველები“.

კითხვითი ინტონაცია თავისებურია, კითხვითი წინადადების ბოლო სიტყვის ბოლო მარცვალზე ხდება ტონის (ხმის) აწევა: მუიქწფ? „რას აკეთებ?“, მუ გაღოდო? „რა მოგივიდა?“

ჭანურში კითხვით ნაწილაკებზე, ი-ზე მოდის მახვილი: სისოთი უღუ-ჩ? „შენ სადმე მიდიხარ?“, არ გიჩქინჩ? „არ იცი?“, მირე-ჩ? „ვინ ხარ?“.

მეგრულში კითხვითი ნაწილაკია ო, მაგრამ კითხვითი მახვილი მასზე კი არ მოდის, არამედ მის წინამავალ მარცვალზე: დო-ჭარი-ო? „დაწერე?“, სი თინა რტქო? „შენ ის ხარ?“, სი ჭეუა ვეგილმნო? „შენ ჭეუა არ გაქვს?“.

მეგრ.-ჭანურში მახვილი სუსტია, მაგრამ არის შემთხვევები რედუქციისა. ამ მხრივ მახვილი უფრო ძლიერი ჩანს ჭანურში, ვიდრე მეგრულში.

შდრ. ათინ. ჭუბრი „წაბლი“, ჭიბრი (<კიბირი) „აბილი“, წიფრი (<წიფური) „წიფელი“, ლუქნა (<ლუქუნა ხოფ. „თაფლის სანთელი“), თოფრი (<თოფური) „თაფლი“.

მეგრ.-ჭანურში რედუქციაა მაშინ, როცა ქართულში არაა: სა-რეც-ელ-ი, მეგრ.-ჭან. რჩ-აფ-ა (<*რაჩ-აფ-ა). ქართ. რეცხ-ვა, მეგრ. რჩხუალა (<რაჩხ-უალა), ქართ. მო-ციქ-ული, მეგრ. მინდა-ჩქუ.

მეგრული კილოპავებიდან მახვილი ყველაზე ინტენსიურია სამურზაყანულში: თხორნა „თხრიან“, ჭარნა „წერენ“, ხონნა „ხნა-გნე“... უკლაში (<უკულაში) „უმცროსი“, ოჭმარე „დილა“, წოხლე „წინ“, მაჟრა „მეორე“, მასმა „მესამე“.

ასეა ეს ნასესხებ სიტყვებშიც: თავისფალი, ხეწწვე, შობლობა, სააპრაციო, იზდორე, კირლე, წიწლა, ამბლატორია (ზ. ციქოლია).

მარცვლის აგებულება

ზოგადად მოკლედ შევჩერდებით მარცვლის აგებულებაზე.

მარცვალი არის წარმოთქმის უმცირესი „ბუნებრივი“ ერთეული („ბუნებრივია“ იმიტომ, რომ „სა-ხლი“ ან „სახ-ლი“ – ასე დაშლის ყველა ამ სიტყვას, ენის უცოდინარიც კი, რადგან ასეთი დაყოფა ბუნებრივია, მაგრამ ბევრებად დაყოფა ბევრს გაუჭირდება: ს-ა-ხ-ლ-ი). რა ქმნის მარცვალს? ამაზე თეორიებია.

ჯახების თეორიით (შტრომი), მარცვალი არის ბევრა ან ბგერათა ჯგუფი, რომელიც წარმოითქმის ჰაერნაკადის ერთი

მთლიანი ჯახებით. ეს არაა სწორი. თითოეული პაერჯახება შეესტყვისება არა მარცვალს, არამედ ბგერას (ცალკეულს).

სონორობის თეორიით (ზივერსი, იესპერსენი), მარცვალს ქმნის მოცემულ სიტყვაში ბგერათკომპლექსის ყველაზე სონორული ბგერა, რომლის, როგორც ცენტრის ანუ მწვერვალის, გარშემო ჯგუფდება ამ კომპლექსის დანარჩენი ყველა ბგერა („სკამს“ – აქ ერთი მარცვალია, რომლის ცენტრია ა, ისაა მარცვლის მატარებელი. მ სონორია, მაგრამ ა-სთან შედარებით ნაკლები. „ნალმს“ – აქ მ ქმნის II მარცვალს, რადგან ის მეტად სონორია, ვიდრე და ს). ამ თეორიით, მარცვალი არის წარმოთქმის მონაკვეთი, რომლის ცენტრს წარმოადგენს ნაკლებ სონორთა შეუა მოქცეული მათზე მეტი სონორობის მქონე ბგერა.

ეს თეორია უფრო მისაღებია, რადგან ცხადი ხდება, რატომაა, რომ ზოგ ენაში ორი ხმოვანი ერთ მარცვალს ქმნის (май), ან რატომაა, რომ მხოლოდ თანხმოვანთკომპლექსი შეადგენს მარცვალს (ВЛК „მგელი“ ჩეხურად).

ფიზიოლოგიური და ფუნქციური თეორიით (აბელე) მარცვალს ახასიათებს ხმის აწევა მარცვლის ცენტრის მიმართულებით და შესუსტება მომდევნო მარცვალზე გადასვლის წინ. ამდენად, კუნთებრივი დაჭიმულობა იზრდება ყოველთვის მარცვლის ცენტრის მიმართულებით, რომელსაც უწოდებენ მარცვლის მწვერვალს. კუნთობრივი დაჭიმულობის შესუსტება მიმართულია მოძღვნო ახალი მარცვლის დაწყების საზღვრამდე, რის შემდეგ კვლავ იზრდება კუნთებრივი დაჭიმულობა. ისეთი მარცვლის წარმოთქმისათვის, რომელიც ნაკლებ სონორ ბგერას შეიცავს, საჭიროა უფრო მეტი კუნთებრივი ენერგიის დახარჯვა, ვიდრე ისეთი კომპლექსის წარმოთქმისას, რომლის მარცვლის ცენტრს წარმოადგენს უფრო მეტად სონორი ბგერა.

ლ. შჩერბას თეორიით, ყოველი ენობრივი ნაკადი ბუნებრივად იყოფა არა ცალკეულ ბგერებად, არამედ მარცვლებად. მეტყველების ნაკადის იმ მონაკვეთს, რომელიც იწყება ბგერის გაძლიერებით და მთავრდება მისი შესუსტებით, ეწოდება მარცვალი. ამდენად, მარცვალი არტიკულაციურად წარმოადგენს დაჭიმულობის რკალს, რომელიც ამავე დროს შეიცავს ხმიერობის გაძლიერებასა და შესუსტებას.

ბგერათშეერთების რიგი მთავარია მარცვლის პრობლემაში, რადგან ჩვეულებრივ მარცვალი არ არსებობს ბგერათშეერთების გარეშე. ბგერათა თანამიმდევრებში ასხვავებენ „პირველი რიგის“ ბგერათშეერთებას, როცა საქმე გვაქვს ორი ბგერის შეერთებასთან და „მეორე რიგის“ ბგერათშეერთებას, როცა სამი ან მეტი ბგერის შეერთება ხდება. რუსულში, პროფ. ზინდერის გამოანგარიშებით, 2656 ბგერათშეერთების კომბინაციაა მოსალოდნელი, აქედან შეუძლებელია 274. ქართულში, ს. ჟღენტის გაანგარიშებით, 1225 „პირველი რიგის“ ბგერათშეერთების კომბინაციაა მოსალოდნელი, აქედან შეუძლებელია 347 კომბინაცია. მაგ.: ქართველურ ენათათვის ერთ-ერთი უჩვეულო კომპლექსია პლ (თავკიდურ მარცვალში პლ მხოლოდ ნასესხებ სიტყვებშია: პლენუმი, პლანტაცია...). პლ რომ უჩვეულოა, ჩანს „ლპობა“-დან. ძირი პალ (დამპალ), აქედან >*პალობა>*ლობა>ლპობა. პლ დიალექტებში იშვიათადაა: „პეპლავს, წეპლი...“.

ასევე უჩვეულოა მეგრულ-ჭანურში ქმ კომპლექსი: მეგრ. საქვარი (<საქმნარი), უქვი (<უქმი) „უქმე“, უფქვენქ „ვდლესასწაულობა“.

მეგრული ვერ იტანს კომპლექსს: ლ+ჩქამიერი, ჩქამიერი+ლ, ამიტომ ლ-ს რ-დ ცვლის: მარდი (<*მალდი<მადლი), რლია (<ლლია<ღლია<იღლია), ნირსი (<*ნილსი<ნისლი), ნარჯული (<ნაქლული)...

თავკიდური მარცვლის აგებულება: ქართულში სიტყვის თავში მარცვალს ქმნის ორი, სამი, ოთხი და მეტი თანხმოვნი ხმოვანთან ერთად, მაგრამ მათში სონანტი ბგერაც გამოერევა, რაც აადვილებს აღქმა-გაგონებას, რადგან ისინი მარცვლის ბგეროვნობას ზრდიან.

ფრცქვნა, წრთვნა, ბრდღვნა, მღვდლის, მსხვრევა... ე.ი. ქართულში თავკიდურ მარცვალთა აგება წარმოებს მზარდი ბგეროვნობის პროცესის მიხედვით და მარცვლის მწვერვალი სათანადო ხმოვან ფონემაზეა.

კოლხურს კი, ქართულისგან განსხვავებით, მარცვლის აგებისას ასასიათებს სრულხმოვნობა: ჯუმა/ჯიმა „მმა“, კორობუა „კრეფა“, თომა „თმა“, ხომაფა „ხმობა“, შუმა „სმა“...

მეგრულ-ჭანურში შესაძლოა თავკიდური მარცვალი იწყებოდეს 1) ჰარმონიული კომპლექსით: დღა „დღე“, დორძღუ „გაძლა“, ჯგირი „კარგი“, ჯდარუ „უდალი“, ჯდვალიკი „ჩლიქი“, ცხემური „ცხემლა“, ჩხომი „თევზი“, ჩხვიჩხვი „ფესვი“, ჭყალა „წყევლა“, ჭყინტი „ჭყინტი“...

2) სპირანტი+ხშული: შქა „შუა“, სქირაფა „ხმობა“, შქვითი „შვიდი“, შქირიტუნს „შრეტს“.

3) მეგრულ-ჭანური გაურბის თანხმოვანთა შეყრას თავში, ამიტომ ნასესხებ სიტყვებშიც ხმოვნებს სვამს: მეგრ. ქლიბი (<ქლიბი), კირდე (<კლდე), ჭან. ფილავი (<ფლავი).

ქართულში რომ თავკიდურ მარცვალში თანხმოვანთა ჯგუფია, ეს ხშირად რედუქციითაა მიღებული. ა. შანიძემ („ქართული კილოები მთაში“) 1915 წელს აღნიშნა, რომ თანხმოვანთა შეჯგუფება სიტყვის დასაწყისში ხდება ხმოვანთა ამაღლების გამოო. მთის დაალექტებში ხმოვანი თავის ადგილზეა და ამდენად, თანხმოვანი (კ გ ქ) არ დაკარგულაო: ხევს.: გირწყლი, მთიულური: კირწყლი (ძვ. ქართ. გრწყილი/კრწყილი, ახ. ქართ. >რწყილი). თუშ.-გშავური: კურკო, ხევს.: გირკო (ძვ. ქართ. კრკო, ახ. ქართ. რკო); ხევს. ჩვიჩილი (ძვ. ქართ. ჩჩ½ლი).

დასკვნა: ქართულს ახასიათებს თავკიდურ მარცვალში ხმოვნის ამოღების ძლიერი ტენდენცია, ხოლო მეგრ.-ჭანურს (სვანურ-საც) პირიქით, ახასიათებს თავკიდურ მარცვალთა სრულხმოვნობა.

ჰალამ თავკიდური მარცვლის საკითხთან დაკავშირებით შემოიტანა ცნებები სტრუქტურა (დახურული დაწყება მარცვლისა) და პერტურა. მისი აზრით, სტრუქტურული დაწყება მარცვლისა (თანხმოვნით, თანხმოვანთა ჯგუფით, მაგარი შემართვით) ახასიათებს გერმანულს: ‘aber (‘აბერ), ‘arbeiten.

ქართველური ენებისათვის ისტორიულად უპირატესად დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო სიტყვის სტრუქტურული დაწყება: მაგ.: ენა, მაგრამ ნენა (ჭან.), ნინა (მეგრ.).

ასე რომ, ენა (<ჰენა), ადგილ (<ჰადგილ), აბანო (<ჰაბანო), ა. ჩიქობავა: იდაყვი (<ნიდაყვი), იწრო (<ვიწრო), ათი, მაგრამ ვითი (მეგრ.-ჭან.).

მეგრულ-ჭანურში ქართ. სა=ო: ო-ქოთომე „საქათმე“, ო-ღვაჯე „საღორე“. 6.

ნ. მარი ფიქრობდა, რომ ქართ. სა-ს შესატყვისად მეგრულ-ჭანურში უნდა ყოფილიყო *შო, რომელიც შემდეგ შო>¹ო>ო. ჩი-ქობავათი, მეგრ.-ჭან. -ო<ჰო. ასეა თუ ისე, უიჭელია, რომ მეგრ.-ჭან. ო-ს წინ უძღვდა რომელიდაცა თანხმოვანი.

ს. უღენტს თავკიდური მარცვლის სტრუქტურული დაწყების ტენდენციის გამოვლენად მიაჩნია ის ფაქტი, რომ თავკიდური ხმო-ვანი იქცევა თანხმოვნად, თუ მას სხვა ხმოვანი ან სონანტი მოს-დევს.

ივანია>ღვანია>ჟვანია, იაკობია>*იაკობია>*ჟაკობია>ჯაკობია, იორდანია>ღორდანია>ჟორდანია, იობავა>*იობავა>*ჟობავა>ჯობავა, იარე>ღარე>ჟარე (საბა).

ბოლოკიდური მარცვლის აგებულება. ქართულში შესაძლოა სიტყვების ბოლოკიდური მარცვალი ბოლოვდებოდეს რომელიმე ხმოვანზე (ა, ე, ი, ო, უ) ან თანხმოვანზე (1, 2, 3, 4, 5), ერ-თმარცვლიანი სიტყვები ქართულში შესაძლოა ოთხ-ხუთ თანხმო-ვანზეც ბოლოვდებოდეს: ნაკლს, ძალლს, მორგვს, ძარლვს, ძატყლს, ვერცხლს, ცეცხლს...

სიტყვის ბოლოში თანხმოვანთა დაჯგუფება განსაკუთრებით ახასიათებს სგანურს: ზისხ „სისხლი“, ჭიშხ „ფეხი“, ისგმ „გაშ-ლი“, მრშკ „ჭიანჭველა“ (ამას უმღაუტს მიაწერენ და რედუქცი-ას).

მეგრულ-ჭანურს განსხვავებული ადგილი უჭირავს ამ შემ-თხევები. კოლხური, ქართულისა და სგანურისგან განსხვავებით, გაურბის ბოლოკიდურ მარცვალში თანხმოვანთა დაჯგუფებას. ამი-ტომ უმრავლეს შემთხვევაში კოლხურში სიტყვები რომელიმე ხმოვანზე ბოლოვდება.

ა: ბაბა „მამა“, მაფა „მეფე“, თომა „თმა“, თუთა „მთვარე“, ლეტა „ტალახი“, ნუსა/ნისა „ქალი, რძალი“, ჯიმა/ჯუმა „მმა“.

ე: ბერე „ბავშვი“, კუჩხე „ფეხი“, ქოთუმე „ქათამი“, ყოყორე „კვახი“, სინჩხე „სიცხე“, მაყარე „მაყარი“.

ი: არგუნი „ცული“, თოლი „თვალი“, კითი „თითი“, ხოჯი „ხარი“...

ო: ბოზო „ქალიშვილი“, ორძო „სკამი“, ფენწო „ლოკოგინა“, ოთხო „ოთხი“, ოვრო „რგა“, მწერ „წყავი“...

უ: კატუ „კატა“, მსქიბუ „ქვა (წისქვილის)“, მჟვაბუ/ჯვაბუ „გომბეშო“, ნუკუნკ, „ნიკაპი“..

მეგრულ-ჭანურში ბოლოკიდური მარცვალი ერთი ან ორი თანხმოვნით შეიძლება ბოლოვდებოდეს მხოლოდ მაშინ, თუ ფუძი-სეული და აფიქსისეული თანხმოვნები ერთად შეიყრებიან: კოჩ „კაცმა“, ხოჩქ „ხარმა“, ვკვათუნქ „ვჭრი“, ვხანტუნქ „ვხატავ“, ინ-გარს „ტირის“..

ბოლოკიდურ მარცვალში რომ თანხმოვნები არ შეჯვუფდეს, ამის გამოა, რომ მეგრულში მიც. ბრუნვის -ს ნიშნის წინ იკარგება ფუძისეული ხშულები: დ, ტ, ჯ, ჩ: დუ-ს (<დუდ-ს) „თავს“, ბე-ს (<ბედ-ს) „ბედს“, მარ-ს (<მარდ-ს) „მადლს“, ხო-ს (<ხოჯ-ს) „ხარს“, ქომონ-ს (<ქომონჯ-ს) „ქმარს“, კოჩი>კო-ს (<კოჩ-ს) „კაცს“, მე-ს (<მეტ-ს) „მეტს“, ღორონს (<ღორონთ-ს) „ღმერთს“.

არათავკიდურ მარცვალთა აგებულება: ქართულში არაადეკვა-ტური მარცვლები ძირითადად იმავე თანხმოვნებით იწყება, როგო-რითაც თავკიდური მარცვლები. ამიტომ არათავკიდურ მარცვლებ-საც აღმავალი ბერების ახასიათებს (გა-ბზარ-ვა, აღ-გზნება, გა-მო-კრთო-მა, და-წკლრე-ვა...)

მეგრულ-ჭანურში არათავკიდურ მარცვალში თანხმოვნთა ხვედრითი წონა მეტია, მარცვალი შეიძლება იწყებოდეს ერთი, ორი, სამი და ზოგჯერ მეტი თანხმოვნითაც. ხშირია ასეთ შემ-თხვევაში ჰარმონიული კომბლექსები და სონანტები. ბურ-ღლინი „ბურღლუნი“, ბერ-ჯღე-ლი „ღნავილი (ტირილი)“, ო-ღგი-ში „საღ-გისი“, ერ-ცქე-მი „კეიხვი“, ვარ-ჩხი-ლი „ვერცხლი“, გო-მო-რძგუ-ა „გამარჯვება“, ო-რტყა-უ „სარტყელი“, ფუ-ცხო-ლი „ფუსფუსი“, ღი-ნცხი-რი „სისხლი“, ო-ცხო-ჯი „სავარცხელი“, ხე-ნწკე-ლი „სალათა“, ე-ლა-მცქვერი „განებივრებული“, ო-შკვი-დუ „კუდაბზი-ქა“.

ბგერათა შესატყვისობა პოლსურსა და ქართულში

დღემდე, რაც კი ენაში მტკიცე ენათმეცნიერულ მონაპოვრად ითვლება, მოპოვებულია ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მომარჯვებით. ეს მეთოდი მეტად მარჯვეა მონათესავე ენათა უძველესი სტრუქტურის დასადგენად. მონათესავე ენები გარკვეულ კანონზომიერებას გვიჩვენებენ ფონეტიკაში, გარკვეული შესატყვისობა აქვთ ბგერათა სისტემაში. ასეა ზანურსა (კოლხურსა) და ქართულს შორის. ბგერათა შესატყვისობის საკითხში მეგრული და ჭანური სავსებით ემთხვევიან ერთმანეთს ქართულთან მიმართებით. ესაა მთავარი არგუმენტი იმისა, რომ ისინი ცალკე ენებად არ მიიჩნევა.

პირველად ბგერათა შესატყვისობანი მეგრულსა (ამით კი ჭანურსაც!) და ქართულს შორის დაადგინა ალ. ცაგარელმა. შემდეგ ნ. მარმა დააზუსტა. ამ საკითხზე საგანგებო შრომები აქვს ა. ჩიქიბავას, ა. შანიძეს, ვ. თოფურიას და სხვ.

ა. ჩიქიბავა „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონის“ (1938) შესავალში ვრცლად ჩერდება მონათესავე ენათა შედარების პრინციპზე. აღნიშვნულია, რომ:

1) შესადარებელი მოვლენები ან უნდა წარმოგვიდგენინენ განვითარების ერთსა და იმავე საფეხურს, ან უნდა იქნენ დაყვანილი ერთ საფეხურამდის (ეს ისე საჭიროა, როგორც გაერთმნიშვნელიანება წილადების შეკრება-გამრავლებისას), ე.ი. უნდა ვიცოდეთ შესადარებელ მოვლენათა ისტორია (მაგ. ქართ. „ხე“-ს მნიშვნელობით მეგრულ-ჭანურში არის ჯა. მაგრამ მათი შედარება არ შეიძლება, ჯა-ს შესატყვისია ძვ. ქართ. ძელ, „ხე ~ ძელი“).

2) შედარება არ შეიძლება, თუ სხვადასხვა ძირია, არ შეიძლება შევადაროთ: მიწა//დიხა, სახლი//უდე, თავი//დუდი.

3) შედარება არ შეიძლება, თუ სავსებით ერთნაირი ფუძეებია, მაგ.: ქართულ-მეგრულ-ჭანური: ცხენი, კვერცხი, ხუთი, თხა.

4) შედარება შეიძლება, თუ ერთი და იმავე მასალის კანონზომიერი დიფერენციაციაა მოცემული. აქ რამდენიმე შემთხვევაა:

ა) მოვლი ფუძე-ძირიც და აფიქსებიც კანონზომიერ შესატყვისობას გვაძლევენ: დედ-ალ/დად-ულ, კაც-ის/კოჩ-იშ.

ბ) ძირი იძლევა შესატყვისობას, აფიქსები – არა: ზარი/ხო-ჯი, ძმას/ჯუმას, მაგრამ: კაც-მა/კოჩ-ქ, არი-ს/ორე-ნ (აქ ფუნქციუ-რი შესატყვისობაა. აფიქსთა სხვაობა გამოწვეულია მათი სხვადას-ხვა წარმოშობით. მოთხოვთ ბრ.-ის -მა მოდის მან ნაცვალსახე-ლიდან, ხოლო მეგრ.-ჭან. ქ უკავშირდება გ-ს: ე-გ-ე, ო-გ-ი (შდრ.: აქ<ჰაქ, ო-ქ<ჰი-ქ).

გ) ძირი არ იძლევა შესატყვისობას, აფიქსები – კი. მიწ-ის/დიხა-ში, სახლებ-ის/¹უდევ-იშ...

5) შესაძლოა კანონზომიერი შესატყვისობის გზით მიღებულ-მა მასალამ შესადარებელ ენებში იცვალოს აღნაგობა უკვე ამ ენა-თა განვითარების პროცესში (ძმა/ჯუმა-ჯიმა, ორივეგან ცვლილე-ბაა: ძმა<ძამა), ჯუმა/ჯიმა (<ჯომალ).

6) შესაძლოა კანონზომიერი შესატყვისობის გზით მიღებულ-მა მასალამ შესადარებელ ენებში იცვალოს არა აღნაგობა, არამედ მნიშვნელობა, მაგ. ქართ. ძილ-ს შესატყვისება მეგრ. ჯირ: „დინ-ჯირ-უ“ დაწვა, ე.ი. ქართულში ძილს აღნიშნავს, მეგრულში – წოლას.

მეგრ.-ჭან. ჯა-ს „ხეს“ შესატყვისია ძელ, რომელიც ზოგა-დად არ უდრის ხეს.

ხუცეს-ს შესატყვისება მეგრ. უჩაშ „უფროსი“ (მნიშვნელო-ბამ ქართულში განიცადა ცვლილება).

დამე-ს შესატყვისება ჭან. ღომა (მეგრ.: ღუმა) „ღომა“-გუ-შინ, „ღუმა“-წუხელ (მნიშვნელობა იცვლება მეგრ.-ჭანურში).

დღეს ზანურსა და ქართულს შორის დადგენილია ბგერათა შემდეგი შესატყვისობა:

ქართული:		ძ		წ		ც		ზ		ე		ა		(ა)		ჯ		ჰ		შ		(რ)		(ლ)
ზანური:		ჯ		ჰ		შ		ძ		ა		ო		(ე)		ჯგ		ჰქ/ჩ		შქ/სქ		(კ)		(რ)

ძ : ჯ: ძაღ-ლ-ი/ჯოღ-ორ-ი; ძე-ელ-ი/ჯვ-ეშ-ი (ჭან. მჯვეში), ძმარი/ჯუმორი (ჭან.), ძმა/ჯუმა/ჯიმა, ძვ-ალ//ჯი-ჯუ (=დი-ჯუ) შდრ. გურ. ჯიჯგვი „ძვალმსხვილი“, ძერა/ჯაჯა (გურიაში, გვარი: ჯაჯანიძე), ძახ-ება/ო-ჯოხ-უ.

წ : ჸ: წითელი/ჸითა/მჸითა; წყრთა/ჸყირთა/ჸყითა; წაბლი/ჸუბური, ანწ-ლ-ი/ინჭ-ირ-ი (ჭან.), ინჭირია (მეგრ.), მიწვდომა/მენ-

ჭაფა, წვიმა/ჭვიმა/მჭიმა; წამალი/ჭამი, მწერი/ჭანჯი, მწყერი/ჭყორი, წყევლა/ჭყალა.

ც : ჩ: კაცი/კოჩი; ცრემლი/ჩილამური, მიცემა/მეჩამა, ხ-უ-ც-ეს-ი/უ-ჩ-აში, ცხვირი/ჩხვინდი, ცხრა/ჩხორო, ცხელი/ჩხე, ცოლი/ჩილი.

ზ : ჟ: ზე-და/ჟი (მეგრ.-ჭან.); მზე/მჟ-ორ-ა(ჭან.)/ბჟა(მეგრ.)/სგან. მიჟ.

ს : შ: ასი/ოში; სვანი/შონი; სუმა/შუმა; სვ-ელ/შუელ/შვილ//შოლ: დოშოლაფან (ჭან.) „დაასველებენ“, ექვსი/ამშვი/ანში, სული/შური, სადგისი/ოდგიში.

ე : ა: ერთი/ართი, ექვსი/ამშვი/ანში; ძელ-ი/ჯა(ლ), მე/მა, მწერი/ჭანჯი. სიძე/სინჯა, მზე/ბჟა, მარჯვე-დ/მორძგვა-თ.

ა : ო: ასი/ოში, ძალლი/ჯოღორი, ტბა (ტაბა)/ტობა/ტობა-გარჩხლი „ტბავერცხლა“. კაცი / კოჩი, ქათამი / ქოთომი, ხარი / ხოჯი, ვაცი / ოჩი.

(ი) : (ე): სახ. ბრ. ნიშანი ქართ. ი (კაცი, ქალი, ბავშვი) ჭან. ბერეფე „ბავშვები“, კოჩეფე „კატები“, ქათამი/ქოთუმე, ფე-ხი/კუჩხე.

ქართულში არსებულ შიშინა შ-ს და აფრიკატებს ჯ ჭ ჩ-ს მეგრულ-ჭანურში შეესატყვისება ორწევრიანი თანხმოვანთკომპლექსი: შიშინა სპირანტი (შ) და აფრიკატი (ჯ ჭ ჩ) + უკანაუნისმიერი ხშული (გ კ ქ):

ჯ : ჯბ: ჯ-ობ-ნ-ა/რ-ჯგ-ინ-ა, ჯი-ნჭვ-ელ-ა/ჯგი-ჯგი-ტი-ა.

ჭ : ჭბ: ჭედ-ვ-ა/ჭკად-უ-ა, ჭამს/ჭკომუნს, ჭარ/ჭერ „ჭრის“/ჭკირუა, ღოჭკორუ.

ჩ : ჩქ: ჩემი/ჩქიმი; ჩჩ¼ლი (*ჩიჩიილ) //ჩქიჩქუ/ჩუჩქუ (ჭან.), ჩანს/რჩქუ, მაჩქი/მუჩქევი.

შ : შქ: შვიდი/შქვითი; შ-ი-ა/შქ-ირ-ენ-ს; ვაშლი/უშქური, შეა/შქა, გა-შვ-ებ-ა/მე-შქუ-მალა; მო-ა-შთ-ო/და-შქვიდ-უ; ლა-ში/ლეშქი (ჭან.), ლეჩქი (მეგრ.), შინება/შქურინი, შე-შა/დი-შქა.

ზანურის (კოლხურის) უკანაუნისმიერები ამ კომპლექსებში შემდგომ არის განვითარებული. ფიქრობენ, რომ ჯ, ჭ, ჩ, შ ბეგრები კოლხურში ველარიზებული იყო და არა პალატალური. ისინი დღესაც მაგარი თანხმოვნებია მეგრულ-ჭანურში. ამ თანხმოვანთა

ველარული წარმოება გახდა საფუძველი იმისა, რომ მათ შემდგომ განვითარებულიყო უკანაენისმიერი ხშულები (ს. უღენტი).

სხვა სახის თანხმოვანთშესატყვისობიდან არასისტემებრ აღ-სანიშნავია შემდეგი:

(რ) : (ჯ): ი-ს წინ: ზარი/ხოჯი, ფური/ფუჯი, ყური/ ¹უჯი, მხარი/ხუჯი/ფხუჯი, ძირი/ჯინჯი.

(ლ) : (რ): ი-უ ვიწრო ხმოვნების შემდეგ (სონანტების წინ): გული/გური, სული/შური, ფქვილი/ქვირი/მქი, ვაშლი/უშქური, თაფლი/თოფური... (ა და ე ხმოვნის შემდეგ ლ>ლ: მამალი, ბალი, თუალი, მსხალი, ყველი, საჭმელი, ყელი, გამონაკლისია: გველი, მგელი).

(გ) : (რ): საგზალი/ორზოლი, დაგზება/დორზამა, დაგზელს/დორზანს.

ამ უკანასკნელ შესატყვისობას გ. როგავამ სპეციალური წე-რილი უძღვნა: „ქართველურ ენათა ბერათშესატყვისობიდან, მეგრ. რ.: ქართ. გ (საქ. მეცნ. აკ. მოამბე X, Ab 8, 1949) და დაამტკი-ცა, რომ მეგრულ-ჭანურში გ-ს ნაცვლად რ-ს ხმარება აქცესიური კომპლექსის დამლევის კანონის საფუძველზეა დამყარებული. მერ-დინაფუ (\langle მეგდინაფუ \rangle) „დაგპარგვია“, როხულებს (\langle გოხულებს \rangle „გოხვეს“, რჩანს (\langle გჩანს \rangle „გაჭმევს“, რჯვიდუნს (\langle გჯვიდუნს \rangle „გჯოცნის“... ჩანს, რომ გ>რ, რადგან გ რომ დარჩნილიყო, აქცე-სიური კომპლექსები ჩნდებოდა: გდ, გთ, გჩ, გჯ... ასეთ კომპლექსები ზანური გაურბის.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, მეგრულ-ჭანურს „შიშინა“ გაბგერება ახასიათებს, ქართულს – „სისინა“. ამ შესატყვისობაში ბერათა ქართული წყება სისინა, მეგრულ-ჭანურისა – შიშინა. ეს აკუსტიკური შთაბეჭდილების მიხედვით. არტიკულაციის მიხედვით კი ამ ორ წყებას შორის შემდეგი სხვაობაა: ძ, წ, ც, ზ, ს წარმო-ებისას ენის წვერი მონაწილეობს, ხოლო ჯ, ჭ, ჩ, ჟ, შ წარმოები-სას – წინა ენის ზურგი, ე.ი. დიფერენციაცია ამ თანხმოვნებში გა-მოუწვევია არტიკულაციის ცვლას, წინა ენის ზურგის ამოქმედებას ენის წვერის ნაცვლად. წარმოების უკან გადაწევა – ენის მონაწი-ლეობის მიხედვით რომ ვისჯელოთ – ესა ის საფუძველი, რო-მელმაც განსაზღვრა მეგრულ-ჭანურის „შიშინა“ ქართულის „სისი-ნის“ ნაცვლად (ა. ჩიქობავა).

რა გამოიწვია ეს ცვლილება? უცნობია. სპონტანურია. რატომ ქართულში არ მოხდა თანხმოვანთა წარმოების გადაწყვა? პრინციპულად ქართულსაც შეეძლო „სისინი“ შეცვალა „შიშინით“, მაგრამ ეს არ მომხდარა.

ამ მხრივ საინტერესოა შენ/სი ნაცვალსახელების მიმართება. „შენ“ აღმოაჩნდა „სისინა“ წრის ენას, „სი“ კი – „შიშინა“ წრისას. როგორ? „შენ“ ქართულში ზანურიდან შევიდა, ხოლო „სი“ ზანურში ქართულიდან? არა. ა. ჩიქობავა ფიქრობს, რომ შენ ქართულსავე ნიადაგზეა მიღებული სენ-/(სი-ნ)-ისაგან. სი-ნ/სე-ნ-ში ნ/ნა დეტერმინანტია, ამდენად, სი II პირის ნაცვალსახელი გამოდის ქართულსა, მეგრულ-ჭანურსა და სვანურისათვის, ე.ი. ქართველური ენებისათვის. ქართულში ეს ს შეძლებ შეცვლილა შ-თი (შენა, შენი...), ასევე შენი/სქანი. აქ შ მიღებულია ს-საგან, ს დაუცავს მეგრულ-ჭანურს და ქ განვითარებია.

თ. გამტრელიძე კი სულ სხვა ახსნას იძლევა შრომაში „სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა სტრუქტურის ზოგი საკითხი“, 1959.

რატომ აქვს შ და ჯ-ს ზანურსა და სვანურში ორგვარი შესატყვისი? რატომ გვაქვს, ერთი მხრივ, შ – შქ/შგ, ჯ – ჯგ, ხოლო, მეორე მხრივ, შ – სქ/სგ, ჯ – ძგ (შველი – მსქვერი; მარჯვენა – მარგვენი).

თუ არსებული ახსნიდან ამოვალთ, რომ შ – სქ/სგ შეფარდებაში პირველადია სქ/სგ (<*ს), მაშინ უნდა დავუშვათ, რომ ქართულში, რომელიც სისინა წრის ენაა, ეს სისინა (ს) სპირანტი შესატყვის შიშინაში გადავიდა, მაშინ, როცა ზანურსა და სვანურში, რომლებიც შიშინა წრის ენებია, ამავე ფონემას არ მოუცია შიშინა რეფლექსი. თუ ამას დავუშვებდით, უნდა გვევარაუდა, რომ არსებობდა ს-სგან (იმ ს-სგან, რომელიც ზანურსა და სვანურში შ-ს იძლევა) განსხვავებული (ფონოლოგიურად) მეორე სისინა სპირანტი, რომელსაც ქართულში უნდა მოეცა შ და ზანურში სქ, სკ, სგ. ე.ი. შ<(*ს)>სქ/სგ. მაგრამ ასეთი გადასვლისათვის ფონეტიკური პირობები არ არსებობს: ა) ამგვარი შ ქართულში (თითქოს ს-გან მომდინარე) გვხვდება ისეთსავე ფონეტიკურ გარემოცვაში, როგორშიც ის ს სპირანტი, რომელსაც ზანურსა და სვანურში შ ფონემა შეეფარდება. ბ) რატომ განივითარა ამგვარმა პოსტულირე-

ბულმა (*ს) სპირანტმა უკანავნისმიერი ხშული (კ, გ)? სქ/სგ კომპლექსი ზანურ-სვანურში ისეთ ფონეტიკურ გარემოცვაში გვხვდება, რომელიც ქართულ ს ფონემის შესატყვისად არსებულ შიშინა (შ) სპირანტისთვის დასტურდება რიგ ფორმებში.

გ) განსაკუთრებით დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ზანურსა და სვანურში არ არსებოს პირველადი სქ/სგ კომპლექსი, რომლის შესატყვისად ქართულში ს სპირანტი იყოს წარმოდგენილი. სქ/სგ დასტურდება მხოლოდ მაშინ, თუ მის შესატყვისად ქართულში შ სპირანტი გვაქვს. ეს გარემოება გადამწყვეტია. ცხადი ხდება, რომ შქ/შგ და სქ/სგ კომპლექსები ორივე ერთ სიბრტყეზე დგას და ორივე თავდაპირველი შიშინა (შ) სპირანტის კანონზომიერი რეფლექსია.

შ-ს დისტრიბუციული ანალიზი გვარწმუნებს, რომ შქ/შგ კომპლექსის ჩამოყალიბება თავდაპირველი შიშინა (*შ) ფონემისა-გან სპირანტანური ბუნებისაა. მაგრამ სხვაგვარადაა სქ/სგ კომპლექსებთა საქმე: სქ/სგ შეეფარდება ქართულში ისეთ შიშინა (შ) სპირანტს, რომელსაც ბაგისმიერი ვ ან ი ფონემა მოსდევს. იგივე ითქმის ჯ ფონემაზე, რომელიც იძლევა ძგ/სგ კომპლექსებს:

ქართ. შვ/ɪ – ზან. სქ – სვან. სგ/ɪ

შუ-ენის, ჭან. მეგომსქუ, მ-სქვა, სვან. ხ-ე-სგ/ɪ „შვენის“

შვ-ელი, ჭან. მ-სქ-ერი, მეგრ. სქვერი.

შა-შ-ვი (<სა-შ-ვ-ი, ძვ. ქართ. შაშუ) ჭან. მ-ზე-სქ-უ, მეგრ.

ზესქვი.

შვ-ილ-ი, მეგრ.-ჭან. სქ-ირ-ი (<სქვირი).

ქართ. ჯუ – ზან. ძგვ – სვან. სგუ

მარ-ჯუ-ენ-ე, მეგრ. მარ-ძგვ-ანი, სვან. ლე-რსგ/ɪ-ენ

ჯვ „გარეთ გასვლა“, მეგრ. ძგვ, შდრ. სვან. ლა-სგ-არ „საპირფარეშო“.

ხმოვანთა შესატყვისობა ზანურის კილოკავებში:

ზანურის კილოკავებში შეინიშნება რიგ შემთხვევაში უ-სა და ი-ს, აგრეთვე ო-სა და ი-ს შესატყვისობა. ასეთი უ-ს ი ზუგდი-დურ-სამურზაყანულში , -ში გადადის.

ვიწურ-არქაბული, ათინური უ = ხოფური, სენაკური ი = ზუგდიდურ-სამურზაყანული , -ს.

ვიწურ-არქაბულ-ათინური	ხოფური, სენაკური	ზუგდიდურ-სამურზაყანული
დაჩქური	დაჩხირი	დაჩჩ,რი „ცეცხლი“
ჭკული	ჭკილი	ჭკ,დი „მჭადი“
ღოზუმუ	ღოზიმუ	ღოზ,მუ „გაზომა“
ჟურ-ი	ხოფ.(ჟურ), სენაკ-ჟირი	ჟ,რი „ორი“

ვიწურ-არქაბული, ათინური ო = ხოფური, სენაკური ი = ზუგდი-დურ-სამურზაყანული , :

ვიწურ-არქაბული, ათინური	ხოფური, სენაკური	ზუგდიდურ-სამურზაყა- ნული
კორზა „კოვზი, ციცხვი“	კირზა	კ,რზა
ოჭკორუ/ოშკორუ(ათინ.) „ჭრა“	ოჭკირუ	ოჭკ,რუ
ქომოლი „ქმარი“	ქიმოლი (ხოფ.)	ქ,მოლი

უ/ო : ი შესატყვისობაში პირველადია უ/ო. ი შემდეგაა მიღებული, ხოლო ეს ი>, ე.ი. უ/ო>ი>, გ. როგავა კი სხვა ახსნას იძლევა. მისი აზრით, ბგერათა ასეთი შესატყვისობა შედეგია ზანურის ხოფურ, სენაკურ, ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავებში გარკვეულ პოზიციებში უკანანისმიერი უ ხმოვნის ირაციონალური , ხმოვანში გადასვლისა. ხოფურსა და სენაკურში , -ს შენაცვლებია ძირითადი ხმოვანი ი, ე.ი. უ/ო>>ი. უ/ო-ს შეცვლა ირაციონალური , ხმოვნით ზანურის გარკვეულ კილოკავებში ზოგადი ხასიათის ფონეტიკური პროცესია. იგი გამოწვეულია უ/ო-ს წარმოებისთვის საჭირო ბგერებისა და ენის აქტიურობის მოდუნებით. რა პროცე-სებში გადადის უ/ო , -ში? – თუ ასეთ უ/ო-ს წინ უძღვის რომე-ლიმე არალაბიალური თანხმოვნი (გ, ქ, კ, ღ, ხ, ზ, ს...) და უკა-ვია ინტერკონსონანტური პოზიცია: გურუნი>გ.რ,ნი „ვირი“, ჭკუ-ლი>ჭკ,დი „მჭადი“...

ზუგდიდურ-სამურზაფანულში უ>, იძლევა აფიქსებთანაც და
ღია პოზიციაშიც: რგუნს>რგნს „რგავს“, გორჩუ>გორჩს, „გა-
რეცხა“, ბაღუ>ბაღ, „ბეღელი“.

სხვა შემთხვევაში უ/ო ხმოვანი უცვლელი რჩება ზანურის
კილოგრში:

1) სიტყვის დასაწყისში: უჩა „შავი“, უკუმელა „უკუნი“,
უღუ „აქვს“, უნჩაში „უფროსი“, უკული „კლავ (მერე)“...

2) ხმოვნის წინ: ჯუა „ძუ“, ქუა „ქვა“, ონჯუა „საღამო“,
რუო „რვა“, სქუა „შვილი“...

3) წყვილბაგისმიერ ხშულების შემდეგ (ბ, ფ, პ, გ): ბული
„ბალი“, ბურჭული „წალდი“, ფუჯი „ფური“, ფურცელი „ფოთო-
ლი“, ფურინუა „ფრენა“, პუხა „პუზიანი“, პუტონი „პუტვა“, გუ
„ჰგავს“, მუნჩქვი „მაჩვი“.

4) უ ხმოვანი არ გადადის , -ში არც ზუგდიდურ-სამურზაფა-
ნულში, როცა მას წინ უძღვის რომელიმე ლაბიალიზებული კომ-
პლექსი: თანხმ. +ვ: გვ, ქვ, პვ, ღვ, ხვ, ჯვ, ჩვ, ჭვ, ცვ, წვ, ჟვ,
შვ, დვ, თვ, ტვ.

ძვ. ქართულში ასეთი კომპლექსების ლაბიალური მომენტი 1-
თი აღინიშნებოდა.

ზანურში ზოგჯერ ეს ლაბიალიზებული ელემენტი ვ იკარგე-
ბა, ხოლო უ უცვლელი რჩება (სუფიქსისეული):

ჭუნს < ჭვუნს, უჭუ < უჭვუ (შედ. დოჭვი. ძვ. ქართ. წუავს).

რხუნს (<რხვუნს), ურხუ<ურხვუ (შედ. ძვ. ქართ. ½ურელი).

სქუნს (<სქვუნს) „ქრავს, ნასკავს“...

შუნს (<შვუნს) „სვამს“...

მორცელობია

არსებითი სახელის ბრუნვები და ბრუნება

კოლხურში ყველა ის ბრუნვა გვაქვს, რაც ქართულშია, წოდებითის გამოკლებით. წოდებითი ბრუნვა კოლხურში არაა, მის ფუნქციას სახელობითი ბრუნვა ასრულებს (ასეთ შემთხვევაში სახელს ხშირად შორისძებული ბგერა ო, ვო უძღვის წინ: ვო, პეტრე, კოჩი//ო, კოჩი... „კაცო“). სამაგიეროდ, მეგრულსა და ჭანურში ქართულთან შედარებით მეტია: დაშორებითი (კოჩიშე/კოჩიშე(ნ) ჭან.) და მიმართულებითი (კოჩიშა). მხოლოდ მეგრულშია დანიშნულებითი (კოჩიშოთ), გარდაქცევითი (კოჩო „პაცად“, ბაღანათ „ბაღლად“, მაყარეთ „მაყრად“). ასე რომ, ჭანურში 7 ბრუნვაა, მეგრულში – 9 ბრუნვა. ბრუნება ერთია მეგრულსა და ჭანურში.

ბრუნვის ნიშნები:

	მეგრული	ჭანური
1. სახელობითი	ი	ე/ი
2. მოთხრობითი	ქ	ქ
3. მიცემითი	ს	ს
4. ნათესაობითი	შ(ი)	შ(ი)
5. მიმართულებითი	შა	შა
6. დაშორებითი	შე	შე(ნ)
7. მოქმედებითი	თ(ი)	თე(ნ)
8. დანიშნულებითი	იშ-ოთ	—
9. გარდაქცევითი	ო/თ	—

ფუძეთანხმოვანიან სახელთა ბრუნება: კოჩ-ი „კაცი“, დუდ-ი „თავი“, უუჯ-ი „უური“, გურ-ი „გული“.

	მეტრული	ჭანური
სახ.	კოჩ-ი, ღუდ-ი, ფუჯ-ი, გურ-ი	კოჩ-ი, ღუდ-ი, ფუჯ-ი, გურ-ი
მოთხრ.	კოჩ-ქ, ღუდ-ქ, ფუჯ-ი-ქ, გურ-ქ	კოჩ-ი-ქ, ღუდ-ი-ქ, ფუჯ-ი-ქ, გურ-ი-ქ
მიც.	კო-ს, ღუ-ს, ფუჯ-ი-ს, გურ-ს	კოჩ-ი-ს, ღუდ-ი-ს, ფუჯ-ი-ს, გურ-ი-ს
ნათ.	კოჩ-ი-შ(ი), ღუდ-ი-შ(ი), ფუჯ-ი-შ(ი), გურ-ი-შ(ი)	კოჩ-ი-შ(ი), ღუდ-ი-შ(ი), ფუჯ-ი-შ(ი)...
მიმართ.	კოჩ-ი-შ-ა, ღუდ-ი-შა, ფუჯ-ი-შა, გურ-ი-შ-ა	კოჩ-ი-შა, ღუდ-ი-შა, ფუჯ-ი-შა...
დაშორ.	კოჩ-ი-შე, ღუდ-ი-შე, ფუჯ-ი-შე, გურ-ი-შე	კოჩ-ი-შე(ნ), ღუდ-ი-შე(ნ), ფუჯ-ი-შე(ნ)...
მოქმ.	კოჩ-ი-თ(ი), ღუდ-ი-თ(ი), ფუჯ-ი-თ(ი)...	კოჩ-ი-თე(ნ), ღუდ-ი-თე(ნ), ფუჯ-ი-თე(ნ)...
დანიშნ.	კოჩ-ი-შ-ოთ, ღუდ-ი-შ-ოთ...	—
გარდაქც.	კოჩ-ო, ღუდ-ო, ფუჯ-ო, გურ-ო	—

მრავლობითი რიცხვი

	მეტრული	ჭანური
სახ.	კოჩ-ეფ-ი, ფუჯ-ეფ-ი...	კოჩ-ეფ-ე, ფუჯ-ეფ-ე...
მოთხრ.	კოჩ-ენ-ქ, ფუჯ-ენ-ქ.../	კოჩ-ეფ-ე-ქ, ფუჯ-ეფ-ე-ქ...
მიც.	კოჩ-ეფ-ქ, ფუჯ-ეფ-ქ... კოჩ-ენ-ს, ფუჯ-ენ-ს.../ კოჩ-ეფ-ს, ფუჯ-ეფ-ს...	კოჩ-ეფ-ე-ს, ფუჯ-ეფ-ე-ს...
ნათ.	კოჩ-ეფ-ი-შ(ი), ფუჯ-ეფ-ი-შ-ი...	კოჩ-ეფ-ე-შ(ი), ფუჯ-ეფ-ე-შ(ი)...
მიმართ.	კოჩ-ეფ-ი-შა, ფუჯ-ეფ-ი-შა...	კოჩ-ეფ-ე-შა, ფუჯ-ეფ-ე-შა...
დაშორ.	კოჩ-ეფ-ი-შე, ფუჯ-ეფ-ი-შე...	კოჩ-ეფ-ე-შე(ნ), ფუჯ-ეფ-ე-შე(ნ)...
მოქმ.	კოჩ-ეფ-ი-თ(ი), ფუჯ-ეფ-ი-თ(ი)...	კოჩ-ეფ-ე-თე(ნ), ფუჯ-ეფ-ე-თე(ნ)...
დანიშნ.	კოჩ-ეფ-ი-შ-ოთ, ფუჯ-ეფ-ი-შ-ოთ...	—
გარდაქც.	კოჩ-ეფ-ო, ფუჯ-ეფ-ო	—

ფუძეთანხმოვანიანთა დამახასიათებელი ისაა, რომ:

1) ჭანურში სახ. ბრუნვის ი ნიშანი გადაჰყვება ყველა ბრუნვაში, თითქოს ი ბოლოკიდურიანი სახელი იყოს. მეგრულში კი ასეთი რამ იშვიათია (!) მოთხრობითსა და მიცემითში. (შესასწავლია, მეგრულში ი გადაჰყვება თუ აქაც კომპლექსის შექმნის საშიშროებაა: ძღაბ-ის (გოგოს) (ძღაბ-ს არა), თოფ-ის (არა თოფ-ს)..

2) მრავლობით რიცხვში (-ეფ) სუფიქსი უცვლელადაა წარმოდგენილი, მაშინ, როცა ხმოვანთურიანებთან ე-ს კარგავს ჭანურში (კატუ-ფე „კატები“, ორძო-ფე „სკამები“, ბუცხა-ფე „ფრჩხილები“. ე. ი. ა, ო, უ, ე-ზე დაბოლოებულ სახელებში), მეგრულში -ეფ სრულადაა ამ შემთხვევაში შენახული (ბირცხეფი „ფრჩხილები“, კოტოფი „ქოთონები“, კატუეფი „კატები“).

3) მეგრულში მრავლობითი რიცხვის -ეფ ნიშანი მოთხრობითსა და მიცემითში იქცევა -ენ-ად (სენაკურში უფრო) ან -ემ-ად (ემ-ეფ – უფრო ზუგდიდურ-სამურზაყანულში).

4) მეგრულში მიც. ბრუნვის -ს ნიშნის წინ ფუძის ბოლო თანხმოვნები იყარგება. ესენა დ, ტ, თ, ჯ, ჩ. (ე.ი. კომპლექსის აუტანლობა უფრო მიც.-ის -ს-თან თუ -ს სპირანტობის გამოა?).

მე-ს (<მეტ-ს), დუ-ს (<დუდ-ს) „თავს“, მარ-ს (<მარდ-ს) „მადლს“, ღორონ-ს (<ღორონთ-ს) „ღმერთს“, ხოჯს>ხო-ს „ხარს“, კოჩს>კო-ს „კაცს“.

ასევე, პოზიციური ცვლით ფუძის ბოლოკიდური -ლ მიც. ბრუნვაში რ-დ იქცევა: ბული – ბურს „ბალს“, თოლი – თორს „თვალს“, ბურჭული – ბურჭურს „წალდს“, კუდელი – კუდერს „კუდს“, დუდელი – დუდერს „თავთავს“...

5) მრავლობითი რიცხვის სახელობითში ჭანურმა ყველგან შეინახა სახელობითი ბრუნვის ზანური ნიშანი ე, მაშინ, როცა მხოლობითში მისი ადგილი დაიჭირა ქართულმა ი-მ. მეგრულმა კი ზანური ნიშანი ე მხოლობითშიც დაკარგა და მრავლობითშიც. ეს ე ი-ს მსგავსად სახელობითიდან ყველა ბრუნვას გადაჰყვება.

6) მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში მიცემითის ს შეცვლილია ც-თი: კოც „კაცს“, დუც „თავს“, ხოც (<ხოჯს) „ხარს“, ჩხომც „თავზს“...

ფუძეხმოვნიან სახელთა ბრუნება: მეგრულ-ჭანურში ხმოვან-ზე დაბოლოებული სახელები სხვანაირად იბრუნვის.

ა: თომა „თმა“, ბიგა „ჯონი“, დიშქა „შეშა“, ჯუმა/ჯიმა „მმა“, ნუსა/ნისა „რძალი“, ატამა „ატამი“, ბირცხა „ფრჩხილი“...

ე: ბერე „ბავშვი“, კუჩხე „უეხი“, ქოთუმე „ქათამი“, ონტულე „ბოსტანი“, გინძე „გრძელი“, მეგრ: მაყარე „მაყარი“, ჭიჭე „პატარა“, ღვევე „ღორი“...

ო: ორძო „სკმი“¹, ფენწო „ლოკოკინა“, ჩხორო „ცხრა“, ოვრო „რვა“, ბოზო „ქალიშვილი“, კოტო „ქოთანი“...

უ: კატუ „კატა“, ჩიჩქე „ჩვილი“, უვაბუ /მჯვაბუ „გომბეშო“, ღუმუ „ღომი“, ნუგუ „ნიკაპი“, ოჭარუ „წერა (ჭან.)“, ოკვათუ „ჭრა (ჭან.)“...

	მეგრული	ჭანური
სახ.	„თმა“, „კატა“, „ქოთანი“, „სახლი“	„თმა“, „კატა“, „სკამი“, „ბავშვი“
მოთხრ.	თომა, კატუ, კოტო, ¹ უდე	თომა, კატუ, ორძო, ბერე
მიც.	თომა-ქ, კატუ-ქ, კოტო-ქ, ¹ უდე-ქ	თომა-ქ, კატუ-ქ, ორძო-ქ, ბერე-ქ
ნათ.	თომა-შ(ი), კატუ-ს(ი), კოტო-ს(ი), ¹ უდე-ს(ი)	თომა-შ(ი), კატუ-შ(ი), ორძო-შ(ი), ბერე-შ(ი)
მიმართ.	თომა-შა, კატუ-შა, კოტო-შა, ¹ უდე-შა	თომა-შა, კატუ-შა, ორძო-შა, ბერე-შა
დაშორ.	თომა-შე, კატუ-შე, კოტო-შე, ¹ უდე-შე	თომა-შე(ნ), კატუ-შე(ნ), ორძო-შე(ნ)...
მოქმ.	თომა-თ(ი), კატუ-თ(ი), კოტო-თ(ი), ¹ უდე-თ(ი)	თომა-თე(ნ), კატუ-თე(ნ), ორძო-თე(ნ)...
დანიშნ.	თომა-შ-ო(თ), კატუ-შ-ო(თ)...	—
გარდაქც.	თომა-თ, კატუ-თ, კოტო-თ, ¹ უდე-თ	—

1) მრავლიბით რიცხვში ა, უ, ო-ზე ფუძეგათავებული სახელები ჭანურში მრავლიბითი რიცხვის ეფ-ის ე-ს კარგავენ: თომა-ფ-ე, თომაფ-ე-ქ, კატუ-ფ-ე, კატუ-ფ-ე-ქ; ორძო-ფ-ე, ორძო-ფ-ე-ქ.

მეგრულში ასე არაა: კატუ-ეფ-ი, კოტო-ეფ-ი, 1უდე-ეფ-ი, თომ-ეფ-ი (<თომა-ეფ-ი).

ე-ზე დაბოლოებული სახელები (ბერეფე, კუჩხეფე) ა. ჩიქო-ბავათი: ბერ-ეფ-ე, კუჩხ-ეფ-ე, ე.ი. ფუძის ბოლო ე არის მოკვეცი-ლი. მაგრამ: მამცუდალე-ფ-ე „მატყუარები“, ონჩამურე-ფ-ე „საცეხ-ველ-ებ-ი“, აქ მრავლობითი რიცხვის ე-ა მოკვეცილი.

2) სახელობითი ბრუნვის ნიშანი ჭანურში მხოლობით რიც-ხვში ჩვეულებრივ ი არის, როგორც ეს ქართულსა და მეგრულ-შია, მაგრამ შენახულია ქართული ი-ს ზანური შესატყვისი ე: ბერ-ე „ბავშვი“, კუჩხ-ე „უეხი“, ქოთუმ-ე „ქათამი“...

ამ სახელებში -ე სახელობითი ბრუნვის ნიშანია და არა ფუ-ძის დაბოლოება. ჭანურში ე-ზე ფუძეგათავებული სახელები ისე არ მოიპოვება, როგორც ი-ზე გათავებული სახელები ქართულში (ნაწარმოებ სახელებში ე მაწარმოებელია: მამცუდალე, ონჩამურე, ნოპიწკალე „ცეცხლის წინწკლები“). ნასესხებში კი ე ფუძისეუ-ლია: დეკიკე, მედვე, მეზარე „საფლავი“. ჭანურში პირველადი სა-ხელებიც ბოლოვდება, ალბათ, ე-ზე, მაგრამ იგი აირია სახელობი-თი ბრუნვის ე-ში, როგორც ქართული ი (ფუძისა) აირია სახელო-ბითი ბრუნვის ი-ში (ძველი ქართ.: გრიგოლი, ახალი ქართ. გრი-გოლ) და, ამდენად, ე-ზე დაბოლოებული ფუძეები გადაშენდა. სა-ხელობითი ბრუნვის ი/ე ნიშანი ისე გადაჰყება ყველა ბრუნვაში, როგორც სხვა ფუძისეული ა, ო, უ ხმოვნები.

ი. ყიფშიძის აზრით, (ნ. მარს იმეორებს, ეტყობა, მარს ქართ. ი-უ, რათა სემიოტიკისათვის დაეკავშირებინა) მეგრულში სახელო-ბითი ბრუნვის ნიშანი უნდა ყოფილიყო უ: უ>ი. მაგრამ დღეს ჭირს მისი გარჩევა ფუძისეული უ-სგანო. მხოლოდ ბერინერ შემ-თხვევას უნდა გუმადლოდეთ, რომ ფიცილის ფორმულაში დარჩენი-ლა სახელობითი ბრუნვის ნიშანი უ: ღორონთუ-მე (ღმერთმანი, ღმერთი-მე), შურუ-მე, სქანი მორდუ-მე (ღორონთი „ღმერთი“, შუ-რი „სული“, მორდუ „გაზრდა“).

ჩვენი აზრით, პირიქითაა: ღორონთი-მე>ღორონთუ-მე (მ-მ ღა-ბიალობა შესძინა ი-ს და უ-დ აქცია ასიმილაციის ძალით).

3) მოთხრობითი ბრუნვის ნიშანია -ქ მეგრულ-ჭანურში. ი. ყიფშიძე ამ ბრუნვას ეძახდა „ნაცვალსახელოვან მიცემითს“, ე.ი. ჩანს, მას ქ ნაცვალსახელიდან მომდინარედ მიაჩნდა, მაგრამ კერ-

ძოდ საიდან, ეს არა ჩანს. „ნაცვალსახელობით“ ბრუნვას ეძახდა მას 6. მარიც.

ა. ჩიქობავას აზრით, **ქ უკავშირდება გ-ს:** ე-გ-ე, ო-გ-ი (შდრ. აქ<ჰა-ქ, იქ<ჰი-ქ). იგი მან-ის (მოთხ. ბრ.) ბადალია. თვით ქართულში მოთხოვითი ბრუნვის ნიშანი ისტორიულად -ნ არის: მან, ვინ/მუ-ქ, მი-ქ. ქართულში 6 არის ქართული თუ შემონატანია?

4) მიცემითი ბრუნვის ნიშანია ს, როგორც ეს ქართულშია. მოსალოდნელი იყო -შ, მაგრამ არსად შენახულა მიცემითში -შ. მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულში ეს ს>ც: კოც „კაცს“, ხოც „ხარს“...

იშვიათად არის -ას: ძვირ-ას „ძვირად“, წწარ-ას „წწარედ“, შხირ-ას „შშირად“, ეფ-ას „იაფად“, თელ-ას „ცოცხლად“. ყიფში-ძის აზრით, -ას არის არქაული ბრუნვის ნიშანი ქართული მიცემითისა. ყიფშიძე, აღბათ, გულისხმობდა ქართულის შემდეგი სახის მაგალითებს: ალაგას, ადგილას.

5) ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია ქართული ის-ის შესატყვისი იშ, რომელიც ხმოვანფუუბიანებთან კარგავს ი-ს და რჩება -შ. თომა-შ(ი), კატუ-შ(ი), უდე-შ(ი), კოტო-შ(ი), თომა-შ(ი)<თომა-იშ(ი).

თანხმოვანფუუბიან სახელებთან -იშ რჩება: კოჩ-იშ(ი), ხოჯ-იშ(ი)...

ოღონდ ის კია, რომ ამ იშ-ის ი ნათესაობითის ნიშნის ელემენტია, თუ სახელობითი ბრუნვის ი, რომელიც ყველა ბრუნვაში გადაჰყება, ამის გარჩევა ძნელია: კოჩ-ი, კოჩ-ი-ქ, კოჩ-ი-შ(ი) (<*კოჩ-ი-იშ(ი)).

მრავლობით რიცხვში -იშ დაცულია: კოჩ-ეფ-იშ(ი). ეს ასევა მეგრულში, ხოლო ჭანურში შ არის დარჩენილი, ფუძის ბოლო ხმოვნის გავლენით იშ-ის ი იკარგება: კატუ-ფ-ე-შ(ი) „კატებით“, კოჩ-ეფ-ე-შ(ი) „კაცებით“...

შეიძლება ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი დაიკარგოს კომპოზიტებში: ზღვა-პიჯი (<ზღვაშ(ი) პიჯი) „ზღვისპირი“, ჭუბურ-ხინჯი „წაბლისხიდი“...

6) მიმართულებითი, დაშორებითი და დანიშნულებითი ბრუნვები ნათესაობითი ბრუნვის დიფერენციაციითაა მიღებული: ნათ. კოჩ-ი-შ(ი) უვაბუ-შ(ი) „კაცისა“, „გომბეშოსი“

დაშორ.	კოჩ-ი-შ-ე(ნ)	უვაბუ-შ-ე(ნ)	„კაციდან/ისგან“, „გომბეშოდან/ისგან“
მიმარ.	კოჩ-ი-შ-ა	უვაბუ-შ-ა	„კაცისკენ“, „გომბეშოსკენ“
დანიშნ.	კოჩ-ი-შ-ო(თ)	უვაბუ-შ-ო(თ)	„კაცისთვის“, „გომბეშოსთვის“

6. მარისა და ო. ყიფშიძის აზრით, მიმართულებითი ბრუნვა (კოჩი-შა) არის წმინდა მიცემითი ბრუნვა ქართული გახმოვანებით (ა გახმოვანებით): კოჩიშა < *კოჩიაშ (შდრ.: ნწარას, ძვირას). ეს სწორი არაა.

მათივე აზრით, დაშორებითი ბრუნვა (კოჩი-შე) არის ნათე-საობითი ბრუნვის ფორმა თუბალ-კაინური გახმოვანებით (ე/ი ხმოვნით). არაა სწორი ესეც.

დანიშნულებითი მიჩნეულია მარისა და ყიფშიძის მიერ მეორე მიცემით ბრუნვად თუბალ-კაინური გახმოვანებით (ქართ. ა > მეგრ.-ჭან. ო) კოჩ-ი-შ-ო(თ)<*კოჩ-ი-ოშ(თ). არც ესაა სწორი. ნამდვილად სამივე ეს ბრუნვა ნათესაობითი ბრუნვის ლიფერენციითაა მიღებული, რასაც ადასტურებს შემდეგი:

- 1) სამივე ბრუნვაში საერთო შ დაბოლოებიანი (ნათ. ბრ.) ფუძე; 2) ნაცვალსახელითა წარმოება:

	მეგრული	ჭანური
ნათ.	კოჩ-ი-შ	ჩქიმ
მიმართ.	კოჩ-ი-შ-ა	ჩქიმ-და
დაშორ.(დაწყ.)	კოჩ-ი-შ-ე	ჩქიმ-დე
დანიშნ.	კოჩ-ი-შ-ოთ	ჩქიმ-ოთ
		— — —

ასეა II პირის ნაცვალსახელი: სქ/კან – სქ/კანდა, სქ/კანდე, სქ/კანოთ...

ვ. თოფურიამ წერილში „ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ჭანურში“, წამოაყენა მოსაზრება, რომ მიმართულებითი და დაშორებითი ბრუნვის დაბილოება ა და ე მოდის ნაცვალ-სახელებში დაცულ და და დე/დე(ნ) ნაწილაკისაგან:

კოჩიშა<*კოჩიშდა, კოჩიშე<*კოჩიშდე(ნ)

დ-ს დაკარგვა საზოგადო სახელებში ფონეტიკურ ნიადაგზეა წარმოშობილი, მეგრულ-ჭანური გაურბის აქცესიურ შდ კომ-

ალექსის (შდრ. შტერი>შერი, შტრაფი>შრაფი, დასტურ>დასურო, ვერსი(<ვერსტი....).

ვ. თოფურია არ ეხება, თუ რა წარმოშობისაა თვით და/დე/დენ.

2) დანიშნულებითი უდრის ნათ. ბრ. + გარდაქცევითი ბრუნვის ნიშანი -ოთ.

კოჩ-ი-შ-ოთ (გარდაქც.: კოჩ-ოთ) და ფარავს ქართულის „კაც-ის-ად“-ს. სევსურულშია ასე: ქმრისად (<ქომონჯიშოთ), გურულში: იმიზა<იმისძა. -ად ქართულის მეგრულ-ჭანური შესატყვისია -*ოდ>ოთ (დ დაყრუვდა).

7) მოქმედებითი ბრუნვის ნიშანია (ი)თ(ი) მეგრულში, (ი)თე/(ი)თე(ნ) ჭანურში. ა. ჩიქობავათი ჭანურის (ი)თე(ნ)-ის ე ქართულის ოზე მიგვითითებს თითქოს (ქალაქ-ით-ი „ქალაქად“), მაგრამ მათი იგივეობის მტკიცება ძნელია. ნ ბოლოკიღურის ფუნქციაც არაა ნათელი, იგი ნი ნაწილაკის ნარჩენი არ უნდა იყოს.

კერძოობითი მოვლენები ბრუნებაში:

1) ათინურის ართაშნულ თქმაში მოშლილია მოთხრობითი: ავჯი „მონადირე“ (=ავჯიქ) მთუთი დოილუ „მონადირე(მ) დათვი მოკლა“; კონქში (=კონქშიქ) მიწუ-ქი „მეზობელმა მითხრა, რომ“...

ასევე იკარგება მიც. ბრუნვის -ს: კოჩი (=კოჩიქ) უწუმერს ოხორძა „კაცს ეუბნება ცოლი“; შეერი (=შეერის) მუ დუღდა გიღუნ „ქალაქში რა საქმე გაქვს“. მოთხრობითის მოშლა ჭანურის გრამატიკული სისტემის რღვევის დაწყებას ნიშნავს.

2) არქაბულში (ათინურშიც) მიმართულებითი ბრუნვისთვის ცალკე ფორმა არაა, სამაგიეროდ, დაშორებითი ორ ფუნქციას ასრულებს, ასე რომ, არქაბული ოხორიშე ნიშნავს: 1. სახლის-გან/სახლიდან, 2. სახლისკენ: მა ქარმატეშე მენდაფთი „მე წისქვილისკენ (წისქვილში) წავედი“.

ოხორიშე ვიგზალათერე „სახლისკენ (სახლში) წავიდეთ“.

ყიფშიძის ათინურ ტექსტებში ჩიქობავს შეუნიშნავს საპირისპირო მოვლენა: დაშორებით ბრუნვად გამოყენებულია მიმართულებითი:

ათინაშა წუკიტიშა „ათინიდან წუკიტამდის“;

ცაშა თოფრი ჯულუნ „ციდან თაფლი ჩამოდის“;

ოშკურიშა ქოჯეხტუ „გაშლიდან ჩამოვიდა“.

ეს იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ჯერ კიდევ ჭანურში დამთავრებული არაა ამ ორი ბრუნვის დიფერენციაცია.

3) ყველაზე თავისებური ჭანურში შემდეგია: ბრუნვის ფორმა (დაბოლოება) დაერთვის ზმნის პირიან ფორმას და თანდებულთან ერთად მაქვემდებარებელი კავშირის მაგივრობას ეწევა:

ხოჯა ოხორიშა მეხთუ-ში, ბიგათენ დოზაპეს (ჩიქობავა) = „ხოჯა სახლში მივიდა-ს შემდეგ ჯოხით სცემეს“.

უშეით დოფათხუ-ში, მჩხუეფექ ქოჭკომეს „გაშლი რომ ჩამორეკა, ცხვრებბა შეჭამეს“;

ოხორიშა ნიტუ-ში, ქოძიუ არ კოჩი გზას გელახეტუ „სახლში რომ მიდიოდა, დაინახა, ერთი კაცი გზაზე ივჯდა“;

მეხთუ-შ-კულე ქოძიუ „რომ მივიდა, დაინახა“.

შე > შე ხოჯურში: დოჩოლინესჭკულე საებიქ უწუექ „რომ დაამთავრეს, პატრონმა უთხრა, რომ“. ია მოხთაშა, პაქ რტა „ის მოვა-მდე აქ იყავი“.

ზმნის ფორმამ შეიძლება დაირთოს სახელის მრავლობითი რიცხვის **-ეჟ** ფორმანტი.

„მან-ნა გმრვი-ფე“ დოყვი, დო დიდო კო იყვენ (=გიოხარ-ებ-ი=რაც გიოხარი (ამბები)...).

4) ა-ზე ფუძეგათავებული სახელები მრავლობით რიცხვში აღადგენენ ფუძისეულ თანხმოვან ლ-ს: ჯა „ხე“ – ჯალ-ეფი, ჯიმა „ძმა“ – ჯიმალ-ეფი, დღა „დღე“ – დღალ-ეფი, ოხორვა „რძალი“ – ოხორვალეფი, მუმა „მამა“ – მუმალეფი...

უ-ზე დაბოლოებული ორი ფუძეც ასეა: თუ „გოჭი“ – თულ-ეფი, ჩხოუ „ბროხა“ – ჩხოულეფი/ჩხულეფი.

თანდებულიანი ბრუნვები

ზანურის თავისებურებას ქართულთან შედარებით შეადგენს თანდებულთა სიმცირე (სამაგიეროდ, ზმნისწინებითაა მდიდარი!). სულ რამდენიმე თანდებული გვაქვს.

ნათ. ბრუნვას დაერთვის ჭანურში ქალა (=,თან“), ოლონდ მის წინ ნათ. ბრუნვის ნიშანი იყარგება: ბაბაკალა (<ბაბაშ კალა> „მამასთან“, ფუჯიკალა (<ფუჯიშ კალა>) „ძროხასთან“. ეს თანდე-

ბული მეგრულშიც გვთვდება ნ-წკუმა/ნ-წკ.მა, წკალა-ს სახით. ნ აქ ჩართულია, განვითარებულია, წ წარმომდგარია ნათ. ბრუნვის შ-სგან გ-ს მეზობლობაში (შდრ. მოხთუ-შ-კულე<მოხთუჭკულე ჭან.), ასე რომ, წკალა/წკ.მა-ს პირველადი სახეა იგივე ჭანური „კალა“. მეგრული ბაღანაწკუმე (<ბაღანაშკუმა) „ბავშვთან“, რომ შკ>წკ (ბუნებრივი კომპლექსების შექმნის ტენდენციით), ამას ადასტურებს ქვემომერული: ტყიწყენ, ცეცხლიწყენ (<ცეცხლისკენ), ამე-იყვანოწყე (<ამეიყვანოსკენ). (ვ. ოთფურია).

ნათ. ბრუნვას დაერთვის თანდებული კელე ჭანურში „პენ“. მანძაგერეშ-კელე „მეზობლისკენ“, ჯაშკელე „ხისკენ“. შეიძლება ნათ. ბრუნვის შ დაიკარგოს: ქოქიკელე (<ქოქიშკელე „მირის-კენ“), დაღიკელე „ტყისკენ“.

ეს თანდებული დაშორებით ბრუნვასაც დაერთვის: სკანდეკე-ლე „შენკენ“, ჩქიძეგელე „ჩქმენ“. მეგრულში მის ნაცვლად სახე-ლია „გაინშე“ (=კენ „გასწვრივ“), „უდეშ გაინშე“ სახლისკენ...

ნათესაობით ბრუნვას ერთვის –სოერი ჭანურში (=„ვით“, „თანა“) /ა. ჩიქობავა/. ოღონდ ნათ. ბრუნვის ნიშანი იკარგება მის წინ ყოველთვის.

6. მარის მიხედვით, თანდებულია თერი. სწორი ჩანს: -ს შე-იძლება მიცემითი ბრუნვის -ს იყოს, როგორც ამას ნ. მარი ფიქ-რობდა. კოჩი-სთერი („კაცივით, კაცისთანა“), ჭურკისთერი „კარ-დალასავით“, „კარდალის მსგავსი“, ჩქიძისთერი „ჩქმისთანა“. უფ-რო სწორია: კოჩის-თერი, ბერეს-თერი = „კაცსავით, ბავშვსავით“.

ხოფური რ-ს კარგავს: სთერი>სთეი: სქანისთეი „შენსავით“, ბერესთეი „ბავშვსავით“...

ჭანურის „-სთერი“-ის ფუნქციით მეგრულში ნახმარია ჯგუ-რა თანდებული: დაჩხირივჯგურა ჭითა „ცეცხლივით წითელი“; ჩქი-მიჯგურა „ჩქმისთანა“. ამ თანდებულის ჯ წარმომდგარია ნათ. ბრუნვის შ-სგან გ-ს მეზობლობაში: ჩქიძიშგურა>ჩქიძიჯგურა. შდრ. გუ „ჰეგავს“, ქართ. „ამის მაგვარი“ (გუარი „სახე“, „მსგავსი“). მეგრულში ჩვენებით ნაცვალსახელებთან თანდებულად იხმარება გვარი: თეგვარი „ასეთნაირი“, „ასეთი“, თიგვარი „ისეთნაირი“, „ისეთი“.

გ. კარტოზიათი: შ-გურ-ა (=ქართ. გვარ<გოვარ), ეს ძირია: უ-გურ-უანს „ამსგავსებს“, მე-გურ-აფ-ა „მიმსგავსება“. იხ. მისივე,

, „ერთი თანდებულის გენეზისისათვის მეგრულში“, ქართველურ ენა-თა სტრუქტურის საკითხები, II, 1961.

მიმართულებით ბრუნვას დაერთვის -ქის (ჭან.) // -ნი/-ნ (მეგრ.)=მდე.

გდარი ოჭკომუშა-ქის ქომოხთუ ბერე „საჭმლის ჭამამდის მოვიდა ბავშვი“. ხუთ თუთაშა-ქის ვა’ძირი-ნა, გოდქთი „5 თვემდის თუ ვერ ნახე, მობრუნდი“.

მეგრ.: ¹უდეშახი/ ¹უდეშახ მიდა¹უნუ „სახლამდე გაპყვა“. თე”შახ, აი”შახ ვამიჩქუდუ „აქამდე არ ვიცოდი“. აფხაზურიდანაა -ხ „კენ“, ჟა-ხ „ჩემპენ“. მეგრულშიცაა ხ კენის მნიშვნელობით: ჟიდო-ხ-შე „ზევიდან, ზევით-კენ-ი-დან“, თუდო-ხ-შე „ქევეიდან, ქევით-კენ-ი-დან“, გოწოხ „შარშან, გასულ წელს“ (ტ. გუდავა, ერთი აფხაზური თანდებული ზანურში, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, VIII-3, 1947).

დაშორებით (გამოსვლით) ბრუნვას დაერთვის -ნი (=„თვის“). ჭანურში მისი დართვა აუცილებელია დანიშნულებითი ბრუნვის უქონლობის გამო, მის საკომპენსაციოდ: სქანიშე-ნი გინონ? „შენ-თვის გინდა“? ჯუმაშენი, ბერეშენი... „ძმისთვის, ბავშვისთვის“.

ეს თანდებული მეგრულშიცა: ათე”შე’-ნი გიწიი „ამის-თვის/ამიტომ გითხარი“, ბაღანაშე-ნი დუდი დი¹ვილუ „ბავშვისთვის თავი მოიკლა“.

მეგრულში -ნი ოდნავ სემასიოლოგიურად გადახრილია: სქანიშენი ვუწი-მა „შენზე, შენ შესახებ ვუთხარი მე“.

ჭანურის ნი თანდებულიანი ბრუნვის ნაცვლად მეგრული სპეციალურ ბრუნვას – დანიშნულებითს იყენებს. შდრ. ჭანური: ადა ჯუმაშე-ნი მინონ და მეგრ. ¹ანა ჯიმაშოთ მოკო „ეს ძმისთვის მინდა“.

თანდებულის მნიშვნელობით იხმარება მეგრული გეშა: იშ გე-შა, ინა დიდი რე „მასთან შედარებით იგი დიდია“. ფიქრუნდუ ფა-რეფიში გეშა – „ფიქრობდა ფულზე“ (ი. ყიფშიძე).

მეგრ. გაამათ „გარდა“, „ნაცვლად“: თეშ გაამათ „ამის ნაც-ვლად“ (ი. ყიფშიძე).

ნ. მარს ჭანურში ნათ. ბრუნვაზე დართულ თანდებულად და-სახელებული აქვს თერე: შქიმი თერე მიხთა (ათინ.) „მოდი ჩემ-თან“.

ნაცილაპიან სახელთა პრუნება

მეგრულ-ჭანურში არის ნაწილაკი თ(ი), რომელიც ქართული ც(ა)-ს ეკვივალენტად არის მიჩნეული: კაც-ი-ც, კაც-მა-ც, კაც-ს-აც, კაც-ის-აც... შდრ. კოჩი-თი, კოჩიქ-თი (ჭან.), კოჩიქით (მეგრ.), კოჩის-თი (ჭან.), კოსითი (მეგრ.), კოჩიშითი (მეგრ.-ჭან.)...

ც/თ მონაცემებისა და ქართულში შეინიშნება: თი-კანი/ციკანი, ზარმაცი/ზარმათი (მეგრ.) (ჩიქობავა). მ. ხუბუათი: ცვლა/თირუა, გარდაიქცა/გინირუე. ც/თ: თვით მეგრულში: ოციკონანს/ოთიკინანს, თინგუა/ცინგუა, თირთინი/ცირცინი, თიკი/ციკი...

მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ მეგრულ-ჭანური თი მორფოლოგიური (არა ფონეტიკური!) შესატყვისი იყოს „იგი“ ნაწილაკისა (ძვ. ქართ. ესე, ეგე, იგი) რომელი-იგი, რომელმან-იგი, რომელსა-იგი... ე.ი. ესე, ეგე, იგი-ს ბადლად მეგრულ-ჭანურში იქნებოდა თე, თი. თე ზმნების I სერიაშია შერჩენილი (ე-თე-მე-ჭარუნს „წა-ცა-წერს“, ე-თე-მე-დირთუ „წა-ცა-დგება“, მო-თე-მო-ხვადუ „წა-ცა-ხვდება“. ყიფშიძით, თი/მა (=თე-მე) უსრულ ასპექტზე მიუთითებს, ხოლო მ. ხუბუათი, თე=ცა: გე-თე-დოხოდუ, წა-ცა-ჯდების“....).

მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა: ბრუნების თვალსაზრისით ზედსართავი სახელი და რიცხვით სახელი ცალკე მორფოლოგიურ კატეგორიად არ გამოიყოფა. არსებითი სახელის ნორმები ბრუნებისა მათზეც ვრცელდება. მაგრამ სხვა მდგომარეობაა ორი ან მეტი სახელის ერთად ბრუნებისას. საზღვრული ერთია, მსაზღვრელი კი რამდენიმე შეიძლება იყოს: მსქვა, აღნე ქითაბი „ლამაზი, ახალი წიგნი“. მსაზღვრელი შეიძლება იყოს მართულიც: ჯიმაში ოხორი „მძის სახლი“, მანძაგერეშ ბერე „მეზობლის ბავშვი“, ოჭკომაშ დრო „ჭამის დრო“...

ზანურში მსაზღვრელი ჩვეულებრივ წინ უსწრებს საზღვრულს, მაგრამ შეიძლება მოსდევდეს: ოხორი მსქვა „სახლი ლამაზი“, ნანა ჩქიმი „დედა ჩემი“...

ბრუნების წესი: თუ მსაზღვრელი წინ უძლვის საზღვრულს, იგი არც ბრუნვაში და არც რიცხვში არ შეიცვლება: მანძაგერეში ბერე, მანძაგერეშ ბერექ, მანძაგერეშ ბერეს... აქ ისე არ იცვლება,

როგორც მართული მსაზღვრელი ქართულში: მეზობლის ბავშვი, მეზობლის ბავშვმა, მეზობლის ბავშვს...

ლებონი ფორჩა „ჭუჭყიანი კაბა“, ლებონი ფორჩაქ, ლებონი ფორჩას, ლებონი ფორჩაში...

დიდი გზა, დიდი გზაქ, დიდი გზას, დიდი გზაში...

აღნე ამბაი „ახალი ამბავი“, აღნე ამბაიქ „ახალი ამბავა“, აღნე ამბაის „ახალი ამბავს“, აღნე ამბაიშ „ახალი ამბაის“...

ჭითა უშქური/მჭითა უშქირი „წითელი ვაშლი“, ჭითა უშქურიქ „წითელი ვაშლის“...

მრავლობით რიცხვშიც უცვლელია წინამავალი მსაზღვრელი: მჭითა უშქურეფი „წითელი ვაშლები“, მჭითა უშქურენქ „წითელი ვაშლებმა“, მჭითა უშქურენს „წითელი ვაშლებს“...

ქართულთან შედარებით, სხვაობა აქ ისაა, რომ წინამავალი მსაზღვრელი უცვლელი რჩება ბრუნებისას, თანხმოვანფუძიანი იქნება ის თუ ხმოვანფუძიანი, მაშინ, როცა ქართულში მხოლოდ ხმოვანფუძიანი წინამავალი მსაზღვრელი რჩება უცვლელი ბრუნებისას. ქართულში დაწყებული პროცესი ჭანურსა და მეგრულში დამთავრებულია.

მაგრამ, თუ რიგს შევცვლით, მსაზღვრელი იბრუნვის (რიცხვში არ უთანხმდება!): ხოჯი დიდი „ხარი დიდი“, ხოჯიქ დიდიქ „ხარმა დიდმა“, ხოჯის დიდის „ხარს დიდს“, ხოჯიშ(ი) დიდიშ(ი)... ხოჯეფე დიდი, ხოჯეფექ დიდიქ/ ხოჯენქ დიდიქ, ხოჯეფეს დიდის/ხოჯენს დიდის... „ხარის დიდის“...

მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ მომდევნო მსაზღვრელმა მიიღოს ბრუნვის ნიშნები და საზღვრული უცვლელი დარჩეს:

¹უდე ჯაში „სახლი ხისა“, ¹უდე ჯაშიქ „სახლი ხისამ“, ¹უდე ჯაშის „სახლი ხისას“, ¹უდე ჯაშიშ(ი) „სახლი ხისასი“... რა თქმა უნდა, შეიძლება: ¹უდექ ჯაშიქ „სახლმა ხისამ“, ¹უდეს ჯაშის „სახლს ხისას“... (ე. ლომთაძე, „მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა მეგრულში“, იბერიულ-კავკასიური ქათმეცნიერება, VI, 1954, გვ. 227).

ასეა კომპოზიტებშიც: მუამუში (<მუმა მუში>) „მამა მისი“, მუამუშიქ, მუამუშის... საერთოდ კომპოზიტებში ნათ. ბრუნვის -იში იკარგება: ¹უდეკარი „სახლიკარი“, კიდაჭი (კიდაშჭი) „კედლიჭია“, ცხენწყარი „ცხენწყალი“, დასქუა „დიშვილი“... პიჯვარი „პირვევა-

რი“, თოლისერი „თვალღამე“, ხემანწყუ „ხელის შემწყობი“, გურ-საჭო „გულსატკენი“, ბჟაიოლუ „მზეამოსევლა“, კამაწყარი „კამაწყალი“, ალიჩქარი (<ალიშქარი) „ცეცხლის ალი“, ხეშქაგური (<ხეშ შქაგური) „ხელშუაგული“, კუჩხმოდვაი „ფეხსაცმელი“, ბიძისქუა „ბიძაშვილი“, წაკურთხია (<წყალის კურთხევა).

რით აიხსნება წინამავალი მსაზღვრელის უცვლელობა ბრუნვასა და რიცხვები? შინაარსობრივი მომენტით: როცა მსაზღვრელი წინაა და საზღვრული მომდევნო, მათ შორის კავშირი აშკარაა და ცხადია, რადგან მსაზღვრელი სხვა სიტყვას ვერ დაუკავშირდება. ამიტომ ბრუნვის პროცესში ასეთი მსაზღვრელი დუნდება, კარგავს ბრუნვის ნიშნებს (უკეთ რომ ვთქვათ, არ იბრუნვის) – ეს პროცესი მეგრულ-ჭანურში დასრულებულია (ქართულში დაწყებულია: ხმოვანფუძიან მსაზღვრელებთან...). მაგრამ, როცა მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს, ასეთ დროს კავშირი მათ შორის ისე ნათელი არაა, რადგან მომდევნო მსაზღვრელი შეიძლება შემდგომ სიტყვას მიეკედლოს: ოხორი აღნე მანძაგვრეშმ რე. აյ მსაზღვრელი „აღნე“ „ოხორის“ განსაზღვრავს. მაგრამ კონტექსტში იგი შეიძლება „მნძაგერესეს“ განსაზღვრავდეს (1. „სახლი ახალი მეზობლისაა“. 2. „სახლი ახალი მეზობლისაა“). რომ ნათელი იყოს, რომელს ეკუთვნის მსაზღვრელი, ამიტომ იგი უთანხმდება იმ სახლს, რომელსაც განსაზღვრავს.

შენიშვნა: ორი სახელი, „და“ კავშირით შეერთებული, თუ მსაზღვრელი იქნება (ჯვირი და სქვამი ოჭკომაი, „-“ ოჭკომაიქ) „ქარგი და ლამაზი საჭმელი, „-“ საჭმელმა“, არც ერთი არ იბრუნვის. თუ ისეა, მაშინ მეორე სახელი იბრუნვის: მუმა დო სქუა „მამა და შვილი“, მუმა დო სქუა „მამა და შვილმა“...

ზედსართავი სახელი

მეგრულ-ჭანურში თუ ზედსართავი სახელი იბრუნვის, სავსე-ბით ისეთსავე დაბოლოებას მიიღებს, როგორსაც არსებითი სახელი. 1) ზედსართავი სახელი მაშინ იბრუნვის, თუ იგი წინადადებაში მსაზღვრელის როლში კი არ გამოდის, არამედ დამოუკიდებლად, არსებითი სახელის მნიშვნელობით:

უნაში სქუაქ ვამკულუუ დიდას, მარა უკულაშიქ ჯგირი დღა ობირუ „უფროსმა შვილმა არ მოუარა დედას, მაგრამ უმცროსმა კარგი დღე ანახა“.

დიდ ბაღანას უშქური ქიმეჩეს დო ჭიჭეს – ¹ურძენი „დიდ ბავშვს ვაშლი მისცეს და პატარას – ყურძენი“.

2) მსაზღვრელად გამოყენებული ზედსართავი სახელი ხან იბრუნვის, ხან არა: იბრუნვის, თუ საზღვრულს მოსდევს; უბრუნველია, როცა წინ უსწრებს საზღვრულს:

ჭითა უშქური (მეგრ.)/ მჭითა უშქური (ჭან.) „წითელი ვაშლი“.

ჭითა უშქურქ, ჭითა უშქურს... ე.ი. არ იბრუნვის „წითელი ვაშლმა, წითელი ვაშლს“...

მაგრამ: უშქური ჭითა, უშქურქ ჭითაქ, უშქურს ჭითას „ვაშლი წითელი, ვაშლმა წითელმა, ვაშლს წითელს“.

შენიშვნა: როცა მსაზღვრელი საზღვრულს მოსდევს, შესაძლებელია წინამავალი საზღვრული უბრუნველი გახდეს: უშქურ ჭითა, უშქურ ჭითაქ, უშქურ ჭითას.

ხარისხის წარმოება: დადებით ხარისხს საერთოდ არა აქვს მაწარმოებელი.

ლამაზი – მსქვა (ჭან.) სქვამი (მეგრ.)

ჭკვიანი – ნოსერი (ჭან.),

ჭკვერი (მეგრ.)

ცხელი – ტუცა (ჭან.), ჩხე (მეგრ.)

სულელი – სერსემი (ჭან.),

სუნელი (მეგრ.)

პატარა – ჭიტა/მელიქა (ჭან.), ჭიჭე (მეგრ.)

ღარიბი – ჭუკარა (ჭან.),

ღარიბი (მეგრ.)

დიდი – დიდი (მეგრ.ჭან.)

მდიდარი – ზენგინი (ჭან.),

დიმდარე (მეგრ.)

ცუდი – პატი (ჭან.), გლახა (მეგრ.)

ნასწავლი – კითხევი (ჭან.),

ნაგურეფი (მეგრ.)

კარგი – კაი (ჭან.), ჯგირი (მეგრ.)

შედარებითი ხარისხის¹ მაწარმოებელი მეგრულში არის უპრეფიქსი და ა-ში (ნათ. ბრ.) სუფიქსი:

დიდ-ი „დიდი“,	უ-დიდ-ა-ში	„უდიდესი“
ჭიჭე „პატარა“	უ-ჭიჭ-ა-ში	„უპატარესი“
გინძე „გრძელი“	უ-გინძ-ა-ში	„უგრძელესი“
გამონაკლისი: ჯგირი, მაგრამ უ-ჯგუ-ში „კარგი – უკეთესი“;		
მეტ-ი, მაგრამ უ-მოსი „მეტი – უმეტესი“.		

ჭანურში შედარებითი ხარისხის არ აწარმოებს მორფოლოგიური სუფიქსები. იქ ლექსიკური საშუალებით ხერხდება ხარისხის გადმოცემა, შესადარებელი საგანი უპირისპირდება სადარებელს:

აია ემუშენი დიდი რე (მეგრ. ენა თიშ უდიდაში რე) „ეს იმაზე დიდია (ე. ი. უდიდესია)“. ჭანურში შედარებითისა და აღმატებითი ხარისხის მნიშვნელობას ზედსართავ სახელს ანიჭებს სიტყვები: დიდო „ძალიან“ (დიდო მსქვა „ძალიან ლამაზი“ = ულამაზესი), დაპა „ძალზე“, „უფრო“ (აია ემუშენი დაპა კაი რე = „მასზე უფრო კარგია“).

თანაბრობითი (=ეგვატიური) ხარისხი ახასიათებს მხოლოდ მეგრულს. იგი არ გააჩნია არც ჭანურს, არც სვანურსა და ქართულს. მაწარმოებელია მა—ა: მა-შხვა-ა, მა-გინძ-ა, მა-სქვამ-ა: ¹უდეშ მაშხვა ქუა = ისე მსხვილი ქვა, როგორც სახლი: „სახლის სიმსხო ქვა“, ბაბბეშ მა-რ-ჩე-ა ძღაბი, „ბაბბის სითეთრის გოგო“. თანაბრობითი ხარისხის მნიშვნელობით ქართულში გამოყენებულია ზედსართავი სახელისგან ნაწარმოები აბსტრაქტული სახელი: ვარდიშ მსქვამა „ვარდის სილამაზის“.

ჭანურში თანაბრობითის შინაარსს გადმოსცემს შესადარებელ საგანზე დართული თანდებულები: ქონავ, სთერი „ვით“, ოხორიშ-კონაი(სთერი) მჩხუ დივი „სახლივით მსხვილი (დევი)“, „სახლის სიდიდის (დევი)“, ფუქირისთევი მსქვა კულანი „ყვავილის სილამაზის გოგო“.

ოდესლაც ჭანურსაც უნდა ჰქონოდა თანაბრობითი ხარისხი: მაგ. მაპეჯანა: „ოთხო კითიშ მაპეჯანა ფიცარიში იქიფან ბალუ „ოთხი თითის სისქის ფიცრის ბეღელს აკეთებენ“ (ჩიქობავა, I,

¹ ბ-ნი კორნელის სხვა სალექციო ჩანაწერების მიხედვით, შედარებითი ხარისხი = უფროობითს; ასევე, მეგრულში გამოყოფს ოდნაობითი ხარისხის ფორმას (მო-ე-ო: მო-უჩ-ე/ო), რომელიც ღაბურში აღწერითად იწარმოება (შენიშვნა მ. ლომიასი).

148, 24). მაპეჯანა ნაწარმოებია პეჯ-ი (= „სქელი“) სიტყვისგან: მა-პეჯ-ან-ა (შდრ. მა-შხვ-ა) „სიმსხო“...

მამაჩჩვარა „ემუშ მამაჩჩვარა“ – იმის სიმსხო.

არსებითი სახელისგან ნაწარმოები ქონების ზედსართავი სახელები იწარმოება –ამ სუფიქსით მეგრულში: ფარში „უულიანი“, ჩილამი „ცოლიანი“, ოსურამი „ქალიანი“, კუჩხამი „ფეხიანი“.

უქონლობას გამოხატავს უ—ე(ლ): უ-კუჩხ-ე „უფეხო“, უდუდ-ე „უთავო“, უ-ჩილ-ე, უ-ოსურ-ე „უცოლო“. ასეა ჭანურშიც: უ-ბაბ-ელ-ი „უმამო“, უ-ღნოს-ე „უჭკვუ-ო“.

უ—ურ: უ-მინჯ-ურ-ი (ასეა ქართ.: უ-გნ-ურ-ი<უგნური, უ-მად-ურ-ი) უ-ხუჯ-ური...

იხ.: გ. როგავა, ზედსართავი სახელის თანაბრობითი ხარისხის გაქვავებული ფორმები ქართულში: იკე, IX-X. (მ-ჭლ-ე, მძიმე, მცირე, მტკიცე, მწარე, მრუმე მ-ჭლ-ე < მე-ჭლ-ე // მა-ჭკოლ-ა, მე-ცირე>მცირე).

რიცხვითი სახელი

რაოდენობითი რიცხვითი სახელები:

მეგრული	ჭანური	მეგრული	ჭანური
1 ართი	ართი/არ	20	ეჩი
2 ჟირი/ჟ.რი	ჟური/ჟუ	21	ეჩდოართი
3 სუმი	სუმ (შუმ)	30	ეჩდოვითი
4 ოთხი	ოთხო	40	უარნებინი
5 ხუთი	ხუთ	50	უარნებიდოვითი
6 ამშვი	აში/ანშ	60	სუმინები
7 შექვითი/შეკვითი	შექით	70	სუმინებიდოვით
8 რუო/ბრუო	ოვრო	80	ოთხონები
9 ჩხორო	ჩხორო	100	ოში
10 ვითი	ვითი	200	უიროში
11 ვითაართი	ვიტოარ(ხოფ.)	300	სუმოში
	ვიტგარ(ვარქ.)		
12 ვითოუირი	ვიტოუურ	400	ოთხოში
13 ვითოსუმი	ვიტოსუმ	1000	ათასი/ვითოში
		2000	უირათასი

მეგრული „ერთის“ მნიშვნელობით ართ-ის გვერდით ზოგ გა-მოთქმაში ნახმარია აკა (აფხაზ. აკ.): აკა წუთის „ერთ წუთს“, აკა ქომოძირუნი „ერთი მანახა“.

10-დან 20-მდე რთული რიცხვითი სახელები: 10+დო+ერთეულები (1,2,3,4...)

11: ვით+დო+ართი > ვითოართი > ვითაართი

ვით-დო-არ > ვითოარ > ვიტოარ (ჯერ ასიმილაცია, შემ-დეგ დისიმილაციური გამკვეთრება). 11-19 ათობითი თვლის პრინ-ციპზეა აგებული (სახელი იწარმოება 10-ზე დაყრდნობით).

სხვა კი ოცობით სიტყვაზეა აგებული, ასეთი რიცხვითი სა-ხელები შერეული ჭიბისაა:

40 – უარნები (<უურონ-ები // უურ-ენ-ები)

60 – სუმ-ონ-ები // სუმ-ენ-ები

მეგრ. ონ და ჭან. ენ სუფიქსი ძველი ქართული მე ნაწილა-კის ტოლია: სამ-მე-ოცი, ოთხ-მე-ოცი... ახალ ქართულში ე დაკარ-გულია: ოთხმოცი.

რას აღნიშნავს ონ/ენ? (ქართ. მე?). ამას სვანური არკვევს:

სვანურში ამ სუფიქსის ბადალია ონ, რომელიც აღნიშნავს „ჯერ“-ს: 40 = ურ-ინ-ერებდ, 60 = სემ-ინ-ერებდ (=„სამჯერო-ცი“). ინ = ჯერ: აშხუინ „ერთჯერ“. (ეს საკითხი გარკვეულია: ვ-თოფურიას „ოცობითი თვლის სისტემისათვის ქართველურ ენებ-ში“, თსუ მოამბე, VI, 1926).

რიგობითი რიცხვითი სახელები მეგრულ-ჭანურში იწარმოება რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან მა-ა(ნ) მაწარმოებლით: მა—-ა (მეგრულში), მა—-ან (ჭანურში). მეგრულში ბოლო ნ და-კარგულია:

მეგრული	ჭანური
I მა-ართ-ა	მა-უურ-ან-ი/მაუურა
II მა-ჟირ-ა	მა-უურ-ან-ი/მაუურა
III მა-სუმ-ა	მა-სუმ-ან-ი/მასუმა
IV მა-ოთხ-ა	მა-ოთხ-ან-ი/მაოთხა
X მა-ვით-ა	მა-ვით-ან-ი/მავითა
XX მა-ეჩ-ა	მა-ეჩ-ან-ი/მაეჩა

ჭანურში „პირველის“ შესატყვისად არის თურქული „პირინჯი“. მეგრულშიც ქართული „პირველი“ იხმარება (პრიველი), „მა-ართა“ გამოჩნდება რთულ რიცხვით სახელებთან: მავითაართა, მა-ეზდოართა, მაოთხონეზდოართა.

წილობით რიცხვით სახელებს მეგრულში აწარმოებს ნა – ორ / ნა – ალ.

ნა-სუმ-ორი „მესამედი“ = ნა-სამ-ალი, ნა-ოთხ-ალი, ნა-ხუთ-არი.

ნახევარს აღნიშნავს **გვერდი:** გვერდი სი და გვერდი შხვას „ნახევარი შენ და ნახევარი სხვას“.

6. მარს აღნიშნული აქვს, რომ ჭანურში -ონ სუფიქსი აწარ-მოებს რიგობით რიცხვით სახელებს: ვითოარონი „მეთერთმეტე“, ვითოჟერონი „მეთორმეტე“, ვითოსუმონი „მეცამეტე“...

ნაცვალსახელი

პირის ნაცვალსახელები: მა „მე“, სი „შენ“, ასეა მეგრულსა და ჭანურშიც, ოღონდ ჭანურის ჩხალურ თქმაში -ნ არაა დაკარგული: მან, სინ (შდრ. მენა, შენა).

მრ. რიცხვში: მეგრ. ჩქი/ჩქ., „ჩვენ“, თქვა „თქვენ“. ჭან. ჩქუ/ჩქი, თქვა/თქვან...

III პირის ნაცვალსახელი მეგრულში არის **მე „ის“, მუქ** არის ჭანურში.

1	სახ.	მა/მან	სი/სი-ნ	ჩქუ/ჩქუნ/ჩქინ	თქვა/თქვან
2	მოთხ.	მა/მან	სი/სი-ნ	ჩქუ/ჩქუნ/ჩქინ	თქვა/თქვან
3	მიც.	მა/მან	სი/სი-ნ	ჩქუ/ჩქუნ/ჩქინ	თქვა/თქვან
4	ნათ.	ჩქიმ/შქიმ	სკან	ჩქუნ, ჩქინ, შქენ	თქვან
5	მომ.	ჩქიმ-და/შქიმდა	სკან-და	ჩქუნ-და, ჩქინ-და	თქვან-და/თქან-და
6	დაშორ.	ჩქიმდე(ნე)/ შქიმდე(ნე)	სკან-დე(ნ)	ჩქუნ-დე(ნ), ჩქინ-დე(ნ)	თქვანიდე/თქვანდე
7	მოქმ.	–	–	–	–
8	დანიშ.	–	–	–	–
9	გარდაქც	–	–	–	–

არსებითად ასევე იძრუნვის ეს ნაცვალსახელები მეგრულში. ოღონდ მეგრულში დამატებით დანიშნულებითი ბრუნვაა: ჩქიმოთ, სქანოთ, ჩქინოთ, თქვანოთ.

III პირის ნაცვალსახელი

	მეგრული		ჭანური	
მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.	
სახ.	მუ „ის“	მუნ-ეფ-ი „ისინი“	მუქ „ის“	მუ-თ-ეფ-ე „ისინი“
მოთხ.	მუქ „მან“	მუნ-ენ-ქ	მუქ	მუ-თ-ეფ-ე-ქ
მიც.	მუს	მუნ-ენ-ს	მუს	მუ-თ-ეფ-ე-ს
ნათ.	მუ-შ(ი)	მუნ-ეფ-იში	მუ-შ(ი)	მუ-თ-ეფ-ე-ში
მიმარ.	მუ-შა	მუნ-ეფ-იშა	მუ-შა	მუ-თ-ეფ-ე-შა
დამთრ.	მუ-შე	მუნ-ეფ-იშე	მუ-შე(ნ)	მუ-თ-ეფ-ე-შე(ნ)
მოქმ.	მუ-თი	მუნ-ეფ-ითი	მუ-თე(ნ)	მუ-თ-ეფ-ე-თე(ნ)
დანიშ.	მუ-შო(თ)	მუნ-ეფ-იშოთ	—	—
გარდაქც.	—	[მუნ-ეფ-ო]	—	—

მრ. რიცხვის ფუძეს დართული მეგრული -ნ და ჭანური -თ ერთი და იმავე მორფოლოგიური ლირებულების ოდენობა უნდა იყოს, ოღონდ სხვადასხვა ენობრივი ფენიდან. მათი მორფოლოგიური ფუნქცია და სადაურობა გარკვევას საჭიროებს (ა. ჩიქობავა).

შეიძლება ვითიქროთ, რომ ნ და თ მსაზღვრელი დეტერმინანტი სუფიქსი იყოს ან მსაზღვრელი ნაწილაკი, შდრ. ი-ნა/თ-ი-ნა, ე-ნ-თ-ეფ-ე; მა-ნ/სი-ნ.

ჩვენებითი ნაცვალსახელი ჭანურში: ადა, ია < ეა (ხოჯ.) // ჰადა, ჰეა (ვიწურ-არქაბ) // ჰამ, ჰიმ (ათინ.) = ქართ. „ეს“, „იგი“.

მეგრულში ჩვენებითი ნაცვალსახელი ორგვარია: а) სრული: თენა („ეს“, „ეგ“), თინა („იგი“); ბ) მარტივი (მოკვეცილი): თენა > ენა/თე/ე; თინა > ინა/თი/ი.

თე, ე და თი, ი მეგრულში უფრო იხმარება განსაზღვრებად (ზედსართავის სახელში): თე(ე) ოსური „ეს ქალი“, თი(ი) ოსური „ის ქალი“.

ხოლო თინა/ინა და თენა/ენა დამოუკიდებლად იხმარება.

III პირის ნაცვალსახელის როლში: თინა რაგადანს, ჭარუნს „ის ლაპარაკობს, წერს“.

გარდა ამისა, მეგრულში მარტივი ძირი ა და ე დაერთვის როულ ნაცვალსახელებს: ა+თ-ე-ნ-ა / ე+თ-ი-ნ-ა.

ა+თინა „ეს“, ე+თინა „ეგ, იგი“.

ბრუნებისას ჭანურისა და მეგრულში ჩვენებით ნაცვალსახე-ლებს თავისებურებები ახასიათებს.

ჭანურში:

	მს. რ.	მრ. რ.
სახ.	ა-და, ჰა-და, ჰა-მ „ესე“	ა-ნ-თ-ეფ-ე, ჰა-მ-თ-ეფ-ე / ჰა-თ-ეფ-ე-ე / ჰა-ნი
მოთხ.	ა-მუ-ქ, ჰა-მუ-ქ, ჰა-და-ქ	ა-ნ-თ-ეფ-ე-ქ, ჰა-მ-თ-ეფ-ე-ქ / ჰა-თ-ეფ-ე-ქ / ჰა-თ-ე-ე-ქ / ჰა-ნ-ი-ქ
მიც.	ა-მუ-ს, ჰა-მუ-ს, ჰა-და-ს	ა-ნ-თ-ეფ-ე-ს, ჰა-მ-თ-ეფ-ე-ს / ჰა-თ-ეფ-ე-ს...

მეორე რიგისაა ჩვენებითი ნაცვალსახელები

	მს. რ.	მრ. რ.
სახ.	ი-ა, ჰე-ა, ჰი-მ „იგი“	ე-ნ-თ-ეფ-ე / ჰე-მ-თ-ეფ-ე, ჰე-თ-ე-ე // ჰი-ნი
მოთხ.	ე-მუ-ქ, ჰე-მუ-ქ, ჰე-ა-ქ / ჰი-მუ-ქ	ე-ნ-თ-ეფ-ე-ქ / ჰე-მ-თ-ეფ-ე-ქ, ჰე-თ-ეფ-ექ, ჰე-თ-ე-ქ/ჰი-ნ-იქ
მიც.	ე-მუ-ს, ჰე-მუ-ს, ჰე-ა-ს / ჰი-მუ-ს	ე-ნ-თ-ეფ-ე-ს / ჰე-მ-თ-ეფ-ე-ს, ჰე-თ-ეფ-ე-ს / ჰე-თ-ე-ე-ს / ჰი-ნი-ს

მეგრულში:

	მს. რ.	მრ. რ.
სახ.	ა-თე-ნა, თე-ნა, ე-ნა, თე, ე „ესე“	ა-თ-ე-ნ-ეფ-ი, თ-ე-ნ-ეფ-ი, ე-ნ-ეფ-ი,
მოთხ.	ა-თე-ქ, თე-ქ, ე-ქ, თე-ქ, ე-ქ	თ-ე-ნ-ეფ-ი, ე-ნ-ეფ-ი ა-თ-ე-ნ-ენ-ქ, თ-ე-ნ-ენ-ქ, ე-ნ-ენ-ქ, თ-ე-ნ-ენ-ქ...
მიც.	ა-თე-ს, თე-ს, ე-ს, თე-ს, ე-ს	ა-თ-ე-ნ-ენ-ს, თ-ე-ნ-ენ-ს...

მეორე რიგისაა

	მს. რ.	მრ. რ.
სახ.	ე-თ-ი-ნა, თ-ი-ნა, ი-ნა, თი, ი „იგი“	ე-თ-ი-ნ-ეფ-ი, თ-ი-ნ-ეფ-ი, ი-ნ-ეფ-ი,
მოთხ.	ე-თ-ი-ქ, თ-ი-ქ, ი-ქ, თი-ქ, ი-ქ	თ-ი-ნ-ეფ-ი ე-თ-ი-ნ-ენ-ქ, თ-ი-ნ-ენ-ქ, ი-ნ-ენ-ქ...
მიც.	ე-თ-ი-ს, თ-ი-ს, ი-ს, თი-ს, ი-ს	ე-თ-ი-ნ-ენ-ს...

ნაცვალსახელური ძირია ჭანურში ა/ჰა, ე, ჰე
მეგრულში ნაცვალსახელური ძირია თ, ქართული ს და გ-ს
შესატყვისი ფუნქციურად.

ა-თ-ე, ე-ს-ე, ე-გ-ე; ე-თ-ი, ი-ს-ი, ი-გ-ი.

კუთვნილებითი ნაცვალსახელი: მეგრულში: ჩქიმი „ჩემი“,
სქანი/სკანი „შენი“, მუში „მისი“, თეში/ეში „ამისი“, თიში/იში „იმისი“, ჩქინი „ჩენი“, თქვანი „თქვენი“, მუნეფიში „მათი“, თენეფიში „ამათი“, თინეფიში „იმათი“.

ჭანურში:

მრ. ო.

I	ჩქიმი/შქიმი (ათინ.)	ჩქუნი(ვიწ.), შქუნი(ათინ.), ჩქინი(ხოფ.)
II	სქანი	თქვენი
III	მუში, ემუში, ჰემუში	მუთეფეში, ენთეფეში, ენთეფეშ

კითხვითი ნაცვალსახელი: მეგრულში: მინ/მინა/მი „ვინ“ და
მუ „რა“, ნა-მუ „რომელი“.
ჭანურში: მი/მინ, მუ/მუ-და, ნა-მუ.

	ჭანური	მეგრული
სახ.	მი(ნ), მუ/მუ-და	მინი / მინ / მი, მუ
მოთხ.	მი-ქ, მუქ/მუ-და-ქ	მი-ქ, მუქ
მიც.	მი-ს, მუ-ს/მუ-და-ს	მი-ს, მუ-ს
ნათ.	მი-ში, მუ-ში/მუ-და-ში	მი-ში, მუ-ში
მიმართ.	მი-შა, მუ-შა/მუ-და-შა	მი-შა, მუ-შა
დაშორ.	მი-შე(ნ), მუ-შე(ნ)/მუ-და-შე(ნ)	მი-შე, მუ-შე
მოქ.	მი-თე(ნ), მუ-თე(ნ)/მუ-და-ე-ნ	მი-თი, მუ-თი
დანიშნ.	—	მიშოთ, მუშოთ
გარდაქ.	—	მინო/მოთ (<მუოთ)

მეგრულში მუ-ს „რა“ მრავლობითი რიცხვი არა აქვს.
სხვა მხრივ, მრავლობითი რიცხვი ტრაფარეტულად ეწარმო-
ებათ:

	ჭანური	მეგრული
სახ.	მი-ფ-ე, მუ-ფ-ე, ნანი (ათინ.)	მინ-ეფ-ი [მუ] ნამუნეფი
მოთხ.	მი-ფ-ე-ქ, მუ-ფ-ე-ქ, ნა-ნი-ქ	მინ-ენ-ქ — ნამუნენქ
მიც.	მი-ფ-ე-ს, მუ-ფ-ე-ს, ნა-ნი-ს	მინ-ენ-ს — ნამუნენს...

მრავლობითი რიცხვის ფორმები მეგრულ-ჭანურში კითხვითი ნაცვალსახელებისა იშვიათია, ამიტომ იყო, რომ ნ. მარი პირდაპირ ამბობდა: მი, მუ-ს მრავლობითი რიცხვი არა აქვსო.

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები (განსაზღვრებითი მეგრ-ში: არძა/არძო, ირო, ირი-ფელი) მეგრულში რთულია ყველა: მითინი (მითინე „ზოგიერთი“, ყიფშიძით: მი-თი-ნი („მი“ კთი, „თი“ თე, „ნი“ ყთინ, ყთინი).

მუთუნი (იგივე დაშლა), მიგიდა (>მიდ, გა>მიდგა)

მი-გი-და (მი=„ვინ“, და=დ, /დ = თი/თ, /თ, სადაც (თ) გამ-ჟღერდა გ-სთან მეზობლობაში, გა ნაწევარი = ქართ. ღა-ს, ე.ი. მი-გი-და = ვი-ღა-ცა. ასე დაიშლება მუ-გი-და „რაღაც“ მიგდარენი (<მი-გი-და-რე-ნი) „ვიღაც“.

ზმნა

პირის კატეგორია. ზანურშიც ქართულივით ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანი. აქედან რეალურად მხოლოდ ორი პირის აღნიშვნა ხდება ზმნაში (აფიქსებით), მესამე (ობიექტი) პოტენციურადაა გადმოცემული (ვუჭარუნქ მა თის წე-რილს „ვუწერ მე მას წერილს“).

I სუბიექტური პირის ნიშანი მეგრულსა და ჭანურში არის ვ: ვორე (ჭან.), ვორექ (მეგრ.) „ვარ“, ვირჩევექ „ვისმენ“, ვიწერ (ჭან.) „ვიყურები“, ვიფხორ (ჭან.) „ვჭამ“, ვიბონქ (მეგრ.) „ვი-ბან“...

ვ- S₁ ნიშნად დაცულია ხმოვნების წინ ყველგან მეგრულში და ჭანურის ხოფურ-აიინურში. S₁ ნიშნად თანხმოვნების წინ მეგ-რულში არის ბ (ბჭარუნქ, ბრაგადანქ... მაგრამ სენაკურშია ვ: ვჭა-რუნქ „ვწერ“, ვრაგადანქ „ვლაპარაკობ“), ბ არის ხმოვნების წინ ვიწურ-არქაბულში: ბ-ორე „ვარ“, ბიშორ „ვჭამ“, ბიმგარ „ვტირი“, ბიწერ „ვხედავ, ვიყურები“...

S₁ ვ-ს სხვადასხვა თანხმოვნების წინ სხვადასხვა კილოში ენაცვლება ბ, პ, ფ, მ:

ბ: (მულერთა წინ): ბგორუფ „ვეძე“, ბლურურ „ვლაპარა-კობ“, ბღაღალაფ „ვკვდები“, დღბდგითი „გაწერდი“.

მეგრ. ბრაგადანქ „ვლაპარაკობ“, ბგურაფუენქ „ვსწავლობ“, ბგორუნქ „ვეძებ“...

პ: (ყრუ მკვეთრების წინ): პკორობუნქ „ვაგროვებ“, პტკვა-რუნქ „ვტკვერ“, პტიბუქ „ვთბები“, პწირუნქ „ვწურავ“, პილუნქ (<პყვილუნქ>) „ვკლავ“. ჭან: პყოროფ „ვუყვარვარ“, პჭოფი „ავიღე“, პწილუფ „ვკრეფ“, პყვილუფ „ვკლავ“...

ფ: (ყრუ ფშვინვიერთა წინ): ფთირანქ „ვცვლი“, ფთასუნქ „ვთესავ“, ფქუნქ „ვფქვავ“, ფხაჩქუნქ „ვთოხნი“, ფხონუნქ „ვხნავ“, ფსხაპუნქ „ვცმეკვავ“ (აქ ს-ს გავლენითაა ფ). ჭან: ფხერ „ვზივარ“, დოფხომი „გავხმი“, ფსქილუფ „ვრჩები“...

მ: (ცხვირისმიერთა წინ): მნახუნქ „ვრეცხავ“, მნატრუნენქ „ვნატრულობ“, დიმგარი (<დიმნგარი<ნგარა>) „დავიტირე“...

ჭან: გომწკი (<გომწკი<გომწკიმუ>) „გავხსენი“, დომცორუქ „გავცრი“ (შდრ. ონცორუ) „ცრა“. მეგრულში, ზუგდ.-სამურზაფანულში S₁ პრეფიქსი გადაისმის შუაში ი-ს ადგილზე: იმგარქ (<იმ-ნგარქ „ნგარ“) „ვტირი“, შდრ. ვინგარქ (სენაკ.), იბაბდებუქ, შდრ. ვიბაბდებუქ „ვიბაბდები“, იბჭარუუქ (შდრ. ვიჭარუუქ) „ვიწერები“...

S₁-ის ნიშნი იკარგება უ-სა და ბაგისმიერ თანხმოვანთა (ბ, ფ, პ) წინ: დუჭარი (<დოვუჭარი>) „დავუწერე“, დუძახი (დოვუძახი) „დავუძახე“, დობერგი (<დოვბერგი>) „გავთოხნე“, ბარგუნქ „ვმარგლავ“, ბონქ (ვბონქ) „ვბან“.

II სუბიექტური პირის ნიშანი არც მეგრულს და არც ჭანურს არა აქვს. არ იყო სწორი ი. ყიფშიმე, როცა S₂ ნიშნად მეგრულში ქ-ს მიიჩნევდა: ორე-ქ „ხარ“, ჭარუნ-ქ „წერ“, აქედან I პირშიც არის ანალოგიით გადმოსულიო.

III სუბიექტური პირის ნიშნებია: -ს, -ნ, -უ. აქედან ს იგივე ქართული ს არის: ჭარუნს „წერს“, კვათუნს „კვეთს“, ნ თვითონ მეგრულ-ჭანური ფენისა უნდა იყოს: ორე-ნ „არის“, ხენ „ზის“, იჭარუნ „იწერება“, ჭან: იშქვიდენ „იხრჩობა“, ტიბუნ „თბება“.

ე.ი. ს ნახმარია აწმყოში გარდამავალ ზმნებთან, ხოლო ყველა ზმნასთან კაგშირებითების (I, II, III) ფორმებთან.

ნ ნახმარია გარდაუვალ ზმნებთან (ვნ., საშ.).

უ ნახმარია წყვეტილში ყველა ზმნასთან: დოჭარუ „დაწერა“, დოღურუ „მოკვდა“ და უწყვეტელში: ჭარუნდუ, ღურუდუ...

შენიშვნა: მეგრულში S_1 და S_2 ფორმებთან არის სუფიქსი ქ, რომელსაც ა. ცაგარელი და ო. ყიფშიძე მიიჩნევდნენ S_2 ნიშნად, ქართული ხ, ჰ-ს ბადალად, რომელსაც ადგილი უცვლია, ბოლოში გადმოსულა და ანალოგით I პირშიც გადასულაო. ა. ჩიქობავამ -ქ დაუკავშირა სვანურ -ხ-ს: ხ-უ-არ-ი, ხ-არ-ი „ვარ, ხარ“. ქ I პირშიც ისეთივე კანონიერი მონაცემი უნდა იყოს, როგორც სვანურში ხ. ანალოგია არააო. ოღონდ ქართულში ხ S_2 ნიშანია, აქ როგორ-და ის ორივე პირში? ქ-ს -რ შეესატყვისება ჭანურში. პირის ნიშანი ქ არა ჩანს.

I-II პირში მეგრ. ქ = ჭან. რ-ს; ბლურ-უ-რ „ვკვდები“, პტუბ-უ-რ „ვთბები“, ვულ-უ-რ „მივდივარ“, ფ-ხე-რ „ვზივარ“, ვიჭვე-რ „ვიწვი“. მორფოლოგიურად ქ=რ.

ქ. ლომთათიძის ვარაუდით, რ და ქ მეშველი ზმნის ფუნქციითაა ნახმარით (შდრ.: ახ. ქართული ვზივარ, ზიხარ, ზის). მეშვე-ლი ზმნები პირველად უნდა დართვოდა მდგომარეობის გამოშატ-ველ, სტატიგურ ზმნებს (ვზივარ, ვდგევარ, ვწერ), მეშველი ზმნა ქართულთან ერთად სვანურმაც გაიჩინა: სკურ-ხი ვზივარ“ (შდრ. ზემოსვანური: სგუი „ვზი“). მაგრამ მეგრულსა და ჭანურში მეშვე-ლი ზმნები არ გასჩენიათ საშუალი გვარის ზმნებს, იმიტომ რომ ამ ფუნქციით ერთხელ უკვე იყო დართული რ და ქ. რ უნდა მო-დიოდეს ორენ/რენ „არის“ ზმნისაგან გაცვეთის შემდეგ. იგივე ოდნობაა მყოფადის სუფიქსი ერე (<ორე>: ბზუმარე/ბზუმათერე. სწორია ნ. მარი, როცა წერს: ბზუმარე = „არის რომ გავზომო“).

ხოლო მეგრული ქ უნდა იყოს დადასტურებითი ნაწილაკი ქო, ე.ი. მეშველ ზმნად დაერთვოდა ქო ნაწილაკიანი „ორენ“, ე.ი. ქორენ, რომელმაც გაცვეთით ქ მოგვცა.

ამის სისწორეს ამტკიცებს I თურმეობითის წარმოება, საღაც ქართული მეშველი ზმნის ფარდად ქ არის მეგრულში, ერე – ჭა-ნურში:

მეგრული	ჭანური
„მომკვდარგარ“	დობლურელექ
„ჩავუწერიგარ“	ქენუჭარუქ
„მჯდარგარ“	ქინოვხვექ
„გამთბარგარ“	გოვტიბაფექ (იხ. ქ. ლომთათიძე, ქ სუფიქსისათვის მეგრულ ზმნებში: იკვ, I).

2) S₃ -ს ნიშანი ზუგდიდურ-სამურზაყანულში ც-ში გადადის: ჭარუნც „წერს“, ჭუნც „წვავს“...

3) S₃ ნიშანი ნ მეგრულში მხოლობით რიცხვში აღდგება, თუ ხმოვანი მოსდევს: რენო „არისო“, ხენო „ზისო“...

სუბიექტური პირი მრავლობით რიცხვში იგივეა, რაც მხოლობით რიცხვში, ოღონდ -თ დაერთვის: ფხეთ „ვსხედვართ“, ვჭარუნთ „ვწერთ“, ვორეთ „ვართ“...

S₃ ნიშანი მრავლობით რიცხვში მეგრულ-ჭანურში არის -ან და -ეს.

-ეს S₃ ნიშანდ (მრ. რ.) მაშინაა, თუ მხოლობითში S₃ ნიშანი არის უ, ხოლო სხვა შემთხვევაში (ნ, ს = S₃) არის -ან.

-ეს: ჭარუნდეს (ჭარუნდუ) „წერდნენ“, დოღურეს (დოღურუ) „მოკვდნენ“, ხედუ – დოხოდეს „იჯდა – დასხდნენ“, დოჭარეს (დოჭარუ) „დაწერენ“...

-ან: რე-ნ-ან „არიან“, ხე-ნ-ან „სხედან“, ჭარუ-ნ-ან „წერენ“... ე.ი. S₃ ნიშანი მხოლობითი რიცხვისა -ნ მრავლობით რიცხვშიც გადაჰყება.

ობიექტური პირის ნიშნები I და II პირში იგივეა, რაც ქართულში: მ (I პირში), გ (II პირში), ხოლო III პირის ობიექტური ნიშანი მეგრულ-ჭანურს არ დაუცავს. მღანძღუნს „მღანძღავს“, მკითხუმს (მან ჰემუქ), „მეკითხება (მე ის)“, მოტიბუანს „მათბობს“... ლანძღუნს „ლანძღავს“, გკითხუმს (მეგრ. ლკითხენს) „გკითხავს“, გოტიბუანს „გათბობს“...

II პირის 0-ის ნიშანი გ- მეგრულში გადადის რ-ში თანხმოვნების წინ: რხუნს „ხვრეტს“, რ¹ვილუნს „გკლავს“, რჭარუნს „გწერს“, რხანტუნს „გხატავს“..., სხვაგან გ- დაცულია.

I-II ობიექტური პირის მრავლობითობა აღინიშნება S₃ მრავლობითი რიცხვის ნიშნებით -ან, -ეს, -ით (-ეს, თუ მხოლობითში -უ იყო; -ან თუ მხოლობითში იყო -ნ, -ს).

ან: მა მხანტუნს-ჩეი მხანტუნან, თქვა რხანტუნან „მე მხატავს –ჩვენ გახატავენ, თქვენ გახატავენ“...

ეს: მა დომხანტუ-ჩეი დომხანტეს, თქვა დორხანტეს „მე დამხატა –ჩვენ დაგვხატეს, თქვენ დაგხატეს“...

ასეა ინვერსიულ ზმნებთან.

მ-იღუ-(ნ) (მა) „მაქვს“ – მ-იღუ-ნ-ან (ჩეი)

გ-იღუ-(ნ) „გაქვს“ – გ-იღუ-ნ-ან

მ-ჯოგუ-ნ (მა) „მძაგს“ – მჯოგუნან (ჩეი)

რჯოგუ „გძულს“ – რჯოგუნან

გიმაჯოგუ (მა) „შემძულდა“ – გიმაჯოგეს (ჩეი)

გიგაჯოგუ „შეგძულდა“ – გიგაჯოგეს

მაგრამ, თუ სუბიქტი მრავლობით რიცხვშია, -ან, -ეს სუფიქსები ამ სუბიქტის მრავლობითობას აღნიშნავს და ამ დროს ობიექტის მრავლობითობა აღუნიშვნელი რჩება:

შდრ.: რ-ხანტუნან თქვა თინა „გხატავთ თქვენ ის“, დორხანტეს თქვა თიქ „დაგხატათ თქვენ მან“ (აქ მრ. რ-ში ობიექტია).

მაგრამ: რ-ხანტუნან თქვა თინეფი „გხატავენ თქვენ ისინი“, დორხანტეს თქვა თინენქ „დაგხატეს თქვენ მათ“ (აქ მრ. რ-ში სუბიქტია).

ასე რომ: პირდაპირი წყობის ზმნებთან 03-ის მრავლობითობა არ აღინიშნება, ხოლო 01 და 02-ის მრავლობითობა აღინიშნება მხოლოდ მაშინ, თუ ზმნის სუბიქტი არ არის მრ. რიცხვში (თუ მხოლობითშია).

დორ და კილო

დრო მეგრულ-ჭანტურშიც სამია: აწმყო, წარსული, მომავალი.

აწმყოს ფუძეს ემყარება I სერიის მწერივები. აწმყოს ფუძე რთულია, დაირთავს თემის ნიშნებს. ეს ნიშნები შემდეგია:

მეგრულში: უნ: ვჭარუნქ „ვწერ, ვშუნქ „ვსვამ“, ვთასუნქ „ვთესავ“, ვჭოფუნქ „ვიჭერ“, პილუნქ „ვკლავ“, ვხანტუნქ „ვხატავ“. ეს სუფიქსი ყველაზე აქტიურია მეგრულში.

-ძ: ვოცქევანქ „ვაქებ“, ვოგორანქ „გაგინებ“, ვორგუანქ „ვრგავ“, ვოჯლანანქ „ვეჯლანები“, ვოფუნუანქ „ვალულებ“, ვრკაინქ „ვტვი“.

-ენ: ვაკეთენქ „ვაკეთებ“, ვაწუხენქ „ვაწუხებ“, ვარიგენქ „ვა-რიგებ“, ვახერხენქ „ვახერხებ“, ვაუჩარენქ „ვაშავებ“, ვაშენენქ „ვა-შენებ“.

აქ –ენ ყველგან ქართულ -ებ-ს უდრის და მისი სახეცვლაა: ებ>ეფ>ემ>ენ.

-ინ: (იშვიათა, უფრო მყოფადის წრეშია): ფთხინქ „ვთხოვ“, რ¹ვიინქ „(მო)გძლავ“.

ჭანურში: უმ/უფ; ამ/აფ. მინან (ვიწურ-არქაბ., ათინ.), იფ (ხოფური): უმ/უფ: შუმს/შუფს „სვამს“, კვათუმს/კვათუფს „ჭრის, პეტს“, გვილუმს/გვილუფს „გლავს“.

იფ (<უფ) –ხოფ. იქიფს „გააკეთებს“, გედგიფს „დადგამს“.

ამ/აფ: ორგამს/ორგაფს „რგავს“, ოგზამს/ოგზაფს „ანთებს“; -ეფ: იჩალიშეფს „მუშაობს“.

ომ: იქომს „აკეთებს“, **ოფ:** ვძიროფ „ვხედავ“, ვყოროფ „ვყვარობ“.

წარსულის სპეციალური მაწარმოებელი არა აქვს, ფუძე მარტივია. იხ. მწკრივებთან. მყოფადის წარმოება კი არსებითად განსხვავდება მეგრულსა და ჭანურში. მეგრულში მყოფადის საწარმოებლად -ქ არის გამოყენებული აწმყოს ფუძეზე დართვით (ვჭარუნქ „ვწერ“ – დოვჭარუნქ „დავწერ“), მაშინ როცა ჭანურში მყოფადი იწარმოება კავშირებითი II-სგან ერე (რე, ე-ს დართვით (ვიწურ-არქაბ. ათინ.) ან მინონ მეშველი ზმნით (ხოფურში): ბჭარარე, ჭარარე, ჭარასერე, ბჭარათერე, ჭარათერე, ჭარანერე. ან ბჭარამინონ, ჭარაგინონ, ჭარასუნონ, ბჭარამინონან, ჭარაგინონან, ჭარასუნონან. დაწვრილებით იხ. მწკრივებთან.

კილო თხშია მეგრულ-ჭანურში: თხრობითი, კავშირებითი, პირობითი, ბრძანებითი.

თხრობითი კილო: ვჭარუნქ „ვწერ“, დოვჭარი „დავწერ“, ვიქიფ „ვაკეთებ“...

კავშირებით კილოს აწარმოებს –ა: პჭარუფტა „ვწერდე“ (I კავშ.), პჭარა „ვწერო“ (II კავშ.), ბჭარელერეტა „დამეწერა“ (III კავშ.), მიზიმუდას „გამეზომოს“ (IV კავშ.).

პირობით კილოს აწარმოებს – კონ (<ოკონ „უნდა“): პჭარუპტიკონ (პირ. I), ვჭარუნდიკონ(6), ბჭარიკონ (პირ. II) „რომ მეწერა, რომ დამეწერა“.

ბრძანებით კილოს ქართულის მსგავსად საცუთარი ფორმა არა აქვს: დადებითი ბრძანებითი იყენებს თხრობით კილოს (წყვეტილს) II პირისათვის (დოჭარი! ქოთქვი!) ან კავშირებით (II კაგშ.) კილოს III პირისათვის (დოჭარა!). თუ ზმნას წყვეტილი არ ეწარმოება, დადებითი ბრძანებითი უწყვეტელს იყენებს: ქორტას/ქორდას! „იყოს!“

უარყოფით ბრძანებითს ნაწილაკი დაერთვის. ჭანურში მო (აწმყოსთან): მოყუაფ „ნუ მოგყავს!“, მო ოგზაფ „ნუ აგზნებ!“, მეგრულშია – ნუ (ნი/ნ.): ნიჭარუნქ „ნუ წერ!“, ნირაგადანქ „ნუ ლაპარაკობ!“, ნიკითხენქ (<ნუიკითხენქ) „ნუ კითხულობ!“... ეს აკრძალვითი ბრძანებითია.

ვა ნაწილაკი იხმარება კავშირებით II-სთან ერთად: ვა ჭარა „არ წერო!“, ვა’მორთა „არ მოხვიდე!“... ბრძანებით კილოსთან ვა უარყოფითი ნაწილაკი ჭანურში არ იხმარება, ისე – კი.

გარდამავლობა: ქართველურ ენებში სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვა დამოკიდებულია ორ ფაქტორზე: 1) როგორია ზმნა, გარდამავალი თუ გარდაუვალი; 2) რა დროა.

ჭანურს ახასიათებს: თუ ზმნა გარდამავალია, ქვემდებარე ყველა მწკრივში (სერიაში) მოთხრობით ბრუნვაშია, პირდაპირი დამატება – ყველგან სახელობითში: ავჯიქ მკაფუ ¹ვილუშს – ავჯიქ მკაფუ დო¹ილუ – ავჯიქ მკაფუ დო¹ილუდორენ „მონადირე (მონადირე) ტურას (ტურა) კლავს – მონადირემ ტურა მოკლა – მონადირეს (მონადირემ) ტურა მოუკლავს“.

გარდაუვალ ზმნებთან სუბიექტი ყოველთვის სახელობითშია, ირიბი ობიექტი – მიცემითში (ქართულივით): კოჩი ღურუნ „პაცი კვდება“, კოჩი ღოღურუ „პაცი მოკვდა“, კოჩი ღოღურუდორენ „პაცი მომკვდარა“; ორპირიანი გარდაუვალი ზმნა: ემუს ბერე უყოუნს „მას ბავშვი ჰყავს“, ემუს ბერე უყოუნტერენ „მას ბავშვი ჰყოლია“, ჰემუს ბაბა უღურუნ „მას მამა უკვდება“... ჰემუს ბაბა ღუღურუ „მას მამა მოკ-

ვდომია“, ემუს თი ჭუფს „მას თავი ტკივა“ ემუს თი დვაჭუ „მას თავი ატკივდა“, ემუს თი დვაჭერებ „მას თავი ატკივებია“.

მეგრულს ახასიათებს: II სერიის მწკრივებთან ქვემდებარე ყოველთვის მოთხრობითშია, იქნება ის გარდამავალი თუ გარდაუ-ვალი: კოჩი იშერებუ — კოჩქ გეშერუ — კოჩი გაშერებე „პაცი შტერდება — კაცი გაშტერდა, კაცი გაშტერებულა“. ე.ი. მეგრული უგულებელყოფს გარდამავლობა-გარდაუვალობას ბრუნებისას, ხო-ლო ჭანური — სერიას (დროს, მწკრივებს).

გურულსა და ქვემომიერულში არის: მან მოკვდა, მან მოვი-და. ეს, ალბათ, მეგრულის გავლენაა. ა. ჩიქობავა: ცხადია, მეგ-რულს მიუძღვის ამაში ბრალი.

ასპექტი. ზრდის ფინების ორი რიგი

ასპექტს (სრულს) აწარმოებს პრევერბები. პრევერბები ასპექ-ტის გარდა აწარმოებენ მიმართებას (გეზს) და დროს (მეგრულში მყოფადი პრევერბებით იწარმოება, ჭანურში — სხვა საშუალებით (ერე, მინონ), მაგრამ ჭანურში ზმნისწინებიც გადმოსცემნ მყოფა-დის შინაარსის: მენდავულურ „წავალ“, გოწავუმერ „გამოვართმევ“, გებდუმერ „დავდებ“. მიმართულებას (გეზს) აღნიშნავს პრევერბი მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან: ე-ხთუ „ამოვიდა“, გე-ხთუ „ჩა-მოვიდა“, გამა-ხთუ „გამოვიდა“, მენდა-ხთუ „წავიდა“...

სრული ასპექტის გამომხატველად პრევერბები გამოყენებუ-ლია წყვეტილში, კავშირებით II-სა და III სერიის მწკრივებში: დოჭარუ „დაწერა“, გონწერუ „გახსნა“...

შედგენილობის მიხედვით პრევერბები ორგვარია: მარტივი და რთული.

მარტივი პრევერბებია ჭანურში:

ე: ე-ხთუ, ვე: ვეზდუ „აიღო, ქიეჭოფუ „აიღო-იყიდა“, ქიი-სელუ „იდგა“.

მე: მე-ვოჭიში „მივაღწიე“, მე-პტკოჩი „ვესროლე“, მევოკვა-თი „მოვჭერი“.

მო-: ქომომჩუ „მომცა“, მო-ხთუ „მოვიდა“, მო-წეუ „მოხ-სნა“...

გე-: გეხთუ „ჩამოხდა“, გეტკოჩუ „გადააგდო“, გეხვდი „იჯე-ქი“.

გო-: გონწკუ „გახსნა“, გუიქთუ (<გოიქთუ) „გაბრუნდა“, გულუნ (<გოულუნ) „გავიდა“.

ღო-: ღობჭაი „დავწერე“, ღოვოგუი „ვასწავლე“, ღოღურუ „მოკვდა“, ღოხედი! „დავექი!..“

ო-: ოჭკუმუ „შეჭამა“, ოფუთხუ „გაფრინდა“, ოფშვი „შევ-სვი“, ოპჭოფი „დავიჭირე, ავიღე“...

რთული პრევერბები ჰანურში მიიღება მარტივ პრევერბებზე ნაწილაკების დართვით. ეს ნაწილაკებია: კა, კო, წა/წე, შა, შე, ლა/ლო, და, მა, მო, ჟო.

ასე რომ: ე+კა, ე+წე, ე+შე, ელა, ელე, ე+მა, ე+მო...

მე+კა, მე+წა, მე+შა, მე+ლა, მე+და...

მო+კო, მო+შა...

ე – პრევერბი აღნიშნავს მოძრაობას ქვევიდან ზევით;

მე – აქედან იქით მოძრაობას (მაშორებელი);

მო – იქიდან აქეთ (მაახლოებელი);

გე – ზევიდან ქვევით;

გო – მიმოსვლის (მი-მო);

დო – ძირს მოძრაობას ან (ასპექტს), ასევე, ასპექტს ო აღნიშნავს.

რთულ პრევერბებს არსებითად იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც მარტივ ზმნისწინებს, ოღონდ დანართ პრევერბს თუ ნაწილაკს და-მატებითი ნიუნის შეაქს შინაარსში; -წა/-წე – აღნიშნავს ქვეშ, ქვემოთკენ, -ლა- – გვერდით, ნაპირას, შა – შიგნით, ჟა(ჟო) – ზე-ვით და ა.შ.

ე+კა: კოჩი ეკაჭიშუ მელის. ეკიკიდუ (<ეკაკიდუ) ონჯირე „აიკიდა“ ლოგინი...

ე+წე/ეწა: ქეწუდგუ (<ქეწაუდგუ<ქოეწაუდგუ) „წინ დაუდ-გა“, ეწურჩუ (<ეწაურჩუ) „წინ დაუფინა“.

ე+შა/ეშე: ქეშახთუ „ამოვიდა“, ეშაფუთხუ „ამოფრინდა“, ეშიმენან „ამოიღებენ“ (<ეშა-მენო).

ათინურში: ეშკა: ეშკახთუ „ამოვიდა“, ქეშკილუ „ამოიღო“...

ე+ლა/ელე: გელ, ელახედი დო იწეტი „მიჯექი და იყურე“, ელუაპუნ „ახტება“, ელიწკუ კამა „ამოიღო ხმალი“.

მე+კა: მეკაზოუ „გადავიდა“, „გაუარა“.

მე+წა: მეწუკაპუ ცხენიშენ „მიქევეშტა“ – ჩამოხტა ცხენილან.

მე+შა: ქომეშახედუ „მიშიგჯდა“, ქომეშადუ „მი“ შიგნით-და-დო“.

მე+და: მედაულურ „წავალ“, მენდავიდა „წავილო“... მენდა-ვი¹ონა „წავიყვანო“. -და აქ ქართ. და- პრევერბია.

მე+უა/მეუო: მეუოჩუ „მიზესცა“=დაწყევლა“.

მო+კა: ქომოკავთი „გადმოვედი“, მოკუდგინ (<მოკაუდგინ), „აქეთ უკან დგას“.

მო+შა: მოშალუ „შემოვარდა“.

მო+ლა/მოლო: მოლოხე (<მოლაოხე) „შიგ ზის“

მო+უა/მოუე: ბერგი მოუადგალეი „თოხი მხარზე გადებული“

გო+წა/გოწო: ქოგოწოკიდეს „ჩამკიდეს“, ქაგუწულუ „გამოარ-თვა“.

გო+შა: გოშატკუჩუ „გაშიგტყორცნა“, ქოგოშიმენან „შიგნი-დან გამოიღებენ“.

გო+ლა/გოლო: გოლუჭჭადუნ „მიჭედილი აქს მკერდზე“, ქოგოლინჯირუ „გაწვა“...

გე+წა/გეწე: გეწე-ბიწედი „წინ ჩავიხედე“.

გე+შა: ქოგეშადგუ ჯას გეშახედეს „ხეზე ისხდნენ“

გე+ლა: გელადგიტუ „ჩამომდგარიყო“, გელაფხეტი „ჩამომ-ჯდარვიყავო“.

გე+უო: ქოგეუობდგი „ზე დავადგი“.

დო+ლა/დოლო: ქოდოლოხთეს „ჩავიდნენ“, ქოდოლოლუ „ჩა-ვიდა“, დოლოტკაჩუ...

ო+კო: ოკიკათეს, ოკაკიდეს „წაეკიდნენ“, ოკონალურუ „გუ-ლი წაუვიდა“.

ო+ხო: ოხომაწონუ „მივხვდი, გავიგე“, ოხუშქუ „მიუშვა“.

ა+მა: ამაგულურ „შემოვალ“, ამაზოუ „შევიდა“.

გა+მა: გამაზოუ „გამოვიდა“, გამაბჩი „გავყიდე“.

ქართულიდან ჩანს შეთვისებული შე- პრევერბი: შეგინახამი-ნონ „შეგინახავ“, ქოშიგუ „აიგონა“.

ჭანურში აღსანიშნავია „მე- პრევერბის ხმარება: მე- პრე-ვერბს II და III პირებში (ე.ი. ხმოვნების წინ!) ნ ენაცვლება:

მან მევუტალი „მე მივუშვი“, სინ ნუტალი „შენ მიუშვი“, ემქე ნუტალუ „იმან მიუშვა“.

მა მევულურ „მე მივდივარ“, სინ ნულურ „შენ მიდიხარ“, ია ნულუნ „ის მიდის“.

თოთქოს მე-ს ნ-თი შეცვლა ფონეტიკურ გარემოში ხდება (ხმოვების წინ), მაგრამ ფონეტიკური მიზეზი არ უნდა იყოს. ასე რომ იყოს, მო-საც უნდა მოეცა ნ, მაგრამ ასე არაა: მოვულურ, მულურ, მულუნ... ნ სხვა პრევერბია, მე-ს ტოლი ფუნქციით, რო-მელიც აჟხაზურიდან უნდა იყოს შეთვისებული (ა. ჩიქობავა).

პრევერბები მეგრულში არსებითად ისეთივეა, როგორიც ჭა-ნურში.

მარტივი პრევერბებია:

ე: ე-ულა „ამოსვლა“, ე-ჭოფუ „აღება“, ე- ონაფა „აყვანა“, ე-სხაპუა „ამოხტომა“, ერჩქინა „გაჩენა“;

მე: მე-ულა „მისვლა“, მეჭარუა „მიწერა“, მეჯღონა „მიძღვნა“, მეღლალა „მიგზავნა“, მეჯინა „მიხედვა“;

მო: მო-ჭარუა „მოწერა“, მო-კათაფა „მოვარდნა“, მო-ჭანაფა „მოწვევა“, მო-რთუ „მოვიდა“;

გე: გე-ღგუმა „დადგმა“, გე-ხუნა „დაჯდომა“, გე-თხორუა „დათხრა/ამოთხრა“, გე-სხაპუა „დახტომა“;

გო: გო-ჯინა „გახედვა“, გო-ნწყუმა „გახსნა“, გო-ტება „გაშვება“, გო-რაგადუა „გალაპარაკება“, გო-სხაპუა „გახტომა“;

გა: გა-ოება „გათავება“, გა-კეთება „გაპეოება“, გა-ჩერება „გაჩერება“, გა-ჭყორდუ „დაავიწყდა“;

დო: დო-ჯირა „დაწოლა“, დო-რჩაფა „დაფენა“, დო-ლაფა „დავარდნა“, დო-ნწყუმა „დაწყობა“;

ო: ოვჭოფი/ოპჭოფი „დავიჭირე“;

შე: შეფხვადი „შეეხვდი“, შევერიგი „შევურიგდი“;

წა: წართუ „გაფუჭდა“;

ა: ახვადუ „ხვდება“, ქაბირუ (**ქოაბირუ**) „ანახა“, ქაატუ (**ქოატუ**) „დაუტოვა/შეატოვა“.

რთული ზმნისწინების II კომპონენტად მეგრულში გვაქვს ჭანურისებრი: ლა, კო, შა, და, მო. მეგრულს აკლია უა, უო, ო-ხო. სამაგიეროდ, მეგრულში მეტია თო (მითო, გითო, ეთო) და ნო (მინო, გინო, დინო).

რთული პრევერბები მეგრულში:

ჯერ სპეციალური თო, ნო ელემენტი ვნახოთ:

მი+თო: მითოხე „ზის (შიგ)“, მითათუ „შეაგდო (შიგ)“, მი-თათხორუ „ჩამარხა“...

გი+თო: გითორთუ „გამოვიდა“, გითოთხორუ „გამოთხარა“, გითოსხაპუ „გამოხტა“...

ე+თო: ექოთხორუ „ამოთხარა“, ეთავინუ „ამოხედა“, ეთარ-ჩქიუ „(ამო)უსმინა“...

გი+ნო: გინოსხაპუ „გადახტომა“, გინორჩქია „გადასმენა (გადაყურადება)“, გინო¹ოთამა „გადაგდება“...

დი+ნო: დინო¹ოთამა „ჩაგდება“, დინოხუნა „ჩაჯდომა“, დი-ნორძამა „ჩანთება (ჩაგზება)“...

მი+ნო: მინოწყუმა „მოხსნა (ზევიდან)“, მინოხუნა „შეჯდო-მა“, მინოკათაფა „შეგარდნა“, მინოჯინა „შიგ შეხედვა“...

სხვა რთული პრევერბებია:

აკო/იკო/ოკო: აკომაყარუა „შეყრა/შეგროვება (ერთად)“, იკო-თება „დამთავრება“, ოკოკირუა „შეკვრა“;

ალა: ალახუნა „მიჯდომა (გვერდით)“, ალასხაპუ „ხტომა (გვერდით)“, ალაჭკადუა „შეჭედვა (გვერდით)“;

აშა: აშულა (<აშაულა) „ასვლა“, აშავინა „ჩახედვა“;

აწო: აწოკირუა „შეკვრა (წინ)“, აწოხვალამა „შეხვედრა (წინ)“, აწარჩქია „მოსმენა (წინ)“;

გილა: გილა¹ოთამა „გადმოგდება (ზევიდან)“, გილასხაპუ „ჩამოხტომა (ზევიდან)“, გილანწყუმა „ჩამოხსნა“;

გიმა: გიმასხაპუ „გამოხტომა“, გიმანთირუა „გადმოთრევა“, გიმა¹ოთამა „გამოგდება“;

გიმო: გიმულა (<გიმოულა) „გამოსვლა“, გიმო¹ოთამა „გა-მოგდება“;

გიშა: გიშასხუნუა „გამორჩევა“, გიშაჭოფუა „გამოჭერა“, გი-შაჭარუა „გამოწერა“;

გიწო: გიწოღალა „გამორთმევა“;

დიკო: დიკულა (<დიკოულა) „ჩასვლა“, დიკოსხაპუ „ჩახ-ტომა“;

დიშა: დიშაჯირა „ჩაწოლა“, დიშასხაპუა „ჩახტომა“, დიშა-რაგვაფი „ჩანარცხება“;

ეკო/იკო: ეკოულა/იკოულა „ამოსვლა“, ეკო¹ოთამა „ამოგდე-ბა“;

ელა/ილა: ელანჯირა „მიწოლა (გვერდით)“, ელასხაპუა „მიხტომა (გვერდით)“, ელანწყუმა „მოხსნა (გვერდით)“;

ეშა/იშა: ეშაღობუა „გადაღობგა (ამოღობგა)“, იშაქოსუა „ამოწმენდა“;

კილა/კელა: კილადგუმა „შემოღება/შემოდგმა“, კილარღვაფა „დაყრა/გამოყრა“;

კინო: კინოჯინა „გამოხედვა“, კინორაგადი „გამოლაპარაკება (უკან მოხედვით)“;

მიდა: მიდა¹უნუ „მიპყვა“, მიდაჩქუ „მიაგზავნა“, მიდართუ „წავიდა“;

მიკო/მუკო: მიკონჯირა „მიწოლა“, მუკოხაკაფი „მიკაკუნება“, მიკონჭაფა „მიღწევა“;

მიშა: მიშაჭალა „ჩაკერვა“, მიშარღვაფა „ჩაყრა“, მიშა¹ოთამა „ჩაგდება“.

მოლა: მოლართუ „წამოვიდა“, მოლანთირუ „მოათრია“, მო-ლაზინდუ „მოზიდა/მოჭიდა“;

მინა/მინი: მინართუ „(მიმო)უდის“, მინიწყუ „(მიმო)იხსნა“, მინირჩქიუ „(მიმო)ისმინა“;

წიმო: წიმოდირთუ „წამოდგა“, წიმოჯინა „წამოხედვა“, წი-მო¹ოთამა „წამოგდება“;

მეგრულ-ჭანური რთული პრევერბების მეორე კომპონენტები: ლა, წა, კა, ხო, ოო, ნო უცხოა ქართულისათვის.

ზანური ძრიდარია პრევერბებით, რადგან თანდებულებით და-რიბია, პრევერბები საკომპენსაციო სახეობაა თანდებულებისა.

პრევერბისეული ხმოვნის ასიმილაციის შესახებ იხ. გვ.63-64.

გვარი

გვარი სამია მეგრულ-ჭანურში: მოქმედებითი (ყველა გარდა-მავალი ზმნა), ვწებითი და საშუალი (გარდაუვალი ზმნები), აქედან საშუალი გვარის ზმნებს მაწარმოებელი არა აქვს.

ვწებითი გვარის ზმნებს ჭანურში აფიქსები აწარმოებს. ეს აფიქსებია აწყოში: -უ (სუფიქსი), ი-ე (აფიქსი), ა-ე (აფიქსი).

-უ: სქიდ-უ-ნ, ღურ-უ-ნ, ხომ-უ-ნ, ტუბ-უ-ნ (ძვ. ქართ.: რჩების, კვდების, ხმების, თბების);

ი-ე: ი-შვ-ე-ნ „ისმევა“, ი-ჭკომ-ე-ნ „იჭმევა“, ი-ხაჩქ-ე-ნ „ითოხნება“, ი-წილ-ე-ნ „იკრიფება“;

ა-ე: ა-შვ-ე-ნ „ესმევა“, ა-ჭკომ-ე-ნ „ეჭმევა“, ა-ხაჩქ-ე-ნ „ეთოხნება“, ა-წილ-ე-ნ „ეკრიფება“.

ნაშთის სახით ჭანურში არის —დ სუფიქსიც: გომოჭკონ-დ-უ-ნ „დამავიწყდება“, მოღორ-დ-უ „მოტყუვდა“, მოწონ-დ-უ-ნ „მოწონს“.

II სერიაში ვწებითის სუფიქსები არ გადაჰყვება, მარტო პრე-ფიქსები რჩება: დოფსქიდი „დავრჩი“, დობლური „მოვკვდი“, იჭკომუ „შეიჭამა“, აშუ „დაელია (სმა)“, აჭკომუ „შეეჭამა“.

ი-ე და ა-ე წარმოების ვწებითებს პოტენციალისის შინაარსი აქვს, I გამოხატავს განყენებულად აღებულ შესაძლებლობას (შეიძლება შეისვას, შეიჭამოს), II კი შესაძლებლობას გარკვეულ პირებთან მიმართებით (შეუძლია შესვას...)

ჭანურში საშუალი გვარის ზმნებს მაწარმოებელი არა აქვს: ხენ „ზის“, ორენ „არის“, მენდახთუ „წავიდა“, ჯოხონს „ჰქვია“, მინონ „მინდა“.

მეგრულშიც არის ჭანურისებური წარმოება ვწებითებისა:

უ: ტი-ბ-უ(ნ) „თბება“, ღურ-უ(ნ) „კვდება“, ფურ-უ(ნ) „ხურ-დება“, ჯან-უ(ნ) „წევს“;

ი-ე: იჭარე, იკითხირე, იჭკირე, იშვე, იგორე „შეიძლება (და-იწეროს, წაკითხულ იქნეს, დაიჭრას, შეისვას, მოიძებნოს)“;

ა-ე: აჭარე, აკითხირე, აჭკირე, აშვე, აგორე „შეუძლია (და-წეროს, წაიკითხოს, დაჭრას, შეისვას, მოძებნოს)“.

ჭანურის მსგავსად ი-ე და ა-ე ტიპის ვნებითს მეგრულში პოტენციალისის მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, ჭანურისგან განსხვავებით, მეგრულში ვნებითის წარმოების ახალი ტიპიც გვაქვს:

ი-უ: იჭარე(ნ) „იწერება“, იჭკირუ(ნ) „იჭრება“, იშუმუ(ნ) „ისმევა“, იგორუ(ნ) „იძებნება“;

ა-უ: აჭარუ(ნ) „ეწერება“, აჭკირუ(ნ) „ეჭრება“, აშუმუ(ნ) „ესმევა“, ახაჩქუ(ნ) „ეთოხნება“.

ცხადია, მეგრულში პოტენციალისი და ვნებითი გამიჯნულია, ჭანურს კი ვნებითისათვის საკუთარი ფორმა არ გამოუმუშავებია.

მეგრულში ვნებითს (ორპირიანი) სხვა წარმოებაცა აქვს:

ე-უ: ეწუხებუ (გური თის) „უწუხდება (გული მას)“, ერცვინგებუ „ესირცველება“, ესახელებუ „ესახელება“;

ა-უ: აჩამუ „ექავება“, აძირაფუ(ნ) „ეჩვენება“, აძიცინუაფუ „ეცინება“ – მეგრ. -ა=ქართ. ე-ს.

ო-უ: ოჩქარუ „ეჩქარება“, ოხიოლუ „უხარია“, ოწყინუ „სწყინს“.

მეგრულშიც არის დ-ონიანი წარმოება: ჭითონდუ „წითლდება“, შქურონდუ „შინდება“. მაგრამ ეს იშვიათია. დონინი ვნებითი ქართულიდანაა შესული მეგრულ-ჭანურში.

პოტენციალისი ქართულსაც უნდა ჰქონოდა: საით გაისვლების; ინახვისმცდა ამირბარი; ხანდაზმულ კაცს სიზმარიც დაეჯვრება; არ კვემეთა, არ დაელევთ, არ უთქმის. აქ „არ“ გვაქვს და არა „ვერ“, რადგან პოტენციალისი დადებით გამოთქმაში იგრძნობა (იხ. ა. ჩიქობავა, პოტენციალისის კატეგორია ქართველურ ენებში, ენიმების მოამბე, I, 1937).

„უნიშნო ვნებითები“ ისტორიულად არ ახასიათებს ქართველურ ენებს, ისინი არიან უგვარო დინამიკური ზმნები და უსწრებენ გვარის ჩამოყალიბებას, შემდეგ მიეკედლნენ ვნებითებს. „უნიშნო“ ვნებითებს ძველ ქართულში II სერიაში, I-II პირებში ფუძე გაეშლებოდა: ვშურ-ები – დაგშურ, ვცოტები-შევცეთ, ვტმები-განვკემ, ვკუდები-მოვკუდ. „უნიშნო“ ვნებითებს ზანურში უ დაბოლოება აქვთ: ტუბუ-ნ „თბება“, ღურუ-ნ „კვდება“, სქიდუ-ნ „რჩება“. ეს უ(<*) სუფიქსი ქართული ხოლმეობითის ი-ს ფუნქციის მატარებელი ჩანს (ტუბუნ-თბების).

ვ. თოფურია „უნიშნო“ ვნებითებს ნიშნიანს ეძახის: ე არის ნიშანიო. (განვტემ, განვტევ).

ქართულსაც სკონურივით ფუძის ფლექსით უნდა ჰქონოდა გვარი გარჩეული: სვ. ტეხნი „ბრუნდება“ – ტიხე „აბრუნებს“, შდრ. ტედ და წად, შევცედ – გამოიცადა, გა-ქერ – განვაქარ-ვო. ვ. თოფურიას მიხედვით, ა- მოქმედებითს აწარმოებს (=ა-დნობს, ა-შენებს) და ე- კი ვნებითს (=ე-წერების).

გ. მაჭავარიანით, ასე არაა, ა და ე მონაცემლება ისეც არის ქართულში, გვარს არ უკავშირდება: 1) დავჭერ-დაგჭარ, ორივე მოქმედებითია; 2) ზანურში უნიშნო ვნებითი ფუძეში ო-ს შეიცავს, რაც ქართულში ა-ს გვავარაუდებინებს: გოპტუბი (<*გოპტობი) „გავთბი“ = ქართ. *განვტაბ; გოგხომი „გაგხმი“ = *განწამ. ბვ. ქართული ა არა აქვს ფუძეში უნიშნო ვნებითებს, მაგრამ უნდა ჰქონოდა დიალექტთა ერთ ჯგუფში, რასაც, ზანურის გარდა, შხარს უჭერს დიალექტის მონაცემები (გაგჭარ-დაგჭერ). ასე რომ, ა ხმოვანი მოქმედებით გვარს კი არ აღმოაჩნდა, არამედ ვნებითებ-საც, ეს იმიტომ, რომ ა არაა გვარის ნიშანი.

ქართ. ე – ზან. ო მარტო უნიშნო ვნებითებში არაა. არის მოქმედებითში. გავცერ, ჭან. გონცორუ (>გოცირუ). ჭანური ცორ ფუძე ქართულში ცარ-ს გვავარაუდებინებს, არის კიდევ ნა-ცარ-ი. ასეა დაგჭერ და დოვჭელრი. ჭკორ-ის შესატყვისა არა სალიტე-რატურო ჭერ, არამედ დიალექტური ჭარ (დაგჭარი).

ასეა სახელებთანაც: ღორღო(ნ)ჯი (ჭ.მ.) – ღერღედი (<*ღარღად, შდრ. სვან. ღარღად „ბატი“), ჭყორი – მწყერი (<*წყარი)...

ე.ო. ე და ა ხმოვანთა მონაცემლებას ქართულში მორფოლო-გიური ფუნქცია არა აქვს.

ქცევის პატებორია

ქცევა არის ზმნის კატეგორია, რომელიც გამოხატავს კუთ-ვნილებითს დამოკიდებულებას ობიექტსა და სუბიექტს შორის (ორპირიანი ზმნა) ან ობიექტებს შორის (სამპირიანი ზმნა), ე.ი. ქცევის გამოხატვა ზმნას მაშინ შეუძლია, თუ ორი ან სამპირიანია. ერთპირიანი უქცეოა.

ზანური ქცევის საკითხში სავსებით მიჰყვება ქართულს. აქაც 3 ქცევაა: სათავისო (ანუ სასუბიექტო), სასხვისო (საობიექტო) და საარვისო (ნეიტრალური).

სასხვისო ქცევა აღნიშნავს, რომ ერთი ობიექტი მეორე ობიექტის კუთვნილებაა, ან განკუთვნილია მისთვის (სუფა ქოდომიდგუ „სუფრა დამიდგა“, ფორჩა ემიჭოფუ „კაბა მიყიდა“, †უდე გამიკე-თუ). მაგრამ ინვერსიულ (ორპირიან) ზმნებთან სასხვისო ქცევა აღნიშნავს სუბიექტის განკუთვნილებას ობიექტისადმი: ხე მიკანკა-ლანს „ხელი მიკანკალებს“, ოსარე მირჩქუ (ურჩქუ) „მაისური მი-ჩანს (უჩანს)“.

ქცევის ნიშნები იგივეა, რაც ქართულში.

სათავისო ქცევას ი აწარმოებს: მეგრ: ითხორუნს „ითხრის“, იჭარუნს „იწერს“ (=თავისთვის იწერს), იჭკირუნს „იჭრის“, იშე-ნენს „იშენებს“...

ჭან.: იჭაუფს „იწერს“, იბორუმს ხე „იბანს ხელს“, იუვარამს (ნ. მარით) „იმარგლავს“. იბლაფს ჩენგე „იპარსავს წვერს (=ნი-კაპს), ხე იკათუმს „ხელს იჭრის“.

არნ. ჩიქობავა აღნიშნავს: „სარფელები მაჯერებდნენ, რომ სათავისო ქცევა მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ ობიექტი სუბიექტის კუთვნილებაა, სუბიექტისაა: ჩენგე იბლაფს „ნიკას იპარსავს“, რადგან „ჩენგე“ სუბიექტისაა, მისი კუთვნილებაა. მაგრამ ქართულ-ში ხომ არის: ვიწერ ზღაპრებს, აქ „ზღაპრები“ სუბიექტის კი არაა, მისი კუთვნილება კი არაა, არამედ განკუთვნილია მისთვის. ჭანურად: იჭაუფს ჰექიაუფეს „იწერს ზღაპრებს“ შეგავსი მაგალი-თები არ შეიძლება, რადგან ეს ნიშნავდეს იქნება; იწერს ზღაპრებს თავისაზე, თავის კანზე, ტრნზე. ეს კი არ შეიძლებაო“.

რაა ეს? სათავისო ქცევის შინაარსის დავიწროება? არა. არ-ქაიზმი. ჩიქობავათი ქართველურ ენგბში სათავისო ქცევის ძირითა-

და და პირველადი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო ის, რაც ჭანურ-შია დაცული: მოქმედება სუბიექტის საგანზე (და არა სუბიექტის-თვის განკუთვნილ საგანზე, ისევე, როგორც სასხვისო ქცევისათ-ვის ძირითადი უნდა ყოფილიყო მოქმედება სხვის საგანზე, სხვის ობიექტთან) და არა სხვისთვის განკუთვნილ ობიექტზე (სათავ: თავი მოიკლა = თავისი თავი მოკლა, სასხვისო: მტერს გული მო-უკლა — მტრის გული მოკლა!).

ესაა პირველადი მნიშვნელობა ქცევისა, მეორადია ის მნიშ-ვნელობა, რომ მოქმედება ეხება სუბიექტისთვის განკუთვნილ სა-განს (იჭარუნს), „იწერს“ ან ობიექტისათვის განკუთვნილ საგანს (მიჭარუნს-უჭარუნს), „მიწერს-უწერს“.

სასხვისო ქცევის ნიშანი მეგრულ-ჭანურში არის ი (I, II პ.) და უ (III პ.)

მეგრ. უწილუნს „უკრეფს“, უჭარუნს „უწერს“, უძახუ „უძა-ხის“, მირაგადუ — ურაგადუ „მელაპარაკება — ელაპარაკება“, მი-კითხენს — უკითხენს წიგნის „მიკითხავს — უკითხავს წიგნს“, მი-ხოკუნს პის „მიპარსავს პირს“... უჭანქ „ვუპერავ“, უჭარუნქ „ვუწერ“...

ჭან. ქომეცული „მოვუტანე“, ღუჯოხი „დავუძახე“, ეუჭოფი „გუყიდე“, სუფა ქოდომიდგუ „დამიდგა“, ხე უბონუმს „ხელს პპანს“ (უბანს), ჩენგე უბლავს „წვერს პპარსავს“/უპარსავს.

გარდაუვალი ზმნების სასხვისო ქცევა: ბერე მიღურუნ — ბე-რე ღუღურუნ, ბინეხი მიხომუ „ვენახი მისმება“, კუჩხი მიცანცა-ლანს (თის უცანცალანს), „ლეხი მიკანკალებს (მას უკანკალებს)“ ე.ო. გარდაუვალ ზმნებთან სუბიექტი არის ობიექტისთვის განკუთ-ვნილი.

გარდაუვალ ზმნებთან სასხვისო ქცევა უნიშნოდაც შეიძლება გადმოიცეს, ორპირიანი ვნებითებით ქართულში, რომელიც შინაარ-სით სასხვისო ქცევისა არის, სადაც სუბიექტი განკუთვნილია ობი-ექტისათვის.

მიშენდება სახლი — უშენდება სახლი. აქ ქცევისაა ი/უ. მაგ-რამ განა ასეთი კორელაცია არაა: მეზრდება ბავშვი — ეზრდება ბავშვი? ქცევა აქაც არის, მაგრამ უნიშნოდ!

მეგრულშია: მარდა, მაჭარა, მასოფუ, შდრ. მეზრდება, მეწე-რება, მეგლიჯება (მიგჯება გურ.), აქ მეგრ. ა = ქართ. ე-ს.

მეგრულში: ღვა მეჭითარებუ, თომა მერჩეებუ... ქართ.: ლოფა მიწითლდება, თმა მითეთრდება, მეგრ. ე-უ = ქართ. ო-დ.

ასეთ ფორმებში ქცევის შინაარსი აშკარაა.

საარვისო ქცევას ნიშანი არა აქვს: ჭარუშს/ჭარუნს „წერს“, კითხუმს/კითხუნს „„კითხულობს“, ზოპონს/რაგადანს „ამბობს“, ჭკიუფს/ჭკირუნს „ჭრის“, თიუფს/თირუნს „ათრევს“, ხაჩქუფს/ხაჩქუნს...

საარვისო ქცევის ფორმებს ქართულში ზოგჯერ(!) ა უძლვის (აკეთებს, აშენებს), მაგრამ ა არ მიიჩნევა ქცევის ნიშნად. თუმცა საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ზმნას თავსართ ა-ს ფარდად ზანურში კანონზომიერი შესატყვისი ო აქვს ხშირად.

ჭანური	მეგრული
ასწავლის –	ოგუაფს / ოგურუანს
არჩენს –	ოსკედინაფს / ოსკიდუანს
აშინებს –	ოშკურინამს / ოშქურინუანს
ანახებს –	ოძიაფს / ოძირანს
აკივლებს –	ოკიაფს / ორკიაფუანს
აწერს –	ოჭარაფს / ოჭარანს

6. მარი ო-ს III ქცევის („პირია“) ნიშნად მიიჩნევდა ჭანურში, მაგრამ ო (ქართ. ა) უფრო კაუზატივის მაწარმოებელი ჩანს. ეს იქიდან ჩანს, რომ კაუზატივს მეგრულ-ჭანურში ამ ო-ს გარეშე ვერ გაწარმოებთ.

პონტაქტი (გზა)

კონტაქტი (გზა) არის კატეგორია, რომელიც გვიჩვენებს, სუბიექტური პირი თვითონ მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე, თუ ირიბი ობიექტის მეშვეობით. თუ სუბიექტური პირი თვითონ მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე, მაშინ უშუალო კონტაქტი გვაქვს, ხოლო, თუ სუბიექტური პირი პირდაპირ ობიექტზე მოქმედებს სხვა პირის (ირიბი) მეშვეობით, გვექნება შუალობითი კონტაქტის ფორმა ანუ კაუზატივი (ფაქტიტივი). შუალობითი კონტაქტის მი-

ხედვით რეალურად მოქმედებს ორი პირი: ერთი მოქმედებას ხელ-მძღვანელობს, მეორე – ხელმძღვანელის დავალებას ასრულებს; ერთია ხელმძღვანელი (ორგანიზატორი), მეორე – შემსრულებელი (ეგზეკუტორი).

ბავშვი მამას ჩიტს აჭერინებს. სუბიექტი არის „ბავშვი“, რო-მელიც საქმეს ხელმძღვანელობს, ხოლო ირიბი ობიექტია „მამა“, რომელიც რეალურად მოქმედებს, ასრულებს დავალებას. პირდაპი-რი ობიექტი არ იცვლება.

მეგრულსა და ჭანურში კონტაქტი ერთნაირად იწარმოება. უშუალო კონტაქტს საერთოდ არა აქვს მაწარმოებელი: ჭა-რუფს/ჭარუნს, ჭკირუნს, ყვილუფს/ვილუნს, ბახუფს/ბახუნს „ცემს“...

კაუზატივის მაწარმოებელი მეგრულსა და ჭანურში არის ო-თავსართი და -აფ- ბოლოსართი (ო – აფ), რომელიც დაერთვის წყვეტილის ფუძეს, უშუალო ფორმები წყვეტილში: გუბ-უ „ხარ-შა“ (ჰემუქ ჰექ) „იმან იგი“, კვათ-უ „ჭრა“, თას-უ „თესა“, შუა-ლობითი: ო-გუბ-აფ-უ „ახარშვინა“, ო-კვათ-აფ-უ „აჭრევინა“, ო-თას-აფ-უ „ათესინა“ (ჰემუქ ჰექმუს ჰექ) „იმან იმას ის“.

კაუზატივის აწმყო იწარმოება აორისტის კაუზატივურ ფუძე-ზე (ო-გუბ-აფ) აწმყოს მაწარმოებელი აფიქსების დართვით. ამ (ათ., ვიწ.-არქ)/ -აფ (ხოჯ.):

აწმყო: გუბ-უმ-ს//გიბ-უფ-ს „ხარშავს“, ზუმ-უმ-ს//ზიმ-უფ-ს „ზომავს“.

კაუზატივი აწმყოს ფუძეს არ ეყრდნობა, არამედ აორისტი-სას, ამიტომ გვაქვს აწმყოს კაუზატივში:

ო-გუბ-აფ-ამ-ს//ო-გიბ-აფ-აფ-ს „ახარშვინებს“, ო-თას-აფ-ამ-ს//ო-თას-აფ-აფ-ს „ათესვინებს“.

მეგრულშიც ასეა: უშუალო კონტაქტი წყვეტილში: ზიმუ „(გა)ზომა“, კვათუ „(გა)კვეთა“, ჭკირუ „(გა)ჭრა“, ჭუუ „დაწვა“, აგეთუ „აგეთა“, ხაზუ „(და)ხაზა“, ხონუ „(მო)ხნა“...

აქედან აორისტის კაუზატივი: ო-ზიმ-აფ-უ „აზომვინა“, ო-კვათ-აფ-უ „აკეთებინა“, ო-ხონ-აფ-უ „ახნევინა“...

აწმყოს კაუზატივი იწარმოება წყვეტილის კაუზატივის ფუ-ძისგან. -უ-ან აწმყოს სუფიქსის დართვით; ეს უ+ან-ის ან იგივე

ჩანს, რაც ჭანური -ამ/აფ. უ რისია? ალბათ, აწმყოს -უნ სუფიქ-
სის ნიშანი? (აწმყო: ზომუნ-ს „ზომავს“, კვათ-უნ-ს „კვეთს“).

წყვეტ. კაუზატივი: ო-კვათ-აფ-უ-ან-ს „აკვეთინებს“, ო-ზონ-
აფ-უ-ან-ს „ახენევინებს“...

კაუზატივის ო- - აფ-ს ქართულთან მსგავსება აქვს: ო
არის შესატყვისი ქართ. ა-სი (აჭრევინა, ახარშვინა, აკეთებინა...)

ქართულში აწმყოს კაუზატივი იწარმოება არა აწმყოს ფუძი-
საგან, არამედ აორისტის კაუზატივიანი ფუძისაგან, რომელსაც -ებ
დაერთვის (=ჭან. -ამ/აფ, მეგრ. -უ-ან), ასე რომ, აწმყოში გამოჩე-
ნილი ჭან. -ამ/აფ, მეგრ. -ან და ქართ. -ებ ერთი ოდენობაა.

სხვაობა ზანურსა და ქართულს შორის აორისტის კაუზატი-
ვის ფორმაშია, ქართულში -ინ (აზომვინა), რაც უცხოა მეგრულ-
ჭანურისთვის.

კ. ღ.: ზანური სუფიქსი აფ (ოკვათ-აფ-უ) შეიძლება იგივე
ოდენობა იყოს, რაც ქართული -ევ (ხმოქნებში შესატყვისობაა).

ჩიქობაგათი: ქართ. -ინ (<უნ>): დვ. აცთ-უნ-ა>ახ. აცთ-ინა.

ჩიქობაგათი კაუზატივებია: ადგენს – ადგინა, ასმენს – ასმი-
ნა, აჭმევს – აჭმია, არბევს – არბია, ოღონ მათ კაუზატივის გა-
გება დაკარგული აქვთო.

მფპრივთა ლარმოება

ზმნის უღლებადი ფორმები ჯგუფდებიან გარკვეული ნიშნის
მიხედვით. ვთქვათ, ვწერ, წერ, წერს, ვწერთ, წერო, წერენ ერთი
ჯგუფია ჩვენს წარმოდგენაში, ასევე სხვა ჯგუფია: ვწერდი, წერ-
დი, წერდა, ვწერდით, წერდით, წერდნენ... ასეთი 11 ჯგუფი შეიძ-
ლება იყოს ქართულში. ამ ჯგუფებს მწკრივებს ეძახიან.

თავიანთი, ერთი ჯგუფის ფორმებს (მწკრივს) ურთიერთისა-
გან განასხვავდებს პირი და რიცხვი, ე.ი. ერთი ჯგუფის (მწკრივის)
ფორმები ერთმანეთისგან პირისა და რიცხვის მიხედვით განირჩევი-
ან. მაგრამ რა აქვთ მათ საერთო (ე.ი. ერთი მწკრივის ფორმებს
რა აერთიანებს?). ესაა დრო და კილო, ასევე ჯერობა, აქტი, თა-
ნამდევრობა. ამ უცვალებელი ნაწილებით (დრო, კილო, ჯერობა...)
განსხვავდება ერთი მწკრივი მეორისგან, ამ უცვალებელ ნაწილებს

ებაზიან მწკრივის ელემენტებს. ამ ელემენტებით უპირისპირდება ერთი მწკრივი სხვას.

არის მწკრივი გრამატიკული კატეგორია? არის. ყოველი გრამატიკული კატეგორია ყალიბდება საპირისპირო ფორმათა არ-სებობის საფუძველზე. ამდენად, ერთი უღლებადი ჯგუფი ზმნისა, რომელსაც მწკრივს ვუწოდებთ, ისეთ მიმართებაშია დანარჩენებთან, როგორც სხვა დანარჩენი პირველთან. ეს ჯგუფები ერთგვარ მოვლენას ასახავენ ენაში, ერთმანეთს თანაბრად შეეზომებიან, ყველას ერთი და იგივე რაოდენობა აქვს ფორმებისა. მწკრივი როული კატეგორიაა და თავის თავში შეიცავს რამდენიმე კატეგორიას, მწკრივის ფორმაში ყოველთვის განხილულია რამდენიმე კატეგორია (პირი, რიცხვი, დრო, კილო...), მაგრამ მწკრივის ელემენტების (დრო, კილო...). გაიგივება თვით მწკრივთან არა სწორი. ა. შანიძის მაგალითი: სინჯარაში, სადაც ასხია სხვადასხვა ფერისა და წონის სითხეები: წყალი, ზეთი, რომელიც არ აირევა ერთმანეთში. მწკრივი – ესა ბოთლი, წყალი და ზეთი – მწკრივის ელემენტები (დრო, კილო...). როგორც არ შეიძლება ბოთლის გათანაბრება წყალითან ან ზეთთან, მთუხედავად იმისა, ეს ბოთლი საწყალეა თუ საზეთე, ასევე არ შეიძლება მწკრივის გათანაბრება მის ელემენტებთან.

მწკრივის სახელები არაა შესაფერი, ერთ-ერთ ელემენტს ასახავს, კარგი იქნებოდა ნეიტრალური რამ დაგვერქვა, მაგრამ ეს არ ხერხდება დღეს. ამიტომ: თუ მწკრივში ელემენტთაგან მხოლოდ დრო და კილო, თხრობითკილოიან ზმნებს დროის მიხედვით დაერქმევა სახელი, სხვა კილოიან მწკრივებს – კილოს მიხედვით. თუ მწკრივში ამათ გარდა სხვა ელემენტია, მაშინ ამ დამატებითი ელემენტის მიხედვით.

მწკრივები 3 სერიად იყოფა ფორმათა წარმოებისა და სინტაქსურ თავისებურებათა მიხედვით. სანამ ა. შანიძე „მწკრივს“ შემოიღებდა, მანამ ხმარობდა: „წევრი“, „რიგი“, 1938 წლიდან – „მწკრივი“. 1941 წელს სპეციალური შრომა მიუძღვნა ამ საკითხს ა. შანიძემ: Категория ряда в глаголе. Общие вопросы формообразований глаголов на примерах грузинского языка (ენიმჟის მოამბე, X, 1941).

ზანურში ზმნათა განაწილების პრინციპი მწკრივებში იგივეა, რაც ქართულში. სერია აქაც სამია. I სერიის ძირითადი მწკრივა აწმყო, II სერიისა – წყვეტილი.

I სერიის მჯპრივები

აწმყო: აწმყოს ფუძეს წყვეტილის ფუძესთან შედარებით არ-თულებს თემის ნიშნები და სავრცობი. ყველაზე გავრცელებული თემის ნიშანია -უმ (ჭანურში) და -უნ (მეგრულში: -უნ<-უმ); ჭა-ნური -უმ (ვიწ.-არქ., ათინ.) ხოფურში იძლევა -უფ-ს: გორუმს/გო-რუფს „ემბეს“, კვათუმს/კვათუფს „კვეთს“, გუბუმს/გიბუფს „ხარ-შაგს“, იქუმს/იქომს/იქიფს „იკეთებს, იჭამს“.

მეგრ.: კვათუნს „კვეთს/ჭრის“, ჭარუნს „წერს“, ხონუნს „ხნავს“...

მეორე გავრცელებული თემის ნიშანია – -ამ/-აფ ჭანურში, -ან მეგრულში:

ჭან.: ოწირამს „აჩვენებს“, მღორაფს „ბლავის“, ორგამს/ორ-გაფს „რგავს“, ოფშაფს „ავსებს“, ოღოდაფს „უკეთებს“, მენდიო-ნამს „წაიყვანს“...

მეგრ.: ღორანს „ღრიალებს“, რკიანს „კივის“, გვარგვალანს „თუხთუხებს“, ოფუნუანს „ადულებს“, ოტიბუანს „ათბობს“...

თემის ნიშნებია -ემ/-ეფ ჭანურში, -ენ მეგრულში:

ჭან. -ემ/-ეფ: უწოლემს „უუნება“, იჩალაშეფს „მუშაობს“, ჩხე მუხთეფს „აციებს“.

მეგრ. -ენ: აუჩორენს „აშავებს“, აჭითარენს „აწითლებს“, არიგენს „არიგებს“, აშენენს „აშენებს“...

მეგრულ-ჭანურში თემის ნიშანთა უნიფორმაცია მოხდა: გაბა-ტონდა -უმ (-უფ) და -ამ (ჭანურში), -უნ და -ან (მეგრულში), სხვაობა თანხმოვნებშია. ამათგან -უმ (-უფ – -უნ მეგრ.) მოდის

*-ომ-ისგან და = ქართ. -ამ თემის ნიშანს, ხოლო -ამ (-აფ – -ან – მეგრ.) = ქართ. -ებ-ს (ჭან. ო-რგ-ამ-ს „რგავს“ = ქართ. ა-კეთ-ებ-ს).

ქართულთან შედარებით, სხვაობას ქმნის აწმყოს I-II პირში –ქ (მეგრ.) და -რ (ჭან.), რომლებიც ერთმანეთის მორფოლოგიური კორელატები ჩანან:

მეგრულში ქ ყველა ზმნას მოეპოვება აწმყოს I-II პირში მხ. რიცხვში, ხოლო რ ჭანურში აქვს მხოლოდ ვნებითი და საშუალი გვარის ზმნებს I-II პირში მხ. რ.-ში.

ჭანური	მეგრული
პტუბურ	ბტიბ-უ-ქ „ვთბები“
ვულ-უ-რ	(გი)ვუ-რ-ქ „დავდივარ“
ბლურ-უ-რ	ბლურ-უ-ქ „ვკვდები“
მაგრამ მეგრულში:	ვთასუნქ, ვჭარუნქ, ვხონუნქ.

მიუხედავად ამისა, მეგრ. ქ და ჭან. რ მორფოლოგიური კო-რელატებია, არც ერთი არაა S₂-ის ნიშანი.

აწმყოსგან იწარმოება: უწყვეტელი >კავშირებითი I, პირობი-თი I, ნაწყვეტილარი თურმებითი I (მხოლოდ ჭანურშია).

უწყვეტელი ზანურში იმავე სუფიქსით იწარმოება, როგორც ქართულში, ესაა დ (ოდ არ იცის); რომელიც უცვლელადაა დაცუ-ლი მეგრულში, ხოლო ჭანურში -ტ-ს სახით. I და II პირებში ორსავე რიცხვში ბოლოში დაერთვის უფუნქციო ი, S₃-ის ნიშანია -უ (მხ. რ.) და -ეს (მრ. რ.) ყოველნაირ ზმნებთან.

ჭანური

მა	ბ-ჭარ-უმ-ტ-ი ჰეა/ მა პ-ჭარ-უფ-ტ-ი ია
სი	ჭარ-უმ-ტ-ი ჰეა/ სი ჭარ-უფ-ტ-ი ია
პეტუქ	ჭარ-უმ-ტ-უ ჰეა/ ემუქ ჭარ-უფ-ტ-უ ია
ჩქუნ	ბ-ჭარ-უმ-ტ-ი-თ / ჩქინ პ-ჭარ-უფ-ტ-ი-თ ია
თქვან	ჭარ-უმ-ტ-ი-თ / თქვან ჭარ-უფ-ტ-ი-თ ია
ჰენთეფექ	ჭარ-უმ-ტ-ეს / ენთეფექ ჭარ-უფ-ტ-ეს ია

მეგრული

მა	ვ-ჭარ-უნ-დ-ი თის	„ვწერდი“
სი	ჭარ-უნ-დ-ი თის	„წერდი“
თინა	ჭარ-უნ-დ-უ თის	„წერდა“
ჩქი	ვ-ჭარ-უნ-დ-ი-თ თის	„ვწერდით“
თქვა	ჭარ-უნ-დ-ი-თ თის	„წერდით“
თინეფი	ჭარ-უნ-დ-ეს თის	„წერდნენ“

ათინურში იშვიათად ტ-ს გვერდით და და თ-ც არის: ქორდუ, ქუონურთუ „ჰყავდა“.

უწყვეტლისგან იწარმოება კავშირებითი I, პირობითი I, ნაუწყვეტლარი I.

კავშირებითი I: კავშირებით I-ს აწარმოებს ა სუფიქსი მეგრულსა და ჭარურში. ეს ა დაერთვის უწყვეტლის ფუძეს, უფუნქციო ი-ს გამოყენებით. ეს ა არის ქართული ე-ს კანონზომიერი შესატყვისი (ვწერდე „ვჰყარუნდა“).

ჭარური

მა	ბ-ჭარ-უმ-ტ-ა ჰეა // პ-ჭარ-უფ-ტ-ა ია
სი	ჭარ-უმ-ტ-ა ჰეა // ჭარ-უფ-ტ-ა ია
პემუქ	ჭარ-უმ-ტ-ა-ს ჰეა // ჭარ-უფ-ტ-ა-ს ია
ჩქუნ	ბ-ჭარ-უმ-ტ-ა-თ ჰეა// პ-ჭარ-უფ-ტ-ა-თ ია
თქვან	ჭარ-უმ-ტ-ა-თ ჰეა// ჭარ-უფ-ტ-ა-თ ია
ჰენთეფექ	ჭარ-უმ-ტ-ა-ნ ჰეა// ჭარ-უფ-ტ-ა-ნ ია

მეგრული

მა	ვ-ჭარ-უნ-დ-ა თის	„ვწერდე“
სი	ჭარ-უნ-დ-ა თის	„წერდე“
თინა	ჭარ-უნ-დ-ა-ს თის	„წერდეს“
ჩქი	ვ-ჭარ-უნ-დ-ა-თ თის	„ვწერდეთ“
თქვა	ჭარ-უნ-დ-ა-თ თის	„წერდეთ“
თინეფი	ჭარ-უნ-დ-ა-ნ(ი) თის	„წერდნენ“

S3-ის ნიშანია -ს (მხ. რ.) და ან (მრ. რ.). ამ -ან-ის -ა იკარგება კავშირებითის ა-ს წინ: ან>ნ: ჭარუმტან<*ჭარუმტაან.

მეგრულში კავშირებით I-ს პარალელური ფორმებიც აქვს, ქართულივით -ე/ეე-თი ნაწარმოები (I-II პირში მხ. რიცხვში):

ვ-ჭარ-უნ-დ-ე // ვ-ჭარ-უნ-დ-ეე „ვწერდე“

ჭარ-უნ-დ-ე // ჭარ-უნ-დ-ეე „წერდე“

ჭარ-უნ-დ-ა-ს // ჭარ-უნ-დ-ა-ს „წერდეს“

მრ. რიცხვი ა-თი იწარმოება. ეს ეე/ე-იანი წარმოება მხ. რიცხვის I-II პირებში ჩვენ ქართულისებურ წარმოებად მიგვაჩნია. ჩიქობავას აზრით კი, ეს ბოლო ეე/ე მოღის ერე-დან „რომ“, ე.ი. ვჰყარუნდე = რომ ვწერდე მე მას.

ერე „რომ“-ის მნიშვნელობით ახლაცაა სვანურში: ეჯღა ერე „იმიტომ რომ“.

აღსანიშნავია, რომ -ეუ/-ე წარმოების კავშირებითს ნატვრითი ელფერი დაპკრავს.

გ. კარტოზია: ვჰარუნდაინი<ვჰარუნდეინი>ვჰარუნდეე>ვჰარუნ-დე.

პირობითი I: ეს მწკრივი ოწარმოება უწყვეტლის ფუძისგან - კონ-ის დართვით პირის ნიშნების შემდეგ ბოლოში. ეს -კონ მოდის ოკონ „უნდა“ ზმნისაგან. ასე რომ, პირობითი I არსებითად აღწერითი ფორმისაა, ოღონდ დღეს ორგანულ წარმოებად ჩანს:

ჭანური

მა	ბ-ჭარ-უმ-ტ-ი-კონ	ჰე	, „რომ ვწერდე“
სი	ჭარ-უმ-ტ-ი-კონ	ჰე	
ემუქ	ჭარ-უმ-ტ-უ-კონ	ჰე	
ჩქუნ	ბ-ჭარ-უმ-ტ-ი-თ-კონ	ჰე	
თქვან	ჭარ-უმ-ტ-ი-თ-კონ	ჰე	
ჰემთეფექ	ჭარ-უმ-ტ-ეს-კონ	ჰე	

მეგრული

მა	ვ-ჭარ-უნ-დ-ი-კო(ნ)	, „რომ ვწერდე“
სი	ჭარ-უნ-დ-ი-კო(ნ)	
თინა	ჭარ-უნ-დ-უ-კო(ნ)	
ჩქი	ვ-ჭარ-უნ-დ-ი-თ-ი-კო(ნ)	
თქვა	ჭარ-უნ-დ-ი-თ-ი-კო(ნ)	
თინეფი	ჭარ-უნ-დ-ეს-ი-კო(ნ)	

ჩანს, მეგრულში უფუნქციო ი ჩნდება მრავლობით რიცხვში სამსავე პირში კონ-ის წინ, და ნ იკარგება აბსოლუტურ ბოლოში.

ეს მწკრივი ქართულს არა აქვს. მორფოლოგიური თვალსაზრისით ეს მწკრივი არსებითად ემთხვევა უწყვეტელს. პირობითის შინაარსი მასში შეაქვს დამხმარე ზმნას „ოკონ“ (=უნდა)-ს.

ნაუწყვეტლარი თურმეობითი: ეს მწკრივი მხოლოდ ჭანურ-შია, იგი იწარმოება უწყვეტლის ფუძეზე -ერე-ს დართვით (ასეა ხოფურში), ან -დორუნ-ის დართვით (ვიწურ-არქაბულში).

სოფური

მა	პჭარ-უფ-ტ-ერე	და	„ვწერდი თურმე“
სი	ჭარ-უფ-ტ-ერე	და	
ჰემუქ	ჭარ-უფ-ტ-ერე-ნ	და	
ჩქუნ	პჭარ-უფ-ტ-ერე-თ	და	
თქვან	ჭარ-უფ-ტ-ერე-თ	და	
ჰენთეფექ	ჭარ-უფ-ტ-ერე-ნ-ან	და	

ვიწურ-არქაბული

მა	ბჭარ-უმ-ტ-ი-დორენ	ჰეა	„ვწერდე თურმე“
სი	ჭარ-უმ-ტ-ი-დორენ	ჰეა	
ჰემუქ	ჭარ-უმ-ტ-უ-დორენ	ჰეა	
ჩქუნ	ბჭარ-უმ-ტ-ი-თ-დორენ	ჰეა	
თქვან	ჭარ-უმ-ტ-ი-თ-დორენ	ჰეა)	
ჰენთეფექ	ჭარ-უმ-ტ-ეს-დორენ	ჰეა	

ს3 ნიშანია -ნ (მხ. რ.) და -ან (მრ. რ.). სხვაობა მარტო მა-წარმოებლებში როდია სოფურსა და ვიწურ-არქაბულში. არის სხვაც: „ერე“ ინფიქსივითაა ფორმაში, ს3-ის ნიშანი შემდეგაა, ასე-ვეა თ-ც. „დორენ“ კი ფორმის აბსოლუტურ ბოლოშია.

II სერიის მფარივები

II სერიის ფორმათათვის მთავარია წყვეტილის მწერივი. ესაა საყრდენი დანარჩენი მწერივების საწარმოებლად. თემის ნიშნები, როგორც წესი, ამ მწერივსა და მისგან ნაწარმოებ ფორმებში არ გვხვდება.

წყვეტილი: ამ მწერივს ჭანურში მხოლოდ ი აწარმოებს: პჭარი, დოპი, ვხონი, ვძირი, დოვიგური, ე.ი. ჭანურში უნიფორმა-ციაა მომსდარი.

მეგრულში: კი წყვეტილს ორი მაწარმოებელი აქვს (ქართუ-ლივით): ი და ე:

ი: ფხანტი, ბჭარი, მიპონი, მიდვოჩქვი, ბგარი, ჭკომი, პკით-ხი...

ე: ვოგურე, ვრკიე, ვრაქვაე, ბლვარე, ვოცქვე, ვოჭარაფე, ვორაგალე, ვორჩქე. ვოხონაფე, ვორჩქიაფე... ე.ი. ე-თი იწარმოება კაუზატივის ფორმები.

S3-ის ნიშანია -უ (მხ.რ.) და -ეს (მრ.რ.)

მეგრული

პჭარი „ვწერე“	ვოცქვე „ვაქე“	ვოხონაფე „ვახნევინე“
ჭარი „წერე“	ოცქვე „აქე“	ოხონაფე „ახნევინე“
ჭარუ „წერა“	ოცქ(ვ)უ „აქო“	ოხონაფუ „ახნევინა“
პჭარით „ვწერეთ“	ვოცქვეთ „ვაქეთ“	ვოხონაფეთ „ვახნევინეთ“
ჭარით „წერეთ“	ოცქვეთ „აქეთ“	ოხონაფეთ „ახნევინეთ“
ჭარეს „წერეს“	ოცქვეს „აქეს“	ოხონაფეს „ახნევინეს“

წყვეტილის ეყრდნობა შემდეგი მწერივები: კავშირებითი II, პირობითი II, ნაწყვეტილარი თურმეობითი I, ნაწყვეტილარი თურმეობითი II, ნაწყვეტილარი კავშირებითი III.

კავშირებითი II-ისგან იწარმოება: მყოფადი, პირობითი III.

კავშირებითი II იწარმოება წყვეტილის ფუძისგან (ი და ე-ს ჩამოშორებით) ა სუფიქსით, როგორც ჭანურში, ისე მეგრულში. ესაა ერთადერთი სუფიქსი ზანურში (ჩიქობავა). მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ მხედველობაში არაა მიღებული მეგრულში პარალელურად ხმარებული ფორმები კავშირებითი II-ისა, რომლებიც ე-თი იწარმოებან: (I, II პ.) მიდავრთე „წავიდე“, მიდართე „წახვიდე“ (მე ი¹ მიდართენი? „რა იქნება, რომ წახვიდე?“). დოვხონე „დავხნა“, დოვხაჩქე „დავთოხნო“, დოპგვათე „დავჭრა“ და სხვა. ეს პარალელური ფორმებია, ისე, როგორც ეს გვაქვს კავშირებით I-ში (ვჭრუნდა/ვჭრუნდე).

ქართულში კი სამი მაწარმოებელია: ე, ა, ო: ე (დონიან და უნიშნო ვნებითებთან): გავშავდე, გავწითლდე, გავთბე, გავქრე... ა (როცა წყვეტილში ნიშანია ა ან ი): დავკრა, ვთქვა, დაგასხა, გავჭრა, შევკრა... ო (ი-ე-ნიან ვნებითებთან, გარდამავალ ზმებთან): დაიწეროს, დაეხატოს, ვაქო, ვაძაგო...

აქედან ჭანურში ერთია -ა, მეგრულში -ა (ძირითადი) და -ე. ე.ი. განსხვავებული აფიქსები ჭანურსა და მეგრულში არაა კავშირებითი II-ის საწარმოებლად.

მეგრულ-ჭანური

ბჭარ-ა „ვწერო“	ბკგათ-ა „ვპვეთო, ვჭრა“
ჭარ-ა „წერო“	კვათ-ა
ჭარ-ა-ს „წეროს“	კვათ-ა-ს
ბჭარ-ა-თ „ვწეროთ“	ბკგათ-ა-თ
ჭარ-ა-თ „წეროთ“	კვათ-ა-თ
ჭარ-ა-ნ „წერნ“	კვათ-ა-ნ

S₃-ის ნიშანია მს.რ.-ში -ს, მრ.რ.-ში -ან, რომლის ა იკარგება ხმოვანთან (ან>ნ).

მეგრულის კავშირებითი II-ის პარალელური ენიანი ფორმა პირნაკლია, საკუთარი წარმოება არა აქვს III პირის არცერთ რიცხვში, აგრეთვე მრავლობითი რიცხვის I-II პირებშიც, ე.ი. ასე-თი წარმოება გვაქვს მხოლოდ მხოლობითი რიცხვის I და II პი-რებში.

ბჭარ-ე	ბჭარ-ა-თ
ჭარ-ე	ჭარ-ა-თ
ჭარ-ა-ს	ჭარ-ა-ნ

ე.ი. მხოლობითი რიცხვი, I-II პირებს გარდა, სხვაგან ა-ნიან წარ-მოებას მიმართავს.

პირობითი II: ამ მწერივის მაწარმოებელია იგივე, რაც პი-რობითი I-ისა, -კონ (<ოკონ „უნდა“, ღლონდ აქ ეს მაწარმოებე-ლი დაერთვის წყვეტილის ფორმას. სხვაობა ისაა, რომ მეგრულში კონ კარგავს ნ-ს (კო), თუ მას ხმოვანი არ მოსდევს. მრავლობით რიცხვში კო(ნ)-ის წინ მეგრულში ი (თანხმოვანთგასაყარი) ჩნდე-ბა.

ჭანური

ბკვათ-ი-კონ	გკვათ-ი-კო(ნ) „უნდა გამექვეთა, დამეჭრა“
კვათ-ი-კონ	კვათ-ი-კო(ნ)
კვათ-უ-კონ	კვათ-უ-კო(ნ)
ბკვათ-ი-თ-კონ	გკვათ-ი-თ-ი-კო(ნ)
კვათ-ი-თ-კონ	კვათ-ი-თ-ი-კო(ნ)
კვათ-ეს-კონ	კვათ-ეს-ი-კო(ნ)

წყვეტილისგან იწარმოება თურმეობითი I, თურმეობითი II, კავშირებითი III ჭანურში, მეგრულში კი სხვანაირად. მაგრამ, სანამ III სერიის წარმოებაზე გადავიდოდეთ, შევეხოთ II სერიის ფორმებზე დაყრდნობილ წარმოებას. როგორც აღნიშნეთ, კავშირებით II-ისგან იწარმოება: მყოფადი და პირობითი III.

მყოფადი იწარმოება კავშირებითი II-სგან სხვადასხვაგვარად ჭანურში (მეგრულში კი ქართულისებრია, პრევერბები აწარმოებს აწმყოსგან): ხოფურში კავშირებითი II-ის ფორმას დაერთვის მეშველი ზმნა მინონ (მინდა), აქედან ჩხალურში უნონ (უნდა) არის გატარებული ყველა პირში, ხოლო ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ში – ერე/რე/ე.

ხოფური	ჩხალური	ვიწურ-არქაბული, ათინური
გვეთა-ა-მინონ „გვეთო მინდა“	გვეთა-ა-უნონ	ბეგვათ-ა-რე
გვათ-ა-გინონ „გვითო გინდა“	გვათ-ა-უნონ	გვათ-ა-რე
გვათ-ა-ს-უნონ „გვეთოს უნდა“	გვათ-ა-ს-უნონ	გვათ-ა-ს-ერე // გვათ-ა-ს-ე
გვეთა-ა-მინონან გვათ-ა-გინონან გვათ-ა-ს-უნონან	გვეთა-თ-უნონ გვათ-ა-თ-უნონ გვათ-ა-ნ-უნონ	ბეგვათ-ა-თ-ერე // ბეგვათ-ა-თ-ე // გვათ-ა-თ-ე გვათ-ა-თ-ერე // გვათ-ა-თ-ე გვათ-ა-ნ-ერე // გვათ-ა-ნ-ე

–ერე მაწარმოებული მოდის ზმნისაგან ორენ „არის“ (ნ. მარი), ასე რომ, „ბეგვათარე“ ზუსტი თარგმანით იქნებოდა: არის ვჭრა // არის, რომ ვჭრა.

ეს –ერე-ა თურმეობითის მწკრივებთან რომ იხმარება ხოფურში. იგივე ერე-ს ნაშთია გარდაუკალ ზმნებთან რომ გვხდება აწმყოში I-II პირებში: ბლურურ „ვკვდები“, ლურურ „ვკვდები“, ფსქიდ-ურ „ვრჩები“.

მყოფადის წარმოება ჭანურში ზმნისწინებითაც ხდება აწმყოსაგან (ხშირი არაა): ვა ამაბულუთ ოხოის „არ შემოვალო სახლში“, მენდა-უკლურ „წაგალ“, დომცორუფთ „გაცცრით“, ქოგბოლამთ, ეწებუდგამთ, „დავყრით, დავუდგამთ წინ“. მეგრულში წარ-

მოების ეს ტიპია მხოლოდ: აწმყო: ვჭარუნქ „ვწერ“, მყოფადი: დო-ვჭარუნქ „დავწერ“.

მყოფადის ჭანურისებური წარმოება არ იცის მეგრულმა, სვანურმა. ა. ჩიქობავათი, ასეთი წარმოება ბერძნულის გავლენა უნდა იყოს. სალაპარაკო ბერძნულში მსგავსი წარმოება X საუკუნიდანაა, ე. ი. ამის შემდეგ ჩამოყალიბებულა ასეთი წარმოება ჭანურშიც: ბერძნული: ναγραψω ζέλω (=მინდა ვწერო=დავწერ), II წარმოება: ζέλω γραψω „რომ ვწერო მინდა“(=ბჭარარე). (ა. ჩიქობავა, ჭანური მყოფადის წარმოებისათვის, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, V, №1, 1944).

პირობითი III: ეს მწკრივი ეყრდნობა კავშირებით II-ს, ოღონდ დაირთავს უწყვეტლის ტ-ს. ესაა, ასე ვთქვათ, II ნაკავშირებითარი უწყვეტელი, ეს ფართო ხმარების არაა, უფრო ვიწურარქაბულშია, ათინურშიც (ხოფურში იშვიათია).

ბკვათ-ა-ტ-ი	ბკვათ-ა-ტ-ი-თ	„მე გავკვეთდი, გავჭრიდი მას“
კკათ-ა-ტ-ი	კკათ-ა-ტ-ი-თ	
კვათ-ა-ტ-უ	კვათ-ა-ტ-ეს	

პირობითი III სხვაგვარადაც იწარმოება ხოფურში, კავშირებით II-ს ემატება „მინონ“ ზმნის უწყვეტლის ფორმა: მინტუ „მინდოდა“, გინტუ „გინდოდა“, უნტუ „უნდოდა“, მინტეს „გვინდოდა“, გინტეს „გინდოდათ“, უნტეს „უნდოდათ“.

გკვათ-ა-მინტუ „გვეთა მინდოდა“...	გკვათ-ა-მინტეს „კვეთა გვინდოდა“
კკათ-ა-გინტუ „კვეთა გინდოდა“	კკათ-ა-გინტეს „კვეთა გინდოდათ“
კვათ-ა-ს-უნტუ/კვათასინტუ „კვეთა უნდოდა“	კვათ-ა-ს-უნტეს/კვათა-ს-ინტეს „კვეთა უნდოდათ“

III-IV სერიის მცარივები

III სერიის მწერივები სხვადასხვანაირად იწარმოება ჭანურსა და მეგრულში. მეგრული უფრო ქართულს მიჰყვება (გარდამავალ ზმნებთან ინვერსია), ჭანური – არა.

ჭანურში II სერიის მწერივები წყვეტილს ეყრდნობა, გვაქს ნაწყვეტილარი თურმეობითი I, თურმეობითი II, კვშირებითი III. ამ მწერივთა წარმოება განსხვავებულია ჭანურის კილოპავებშიც: ხოთურში იწარმოება -ერე (I თურ.), -ერეტ (II თურმ.), -ერეტა (III კავშ.). მეშვეობით, მაშინ, როცა იგივე მწერივი ვიწურ-არქა-ბულსა და ათინურში იწარმოება შემდეგი სუფიქსებით: -დორენ, -დორტუნ, -დორტას (I თურ., II თურმ., III კავშ.).

ამის მსგავსი წარმოება მეგრულმა სრულებით არ იცის.

ნაწყვეტილარი თურმეობითი I

ნოური		ვიწურ-არქაბული, ათინური	
მა	პკვათ-ერე ია „მე მიჭრია, მიკვეთა“	მა	ბკვათ-ი-დორენ ჰეა
სი	პკვათ-ერე ია	სი	კვათ-ი-დორენ ჰეა
ემუქ	პკვათ-ერე-ნ ია	ჰემუქ	კვათ-უ-დორენ ჰეა
ჩქინ	პკვათ-ერე-თ ია	ჩქუნ	ბკვათ-ი-თ-დორენ ჰეა
თქვან	პკვათ-ერე-თ ია	თქვან	კვათ-ი-თ-დორენ ჰეა
ენთეფექ	პკვათ-ერე-ნ-ან ია	ჰემთეფექ	კვათ-ეს-დორენ ჰეა

ნაწყვეტილარი თურმეობითი II

ნოური		ვიწურ-არქაბული, ათინური	
მა	პკვათ-ერე-ტ-ი ია „მიკვეთა თურმე“	მა	ბკვათ-ი-დორტუნ ჰეა
სი	პკვათ-ერე-ტ-ი ია	სი	კვათ-ი-დორტუნ ჰეა
ემუქ	პკვათ-ერე-ტ-უ ია	ჰემუქ	კვათ-უ-დორტუნ ჰეა
ჩქინ	პკვათ-ერე-ტ-ი-თ ია	ჩქუნ	ბკვათ-ი-თ-დორტუნ ჰეა
თქვან	პკვათ-ერე-ტ-ი-თ ია	თქვან	კვათ-ი-თ-დორტუნ ჰეა
ენთეფექ	პკვათ-ერე-ტ-ეს ია	ჰემთეფექ	კვათ-ეს-დორტუნ ჰეა

ნაწყვეტილარი კავშირებითი III

	ნოფური		ვიწურ-არქაბული, ათინური
მა	ჰეგათ-ერე-ტ-ა ია „მე მეგვეთა ოურმე“	მა	ჰეგათ-ი-დორტას ჰეა
სი	კვათ-ერე-ტ-ა ია	სი	კვათ-ი-დორტას ჰეა
ემუქ	კვათ-ერე-ტ-ა-ს ია	ჰემუქ	კვათ-უ-დორტას ჰეა
ჩქინ	ჰეგათ-ერე-ტ-ა-თ ია	ჩქუნ	ჰეგათ-ი-თ-დორტას ჰეა
თქვან	კვათ-ერე-ტ-ა-თ ია	თქვან	კვათ-ი-თ-დორტას ჰეა
ენთეფექ	კვათ-ერე-ტ-ა-ს ია	ჰემთეფექ	კვათ-ეს-დორტას ჰეა

რამდენიმე შენიშვნა მაწარმოებლებზე:

- 1) ერთი შეხედვით, II სერიის მწერივთა მაწარმოებლები ნოფურსა და ვიწურ-არქაბულში და მათთან შედარებით ათინურში სულ სხვადასხვა წარმომავლობის ჩანს. აბა, სად ერე და სად დორენ. მაგრამ ეს ასე არაა. ორივე მაწარმოებელი მოდის მეშველი ორენ („არის“) ზმნისაგან: ხოფურში მას დაუკარგავს ო და ნ: ორენ/ორე/რე, ან ორე/ერე, ხოლო ათინურს და ვიწურ-არქაბულში ამ ორენ ზმნას წინ ერთვის დო ზმნისწინი, რომელიც ხშირად მეგრულ ქო დადასტურებით ნაწილაკს უდრის: დორენ (დო+ორენ). შედრ. მეგრ.: ქუწუ ჭან.: დუწუ „უთხრა“
 ქოთქუ დოთქუ „თქვა“
 ქო¹უ დოყუ „გააკეთა“
 ქომიწი დომიწვი „მითხრა“

რომ ერე/რე მოდის „ორენ“ ზმნისაგან, ეს პირველად აღნიშნა ნ. მარმა ჭანურის გრამატიკაში. ამის საფუძველს მას აძლევდა მყოფადის წარმოებაში დადასტურებული ერე/რე (ბზუმი „გზომე“, ზუმარე „გაზომავ“, ზუმასერე „გაზომავს“...), მაგრამ არქაბულში ზუმასერე-ს ნაცვლად იხმარება „ზუმასორენ“. ამ უკანასკნელს ნ. მარი ასე თარგმნის: არის რომ გზომო "есть, чтобы я мерили".

ნ. მარის ახსნა სწორია. რაც მყოფადის ერე-ზეა ნათქვამი, იგივე ოდენობაა ოურმეობითის ერე-ში და დორენ-შიც (ქ. ლომთათიძე).

2) თუ წყვეტილის ფუძე რ-ს შეიცავს ხოფურში, თურმეობითის ფორმებში ერე-ს წინ მთელი მარცვალი ელ ჩაერთვის.

დო-ბჭარ-ი „დავწერე“ (წყვეტილი), აქედან გვაქვს არა დობჭარ-ერე „მიწერია“ (შდრ. ბკვათერე „მიკვეთია“), არამედ: დობ-ჭარ+ელ+ერე. ასეა ეს ყველა რ ფუძიან ზმნებში: ქოდინჯირ-ელ-ერე „დაწოლილხარ“, ბძირ-ელ-ერე „მინახავს“, ვიძგარ-ელ-ერე „მიტირია“.

ჩიქობავა ამის ახსნას არ იძლევა. -ელ -ერ-ის ვარიანტია, მიმღეობის მაწარმოებელი? ორი რა საჭიროა? -ელ არ იქნება -ერ-ის ვარიანტი და მიმღეობის მაწარმოებელი. ასე რომ იყოს, მაშინ იგი უნდა გვერდეს სხვა ზმნებთანაც, სადაც ფუძეში რ არაა (იგზალერენ „გამგზავრებულან“, კითხერენ „დაუკითხავთ“, იდერენ „წასულან“...)

ამის ახსნის ცდა მოგვცა ს. უღენტმა, რომელმაც -ელ ფონეტიკურ ჩანართად ცნო დისიმილაციის ასაცილებლად: „ელ“ სუფიქსის გარეშე გვექნებოდა: ბჭარ-ერე „მიწერია“, ბძირ-ერე „მინახავს“... რადგან ხოფურისოვის დამახასიათებელია პროგრესული დისიმილაცია, ერე გადაიცეცოდა ელედ: ბჭარელე, ბძირ-ელე. ჩანს, ხოფურმა მორფოლოგიური ელემტის ერე-ს დისიმილაცია არ მოახდინა, დისიმილაციის ასაცილებლად ელ მარცვალი ჩაურთო, რითაც ფუძეში ორი რ გაანეიტრალა და დისიმილაცია აიცდინა (შდრ. აგარ-ულ-ი, მაგრამ ქართლ-ური).

ხოფურს არ შეეძლო მარტო რ ჩაურთო, რადგან მას ახასიათებს სრულხმონობა. იხ.: ს. უღენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, 1953.

3) ჭანურში იშვიათად თურმეობითის ქართულისტური ტიპიც (ინვერსიული) გვხვდება: მიძირამუნ/მიძირუნ „მინახავს“, გიძირამუნ/გიძირუნ „გინახავს“, უძირამუნ/უძირუნ „უნახავს“).

4) თურმეობითის ერთი სახეა ჭანურში: ნაუწყვეტლარი თურმეობითი (პჭარუფ-ტ-ერე//პჭარუფ-ტ-ი-დორენ „თურმე ვწერ-დი“) – იხ. 148.

მეგრულში III სერიის წარმოება განსხვავებულია ქართულისაგან და ჭანურისაგანაც. მეგრულმა არ იცის ერე და დორენ-ის მსგავსი წარმოება.

III თურმეობითის ნაკვთებს მეგრული ორი განსხვავებული პრინციპით აწარმოებს:

1) ქართულისებურად, ინვერსიით, წყვეტილის ფუძეზე დაყრდნობით, ესაა ნაწყვეტლარი III სერიის ნაკვთები (მიკვათუ მათინა „მიკვეთია მე ის“, მიჭყირუ „მიჭრია“...). 2) ნო პრეფიქსიანი წარმოება, რომელიც I სერიას, კერძოდ, აწმყოს ფუძეს ეყრდნობა (ნოვგათუექ).

წყვეტილისგან ნაწარმოები III სერიის მწერივები უხილავ დროს გადმოსცემენ და უპირისპირდებიან II სერიის ხილულ დროს.

I თურმეობითი

მიჭყირუ „მიჭრია მე ის“	მიჭყირუნა(6)
გიჭყირუ	გიჭყირუნა(6)
უჭყირუ	უჭყირუნა(6)

II თურმეობითი

მიჭყირუდე „მეჭრა“	მიჭყირუდეს
გიჭყირუდე	გიჭყირუდეს
უჭყირუდე	უჭყირუდეს

III კავშირებითი

მიჭყირუდას „მეჭრას“	მიჭყირუდან(ი)
გიჭყირუდას	გიჭყირუდან(ი)
უჭყირუდას	უჭყირუდან(ი)

III პირობითი

მიჭყირუდეკონ „უნდა დამეჭრა“...

I თურმეობითი ერთნაირადაა ნაწარმოები ქართულსა და მეგრულში: ორივე აწმყოს ინვერსიული ფორმაა.

II თურმეობითით მეგრული განსხვავდება ქართულისაგან, რადგან II თურმეობითი მეგრულში იწარმოება თურმეობითი I-ის-გან, მაშინ, როცა ქართულ თურმეობით II-ს არავითარი კავშირი არა აქვს თურმეობით I-თან – თურმეობითი II ეყრდნობა წყვეტილს.

კავშირებითი III მეგრულში ეყრდნობა I თურმეობითის ფუძეს და ემატება კავშირებითი I-ის აფიქსები, ქართულში კი კავშირებითი III ემყარება კავშირებითი II-ის ფუძეს.

2) აწმყოსგან ნაწარმოები მწკრივები სპეციალურ ლიტერატურაში (გ. ოოგავას მიერ) გამოყოფილია (ცალკე სერიად, მოთხე სერიის (დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვთებად) მწკრივებად: ნოპჭკირუექ (I თურმ.) ამ შეხელულების მიხდვით იქნება თურმეობითი III, ნოპჭკირუელი (II თურმ.) იქნება თურმეობითი IV, ნოპჭკირუედა (კავშ. III) იქნება კავშირებითი IV, ნოპჭკირუელიკონ იქნება პირობითი IV.

თურმეობითი I (=თურმეობითი III):

ნოპჭკირუექ „დამიჭრა თურმე“ (ნაჭრა-ვარ)	ნოპჭკირუეთ
ნოპჭკირუექ	ნოპჭკირუეთ
ნოპჭკირუე(ნ)	ნოპჭკირუენა(ნ)

თურმეობითი II (=თურმეობითი IV):

ნოპჭკირუედი „დამიჭრა თურმე“	ნოპჭკირუედით
ნოპჭკირუედი	ნოპჭკირუედით
ნოპჭკირუედუ	ნოპჭკირუედუს

კავშირებითი III (=კავშირებითი IV):

ნოპჭკირუედა „დამიჭრას თურმე“	ნოპჭკირუედათ
ნოპჭკირუედა	ნოპჭკირუედათ
ნოპჭკირუედას	ნოპჭკირუედან

არის საფუძველი, რომ ნო-თი ნაწარმოები მწკრივები ცალკე წარმოების IV სერიისად ვცნოთ:

1) გარდამავალი ზმნა აწმყოსგან ნაწარმოებ ნო-იან ფორმებში ნომინატიური კონსტრუქციისაა: კოჩი ნოპჭკირუე ხორცის „პაციჭრიდა თურმე ხორცს“, მაშინ, როცა წყვეტილისგან ნაწარმოებ III სერიის მწკრივებში დატიური კონსტრუქციაა: კოს დუჭკირუ ხორცი „კაცს დაუჭრია ხორცი“.

2) ისტორიულად ისინი სხვადასხვა დროის წარმონაქმნებია (ნო-იანი ფორმები ახალია).

3) ხილულ და უხილავ მწკრივთა შორის ასეთი მიმართებაა: ზნები, რომელთაც ხილულ დრო-კილოგრამი მოეპოვებათ ორივე (I და II) ჯგუფის ნაკვთები, უხილავ დრო-კილოგრამი აქვთ შესაბამისად ორივე (III და IV) ჯგუფის ნაკვთები.

ხილული დროის მწკრივები
(I სერია)

აწმყო

გჭკირუნქ „გჭრი“
ვირდუუქ „ვიზრდები“
ვრაგადანქ „ვლაპარაკობ“
უწყვეტელი
გჭკირუნდი „ვჭრიდი“
ვირდუუდი „ვიზრდებოდი“
ვრაგადანდი „ვლაპარაკობდი“
კავშირებითი I
გჭკირუნდა „ვჭრიდე“
ვირდუუდა „ვიზრდებოდე“
ვრაგადანდა „ვლაპარაკობდე“
პირობითი I
გჭკირუნდიკონ „რომ ვჭრიდი“
ვირდუუდიკონ „რომ ვიზრდებოდი“

ხილული დროის მწკრივები
(II სერია)

წყვეტილი

გჭკირი „ვჭერი“
ვირდი „(გა)ვიზარდე“
კავშირებითი II
გჭკირა „ეჭრა“
ვირდა „(გა)ვიზარდო“
პირობითი II
გჭკირიკონ(ნ) „რომ მეჭრა“
ვირდიკონ „რომ გავზრდილიყავი“

უხილავი დროის მწკრივები
(IV სერია)

თურმეობითი III

ნოვჭკირუექ „მიჭრია თურმე“
ნოვრდუექ „მიზრდია თურმე“
ნოვრაგადუექ „მილაპარაკია თურმე“
თურმეობითი IV

ნოვჭკირუედი
ნოვრდუედი
ნოვრაგადუედი
კავშირებითი IV
ნოვჭკირუედა
ნოვრდუედა
ნოვრაგადუედა
პირობითი IV
ნოვჭკირუედიკო(ნ)
ნოვრდუედიკონ

უხილავი დროის მწკრივები
(III სერია)

თურმეობითი I

მიჭკირუ „მიჭრია“
ვრდელექ „გაზრდილვარ“
თურმეობითი II
მიჭკირუდუ „(გა)მეჭრა“
ვრდელედი „გავზრდილიყავი“
პირობითი III
მიჭკირუდუკონ „რომ (გა)მეჭრა“
ვრდელედიკონ „რომ გავზრდილიყავი“

4) ზმნებს, რომლებსაც ხილულ დროში მხოლოდ I სერიის მწკრივები აქვთ, უხილავ დროში მხოლოდ მათი შესაბამისი ოურ-მეობითის, ე.ი. ნო პრეფიქსიანი (IV სერიის) მწკრივები აქვთ:

აწმყო:	უჩქუ – იცის	თურმეობითი III:	ნოჩქვე
	¹ უნს – ჰყავს...		ნო ¹ ვე
უწყვეტელი:	უჩქუდუ	თურმეობითი IV:	ნოჩქვედუ
	¹ უნდუ		ნო ¹ ვედუ
კაგშირებითი I:	უჩქუდას	კაგშირებითი IV:	ნოჩქვედას
	¹ უნდას		ნო ¹ ვედას
პირობითი I:	უჩქუდუკონ	პირობითი IV:	ნოჩქვედუკო(ნ)
	¹ უნდუკონ		ნო ¹ ვენდუკო(ნ)

ასეთია სტატიკური ზმნები ძირითადად: ¹უნს – ნო¹ვე, ლურს – ნოლურუე, აჭუ – ნოჭუე, ¹უმენს – ნო¹უმენუე, მიკოჩანს – მიკნოჩე „სხმევია“.

გამონაკლისია „ორე“ ზმნა, რომელსაც არა აქვს სათანადო მწკრივები უხილავ დროში.

5) ზმნებს, რომელთაც ხილულ დრო-კილოებში მხოლოდ II სერიის მწკრივები აქვთ, უხილავ დროებში მხოლოდ მათი შესაბა-მისი წყვეტილის თურმეობითების (III ს.) მწკრივები აქვთ.

ხილული დრო	უხილავი დრო
(II სერია)	(III სერია)
წყვეტილი:	მიდართუ „წავიდა“ – თურმეობითი I: მიდურთუმუ
	თურმეობითი II: მიდურთუმუდუ
კაგშირებითი II:	კაგშირებითი III: მიდურთუმუდას

„მიდართუ“-ს I სერიაში პოტენციალისის ფორმა მოეპოვება: მიდაართე, მიდაართედუ, მიდაართედას, მიდაართედუკონ. რადვან ეს I სერიისაა, მას უხილავ დროში შესაბამისი მწკრივები (ნო-) გააჩნია: მიდნორთუმუე, მიდნორთუმუდუ, მიდნორთუმუდას, მიდნორ-თუმუდუკონ.

6) აგებულებით IV სერიის ფორმები აღწერითი ხასიათისაა:
ნო – უ აფიქსებით ნაწარმოებ მიმღეობას დაერთვის „ორენ“ მეშ-
ველი ზმნა: ნო-ჭკირ-უ(ნ) – ნო-ჭკირ-უ-(ო)რე(ნ)

ნო პრეფიქსი მეგრულ მიმღეობებში შეზღუდა ქართულიდან
შეთვისებულმა ნა-მ: ნა-ჭარა „ნაწერი“, ნა-რაგადა „ნაოქვამი“, ნა-
რჩქილა „ნასმენი“...

შემონახულია ნო პრეფიქსიანებიც: ნო-კვეთი „ნაკვეთი“, ნო-
ჭვერი „ნაწვავი“, ნო-შქვერი „ნახშირი“ (არს. სახელია ახლა).

უ სუფიქსი კი იგივეა, რაც ჭანური მასდარის უ: ოჭარუ
„წერა“, ოხჩქე „თესვა“. მი-ჭარ-უ-(ნ) და ნო-პ-ჭარ-უ-ე-ქ.

7) სხვაობა III და IV სერიის ფორმებს შორის პირშიცაა:
III სერიაში სამპირიანი ზმნა ორპირიანი ხდება: უჭარუნს თინა
თის თის „უწერს ის მას მას“ – თურ. I: დოუჭარუ თის თინა
(თიშა) „დაუწერია მას ის (მისთვის)“, მაგრამ IV სერიაში სამპი-
რიანობა დაცულია: ნოჭარუე თინა თის თის „სწერდა თურმე ის
მას მას“.

ა) აღსანიშნავია, რომ ზმნის ფორმა IV სერიაში ერთნაირია
აბსოლუტურ და რელატიურ ფორმათათვის.

აბსოლუტური (I პირობითი): იტყობი „იმაღება“

თურმეობითი III: ნოტყობინუე „დამაღლულა“

რელატიური (II პირობითი): ატყობი „ემაღება“

თურმეობითი IV: ნოტყობინუე „დამაღლულა თურმე“

ასევე საზიარო ფორმები აქვთ IV სერიაში მოქმედებით, ვნე-
ბით და საშუალო გვარის ზმნებს:

ნოხაშუედუ = 1) ის ხარშავდა თურმე მას, 2) ის იხარშე-
ბოდა თურმე (გნებითი)

აწყოს თურმეობითის ნაკვეთები (IV სერია) არ იცის აღ-
მოსავლეთ საქართველოს დიალექტებმა, იგი გგწვდება დასავლეთ
დიალექტებში: იმერულში, რაჭულ-ლეჩხუმურში: ი ბიჭს ნაყვარება
ი გოგო; მონავალა და მონაქონა რაცხა; ლექსებსაც ნაწერა; ბა-
ზარში განარება; ფულს ნახარჯავა...

აგებულებით ესენი ერთია: ნაწერა (<*ნა-წერ+არს), შდრ.
ნოჭარუე(ნ) < *ნოჭარ-უ-ორე(ნ). ასეთი წარმოება დასავლურ კო-
ლოებში მეგრულის გავლენას მიეწერება და გვიანდელი მოვლენაა,
III სერიის ჩამოყალიბების შემდგომი პერიოდისა. IV სერიის ფორ-

მები გურულმა, აჭარულმა არ იცის. რატომ? მოსალოდნელი კი იყო. ზანიზმები რომ არის გურულში, იმ დროისთვის მეგრულში არ უნდა ყოფილიყო ნო პრეფიქსიანი წარმოება IV სერიისა, თორემ გურულშიც დარჩებოდა. ასეთი წარმოება გვიანდელია.

IV სერიის ჩამოყალიბება შეპირობებულია მორფოლოგიური განვითარების შინაგანი კანონით, სერიათა სისტემით: თუ II სერიის (ხილულ დროებს) ფორმებს გაუჩნდათ უხილავ დროთა მწკრივები (III სერია), ასევე უნდა გასჩენდათ I სერიის ხილული დროის ფორმებს უხილავ დროთა მწკრივები (IV) და გაიჩინეს კიდევ. აღმოსავლურ დიალექტებში არ გაჩენილა... რატომ? უნდა კი ყოფილიყო...

(იხ. გ. როგავა, დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვთები ქართველურ ენებში: იკე, V, 1953).

საწყისი და მიმღება

საწყისი:

ჭანურში საწყისს აწარმოებს ო-უ აფიქსი: ო-ჭარ-უ „წერა“, ო-გუბ-უ „ხარშვა“, ო-კითხ-უ „კითხვა“, ოკათუ „ჭრა, კვეთა“, ოყვილუ „ბლვა“...

ო პრეფიქსი ჭანურში არა გვაქვს, თუ ზმნას პრევერბი დაერთვის და რჩება მარტო უ: მო-გალ-უ „მოტანა“, მე-ჩამ-უ „მიცემა“, „მე-ხირ-უ“ მოპარვა, გე-დვალ-უ „დადება“, გე-მალ-უ „ჩატანა“...

6. მარი საწყისის მაწარმოებლად თვლიდა ო თავსართს, ხოლო ბოლო უ წყვეტილის S₃ ნიშანი უ ეგონა: ჭარ-უ დაწერა>ო-ჭარუ. სინამდვილეში S₃-ის უ სხვაა, ხოლო მასდარის უ სულ სხვა ოდენობაა, მორფოლოგიური ომონიმებია მხოლოდ: როგორც დაწერა-ს (S₃) ა არ არის საწყისის წერა-ს, ასევე არაა S₃-ის უ მასდარის უ.

ჭანური ო-უ ტიპის წარმოება ისეთია, როგორიც ქართული სა-ა: სა-ლმობ-ა, სა-ხარებ-ა. სხვაობა ამ ტიპის წარმოებაში ისაა, რომ ჭანურში მასდარი წყვეტილის ფუძისგან იწარმოება, ქართულში – აწმყოსაგან.

ასე რომ, პრეფიქს-სუფიქსური წარმოება ჭანურივით უნდა ჰქონოდა უძველეს ქართულს. ჭანურში იშვიათად არის ა-თი ნა-წარმოები საწყისები, რაც ახალი უნდა იყოს შედარებით. შექურინ-ა „შიში“, თანაფ-ა „თენება“, თქუალ-ა „თქმა“, მტკოჩალ-ა „სროლა“, გეკითხაფ-ა „მიკითხვა“, თივალ-ა „თიბეა“ (ნ. მარი).

ასეთი წარმოება ჭანურში მეორეულია და შესულია ქართულიდან თუ მეგრულიდან.

მეგრულში ძირითადად ქართულისებური წარმოებაა (-ა სუფიქსიანი). ცხადია, ეს -ა ქართულიდანაა შესული მეგრულში: ჭარუა „წერა“, გვათუა „გვეთა“, ჭკირუა „ჭრა“, ჭკომუა „ჭამა“, მაგრამ რაღაა მასდარის -ა-ს რომ წინ უძღვის ის უ?

რაა ეს უ: ბარგ-უ-ა „მარგლვა“, ლახ-უ-ა „გალახვა“, ჭკირუ-ა „ჭრა“? ა. ჩიქობავათი ეს ის უ არის, რაც ჭანურ მასდარშია (ო-ჭარ-უ) (იხ. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, გვ. 241). ჩვენ გვვონია, რომ მეგრულში ჭარ-უ-ა-ს ტიპის წარმოებაში გამოვლენილი უ არ შეიძლება იგივე ოდნობა იყოს, რაც მასდარის მაწარმოებელი უ ჭანურში. ძნელი წარმოსადგენია, რომ ადგილობრივ მაწარმოებელ უ-ს დართვოდა შემდეგში ნასესხები ა, ე.ო. გვქონდეს მასდარის მრჩობლი წარმოება. უფრო საფიქრებელია, რომ მეგრული უ იყოს თემატური ნიშნის ხმოვნითი ელემენტი, უნ სუფიქსის ნაშთი. რომ ასეა ეს, ამას ის ადასტურებს, რომ:

1) საწყისში უ სისტემატურად მაშინ ვლინდება, თუ ზმას აწმყობი თემის ნიშნად უნ აქეს: ჭარ-უნ-ს – ჭარუა, გვათ-უნ-ს – გვათუა, გორ-უ-ა „ძებნა“, ბარ-უ-ა „ბარვა“, ჭოფ-უ-ა „ჭერა“, ბარგ-უ-ა „მარგვლა“ – თუხ-უ-ა „დართვა“, კირ-უ-ა „(შე)კვრა“, სოფ-უ-ა „ხეთქვა“, „(და)ხევა“.

2) თუ ზმას თემის ნიშნად –უნ არა აქვს, საწყისშიც უ არა ჩანს.

უ არა ჩანს –ან თემის ნიშნიანებთან (ან>ა, ხოლო ეს ა შეერწყა მასდარის ა-ს: რკი-ან-ს > რკია (<*რკიაა) „კივილი“, ოოთამა >¹ოთამა „სროლა“, ოჯღონანს > ჯღონა „ძღვნა“, ღორ-ან-ს >ღორა (<*ღორაა) „ღრიალი“, წი-ან-ს >წია (<*წიაა) „წიოლი“.

3) მასდარის ა-ს წინ გამოვლენილ უ-ს იგივე ადგილი უჭირავს, როგორიც აწმყოს მაწარმოებელ სხვა სუფიქსებს: აფ, ებ, ოფ, ალ.

აფ: რღვ-აფ-ა „ყრა“, ცქვ-აფ-ა „ქება“, გ-აფ-ა (ოგანს „აგებს“, ფუნ-აფ-ა – ოფუნუანს „დუღება – ადუღებს“).

ებ: (ნასესხებია ქართულიდან): გაუჩარ-ებ-ა „გაშავება“, კინ-ებ-ა „ხელში დაჭერა“, გათ-ებ-ა „გათავება“.

ოფ: ¹ორ-ოფ-ა (მი¹ოროფუანს) „სიყვარული, ყვარება (მიყვა-რებს)“, გოლოფ-ა „გვალვა“.

ალ: რდ-უ-ალ-ა „ზრდა“, ჭ-უ-ალ-ა „წვა“, ცქუმ-ალ-ა „ქება“.

კვათუნ-ა >კვათუა (წყვეტილის ფორმის გარჩევის მიზნით ნდაიკარგა) „კვეთა“.

სასუბიექტო მიმღეობებშია უ: მაგურუუ, მოღურუუ. ეს უ იგივე თემისნიშნისეული უ არის.

მაშასადამე, უ-ც ამავე სუფიქსების რიგს ეკუთვნის. მეგრულ-ში საწყისის დაბოლოებად მოდის –ირი: კითხ-ირი „კითხვა“, ¹იდ-ირ-ი „ყიდვა“.

ეს –ირ ქართული -ი-ლ-ის ფორმადა მიჩნეული (ტირ-ი-ლ-ი, ტკივი-ი-ლ-ი, ქუხ-ი-ლ-ი, სურვ-ი-ლ-ი...)

მეგრულში არის „პირველადი მასდარიც“ (ქართ. თამაში, ლაპარაკი, ტიტინი, გრიალი, ჭრიალი... ესენი მოქმედება-მდგომარეობის აღმნიშვნელი პირველადი სახელებია. აქედან იწარმოება ზმა „თამაშობს, ტიტინებს“): რაგადი „ლაპარაკი“, კანკალი, ჭკირჭკინი „ჭრიალი“, ბანცალი... ამათ მასდარის სუფიქსები არ დაერთვის, ე.ი. მასდარი არ ეწარმოებათ, რადგან თავიდანვე ეს სუფიქსები შინაარსით გადმოსცემენ მოქმედება-მდგომარეობას.

მეგრულს დაუცავს ჭანურისებური წარმოებაც საწყისისა ო – უ-იანი გარკვეულ კონსტრუქციაში: როცა საწყისი 1) უბრალო დამატებაა (კითხვა: რაში? – ოჭკირუს ოხვარუ „ჭრაში ეხმარება“) 2) მიზნის გარემოებაა (თანდებულიანი): ოგურაფ-უ-შა მეურს „სასწავლებლად მიდის“, ოსხაპუ-შა მეურს „საცეკვაოდ მიდის“...

მიმღეობა:

ჭანურში მოქმედებითი გვარის მიმღეობებს აწარმოებს:

მ-ალ-ე: მ-ბონ-ალ-ე „მბანელი“, მჭალე „მკერავი“, მამცქვალე „მაქებარი“, მაბირალე „მომღერალი“, მაყვილალე „მკვლელი“, მრდალე „მზრდელი“, მჭკომალე „მჭამელი“, მშუმალე „მსმელი“...

მ-უ: მ-ჩალიშ-უ „მკეთხბელი“, მ-წილ-უ „მქრევავი“, მ-წინ-უ „მწონავი“, მ-ქოულ-უ „მხვნელი“, მ-ხაჩქ-უ „მთესველი“, მ-შუმ-უ „მსმელი“, მ-ჰკომ-უ „მჭკამელი“.

ვნებითი გვარის (საშუალი გვარის) მიმღეობას (წარსული დროისა) ჭანურში აწარმოებს -ერ: ხომ-ერ-ი „მშრალი“, ტიბინერი „გამთბარი“, ძლერი „გამძღარი“, დოხუნერი „დამჯედარი“, მესქინერი „ჩამქრალი“, ნჯიელი „მძინარე“, ხთიმერი „წასული“, რდერი „ჩამქრალი“. -ერ აწარმოებს საერთოდ წარსულის მიმღეობას (ობიექტის მიმღეობას): ხონ-ერ-ი, კითხერი „წაკითხული“, ჭკომერი „შეჭმული“, ხაჩქერი „დათესილი“, ჭერი „შეკერილი“, ბონერი „დაბანილი“, გიბერი „მოხარშული“, ჭვერი „შემნარი“, ქიმოჯერი „გათხოვილი“.

სასუბიექტო მიმღეობას (გარდაუვალ ზმნებთან) აწარმოებს მ(ა) – ალ: მა-შხორონ-ალ-ე „მოცეკვავე“, მასთერალე „მოთამაშე“, მცხონტალე „მხტუნავი“, მაყოფალუ „მოსიყვარულე“ (მანკრახე – მოძღე).

მომავალი დროის მიმღეობა ჭანურში ორნაირად იწარმოება:

1) ო-ალ // ო-ონ აფიქსებით (პრევერბიან მიმღეობებს –ო არა აქვთ).

ო-ალ: ო-ჰკომ-ალ-ე „საჰქმელი“, დოლ-ო-ქუნ-ალ-ე „ჩასაცმელი“, ო-ჭკად-ალ-ე „საჭედელი“, ო-ქოს-ალ-ე „საცოცხე“, საგველი“, ო-ქაჩ-ალ-ე „საჭერთა დასამაგრებელი“. გვ-ო-თუმ-ალ-ე „დასახურავი“.

ო-ონ: ო-შუმ-ონ-ი „სასმელი“ (აწერი), ო-ტახ-ონ-ი „ყანა“, ო-ნახ-ონ-ი „სარეცხი“, ო-წკიმ-ონი „გასახსნელი, დასაშლელი“, ო-წკიალ-ონ-ი „ზარი“, „სარეკელი“, ო-ჩილ-ონ-ი „საცოლიანებელი“, დო-რგუმ-ონ-ი „დასარგავი“, გამაჩონი „გასაყიდი“ (გასაცემი).

2) მეორე ტიბი ჭანური მყოფადის მიმღეობისა იწარმოება სხვაგვარად, აღებულია საწყისის ნათესაობითის ფორმა, რომელსაც

ზოგჯერ -შენი (=თვა „თვის“) თანდებული დაერთვის. ეს ტიპია გავრცელებული დღეს ჭანურში:

- | | |
|--|-----------------------------|
| ო-ხონუ-შ-ი „საკეთებელი“ | ო-წინ-უ-შ-ი „ასაწონი“ |
| ო-ჭარ-უ-შ-ი „საწერი“ | ო-ჭუ-შ-ი „საწვავი, საცხობი“ |
| ო-კითხ-უ-შ-ი „საკითხავი“ | ო-ხთიმ-უ-შ-ი „წასასვლელი“ |
| ო-ნახ-უ-შ-ი „სარეცხი“ | ო-რდ-უ-შ-ი „გასაზრდელი“ |
| ო-გიბ-უ-შ-ი „სახარში“ | ო-გორ-უ-შ-ი „საძებარი“ |
| ასე რომ, ჭანურში მყოფადში პარალელური ფორმები გვაქვს. | |
| ობონალე // ობონუში „საბანელი“ | |
| ოჭკომალე // ოჭკომუში „საჭმელი“ | |
| ოშიმონი // ოშუმუში „სასმელი“ | |
| ოჩილონი // ოჩილუში „დასაქორწინებელი“ | |
| ონახონი // ონახუში „დასარეცხი“ და ა.შ. | |
| მყოფადის მიმღეობის ფუნქციითა ნახმარი მიმართულებით ბრუნვაში დასმული საწყისი, რომელიც მიზანს გამოხატავს: | |
| იგზალუ ბერეშ ოგორუშა „წავიდა ბავშვის საძებნად“ (=ძვ. ქართ.: ძებნად). | |

მენდახთუ მგერშ ოყვილუშა „წავიდა მგლის მოსაკლავად“ (=ძვ. ქართ.: კვლად).

საწყისს ასეთი მნიშვნელობა მაშინ აქვს, როცა იგი დამოკიდებულია სხვა ზმნაზე („წავიდა“...), სხვაგან საწყისი მიმართულებით ბრუნვაში მიზანს არ გადმოსცემს: მუქურაშ ეხთიმუშა სუმ საათირე „მზის ამოსვლამდის სამი საათია“...

იშვიათად ჭანურში სახელობით ბრუნვაში მდგარი საწყისი მყოფადის მიმღეობის როლს ასრულებს, ასეთებია: ღოლოქუნუ (= 1. ჩაცმა, 2. ჩასაცმელი), მოდვალუ: კუჩხეშ ~ „ფეხსაცმელი“, „ფეხზე ჩაცმა“. მოთვალუ „დაზურვა“// „დასახურავი“.

დასკვნა: ორკვევა, რომ ჭანურში ო პრევიქსი საერთო მაწარმოებელია საწყისისა და მიმღეობისა. მაგრამ საწყისში უ პრეფიქსიცაა. მიმღეობაშიც კლინდება ეს უ: 1) მოქმედებითი გვარის მიმღეობა: მჩალიშ-უ „მშრომელი“, მწინ-უ „მწონავი“, მშუმ-უ „მშმელი“...

2) მიმღეობის უარყოფით ფორმებში: უმონჭ-უ „უმწიფარი“ = „მოუწევარი“ (მონჭაფერი – მოწეული, მწიფე). უ-გიბ-უ „მოუნარშავი“, უ-ნჩხვარ-უ „დაუცეხვავი“, უ-ნჯირ-უ „უძინარი“. ასეთი

უ მეგრულშიცაა: უგურაფუ „უსწავლელი“, უთას-უ „დაუთესავი“, უძირაფუ „უნახავი“, უნახ-უ „გაურეცხავი“...

ეს იმას ნიშნავს, რომ საწყისისა და მიმღეობის დიფერენცია-ცია გვიანდელი მოვლენაა (შდრ. ძვ. ქართ. საქმე = 1. გასაკეთებე-ლი, 2. ქმნა).

მეგრულში მიმღეობის (მოქ. გვ.) მაწარმოებელია:

მა-ალ: მა-ჭარ-ალ-ი „მწერალი“, მათასალი „მთესავი“, მაჭა-ლი „მკერავი“, მახონალი „მხვნელი“, მაგორალი „მაძებარი“, მათ-ხორალი „მთხრელი“... ეს აფიქსები საერთოა ჭანურთან (მ-ბან-ალ-ე)

მა-უ: მა-ღურუ-უ „მომაკვდავი“, მა-გორუ-უ „მაძებარი“, მა-გურაფუ-უ... (ასეა ჭან. მ-ჩალ-შ-უ „მშრომელი“, მწილუ „მკრეფა-ვი“). (= ქართ. მო-ელ: მომჭრელი: მა-ჭკირუ-უ).

მა-ე: მა-იდ-ე „მყიდველი“, მა-რჩქი-ე „მხედველი“, მა-ჯინ-ე „მნახველი“, მა-რა-გად-ე „მთქმელი“...

მა-ენჯ: (სტატიკურ ზმნებთან): მა-რ-ენჯ-ი „მყოფი, მაცხოვ-რებელი“, ლურ-ენჯ-ი „მძინარე“, გიმახვენჯ-ი „მჯდომარე, მჯდო-მი“, მარტ-ენჯი „გამქცევი“ (ძვ. ქ. „მტეობარი“) (მოქ. გვ. ზმნებ-თან): მა-ხ-ენჯ-ი (<მახირუენჯი>) „მპარავი“.

-ენჯ სუფიქსი იხმარება ნამყოს მიმღეობასთანაც: ნარენჯი „ნამყოფი“, ნა-ხვენჯი „ნაჯდომი“.

-ენჯ იხმარება მყოფადის მიმღეობასთანაც: ორენჯი „საყო-ლელი, ანუ რაც გყავის“, „საქონელი“, ოხვენჯი „დასაჯდომი“, ორ-ცხონჯი „სავარცხელი“.

ამ სუფიქსში ნ ჩანართია, -ეჯ კი მორფოლოგიური და ფო-ნეტიკური შესატყვისი ქართული -არ-ისა: (ქართ. ა = მეგრ. ე: ძარღვი – ჯერღვი, მოძღვარი – ჯღვერი, ტყავი – ტყები...)

ქართ. რ. = მეგრ. ჯ: ცერი – ჩანჯი, წვერი – წვანჯი, ხარი – ხოჯი.

ერ. მეგრ. ენჯ (=ეჯ) = ქართ. არ: გიმარ-ენჯ-ი / მდგომ-არ-ე, ლურ-ენჯ-ი / მძინ-არ-ე...

(იხ. ვ. თოფურია, ენჯ სუფიქსი მეგრულში: ენიმქის მოამბე, I, 1937).

წარსული დროის მიმღეობას მეგრულში აწარმოებს -ილ (<-ირ): ჭარ-ილ-ი „წერილი“, გურაფ-ილ-ი „ნასწავლი“, ნახვ-ილ-

ა/რჩხ-ილ-ი „გარეცხილი“, გოჭითინაფ-ილ-ი „გაწითლებული“, ხონ-ირ-ი „მოხნული“, თას-ირ-ი „დათესილი“, ბუმ-ირ-ი „ბმული“...

ელ (<ერ>): შქვიდ-ელ-ი // შქვიდ-ერ-ი „მხრჩვალი“, გოჯოგ-ერ-ი „მოძულებული“, რძლ-ელ-ი „მაძღარი“, ღურ-ელ-ი „მკვდარი“, დონჯირ-ელ-ი „დაწოლილი“, ეღვინ-ელ-ი „ამდგარი“.

ნა: ნა-რძლეფი „ნაძლომი“, ნა-შქვიდეფი „ნახრჩობი“, ნა-¹ოთე-მი „ნასროლი“.

ნა-ა: ნა-ჭარ-ა „ნაწერი“, ნა-ხონ-ა „ნახნავი“, ნა-თას-ა „ნა-თესი“, ნა-ბარგ-ა „ნამარგლი“, ნა-რჩქი-ა „ნასმენი“...

ულ (ნასესხებია ქართულიდან): შქირენ-ულ-ი „მზუხი“, და-ბადებ-ულ-ი „დაბადებული“, ¹უმენ-ულ-ი „მწყურვალი“.

მყოფადის მიმღეობას აწარმოებს:

ო-ალ (<*დო-არ): ო-ჭარ-ალ-ი „საწერი“, ო-ხონ-ალ-ი „სახნავი“, ო-თას-ალ-ი „სათესი“, ო-ჭკომ-ალ-ი „საჭმელი“, ო-¹ვილ-არ-ი „საკლავი“, ო-რძლაფ-ალ-ი „საძლომი“, ო-რჩხ-ალ-ი „სარეცხი“.

ო-ე: ო-ხვამ-ე. **ო-ერ:** ო-ხვამ-ერ-ი „სალოცავი“.

ო-ურ: ო-გაფ-ურ-ი „გადასახადი“, ო-სხაპ-ურ-ი „საცეკვაო“ (დანიშნულების სახელებია).

ო-ენჯ: ო-რ-ენჯ-ი „სადგომისი“, ო-ხვ-ენჯ-ი „საჯდომი“ (დანიშნულების სახელებია).

ჭანურისებრი წარმოება მყოფადის მიმღეობის მასდარის ფორმით (ოჭარუში „საწერი“) მეგრულს არ ახასიათებს. მაგრამ მეგრულში ჭანურის მსგავსად მიმართულებით ბრუნვაში დასტული საწყისი = მყოფადის მიმღეობას: ოხაჩქუშა, ოთასუშა მეურს (თოხნად, თესვად მიდის).

ქართულში არის ერთგვარი ტიპი მიმღეობებისა (მყოფადისა): საწნისი, სადგისი, საგოდირი, საგბოლისი, საწყისი, ახ.ქართ.: საკ-მარისი, სასმისი, სამზადისი...

ასეთი წარმოება სა-ქმ-ე ტიპის წარმოებისგან უნდა მოღიოდეს. სასმისი <*სასმეისი

ამის ანალოგიურია მეგრულში: ო-ბირ-ე-შ-ი „სა-მღერ-ის-ი“, ო-ლენტყ-ე-შ-ი „სა-გორგ-ის-ი“, ო-ჭკადუ-ე-შ-ი „სა-ჭედ-ის-ი“.

მეგრულის ეს წარმოება იგივე უნდა იყოს, რაც ჭანურის ოთასუში „სათესი“. ასე რომ, მეგრული და ჭანური მიმღების წარმოებაში ერთმანეთს დიდად არ სცილდებიან.

წარმოქმნა. სიტყვათწარმოშება

სიტყვას ორნაირი ცვლილება მოუდის: 1) ფლექსია ანუ მოხსრა (ბრუნება) 2) დერივაცია ანუ წარმოქმნა. ბრუნებისას მიღებული ფორმები ერთია ლექსიკურად და განსხვავებულია გრამატიკულად. წარმოქმნით მიღებული ფორმები კი განსხვავებულია ლექსიკურად. სახელი, რომელისაგან სხვა სახელია ნაწარმოები, არის ძირეული, ხოლო მისგან სხვა შინაარსით გაკეთებული სახელი – წარმოქმნილი. ხშირად წარმოქმნილი სახელი სხვა მეტყველების ნაწილია, ვიდრე ძირეული.

შინაარსის მიხედვით წარმოქმნილი სახელები ჯგუფდება: გეოგრაფიული, წარმომავლობის, ქონების, უქონლობის, დანიშნულების, კნიობითობის, ხელობის, წინა ვითარების, აბსტრაქტულობის.

გეოგრაფიულ სახელებს აწარმოებს:

-ეთ: ჭან.: კოსტან-ეთ-ი, მაქრ-ეთ-ი, პანჭურ-ეთ-ი.

მეგრ.: სერგი-ეთ-ი

-ათ: ჭან.: მელი-ათ-ი, დუდნევ-ათ-ი, მამან-ათ-ი;

მეგრ.: აბედ-ათ-ი, სერგი-ათ-ი, ჯუმ-ათ-ი (გურიაში),
სეფი-ათ-ი.

ლე-ე: (ნასესხებია სვანურიდან): ლე-ზაინდრ-ე, ლე-ძაძამ-ე,
ლე-ფოჩჩუ-ე, ლე-სიჭინ-ე.

ნა-ო: ნა-ჯახავ-ო, ნა-ხარებავ-ო, ნა-გვაზავ-ო, ნა-გებურავ-ო.

ნო-(ენ): ნო-ჯიხ-ენ-ი, ნო-ქალაქ-ენ-ი...

სა-ო: (ქართულიდანაა!): სა-ლიპარტიან-ო, სა-ჯოლი-ო.

წარმომავლობის სახელები:

-ურ: ბანბ-ურ-ი, სარფ-ურ-ი/სარფ-ულ-ი, ზუგდიდ-ურ-ი (= 1. ზუგ-დიდური 2. ზუგდიდელი).

-არ: ბანბ-არ-ეფი, ზუგდიდ-არ-ეფ-ი... ოდიშ-არ-ი, მარგ-არ-ი/მარგ-ალ-ი... აჭარ-არ-ი (>აჭარალი, აჭარელი)...

-ლი: (თურქულიდან ნასესხები): ათინ-ა-ლი „ათინელი“, ბათუმ-ლი „ბათუმელი“ (ნ. მართან).

ქონების სახელები:

-ონ: ჯუმ-ონ-ი „მარილიანი“, შექერ-ონ-ი „შაქრიანი“, ნოსტ-ონ-ი „გემრიელი“, ართოლ-ონ-ი „ცალთვალა“

-ონ მეგრულშიც უნდა ყოფილიყო: გვიმარ-ონ-ი „გვიმრნარი“, ჭუ-ბურ-ონ-ა „წაბლნარი“, ქვალ-ონ-ი „ქვიანი, ქვაგნარი“ (შდრ. ქართულში: ტირიფ-ონ-ა. სუფიქსი ჭანურია).
(იხ. ა. ჩიქობავა, -ონ სუფიქსი მეგრულში, ტფილისის სახ. უნ-ის მოამბე, VI, 1926).

-იარ: ნოს-იარ-ი „ჭკვიანი“, თომალ-»არ-ი „თმიანი“ // თომ-ონ-ი.

-ამ (მეგრულშია = იან): თომ-ამ-ი „თმიანი“, ჭკუ-ამ-ი „ჭკვიანი, ჭკუიანი“, ფარ-ამ-ი „ფულიანი“, ბაღან-ამ-ი „ბავშვიანი“....

დანიშნულების სახელები:

ო-ე: ო-ქოთუმ-ე/ოქოთომე „საქმე“, ო-ღვე-ე „საღორე“, ო-გაჯ-ე „საბუდარი“, ო-ცხენ-ე „საცხენე“.

ქნინობითი სახელები:

-ა//ია:ბაბა-ი-ა, ნანა-ი-ა, ორტვინი-ა, თამური-ა თამაროჩა

-ხუ: ხე-ხუ „რუჩა“, „ხელ-უკა“.

-ოტ: ლაკ-ოტ-ი „ლეკვი“ (ჭან.).

აბსტრაქტული სახელები:

-ალა: ბოშ-ალა „ბიჭობა“, ხენწიფ-ალა „ხელმწიფობა“;

-ანა: კოჩ-ანა „კაცობა“;

-ობა (ქართ.) ბაღან-ობა „ბავშვობა“, ვაჟკაც-ობა, ჯიმალ-ობა „ძმობა“, ჯვირ-ობუა „სიკეთე, კარგობა“, ღევ-ობა „ღორობა“.

ნაწარმოები ზედსართავი სახელები:

-იან: ასე-იან-ი „ახლანდელი“, წოხო-იან-ი „წინანდელი“, თაქ-იან-ი „აქაური“, გემო-იან-ი>გემუანი „გემრიელი“;

-ნი: თუდო-ნი „ქვედა“, ჟიდო-ნი „ზედა“, წოხოლე-ნი „წინა“;

-ჩი: ¹ინ-ჩი (¹ინი „ყინული“, „მკაცრი, ცივი“);

-ერ: გოდან-ერ-ი „გუშინდელი“, გოწონ-ერ-ი „შარშანდელი“, ღუ-მან-ერ-ი „წუხანდელი“;
-არ: ამდღ-არ-ი „დღევანდელი“.

უქონლობის სახელი:

უ-ე: უ-ღნოს-ე, მეგ. უ-ჭერ-ე „უჭერო“, უ-დუღ-ე „უთავო“, უ-ოსურ-ე „უცოლო“;

უ-: უ-ჩა შავი = „უთეთრო“, ¹ურ-უ „უყურო“.

-გა (მეგრულში): ტვინ-გა „უტვინო“, ¹უნ-გა „ყრუ“, ნირ-გა „უზ-რდელი“, ხან-გა „გიუ“. ეს გა სუფიქსი ნასესხებია მეგრულში აფხაზურ-უბისურ-ადილეური ენებიდან, რაღანაც გა გამოხატავს: ნაკლს, არქონას: ადილეური: კიაჭა „ღონე“, კიაჭა-გა „უღონო“. ხანგა აფხაზურიდანაა ნასესხები: „ხა“ თავი, „გა“ – უ, ე.ი. უთავო>გიუ. ასე რომ, ტვინგა – უტვინო, ¹უნგა – უყურო. მაგრამ ვერ ხერხდება ძირული მნიშვნელობის მიკვლევა: ბუგა, ჩვიგა, ნირგა, ლუგა (გ. როგაგა, აფხაზურ-უბისურ-ადილეური გა- სუფიქსი მეგრულში, საქ. მეც. აკ. მოამბე, III, 6, 1942.)

თოლი-გე, ღორონთი-გე „ღმერთმანი“, რაა -გე?

ღორონთიგე< ღორონთგიე. სენაკურში: ღორონდგიე (ასიმილაციით). „გიე“ = თავზე შემოვლება ღორცისას, ე. ი. თავზე შემოივლე ღმერთი. მეგრ.: ღორონთგიე, ქოთქვი მართაი. „თუ ღმერთი გწამს (აბა, ღმერთი შემოივლე თავზე), თქვი მართალი!“ ამიტომ ხომ არაა, რომ ამ ფორმას – „ღორონთგიე“ უფრო მსმენელი ხმარობს მოსაუბრის მიმართ?

ღორონთუ-მე „ღმერთმანი“. ხომ არაა აქ ქართული „მე“ ნაცვალსახელი ოდინდელი, დიფერენციაციამდელი მეგრულში? შდრ. ქართ. ჭირი-მე /ოღონდ: მეგრ.: ჭირიმა. თუ ქართ. მე = მეგრ. მა, აქ რატომ არა? ღმრთის სახელი რომ იყო, იმიტომ ხომ არ ეპყრობოდნენ კრძალვით და შეინახეს უცვლელად?

უ ალბათ მ-ს მეზობლობაშია გაჩენილი ი-სგან (შდრ. ი. ყიფ-შიძე, 018)

–გე ცალქე არის? თითქოს არის: გე-შა: სქანი გე-შა ინა დიდი რე „შენთან შედარებით ის დიდია“. გე-შა მიმართულებითი

ბრუნვის ფორმაა, ამიტომაა, რომ მას თანდებული ხ/ხი დაერთვის. სქან გეშას ინა ქვერსემი რე“ (გე-შა-ხ) „შენთან შედარებით ის უზარმაზარი არის“.

გე ძირი ალბათ გადმოსცემდა „შედარება“/ „მსგავსება“-ს. ეს გე იგივე გუ „ჰგავს“ არის? — თოლიგე „თვალსადარო“, შურიგე „სულსადარო“.

ნანა დანელია, 06ბა დუდუა

მებრულის პრაქტიკული გურსი

I.

ჩვენებითი ნაცვალსახელები: ეს – ენა//თენა//ათენა
ის – ინა//თინა//ეთინა

კითხვითი ნაცვალსახელები: ვინ? – მი(ნ)?, რა? – მუ?

მუ რე თენა? – რა არის ეს?

- თენა რე ოთახი/უ. // თენა ოთახ(ი) რე.
- ეს არის ოთახი. // ეს ოთახია.
- თენა რე სათი. // თენა სათ(ი) რე.
- ეს არის საათი. // ეს საათია.
- თენა რე ¹უდე. // თენა ¹უდე რე.
- ეს არის სახლი. // ეს სახლია.

მუ რე თინა? – რა არის ის?

- თინა რე სურათი. // თინა სურათი რე.
- ის არის სურათი. // ის სურათია.
- თინა რე ჯა. // თინა ჯა რე.
- ის არის ზე. // ის ზეა.
- თინა რე ჩა. // თინა ჩა რე.
- ის არის ჩა. // ის ჩაა.

მი(6) რე თენა? – ვინ არის ეს?

- თენა რე ძლაბი. // თენა ძლაბი რე.
- ეს არის გოგო. // ეს გოგოა.
- თენა რე დიდა(ნანა). // თენა დიდა(ნანა) რე.
- ეს არის დედა. // ეს დედაა.
- თენა რე ბები//დადი. // თენა ბები//დადი რე.
- ეს არის ბებია. // ეს ბებიაა.

მი(6) რე თინა? – ვინ არის ის?

- თინა რე ბაღანა. // თინა ბაღანა რე.
- ის არის ბავშვი. // ის ბავშვია.
- თინა რე მუმა. // თინა მუმა რე.
- ის არის მამა. // ის მამაა.
- თინა რე ბაბუ. // თინა ბაბუ რე.
- ის არის ბაბუა. // ის ბაბუაა.

ახალი სიტყვები:

ოჯახი:

დიდა – დედა	მამი – მამიდა
მუმა – მამა	ჯიძასქუა//ჯიძასკუა – ძმისშვილი
ბები – ბებია	დასქუა//დასკუა – დისშვილი
ბაბუ – ბაბუა	ბაღანა – ბავშვი
ჯიძა – ძმა	სქუა//სკუა – შვილი
და – და	მოთა – შვილიშვილი
ცირასქუა - ქალიშვილი	ბიცო – ბიცოლა
ჩილი//ოსური – ცოლი	ბიძისქუა//ბიძისკუა – ბიძაშვილი
ოსური – ქალი	მამდასქუა//მამდასკუა – მამიდაშვილი
ქომონჯი – ქმარი	დეიდასქუა//დეიდასკუა – დეიდაშვილი
დეი – დეიდა	

II.

პირის ნაცვალსახელებია:

მა – მე

სი – შენ

მუ – ის „თვითონ“ (ხშირად მესამე პირის აღსანიშნავად იხმარება
ჩვენებითი ნაცვალსახელები ეს და ის: ენა, ინა//თენა, თინა//
ათენა, ეთინა)

ჩქ./ჩქი – ჩვენ

თქვა – თქვენ

მუნეფი („თვითონ“ ისინი) / თინეფი – ისინი

მა	ვორექ	მე	ვარ
სი	(ო)რექ	შენ	სარ
მუ /თინა	(ო)რენ(ხ)	ის	არის
ჩქ.		ვორეთ	ჩვენ

ვართ

თქვა	(ო)რეთ	თქვენ	სართ
მუნეფი /თინეფი	(ო)რენა(ხ)	ისინი	არიან

მა	ვავორექ	მე	არ(ა)	ვარ
სი	ვარექ	შენ	არ(ა)	სარ
მუ /თინა	ვარე(ხ)	ის	არ	არის
ჩქ.		ვავორეთ	ჩვენ	

არ(ა) ვართ

თქვა	ვარეთ	თქვენ	არ(ა)	სართ
მუნეფი / თინეფი	ვარენა(ხ)	ისინი	არ	არიან

წაიკითხეთ წინადაღებები:

ა 1-ედე. თენა რე სტოლი. თინა რე სკამი. ა წინგი, რვეული//ტეტრადი დო კალამი//პერო. ა გაზეთეფი. თენა ოზე რე. თენა ჯალეფი რე. მა ცირა ვორექ. სი ბაღანა რექ. მუ კოჩი რე. ჩქ,

ოსურგათა//ოსურეფი ვორეთ. თქვა ქომოლგათა//ქომოლეფი რეთ. თინეფი ბოშეფი რენა.

ახალი სიტყვები:

ა — აი	წინგი//წიგნი — წიგნი
ბლაბი — გოგო	დო — და (კაგშირი)
¹ უდე — სახლი	ოზე — ეზო
სტოლი//სთოლი (стол) — მაგიდა	ჯა — ხე
ტეტრადი (тетрадь) — რვეული	

მეგრულში მრავლობითის ნიშანია — ეფ(=ქართულ — ებ-ს).

კოჩი (კაცი)	კოჩ-ეფ-ი
ოსური (ქალი)	ოსურ-ეფ-ი
ბოში (ბიჭი)	ბოშ-ეფ-ი
¹ უდე (სახლი)	¹ უდე-ეფ-ი / ¹ უდ-ეფ-ი
კატუ (კატა)	კატუ-ეფ-ი
ქორთუ (ქართველი)	ქორთუ-ეფ-ი

თუ არსებითი სახელი ა-ზე მთავრდება და უკეცელია, მაშინ ის მრავლობითში —ეფ— ნიშნის წინ ჩაირთავს ლ-ს

ჯიბა (მმა)	ჯიბალ-ეფ-ი
და (და)	დალ-ეფ-ი
ბჟა (ბზე)	ბჟალ-ეფ-ი
დიდა (დედა)	დიდალ-ეფ-ი//დიდ-ეფ-ი
მუმა (მამა)	მუმალ-ეფ-ი//მუმ-ეფ-ი
(ფ)სკა (ფუტკარი)	(ფ)სკალ-ეფ-ი
¹ ა (ტოტი)	¹ ალ-ეფ-ი
დღა (დღე)	დღალ-ეფ-ი
ჯა (ხე)	ჯალ-ეფ-ი
თხა (თხა)	თხალ-ეფ-ი
ძგა (კიდე)	ძგალ-ეფ-ი
სკუა//სქუა (შვილი)	სკუალ-ეფ-ი//სქუალ-ეფ-ი

მოთა (შვილიშვილი)	მოთალ-ეფ-ი
ტყა (ტყე)	ტყალ-ეფ-ი
წკა (კურკა)	წკალ-ეფ-ი
ამ წესიდან გამონაკლისია რამდენიმე სიტყვა, რომელიც ბოლო ხმოვანს იკვეცს:	
ცირა (ქალიშვილი)	ცირ-ეფ-ი
ბაღანა (ბაგშვი)	ბაღან-ეფ-ი
კაბა (კაბა)	კაბ-ეფ-ი
თუმა//თომა (თმა)	თუმ-ეფ-ი//თომ-ეფ-ი
წარმომავლობის სუფიქსებია: ურ(//ულ) და არ(//ალ):	
ზუგ(დ)იდ-ურ-ი (1. ზუგდიდური, 2. ზუგდიდელი)	
ზუგ(დ)იდ-არ-ი (= ზუგდიდელი)	
ქუთეშ-ურ-ი (1. ქუთაისური, 2. ქუთაისელი)	
ქუთეშ-არ-ი (= ქუთაისელი)	
სოფელ-ურ-ი (1. სოფლური, 2. სოფლელი)	
სოფელ-არ-ი (= სოფლელი)	
შდრ:	ოპიზ-არ-ი, ოლთის-არ-ი
სარფ-ურ/(ულ)-ი (= 1. სარფული, 2. სარფელი)	
სარფ-არ/(ალ)-ი (= სარფელი)	

მა(ნ)? – ვინ?

- მი(ნ) ვორექ მა?
- მა ვორექ ნანა.
- მი(ნ) რექ სი?
- სი რექ გიორგი.
- მი(ნ) რე მუ/თინა?
- მუ/თინა რე კოჩი
- მი(ნ) ვორეთ ჩქ.,?
- ჩქ., ვორეთ ოსურეფი.
- მი(ნ) რეთ თქვა?
- თქვა რეთ ბაღანეფი.
- მი(ნ) რენა მუნეფი/თინეფი?
- მუნეფი/თინეფი რენა
უჩიტელეფი/მასწავლებელეფი.
- მი(ნ) რე თენა?
- თენა რე სალომე
- მი(ნ) რე თინა?
- თინა რე მეზობელი//მეძობელი.
- ვინ ვარ მე?
- მე ვარ ნანა.
- ვინ ხარ შენ?
- შენ ხარ გიორგი.
- ვინ არის ის?
- ის არის კაცი.
- ვინ ვართ ჩვენ?
- ჩვენ ვართ ქალები.
- ვინ ხართ თქვენ?
- თქვენ ხართ ბავშვები.

- ვინ არიან ისინი?
- ვინ არის ეს?
- ვინ არის ის?
- ისინი არიან მასწავლებლები.
- ეს არის სალომე.
- ის არის მეზობელი.

ძვ? – რა?

- მუ რე თენა?
- თენა გაზეთ(ი) რენო?
- თენა წინგ(ი) რენო?
- თინა სტოლ(ი) რენო?
- თენა ბჟა რენო?
- მი(ნ) რენა თინეფი?
- მი(ნ) რენა თენეფი?
- მუ რე თენა//თენეფი?
- მუ რე თინა//თინეფი?
- რა არის ეს?
- ეს გაზეთია?
- ეს წიგნია?
- ის მაგიდაა?
- ის მზეა?
- ვინ არიან ისინი?
- ვინ არიან ესენი?
- რა არის ეს//ესენი?
- რა არის ის//ისინი?
- თენა რე გაზეთი.
- გარი, თენა გაზეთ(ი) ვა რე.
- ქო, თენა წინგ(ი) რე.
- გარი, თინა სტოლ(ი) ვა რე, თინა სკამ(ი) რე.
- ქო, ეთინა ბჟა რე.
- თინეფი სტუდენტეფ(ი) რენა.
- თენეფი ბოშეფი რენა.
- თენა//თენეფი რე გაზეთეფი.
- თენა//თინეფი უდეეფი რე.
- ეს არის გაზეთი.
- არა, ეს გაზეთი არ არის.
- დიახ, ეს წიგნია.
- არა, ის მაგიდა არ არის, ის სკამია.
- დიახ, ის მზეა.
- ისინი სტუდენტები არიან.
- ესენი ბიჭები არიან.
- ეს//ესენი არის გაზეთები.
- ის//ისინი სახლებია.

ახალი სიტყვები:

გარ(ი) – არ(ა) (უარყოფითი ნაწილაკი)

ქო – კი (დადასტურებითი ნაწილაკი)

მეზობელი/მეძობელი – მეზობელი

საგარჯიშოები:

1. ჩასვით მრავლობითში:

სტოლი	სოფელი
სკამი	ბაღანა
¹ უდე	კალამი
ცირა	ოზე
დიდა	ჯიმა
ჯა	სქუა

2. მოიფიქრეთ და შეადგინეთ წინადაღებები პირის ნაცვალსახელების გამოყენებით:

ნიმუში: მა ძლაბი ვორუქ.

ისწავლეთ ძარისადა გამოთქმება:

გამარჯება!	გამარჯობა!
გომორძგუა!	გამარჯობა!
გოგიმორძგუ//, ღორონთიქ!	ღმერთმა გაგიმარჯოს!
ჯგირო მიძირუდა!//მიძირ, და!	კარგად მენახე!
ჯგირო ორდა(თ)!	კარგად იყავი(თ)!
ჯგირო ზოჯუნდათ!//ზოჯ, ნდათ!	კარგად ბრძანდებოდეთ!
მადლობერი!//მარდიელი!//მალდობერი!	გმადლობთ!
ქ, მაპატით!//ქუმაპატით	მაპატიეთ!
მუთა უჭირს!	არა უშაგს!//არაფერი უჭირს!
მუთუნი ვაუჭირს!	არაფერი არ უჭირს!
მუჭო რექ?	როგორ(ა) ზარ?
მუჭო რეთ?	როგორ ბრძანდებით?
მუჭო ზოჯუნთ?	გაიხარე(თ)!
გეხარი(თ)!	შემოგევლე(თ)!
ქუგგალე(თ)!	
აგაშენ ღორონთ, ქ!//ღორონქ!//ღორონთიქ!	აგაშენა ღმერთმა!

¹ შვილების თაობა (ძირითადად მშობლებისაც) უკვე ამბობს ქართულ ვარიანტს: გამარჯობა!

მარაშ დღალუფი – ქვირის დღეები

მარა – გვირა (მსგეფსი)

თუთაშხა	ორშაბათი
თახაშხა	სამშაბათი
ჯუმაშხა	ოთხშაბათი
ცაშხა	ხუთშაბათი
ობიშხა	პარასკევი
საბატონი//საბატინი	შაბათი
უაშხა//უეშხა	კვირა

თუთალუფი // თუთუფი – თვეები

იანარი	იანვარი
ფრევალი	თებერვალი
მარტი	მარტი
აპრილი	აპრილი
მექსი//მესი	მაისი
ივნისი	ივნისი
გვირგვე//გვერგვე	ივლისი
არგუსი	აგვისტო
ეპნია	სექტემბერი
გ.მა თუთა	ოქტომბერი
გერგება თუთა//გერგობა თუთა	ნოემბერი
ქირსე თუთა	დეკემბერი

წელიწადის დროები:

გიშულირი//გაზარხული	–	გაზაფხული
ზარხული	–	ზაფხული
დამორჩილი	–	შემოდგომა
ზოთონჯი//ზოთონი	–	ზამთარი

დაითვალეთ:

- | | |
|-------------------|----------------------------------|
| 1. ართი | 11. ვითაართი |
| 2. უირი//ქ,რი | 12. ვითოჟირი// ვითოჟ,რი |
| 3. სუმი | 13. ვითოსუმი |
| 4. ოთხი | 14. ვითა(ა)ნთხი |
| 5. ხუთი | 15. ვითოხუთი |
| 6. ამშვი | 16. ვითა(ა)მშვი |
| 7. შქვითი//შკვითი | 17. ვითოშქვითი |
| 8. ბრუო//რუო | 18. ვითორუო//ვითობრუო//ვითობურვო |
| 9. ჩხორო | 19. ვითოჩხორო |
| 10. ვითი | 20. ეჩი |

წაიკითხეთ დალორვები:

- თენა მუ რე?
- თენა ჩხომ(ი) რე.
- მუსხი ჩხომ(ი) რე თენა?
- თენა რე ხუთ(ი) ჩხომი.
- ამდღა მუ დღა რე?
- ამდღა ობიშხა რე.
- ჯგირი,ნანა, ჯგირო (ო)რდა!//(ო)რდათ!
- ჯგირო ზოჯუნდათ!
- გეხარო!

გრამატიკა: მეგრულში არის ცხრა ბრუნვა.

სახელობითი ბრუნვის ნიშანი: ი ან Ø

კოჩ-ი	გურ-ი (გული)
ბოშ-ი	ცირა
ძღაბ-ი	¹ უდე
ჩხომ-ი (თევზი)	კოტო (ქოთანი)
სოფელ-ი	კატუ

წაიკითხეთ დალორვი:

უნჩაშ//უჩაშ პატონ(ი) – უფროსი! (მამაკაცს მიმართავენ) ან:

- პატენი//პატ,ნი//პატინა//პატონი გიორგი-
- ოსურპატენი//ოსურპატონი... ნანა-
- გამარჯება, ნანა!
 - გამარჯება, გიორგი პატენი!

- მუჭო ზოჯუნთ?
- ჯგირო, მადლობა, თქვა მუჭო ზოჯუნთ?
- მა ხოლო ჯგირო ვორექ.
- პატენი ირაკლი მუჭო რე?
- მუთა უჭირს, ჯგირო.
- ბალანეფი მუჭო რენა?
- ბაღანეფი, ღორონთიშით, ჯგირო რენა.
- ჯგირო ზოჯუნდათ, ოსურპატენი!
- ჯგირო ორდათ!

მა	ჯგირო ვორექ.
სი	ჯგირო რექ.
მუ /თინა	ჯგირო რე.
ჩქ,	ჯგირო ვორეთ.
თქვა	ჯგირო რეთ.
მუნეფი /თინეფი	ჯგირო რენა.

მა ჯგირო ვავორექ // მა ვავორექ ჯგირო.

მევრულს წოდებითი ბრუნვა არა აქს, მის ნაცვლად სახელმძღვანელოს იყენებს. მიმართვის გასაძლიერებლად (ვამოსაკუთად) ზოგჯერ სახელს წინ ურთავს ვო//ო შორისდებულს:

სახ.	წოდ.
ცირა	- ცირა!//(ვ)ო ცირა! – ქალიშვილო!
ბოში	- ბოში!//(ვ)ო ბოში! – ბიჭო!
ოსური	- ოსური!//(ვ)ო ოსური! – ქალო!
გამონაკლისია	თავაზიანობის გამომხატველი მიმართვები:
პატენი	- პატენი! – ბატონო!

ისწავლეთ ფრაზები:

ქიგეგიო?	– გაიგე?
ქიგებგი!	– გავიგე!
ვეგებგი//ვაგმაგინუ!	– ვერ გავიგე!
დოზოჯით!!//ქუდოზოჯით!	– დაბრძანდით!
მოზოჯით!	– მობრძანდით!
გამნოზოჯით!	– შემობრძანდით!
გემნოზოჯით!	– შებრძანდით!
მინოზოჯით!	– შებრძანდით!
მეზოჯით!	– წაბრძანდით!!//მიბრძანდით!

III.

კუთვნილებითი ნაცვალსახელები:

მიში? – ვისი?

ჩქიმი – ჩემი	ჩქინი//ჩქ,ნი – ჩვენი
სქანი//სქანი – შენი	თქვანი – თქვენი
მუში – მისი	მუნეფიში – მათი
ათეში//თეში//ეში – ამისი	ათენეფიში//თენეფიში//ენეფიში – ამათი ეთიში//თიში//იში – იმისი ეთინეფიში//თინეფიში//ინეფიში – იმათი

ჩქიმი	ჯიმა, ჯიმალეფი.
სქანი//სქანი	წინგი, წინგეფი.
მუში	სუმკა, სუმკეფი.
ათეში//თეში//ეში	ოსური, ოსურეფი.
ჩქინი//ჩქ,ნი	ბაღანა, ბაღანეფი.
თქვანი	რვეული, რვეულეფი.
მუნეფიშ	მეზობელი, მეზობელეფი //
	მეძობელი, მეძობელეფი.
ათენეფიშ//თინეფიში	და, დალეფი.

თენა რე ჩქიმ(ი) რვეული // თენა ჩქიმ(ი) რვეული რე.
ეს არის ჩემი რვეული // ეს ჩემი რვეულია.

თე რვეული რე ჩქიმი // თე რვეული ჩქიმ(ი) რე.
ეს რვეული არის ჩემი // ეს რვეული ჩემია.

თენეფი ჩქიმ(ი) რვეულეფი რე.
ესენი ჩემი რვეულებია.

თინა რე მუში გაზეთი // თინა მუში გაზეთი რე.
ის არის მისი გაზეთი // ის მისი გაზეთია.

თინა რე ჩქინი სტუდენტი.
ის არის ჩვენი სტუდენტი.
თინეფი რენა ჩქინ(ი) სტუდენტეფი.
ისინი არიან ჩვენი სტუდენტები.

თენა რე თქვანი ¹უდე.
ეს არის თქვენი სახლი.

თენეფი თქვანი ¹უდეეფი რე.
ესენი თქვენი სახლებია.

თინა რე თქვანი ჯიმა.
ის არის თქვენი ძმა.

თინეფი რენა თქვანი ჯიმალეფი.
ისინი არიან თქვენი ძმები.

თინა რე მუნეფიშ ოთახი.
ის არის მათი (თავიანთი) ოთახი.

თინა რე მუნეფიშ აფხანაგი//აფხანაკი//ამხანაგი.
ის არის მათი მეგობარი/ამხანაგი.

თინეფი რენა მუნეფიშ აფხანაგეფი//აფხანაკეფი//ამხანაგები.
ისინი არიან მათი მეგობრები/ამხანაგები.

წაიკითხეთ დიალოგი:

- გამარჯება სქანი!
- გოიმორბე, ღორონთ,ქ!
- მუჭო რეთ?
- ჯგირო, მადლობა, თქვა მუჭო რეთ?
- ჩქ, ხოლო მუთა მიჭირა, ღორონთიშ ჭყოლოფუათ.
- თენა მიშ ბაღანა რე?
- თენა ჩქიმ(ი) ჯიმასქუა რე.
- თენა მიშ ცირა რე?
- თენა ჩქიმ(ი) სქუა რე.
- ჯგირი, ჯგირო (ო)რდა!
- ჯგირო!

წაიკითხეთ წინადაღებები:

ჩქიმი სახელი რე მაია.

სქანი სახელი რე გიორგი.

თიშ სახელი რე ნიკა.

ჩქიმი გვარი რე შენგელია.

სქანი გვარი რე ბარათაშვილი (საკუთრივ მეგრულად:
ბარათასქუა/სქუა).

თიში გვარი რე დარჩია.

წაიკითხეთ დალოგი:

- მუ რე სქანი სახელი?
- ნინო.
- ნინო, მი რე თენა?
- თენა ჩქიმი აფხანაგი//აფხანაკი რე.
- მი რე თინა?
- თინა სქან(ი) უჩიტელი რე.
- მი რენა თინეფი?
- თინეფი ჩქიმი//ჩქინი მოწაფეეფი რენა.
- მუ რე თენა?
- თენა მუშ// მუნეფიშ რვეული//ტეტრადი რე.
- მუ რე თინა?
- თინა ჩქიმი კალამი//პერო რე.
- მიში წინგი რე თენა?
- თენა ჩქიმი წინგი რე.
- მიში გაზეთი რე თინა?
- თინა სქანი გაზეთი რე.
- მიში რე თე ჩაი?
- თე ჩაი ჩქიმი ვა რე, თენა სქანი რე.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია თანხმოვანფუძიანებთან: -იშ, -იშ+ი
(კოჩ-იშ ჯიმა. მიში? კოჩ-იშ-ი), ხმოვანფუძიანეფთან: -შ, -შ+ი
(ჯიმა-შ ოსური. მიში? ჯიმა-ში)

- მიში წინგი რე თენა?
- თენა ბოში-შ(ი) წინგი რე. // თე წინგი ბოში-ში რე.
- თენა ცირა-შ(ი) წინგი რე. // თე წინგი ცირა-ში რე.
- თენა თეა-შ წინგი რე.

აფხანაგიშ//აფხანაკიშ დიდა. მეზობელიშ//მეძობელიშ ¹უდე.
ბოშიშ მაშნა. ძღაბიშ კაბა. გიორგიშ ტელეფონი. ნანაშ წინგი.

წაიკითხეთ დაალორგები:

- გამარჯება სქანი!
- გოიმორმგუ ღორონთ,ქ//ღორონთიქ!
- მუჭო ზოჯუნთ?
- ღორონთიშ ჭყოლოფუათ მუთა მიჭირს, თქვა მუჭო რეთ?
- ჩქ//ჩქ, ხოლო ჯგირო ვორეთ.
- მიში რე თე მაშნა?
- თე მაშნა//მაშინა ჩქიმ მეზობელიშ//მეძობელიშ რე.
- სო რე დიასქანი?
- დიაჩქიმი ბაბუშ ¹უდეს რე.
- მუასქანი სო რე?
- მუაჩქიმი სამუშას რე.
- ჯგირი, ჯგირო ზოჯუნდათ!
- ჯგირო ორდათ!
- მიში//მიშ რე თე წინგი?
- თე წინგი ჩქიმი რე.
- მიში//მიშ რე თი სუმკა?
- თი სუმკა ნანაშ(ი) რე.
- მიში რე თი მაშნა//მაშინა?
- თი მაშნა//მაშინა ლევანიშ(ი) რე.
- მიში// მიშ რე თე მაშნა//მაშინა?
- თე მაშნა//მაშინა ჩქიმ(ი) ჯიმაშ(ი) რე.
- მიში//მიშ ¹უდე რე ათენა?
- ათენა ჩქიმი მა¹ალეშ(ი) ¹უდე რე.
- ეთინა?
- ეთინა ლევანიშ ჯიმაშ ¹უდე რე.
- მიში//მიშ მაშნა//მაშინა რე თენა?
- თენა ჩქიმი ჯიმაშ მეზობელიშ//მეძობელიშ მაშნა რე.
- თე წინგი ნინოში რენო?
- ვარი, თე წინგი ნინოშ ვა რე, თე წინგი თეაში რე.
- თინა მაკაში ჯოლორი რენო?

- ქო, თინა მაკაში ჯოლორი რე.
- თე მაშნა//მაშინა მიშ რე?
- თე მაშნა//მაშინა მუშ ჯიმაშ რე.
- მიში//მიშ ჲდე რე თენა?
- თენა ნინოშ ჲდე რე// თე ჲდე ნინოში რე.
- მი(ნ) რე თე ბოში?
- თე ბოში ჩქინი მა¹ალეშ ჯიმასქუა რე.

შეადარეთ ორი დიალოგი:

I

- მი(ნ) რე თე ბოში?
- თე ბოში ჩქიმ(ი) ქომო(ნ)ჯი რე.
- მი(ნ) რე თე ოსური?
- თე ოსური დააჩქიმი რე.
- თე ბალანა თქვენი სქუა რენო?
- ქო პატონი, ჩქინი სქუა რე.
- თი ოსური მი(ნ) რე?
- თი ოსური ჩქიმ(ი) ჯიმაშ(ი) ჩილი რე.

II

- მი(ნ) რენა თე ბოშეფი?
- თე ბოშეფი ჩქიმ(ი) მეგობარეფი რენა.
- მი(ნ) რენა თე ძღაბეფი?
- თე ძღაბეფი ჩქინი სტუდენტეფი რენა.
- მი(ნ) რენა თი ოსურეფი?
- თი ოსურეფი მუში მეზობელეფი რენა.

ახალი სიტყვები:

მა¹ალე//მეგობარი – (სიტყვასიტყვით: მომყოლი), მეგობარი
 ჯოლორი – ძაღლი
 ხოლებერი//ხოლობერი – ახლობელი

დაიმახსოვრეთ:

დედაჩემი - დიაჩქიმი
დედაშენი - დიასქანი
დედამისი - დიამუში
დედაჩვენი - დიაჩქინი//დიაჩქ,ნი

მამაჩემი - მუაჩქიმი
მამაშენი - მუასქანი
მამამისი - მუამუში
მამაჩვენი - მუაჩქინი//მუაჩქ,ნი

ბებიაჩემი - დადიჩქიმი
ბებიაშენი - დადსქანი//დადსკანი
ბებიამისი - დადმუში
ბებიაჩვენი - დადჩქინი//დადჩქ,ნი
ბებიათქვენი - დადითქვანი//დადთქვანი

ბაბუაჩემი - ბაბუჩქიმი
ბაბუაშენი - ბაბუსქანი
ბაბუამისი - ბაბუმუში
ბაბუაჩვენი - ბაბუჩქინი//ბაბუჩქ,ნი
ბაბუათქვენი - ბაბუთქვანი

მაგრამ:

მათი//იმათი დედა- თინეფიშ//ინეფიშ / მუნეფიშ (თავიანთი) დიდა.
მათი//იმათი მამა- თინეფიშ//ინეფიშ / მუნეფიშ (თავიანთი) მუმა.

მაგრამ:

ჩქიმი და
მუში(თავისი) /თიში //იში ჯიმა

სქანი // სკანი და
მუნეფიშ(თავიანთი) /
თინეფიშ // ინეფიშ ჯიმა

ჩქინი//ჩქ,ნ დეი(დეიდა)
მუში /თიში//იში ბიძია//ბიძი

თქვანი დეი
მუნეფიშ /თინეფიშ //
ინეფიშ ბიძია//ბიძი

მუში? – რის?

წინგიშ დუქანი//მაღაზია. სოფელიშ ბაღი. საქორთუოშ სოფელი საქორთუოშ პრეზიდენტი. ქალაქიშ გამგებელი. სამარგალოშ რაიონი.

- მუში//მუშ დუქანი//მაღაზია რე თენა?
- თენა წინგიშ დუქანი // მაღაზია რე.
- მუში//მუშ უდე რე თინა?
- თინა ჯაშ უდე რე.
- მუ ქუჩა რე თენა?
- თენა რუსთაველიშ ქუჩა რე.
- თენა უტუ მიქავაშ//მიქაშ ქუჩა რე.
- თინა წერეთელიშ ქუჩა რე.
- თი უდე მიშ(ი) რე?
- თინა ჩქინი რე.
- თე მაღალ(ი) შენობა მუშ(ი) რე?
- თენა გამგებაშ შენობა რე.
ის სახლი ვისია?
ის ჩვენია.
ეს მაღალი შენობა რისია?
ეს გამგების შენობაა.

წაიკითხეთ ტექსტი:

ჩქიმ(ი) სახელ დო გვარი რე ნინო ადამია. თენა ჩქ,ნ ოზე რე. თინა ჩქ,ნი უდე რე. ა დიაჩქიმი დო მუაჩქიმი. თენა დიაჩქიმიშ ოთახ(ი) რე. თინა მუში კრაოტი რე. თენა ჩქ,ნი ოჯახი რე. თი ოთახს ჩქიმი ჟირ(ი) ჯიმა რე. უნჩაში ჯიმა სამუშას რე. უკლაში//უკულაში ჯიმა ოზეს რე.

ახალი სიტყვები:

უნჩაში – უფროსი
უკლაში//უკულაში – უმცროსი
კრაოტი (кровать) – საწოლი

საკარჯიშოები:

I თარგმნეთ ქართულად:

1. მიშ(ი) წინგ(ი) რე თენა?-----
2. მიშ(ი) რვეულ(ი) რე თენა?-----
3. მიშ(ი) ოთახ(ი) რე თენა?-----
-
4. მიშ(ი) სურათ(ი) რე თენა?-----
5. მიშ(ი) გაზეთ(ი) რე თინა?-----
6. თე სტოლი სქანი//სკანი რენო?-----
7. თე ¹უდე მუში რენო?-----

II უპასუხეთ კითხვები:

1. მიში//მიშ მაშნა//მაშინა რე თენა?
2. მიში// მიშ ჯოლორი რე თენა?
3. მიში//მიშ ¹უდე რე თენა?
4. მუშ დუქანი//მაღაზია რე თენა?
5. ირაკლი სქანი//სკანი ჯიმა რენო? (ქო, ვარი).
6. ნათია სქანი//სკანი უჩიტელ რენო? (ქო, ვარი).
7. ნიკა მუშ აფხანაგი//აფხანაკი რენო? (ქო, ვარი).
8. ლევანი სქანი//სკანი ქომონჯი რენო? (ქო, ვარი).
9. გიორგი მუშ მეზობელ//მეძობელ რენო? (ქო, ვარი).
10. მერი სქანი//სკანი უნჩაში და რენო? (ქო, ვარი).

IV.

მუ რჯოხო?/ მუ რჯოხონა? – რა გქვია?/ რა გქვიათ?

მა ნანა ბ-ჯოხო

სი ნინო რ-ჯოხო

მუს/თის დათო ჯოხო

ჩქი//ჩქ, ბ-ჯოხონა გიორგი დო ნანა.

თქვა რ-ჯოხონა ირაკლი დო ელენე.

მუნეფს//მუნენს / თინეფს//თინენს ჯოხონა ნინო დო ნიკა.

მეგრულში ობიექტური პირის ნიშნები I და II პირში იგივეა, რაც ქართულში: მ - (I პირში), გ - (II პირში). III ობიექტური პირის ნიშანი მეგრულს არ დაუცავს.

II ობიექტური პირის ნიშანი გ- მეგრულში გადადის რ-ში თანხმოვნების წინ, სხვა შემთხვევაში დაცულია.

I-II ობიექტური პირის მრავლობითობა აღინიშნება სუბიექტური III პირის მრავლობითი რიცხვის ნიშნებით: -ან, -ეს. როცა სუბიექტი მხოლობით რიცხვშია, პირდაპირი წყობის ზმნებთან III ობიექტური პირის მრავლობითობა არ აღინიშნება.

ობიექტური პირის ნიშნებია:

I	მ (>გ) -----	გ (>გ) -----	ან//ეს
II	გ (>რ) -----	გ (>რ) -----	ან//ეს
III	-----	-----	-----

ამ ტაპის ზმნებში სუბიექტი მიცემით ბრუნვაშია, ობიექტი – სახელობითში. მიცემითი ბრუნვის ნიშანია – (ი)ს: კო-ს//კოჩ-ი-ს, ჯიმა-ს, ჯვებე-ს, დუ-ს.

პირის ნაცვალსახელები მიცემითში:

სახელობითი	მა	სი	მუ/თინა
მიცემითი	მა	სი	მუს/თინას//თის

ჩვენებითი ნაცვალსახელები მიცემითში:

სახ: ათე კოჩი – ეს კაცი, ეთი კოჩი – ის კაცი
მიც: ათე კო-ს//კოჩ-ი-ს – ამ კაც-ს, ეთი კოს//კოჩ-ი-ს – იმ კაც-ს

წაიკოთხეთ წინადაღებები:

თე ბოშის გიორგი ჯოხო.
ძღაბის ნანა ჯოხო.
ჩქმ ჯოლორს ჯილდა ჯოხო.
სქან//სკან ჯიმას მუ ჯოხო?

მუშ(ი) (=თავის) მეზობელს ლია ჯოხო.

დიასქანს მუ ჯოხო?

სქან//სკან დას მუ ჯოხო?

მა მაია ბჯოხო.

სი ქეთინო რჯოხო.

ჩქი მაია დო ქეთინო ბჯოხონა.

თქვა თეა დო მარიამი რჯოხონა.

მუნეფს//მუნენს / თინეფს//თინენს კახა დო დემნა ჯოხონა.

წაიკითხეთ დიალოგები:

- გამარჯება!
- გოიმორძგ, ღორონთქ! // გოიმორძგუ ღორონთიქ!
- მუ რჯოხო, ნანა(შვილი), სი სახელი?
- მა მაკა ბჯოხო, თქვა მუ რჯოხონა?
- მა ნათელა ბჯოხო.
- თენა მი რე?
- თენა დიაჩქიმი რე.
- თი ბაღანა მიშ რე?
- თი ბაღანა ჩქიმ(ი) ბიძისქუა რე.
- მუ ჯოხო სახელი?
- თის ქეთინო ჯოხო.
- ჯგირო ორდათ!
- ჯგირო ზოჯუნდათ!
- გამარჯებათ!
- გამარჯებათ!
- მა თქვანი უჩიტელ ვორექ. მა თამარა ბჯოხო სახელი, თქვა მუ რჯოხონა?
- ჩქი ნათია დო კახა ბჯოხონა.
- თი უირი ძღაბის მუ ჯოხო?
- თინეფს//თინენს ნანა დო მერი ჯოხონა.
- მუ ჯოხო დიასქანს?
- დიაჩქიმს ელენე ჯოხო.
- მუ ჯოხო მუასქანს?
- მუაჩქიმს ლევანი ჯოხო.

- მუ ჯოხო სქან//სკან და დო ჯიმას?
- ჩქიმ დას ნანა ჯოხო დო ჩქიმ ჯიმას – ზაზა
- მუ ჯოხონა სქან მა¹ალეშ დიდა დო მუმას?
- (თ)ინეფს ჯოხონა დალი დო თენგო.
- მუ რჯოხონა თქვა?
- მა ბჯოხო თამარა.
- მუ გვარ(ი) რეთ?
- კვარაცხელია ვორუქ, თქვა მუ რჯოხონა?
- ჩქიმ სახელ დო გვარ(ი) რე დათო დოლიძე.
- თე ოსური ჩქიმი უჩიტელ რე.
- თის ნანა ჯოხო.
- თე ბოშეფი ჩქიმი სტუდენტეფ რენა.
- მუნეფს//მუნენს ჯოხონა დათო დო კახა.
- თე კოჩი ჩქიმ(ი) მეზობელ რე.
- თის ჯოხო მერაბი.

სავარჯიშოები:

I დაწერეთ ეს სიტყვები მიცემით ბრუნვაში:

კოჩ-ი -----

ოსურ-ი -----

ძღაბ-ი -----

ბოშ-ი -----

ბაღანა -----

მეზობელ-ი -----

მაშნა -----

¹უდე -----

ოზე -----

სტოლ-ი -----

ცირა -----

ბებ-ი -----

ბაბუ -----

უკასუხეთ შეკითხვები:

- | | |
|---|-------------------------------------|
| 1. მუ რჯოხო? | მა----- |
| 2. მუ ჯოხო? | თის----- |
| 3. მუ ჯოხო დიასქანს? | მუს/თის----- |
| 4. მუ ჯოხო მუასქანს? | მუს/თის----- |
| 5. მუ ჯოხო სქან ჯიმას? | მუს/თის----- |
| 6. მუ ჯოხო სქან დას? | მუს/თის----- |
| 7. მუ ჯოხონა თქვან მა ¹ ალეფს? | მუნეფს//მუნენს/თინენს-----
----- |
| 8. მუ ჯოხონა მუნეფიშ სქუალეფს//ც | მუნეფს//მუნენს/თინენს-----
----- |
| 9. მუ ჯოხონა მეზობელეფს//ც? | მუნეფს//მუნენს/თინენს-----
----- |

V.

კითხვითი ზმნიშედა:

სოდეგ//სო? – სად?

- აქ//თაქ//თაქინე//ათაქ//ათაქინე//ათაქინეშე – აქ
- ექ//თექ//თექინე//ეთექ//ეთექინე//ეთექინეშე – იქ
- ამარ – აქ, აგერ
- ემერ – იქ, ეგერ
- ჟუდეს – სახლში
- სტოლს – მაგიდაზე.
- აბარწას – აიგანზე
- ოზეს – ეზოში
- დუქანს//მაღაზიას – მაღაზიაში
- გაპეტოლს – გაპეტოლზე
- სტადიონს – სტადიონზე

მაგრამ, თუ ნაგულისხმებია მიმართულება, მაშინ იქნება:

სახლში მივდივარ	¹უდეშა მეულუ/, //მეურქუ//,
მაღაზიაში მივდივარ	მაღაზიაშა მეულუ/, //მეურქუ//,
გაკვეთილზე მივდივარ	გაკვეთილშა მეულუ/, //მეურქუ//,

წაიკითხეთ დიალოგი:

- სო რექ?
- ქუჩას//შარას ვორექ / ამარ ვორექ / თექ ვორექ
- მუ სო რე?
- მუ ¹უდეს რე / ამარ რე / ემერ რე / თექ რე.
- დიასქნი სო რე?
- ოზეს რე.
- ნინო სო რე?
- ნინო სკოლას რე.
- გიორგი სო რე?
- გიორგი სამუშას რე.
- სო რე ჩქიმ(ი) გაზეთეფი?
- სქნი გაზეთეფი ოთახს რე.
- სო რენა მუნეფი?
- მუნეფი თეატრის რენა.
- სო რე მაშნა//მაშინა?
- მაშნა გარაჟის რე.
- შოფერ(ი) სო რე?
- შოფერ(ი) ქუჩას რე.
- სო რე ჩქიმ(ი) წინგეფი?
- სქნი//სკანი წინგეფი სუმკას რე.
- სო რე ტელეფონი?
- ტელეფონ(ი) ამარ რე.

- გია, სო რე დიასქნი?
- დიაჩქმი ბაზარს რე.
- თე სუმკა მიშ რე?
- თენა თი ოსურიშ რე.
- მუშ მასქვამა რე!
- გია, სად არის დედაშენი?
- დედაჩქმი ბაზარშია.
- ეს ჩანთა ვისია?
- ეს იმ ქალისაა.
- რა ლამაზია!

VI.

„მინდა“ ზმნა

მა	მ-ოკო-(ნ)	მე	მინდა
სი	გ-ოკო-(ნ)	შენ	გინდა
მუს / თის	ოკო-(ნ)	მას	უნდა.
ჩქი//ჩქ,		მ-ოკონა-(ნ)	
		ჩვენ	გვინდა
თქვა	გ-ოკონა-(ნ)	თქვენ	გინდათ
მუნეფს//მუნენს / თინეფს//თინენს ოკონა-(ნ)		მათ	უნდათ

წაიკითხეთ წინადაღებები:

მა უშქურ(ი) / უშქურეფ(ი) მოკო.

სი ჩაი გოკო.

მა არო(ი) უშქური მოკო.

სი წინგი გოკო.

სი გოკო ჩქიმ წინგეფი დო რვეულეფი.

მუს ოკო მაშნა.

გიორგის ჟირ მაშნა ოკო.

ჩქი//ჩქ, სქან წინგი მოკონა.

თქვა ჩქინი ¹უდე გოკონა.

თინეფს//თინენს თქვანი ქოთომეფი ოკონა.

ბაღანეფს//ბაღანენს უშქურიშ წვენი ოკონა.

ნინო დო ლევან(ი)ს ბული ოკონა.

ზილი:

უშქური – ვაშლი	ნვირმა//ნურმა – ხურმა
სხული – მსხალი	ნები – ნიგოზი
ბული – ბალი	თხირი – თხილი
ატამა – ატამი	ლული – ლელვი
ალიჩა – ალუჩა	ჯამპაკალი – თუთა
ციმ ¹ ვა//ციმუა – მარწყვი	საბურზაკი – საზამთრო
ომური//უმური – ტყემალი	შინკა – ნესვი
ბია – კომში	ბერწული – ბროწეული
	ჭუბური – წაბლი

წაიკითხეთ დიალოგები:

- გამარჯება სქანი!
- გოიმორძგ, ღორონთ, ქ!
- მუ გოკო?
- სქან წინგი მოკო.
- ხოლო მუ გოკო?
- მეტ მუთუნ ვარ.
- გამარჯება!
- გამარჯება!
- მუჭო რექ?
- ჯგირო, სი მუჭო რექ?
- მა ხოლო ჯგირო.
- დიასქანი სო რე?
- დიაჩქიმი ვა რე ¹უდეს, ბაზარს რე. მუ გოკო?
- ჭიჭე ხ(ვ)არხვი დო ლებია მოკო.
- მუზმა გოკო?
- ჟირი ხ(ვ)არხვი დო ართი ჭირქა ლებია მოკო.
- მუასქანი სო რე?
- მუაჩქიმი სამუშას რე, მუ გოკო?
- მაშნა მოკო ონჯუაშახ. დიასქანი სო რე?
- დიაჩქიმი ორტვინს რე.

ორტვინი დო ორტვინობა – ბოსტანი და ბოსტნეული:

ორტვინი//ორტვილი – ბოსტანი

პურასკია – პრასი

კინტირი//კ, ნტ, რი – კიტრი

კობეშია//კოპეშია – კვახი

ჭუჭელი//ჭუჭელე – ჭინჭარი

მაკინდოლი – ოხრახუში

სონა – ნიახური

ლებია – ლობიო

რედისკა (редис) – ბოლოკი

კაპუსტა (капуста) – კომბოსტო

- გამარჯება!
- გოიმორძგ, ღორონთ,ქ!
- მუჭო რექ?
- ჯგირო, სი მუჭო რექ?
- მა ხოლო ჯგირო.
- სქანი ჩილი დო სქუა მუჭო რე?
- მუთა უჭირა, მადლობა.
- მიშ რე თე ბალანეფი?
- თენეფი ჩქიმი მოთალეფ რენა დო თინეფი ჩქიმი მეზობელიშ ბალანეფ რენა.

- მუ გოკო?
- თის მუ ოკო?
- მუ ოკო გიორგის?
- მუ ოკო სქან ჯიმას?
- მუ ოკონა სქან სტუდენტენს?

- მის ოკო ჩაი დო მის ოკო ბჟა?
- ღვინი მის გოკონა?
- მის დო მის გოკონა წყარი?

- წყარ მოკო
- თის ღვინი/, ოკო.
- გიორგის ბჟა ოკო.
- ჩქიმ ჯიმას პივა ოკო.
- ჩქიმ სტუდენტებს წინგევ ოკონა.

- მა ჩაი მოკო, ნინოს – ბჟა.
- ჩქი მოკონა.
- მა დო ელენას მოკონა.

ნივთიერებათა სახელები:

- | | |
|---------------|--------------------|
| წყარი – წყალი | პივა (пиво) – ღუდი |
| ღვინი – ღვინო | ბჟა – რძე |

- სი გოკონო ჩქიმ გაზეთი?
- ვარ, მა ვა მოკო სქან(ი) გაზეთი.
- გოკონო თე ჯურნალი//ჟურნალი?
- ქო, თე ჯურნალი მოკო.
- ნინოს ოკონო სქანი მაშა?
- ვარ, ნინოს ვაკო სქანი მაშა, გიორგის ოკო.
- მუ გოკო // მუ გონებუნა?
- მა თქვენ წინგი მოკო.
- მაკას მუ ოკო?
- მაკას თქვანი ადრეზი ოკო.

- მუ ოკო სქან სქუას?
- ჩქიძე სქუას ოლა¹აფინია ოკო.
- ეგა დო ლაშას მუ ოკონა?
- ეგა დო ლაშას ჯოღორი ოკონა.
- წყარი გოკონა თუ ჩაი?
- ართი ჭირქა ჩაი მოკო, ქიშილებენდა.
- შანქარი გოკონანო?
- ვა მოკო!
- ა, თქვანი ჩაი!
- მაღლობა!
- ინგას მუ ოკო?
- მა ფიფქრენქ//ვფირქენქ, ინგას ხოლო ჩაი ოკო.
- სი მუ გოკო?
- მა ღვინი ვარა პივა მოკო.
- სქანი ს(ტ)უმარეფს მუ ოკონა, ბორჯომი თუ ლიმონათი?
- ჩქიძე ს(ტ)უმარეფს ვართ ბორჯომი ოკონა, ვართ - ლიმონათი, ხვალე წყარი ოკონა.
- მაცივარიშ(ი) თუ ინჭაშ(ი) წყარი?
- ინჭაშ(ი) წყარი ოკონა.

კავშირები:

დო – და
 ვართ.....ვართ – არც.....არც
 ვარა – 1. ან, 2. თორებ
 მარა – მაგრამ

ახალი სიტყვები:

ადრეზი (адресс) – მისამართი
 ოლა¹აფინია – სათამაშო

წაიკითხეთ დალოგი:

- გამარჯება ჯგირი, ბაბასქუა!
- გამარჯება, პატნი!
- თენა მიშ ცინდალი რე?
- თე ცინდალი ჩქიძი მეზობელიშ(ი) რე.
- თი თულეფი მიში რე?
- თი თულეფი ბაბუჩქიმიშ(ი) რე.
- კვატეფი დო ღორღონჯეფი ხოლო სქანი ბაბუშ რენო?

- გარი, კვატეფი დო ღორლონჯეფი ჩქიმი დეიშ რე.

ცხოველები და ფრინველები:

ქოთომი	ქათამი	გინი//გენი	– ხბო
წიწილა	წიწილი	ხოჯი	– ხარი
მუმული	მამალი	კამბეში//კამბეჩი	– კამეჩი
ღორლონჯი	ბატი	ლაკვი	– ლეკვი
გვატა	იხვი	ცინდალი	– კნუტი
ტორონჯი	მტრედი	ქაცარი	– თიკანი, ციკანი
კოკუჩი//ინდური	ინდაური	თხა	– თხა
ღეჯი	ღორი	შხური	– ცხვარი
თუ	გოჭი	კირიბი	– ბატკანი
ჩხოუ	ძროხა		

ისწავლეთ ახალი სიტყვები:

ინჭა	ჭა	მონდა//მონჭა	– მწიფე
ფიფქრენქ	ვეიქრობ	კობუ	– მკვახე
ფირქი	ფიქრი		

საგარჯიშოები:

უპასუხეთ კითხვებს და გადმოაქართულეთ:

მუ გოკონა?	-----
მის მუ ოკო?	-----
თქვა წვენ გოკონანო?	-----
მუ ოკო სქან სქუას?	-----
სი მუ გოკო?	-----
მუ გონებუნა?	-----
მუ ოკონა სქან სტუდენტებს?	-----
მუ ოკო სქან ამხანაგს?	-----
მუ ოკონა თქვან ს(ტ)უმარეფს?	-----
მის ოკო სხული?	-----
მის ოკო უშქური?	-----
მის გოკონა შანქარი?	-----
მის ოკო ჩქიმი 1ვალი?	-----
ღვინი გოკონა თუ პიგა?	-----
ბჟა გოკონა თუ ჩაი?	-----
შინკა გოკო თუ ხაბურზაგი?	-----

წყარი გოკონო?

VII.

ზედსართავი სახელები:

მუჭომი?/მუნერი? – როგორი?/რანაირი?

დიდი (დიდი)	- ჭიჭე (პატარა)
ჯგირი (კარგი)	- გლახა//ფური (ცუდი)
ახალი (ახალი)	- ჯვეში (ძველი)
სქვამი (ლამაზი)	- უსქვამური (უშნო)
იოლი (ადვილი)	- ძნელი (ძნელი)
მაღალი (მაღალი)	- დაბალი (დაბალი)
გინძე (გრძელი)	- კუნტა (მოკლე)
ჭკვერი (ჭკვიანი)	- სულელი//სუნელი, ბორო (სულელი)
ჩხე (ცხელი)	- 1ინი (ცივი)
ტიბუ (თბილი)	- რგილი (გრილი)
შუუ (მსხვილი)	- ინწრო, ჭითე (ვიწრო)
ნწარეუ//წარე (მწარე)	- ჰამო, ტკბილი (ტკბილი)
რჩინუ (მოხუცი)	- ახალი//მარდუ (მოზარდი)
მონგა (მძიმე)	- ქექე (მჩატე)
მართალი (მართალი)	- ტყურა (ტყუილი)
ჩე (თეთრი)	- უჩა (შავი)
ეფი (იაფი)	- ძვირი (ძვირი)
ფსქელი, სქელი(სქელი)-	თითხუ//თხითხუ(თხელი)

დიდი 1უდე. დიდი 1უდეეფი. ახალი სტოლი. ახალი სტოლეფი. ჯვეში ქართი. ძნელი გაკვეთილი. მაღალი ბოში. გინძე კაბა. კუნტა თუმა. სქვამი ძლაბეფი// ცირეფი. ჭკვერ ბაღანეფი. ჭიჭე ოთახი. გლახა მაშნა. ჩხე წყარი.

ა სქვამი ცირა. ა სქვამი ცირეფი. თინეფი სქვამეფი რენა. მუ ჭკვერი ბაღანა რე. მუნეფი ჭკვერეფი რენა. გიორგიშ სქუალეფი ჭიჭელეფი რენა. თე წინგეფი ახალეფი რე. თე გაგეთილეფი ადგოლ//იოლი/ეფი რე.

წაიკითხეთ ტექსტი:

თენა ახალი დო სქვამი ბალი რე. ბალის დიდი ჯალეფი დო სქვამი ვარდეფი რე. თაქ ჭიჭე კაფე რე. თი კაფე ახალი რე. კა-ფეს გინძე სტოლეფი დო დაბალი სკამეფი დგუ//. სტოლს ახალ გაზეთეფ(ი) გემუ//, (დევს). მა კაფეს ვორექ. მა დო ჩქიმ აფხანა-გეფს//აფხანაკეფს ჩაი მოკონა.

უპასუხეთ შეკითხვებს:

მუჭომ ბალი რე? -----
 მუჭომ კაფე რე ბალის? -----
 მუჭომ სტოლეფ(ი) რე/დგუ/, ბალის? -----
 მუჭომ გაზეთეფ(ი) გემუ/, სტოლს? -----
 მუჭომ სკამეფ რე ბალის? -----

უფროობითი წარისხი იწარმოება უ---(ა)-ში პრეფიქს-სუფიქსით:

დიდი — უ-დიდ-ა-ში.
 ფური — უ-ფურ-ა-ში//უ-ფ,რ-ა-ში
 სქვამი//სკვამი — უ-სქ/კვამ-ა-ში
 (რ)ჩე — უ-რ-ჩი-ა-ში//უ-რ-ჩე-ა-ში

გამონაკლისია:

ჯგირი — უ-ჯგუ-ში
 მეტი — უ - მოსი

უფროობითი წარისხის ფორმა შეიძლება გადმოიცეს დადებითი წა-რისხის ფორმაზე ზმნიზედის დამატებით:

ძალამი(ძალან)	ჯგირი კოჩი
გვალო(გვალან)	ჯგირი ძღაბი
ნაბეჭანი(ნამეჭანი)	გლახა ოსური

ან: უმოსი (უფრო) + ზედსართავი სახელი:

ნიკა უმოსი ჯგირი ბაღანა რე, ვინემ კახა.

ჩქინი სოფელი უმოსი სქვამი რე, ვინემ თქვანი.

მაკა უმოსი ჭკვერი რე, ვინემ ნინო.

მამუკა უმოსი ძალიერი რე, ვინემ დათო.

მცხეთა უმოსი ჯვეში ქალაქი რე, ვინემ ქართი.

ჩქიმი სქუალეფი უმოსი დიდეფი რენა, ვინემ სქანი ჯიმასქუალეფი.

ან კიდევ:

ირფელიში უმოსი (ყველაზე მეტი//მეტად)..

ირფელიში უფ.რაში (ყველაზე ცუდი)..

მეტიშ მეტი (მეტისმეტად)..

თანაბრობითი ხარისხის ფორმები (ქართულს არა აქვს)იწარმოება
მა-ა კონფიქსით: დიდი – მაღიდა, ჭიჭე – მაჭიჭა, სქვამი//სკვამი – მა-სქვამე//მა-სქვამ-ა

მაგ:

თე ძლაბი ჩქიმ ბაღანაშ მამაღალა რე (ეს გოგო ჩემი ბაგშვის სი-
მაღლისაა).

დათოშ ჯოლორი ჩხოუშ მაღიდა რე (დათოს ძალლი ძროხის სი-
დიდისაა).

ოღნაობითი ხარისხი იწარმოება მო-ე/ო კონფიქსით: უჩა – მო-უჩ-ე/ო
(მოშავო), ჭითა – მო-ჭით-ე/ო (მოწითალო)

წაიკითხეთ დალოვები:

- გამარჯებათ!
- გამარჯება, ნანა!//სქუა!(შვილო)
- ართი ქობალი დო სუმი კილო შანქარი მოკო, ქიშილებენდა.
- ა, ნანა. მეტ მუ გოგო?
- ართი პაჭკა ჯიმუ დო ართი დუდი 1ვალი მოკო.
- ხოლო მუ გოგო?
- გეთუ, მეტ მუთუნ ვარი, მადლობა!

- ჯგირო ორდა, ნანა!
- ჯგირო ზოკუნდათ!
- ნუნუ დეი! მარწვენი მოკო.
- ამარ, ნანა, მაცივარს რე ახალი მარწვენი, ამდღარი.
- ქობალი ხოლო მოკო.
- ახალი ქობალი ვა რე, ჯვეში რე, გოლანერი.
- მუთა უჭირს. შექირენ მაფუ / მშექირენს.
- ჰ(ო), ¹ვალი დო კინტირი ხოლო რე შკაფის.
- მეტ მუთუნი ვა მოკო, მადლობერი.

მუჭომი ქობალი რე თენა?

ახალი თუ ჯვეში?

თე ქობალი ახალი რე.

მუჭომი ხორცი რე თენა? -----

მუჭომი ¹ვალი რე თენა? -----

მუჭომი კარტოფილი რე თენა?-----

მუჭომი ლებია რე თენა? -----

მუჭომი სხული რე თენა? -----

მუჭომი ძღაბი რე სქანი და?-----

მუჭომი მაშნა რე სქანი//სკან(ი) ჯიმაში?-----

ახალი სიტყვები:

დგუ//, - დგას	ჯიმუ - მარილი
გეძუ//, - დევს	შანქარამი - შაქრიანი
ქართი - თბილისი	ჯიმუამი - მარილიანი
ქობალი - პური	ქიშილებენდა - თუ შეიძლება
¹ ვალი - ყველი	მარწვენი - მაწონი.
შანქარი - შაქარი	¹ ვანა - ყანა

საგარეჯიშოები:

1. ჩასვით ზედსართავები:

1. ჩქ,ნ მეზ/მობელი ----- კოჩი რე.
2. სქნი და ----- ცირა რე.
3. მუაჩქიმიშ სოფელი ----- რე.
4. მუში ბაღანა ნაბტანი//ნაპტანი//ნაბეტანი ----- რე.
5. თე კობ/პეშია ნაბტანი//ნაპტანი ----- რე.
6. თი ბოში უმოსი ----- რე, ვინემ თენა.
7. თქვანი სკოლა ----- რე.
8. ჩქინი ოზე ----- ვა რე, მარა ----- რე.
9. თე ----- კაბა მოკო.
10. სქანი თუმა ----- რე

2. შეადგინეთ წინადადებები ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმების გამოყენებით.

ნიმუში: თე ცირა უმოსი სქვამი რე, ვინემ თი ძღაბი. თე ცირა არძაშ უსქვამაში რე.

მუჭომი ამინდი/დღა რე ამდღა? – როგორი ამინდია (დღე) დღეს?

ჩხურუ/, დღა რე – ცივი ამინდია/დღეა.

ჩხე დღა რე – ცხელი ამინდია/დღეა.

ტიბუ დღა რე – თბილი ამინდია/დღეა.

რგილი დღა რე – გრილი ამინდია/დღეა.

ჭვენს//ჭვინს – წვიმს

თუნს – თოვს

ბორია რე – ქარია

ჩხანა რე – მზეა

ტაროზი რე – დარია

ტაროზ უბადო რე//ხანდარა რე – ავდარია

სინჩხე რე – ცხელა

ჩხურუ რე – ცივა

სიტიბა რე – თბილა
სირგილე რე – გრილა

შეადარეთ შეგრძნება – განცდის გამოშხატველი ფრაზები:

სინჩხე მაფუ – მცხელა
ჩხურუ მაფუ – მცივა
ტიბუ მაფუ//მიღუ (კუჩი) – თბილი//თბილად მაქვს (ფეხი)
გრილი მაფუ (ვა) – გრილი მაქვს (შუბლი)

(ზმნა მაფუ(ნ), გაფუ(ნ), აფუ(ნ), მაფუნა(ნ), გაფუნა(ნ), აფუნა(ნ)
– სიტყვასიტყვით: მაქვს, გაქვს, აქვს, გვაქვს, გაქვთ, აქვთ).

უკასუხეთ შეკითხვებს:

1. მუჭომი დღა რე ამდღა?-----
2. ამდღა ჩხურუ რენო?-----
3. ჟუდეს სინჩხე რენო?-----
4. გალე სინჩხე რე თუ ჩხურუ რე?-----
5. ოთახს სიტიბა რენო?-----
6. ასე ჭვენსო?-----
7. იანარს ქართის თუნსო?-----

VIII.

რიცხვითი სახელუბი

ზუგდი? – რამდენი?

1. ართი
2. ჟირი
3. სუმი
4. ოთხი
5. ხუთი
6. აშშვი
7. შქვითი//შკვითი
8. რუო//ბრუო
9. ჩხორო
10. ვითი
11. ვითაართი
12. ვითოჟირი//ვითოჟ, რი
13. ვითოსუმი
14. ვითა(ა)ნთხი
15. ვითოხუთი
16. ვითა(ა)მშვი
17. ვითოშქვითი
18. ვითორუო//ვითობრუო
19. ვოთოჩხორო
20. ეჩი
- 20 - ეჩდოართი
- 21 - ეჩდოჟირი
- 22 - ეჩდოსუმი
- 30 - ეჩდოვითი
- 31 - ეჩდოვითაართი
- 32 - ეჩდოვითოჟირი
- 40 - ჟარნეჩი
- 41 - ჟარნეჩდოართი
- 50 - ჟარნეჩდოვითი
- 51 - ჟარნეჩდოვითაართი
- 60 - სუმენეჩი//სუმონეჩი

61	-	სუმენებზღვოართი//სუმონებზღვოართი
70	-	სუმენებზღვითი//სუმონებზღვითი
80	-	ოთხონებზი
90	-	ოთხონებზღვითი
100	-	ოში
200	-	ჟიროში
300	-	სუმოში
400	-	ოთხოში
500	-	ხუთოში
600	-	აშშოში
700	-	შევითოში
800	-	რუოში//ბრუოში
900	-	ჩხოროში
1000	-	ანთასი (საკუთრივ მეგრული – ვითოში)
2000	-	ჟირი ანთასი
1-ლი		პრიველი
მე-2		მაჟრა//მაჟირა // მაჟია
მე-3		მამბა
მე-4		მანთხა//მაანთხა
მე-5		მახვთა//მახუთა
მე-6		მააშვა
მე-7		მაშქითა
მე-8		მაბრუო
მე-9		მაჩხორა
მე-10		მავითა
მე-11		მავითაართა
მე-12		მავითოჟირა
მე-20		მაეჩა
21-ე		ეჩდომაართა
22-ე		ეჩდომაჟირა
30-ე		ეჩდომაგითა
31-ე		ეჩდომაგითაართა
მე-40		მაჟარნეჩა
41-ე		ჟარნებზღომაართა
50-ე		ჟარნებზღომაგითა

მე-60	მასუმენება
70-ე	სუმენებზდომავითა
მე-80	მაოთხონება
90-ე	ოთხონებზდომავითა
მე-100	მაოშა
მე-200	მაჟიროშა
201-ე	ჟიროშმაართა
მე-1000	მაანთასა
მე-2000	მაჟირიანთასა

მუზ. მა//მუდა წანერი რექ? – რაძღვნი წლის ხარ?

- გიორგი, მუდა წანერ(ი) რექ?
- ვითაამშვი წანერ(ი) ვორექ.
- მუდა წანერ(ი) რე სქანი ჯიმა?
- ჩქიმ ჯიმა ეჩი წანერ(ი) რე.
- დიასქანი მუდა წანერ(ი) რე?
- დიაჩქიმი ჟარნებზდოვითაართი წანერ(ი) რე.
- მუდა წანერ(ი) რე სქან(ი) ჯიმაშ აფხანაკი ნანა?
- ნანა ვითოხუთი წანერ(ი) რე.

მუ ღირ? – რა ღირს?

- მუ ღირ, ართი კილო უშქური?
- ართი კილო უშქური ლარი დო ჟირი აბაზი ღირ.,.
- ართი კილო პამინდორი მუ ღირ,?
- პამინდორი სუმი ლარი ღირ.,.
- მუამბე რე!
- ძვირი რენო?
- ძვირი რე, აბა, ეფი რენო?
- მუშა რე თე ბული?
- თე ბული ოთხ ლარშა რე.
